რატომ ხდება, რომ წინამძღოლებისადმი დამოკიდებულება თქვენს მომავალს განსაზღვრავს?

საფარქვეშ

ჯონ ბევირი

„მოკალი კრიპტონიტის“ ბესთსელერი ავტორი

ძვირფასო მეგობარო!

ადამიანები ყველგან იტანჯებიან, რადგან არ ესმით ღვთის ჩანაფიქრი და მიზანი ძალაუფლების საკითხში. ჩვენ ვერ ვხვდებით, რომ ღმერთი როგორც კარგ, ისე ცუდ წინამძღოლებს ჩვენში საუკეთესოს წარმოსაქმნელად და ხასიათის თვისებების განვითარების, გაზრდისა და ჩამოყალიბებისთვის იყენებს, რათა ვიდგეთ და ვიმსახუროთ. როდესაც ვიგებთ, თუ როგორ შეგვქმნა ღმერთმა ძალაუფლებასთან დამოკიდებულებაში ცხოვრებისთვის, საკუთარ თავს მშვიდობის, დაცვისა და უზრუნველყოფის ცოდნის მდგომარეობაში ვაყენებთ მიუხედავად იმისა, რას აკეთებენ ან არ აკეთებენ ჩვენი ზემდგომები.

თქვენი ხვედრი ღმერთში თქვენ წინაშეა. როდესაც ირჩევთ მათ მორჩილებას, ვისაც თქვენზე ძალაუფლება აქვს, ღვთიურ დანიშნულებას აცნობიერებთ და ასრულებთ. ეს წიგნი თქვენი საჩუქარია.

გთხოვთ, თავისუფლად გაუზიაროთ სხვა მორწმუნეებს, რომელთაც იგივე დარიგება სჭირდებათ. ასევე, გთხოვთ, ეწვიოთ **MessengerX.com-s**, რომ ჩამოტვირთოთ და შეისწავლოთ მრავალი სხვა ცხოვრების გარდამქმნელი რესურსი თქვენს მშობლიურ ენაზე. ვლოცულობ, რომ მე და თქვენ ვიყოთ მათ შორის, ვინც ამ მისიას შეასრულებს და ჩვენს საოცარ უფალს განადიდებს!

თქვენი ძმა ქრისტეში,

ჯონი
JohnBevere@ymail.com

MessengerX

Messenger INTERNATIONAL

საფარქვეშ

რატომ განსაზღვრავს წინამძღოლებისადმი
თქვენი დამოკიდებულება თქვენივე მომავალს?

ჯონ ბევირი

Under Cover, by John Bevere, Georgian
© 2023 Messenger International
MessengerInternational.org

Originally published in English as Under Cover
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX** App.
To contact the author: JohnBevere@ymail.com

This book is a gift from Messenger International and is
NOT FOR SALE

„საფარქვეშ“ ჯონ ბევირისგან, ქართულად
© 2023 Messenger International
MessengerInternational.org

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: Under Coverr
დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევირებისგან მიიღეთ უფასოდ ჩამოსათვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და ასევე **MessengerX** App.
ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით:
JohnBevere@ymail.com

ეს წიგნი Messenger International-ის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის გასაყიდად.

ჩამოტვირთეთ: App Store

იხილეთ: Google Play

App Store არის Apple Inc.- ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC- ის სავაჭრო ნიშანი.

ამ წიგნს ჩემს პირმშოს,
ედისონ დევიდ ბევირს ვუძღვნი.

„ბრძენი შვილი მამას ახარებს“.
იგ. 10:1

შენი სახელი ნიშნავს „საყვარელ ადამიანს,
რომელიც ნდობის ღირსია“.
ნამდვილად ამართლებ ამ სახელს და წინამდებარე
წიგნის მცნებებით ცხოვრობ.
დაიმკვიდრე ღვთის უხვი კურთხევა და აღთქმები.
დაე, მისი სახის შუქმა მოგანათოს.
ხანგრძლივი და წარმატებული ცხოვრება გქონდეს.
მე და დედაშენს გვიყვარხარ და კურთხეულები
ვართ, რომ ჩვენი შვილი გქვია.

შინაარსი

ნაწილი 1: შესავალი

1. ღვთიური დაცვა.....1
2. ძნელია წვეტის წინააღმდეგ დარტყმა!.....9

ნაწილი 2: ღვთის უშუალო მფარველობა

3. ცოდვის განსაზღვრება.....27
4. ურჯულოების ფარული ძალა.....39
5. ურჩობის შედეგები I.....57
6. ურჩობის შედეგები II.....69
7. მოჯადოებული.....85

ნაწილი 3: ღვთისგან დადგენილი საფარველი

8. იცის თუ არა ღმერთმა, ვინ არის სათავეში?.....101
9. მეფეს პატივი ეცით.....117
10. ორმაგი პატივი.....133
11. მორჩილება და დაქვემდებარება.....155
12. რა უნდა ვქნა, თუ ძალაუფლება მეუბნება ...?.....171
13. უსამართლო მოპყრობა.....191
14. საკუთარი თავისთვის მოტანილი სასჯელი.....213
15. ერთნი.....233

16. სხვადასხვა წვრილმანი.....249
17. დიდი რწმენა.....267
18. დასკვნა.....285

სადისკუსიო კითხვები.....289

ნაწილი 1

წიგნის წარდგენა

თავი 1

ღვთიური დაცვა

ხშირად შემპარავ და ალერსიან ნათქვამზე
მეტად მტკივნეულ სიტყვებს მოაქვს
დიდი თავისუფლება და დაცვა.

სიტყვა „საფარქვეშ“ უამრავ ვითარებას ერგება. მისი ყველაზე მარტივი ფორმა ბავშვს აღწერს, რომელიც თბილი გადასაფარებლის ქვეშ მოკალათებულა ან მშობლის მკლავებქვეშ საფრთხისგან დაცულად გრძნობს თავს. მოქალაქის უშიშროებას ქალაქის პოლიცია ან არმია უზრუნველყოფს. იგივე დაცულობას გრძნობს ცხოველი, რომელიც ბუჩქნარში, გამოქვაბულში ან სოროში იმალება. ასევე, ოჯახიც უშიშრად არის მყარ სახლს თავშეფარებული, როცა გარეთ ქარიშხალი მძვინვარებს.

მახსოვს, რომ ბავშვობაში ისეთ ადგილას ვცხოვრობდით, სადაც ხშირი ქარიშხლები იცოდა. მთავარი ფანჯრიდან არაერთხელ გავმხდარვართ შავი ღრუბლებით დაფარული ცის მოწმე და ამ სანახაობას შორეული ქუხილის ხმებიც ერთვოდა. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ქარიშხალი ჩვენ თავზე ტრიალებდა მთელი ძალით. ცაზე გაელვებებს თითქმის მეყსეულად მოსდევდა ქუხილი. თავსხმა წვიმა ნამცეცა ჩაქუჩების მსგავსად აკაკუნებდა სახურავზე. ამ საშინელი ამინდის ფონზე ჩვენი სახლი უფრო მეტად უსაფრთხო და დაცული გვეჩვენებოდა. ფანჯრის იქით ყველაფერი სველი, ცივი და მეხის საფრთხის მომცველი გახლდათ. თუმცა სახლის სახურავი ჩვენს სიმშრალეს უზრუნველყოფდა და ქარიშხლის ტირანიისგან გვიცავდა. ჩვენ საფარქვეშ ვიყავით.

ამ თემის გაგრძელება კიდევ ერთი ტერმინის მეშვეობით შეგვიძლია, რომელიც ინგლისურად *საფარისა* და *ქვეშ* სიტყვების გაერთიანებით მიიღება და ქართულად ფარულს ნიშნავს. ტერმინი აღწერს უსაფრთხოებას, რომელიც პიროვნების დაფარვით მიიღება. მაგალითად, ფარულ აგენტს თავისუფლად მოქმედების საშუალება ეძლევა და მტერს მისი აღმოჩენა არ შეუძლია. მისმა მთავრობამ გამოგონილი სახელით წარგზავნა და ახლა მტრულ არეალში თავისუფლად მოქმედებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა კონტექსტში გამოვიყენებთ ამ სიტყვას – ის ყველა შემთხვევაში გულისხმობს *დაცვასა* და *თავისუფლებას.*

როგორ მიესადაგება *საფარქვეშ* ყოფნა ქრისტიანებს? დავითი ამბობს: „უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული ყოვლისშემძლის ჩრდილქვეშ ისვენებს. ვეტყვი უფალს: ჩემი თავშესაფარი და სიმაგრე ხარ, ჩემი ღმერთი ხარ, შენ გენდობი!“ (ფს. 91:1-2). ისევ ვხედავთ დაცვას მის საფარქვეშ. თუმცა ამ განაცხადის მომდევნო სიტყვა – დამკვიდრებული – მეტად მნიშვნელოვანი კითხვის წინაშე გვაყენებს: „ვინ არის დამკვიდრებული მის საფარქვეშ?“ წიგნი, რომელიც ახლა ხელთ გიპყრიათ, ხსენებული კითხვის პასუხს ეძიებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ღვთის საფარქვეშ დამკვიდრებული ის გახლავთ, ვინც ღვთის ძალაუფლებას ექვემდებარება.

ადამი და ევა ედემის ბაღში თავისუფლებით და უსაფრთხოებით ხარობდნენ ღვთის საფარქვეშ. თუმცა შეცოდებისთანავე აღმოაჩინეს, რომ ზუსტად ის სჭირდებოდათ, რასაც თავი დააღწიეს – „დაფარვა“ (დაბ. 3:7). ღვთის ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობამ კაცობრიობას საამო თავისუფლება და დაცვა შემოაძარცვა, რითაც ოდესღაც ტკბებოდნენ.

მოდით, თვალი გავუსწოროთ ამ საკითხს! *ძალაუფლება* არცთუ პოპულარული სიტყვა გახლავთ. თუმცა მისი უარყოფით ან მის მიმართ შიშით მხედველობის არიდან ვკარგავთ დიდ დაცულობასა და სარგებელს, რასაც ძალაუფლება უზრუნველყოფს. ვკანკალებთ, რადგან მას ღვთიური თვალსაზრისით არ ვუყურებთ. ხშირად ძალაუფლებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ერთ შემთხვევას მახსენებს, რომელიც ჩვენს მესამე ვაჟს გადახდა.

ღვთიური დაცვა

როცა ალეკი პირველ კლასში შევიდა, მასწავლებელთან ცუდი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. ის ქალი ყოველთვის ზღვარზე იყო. კაპასი და მწყობრიდან გამოსული მასწავლებელი ხშირად უყვიროდა მოსწავლეებს. ალეკიც არაერთხელ მოხვედრილა მისი აფეთქების ეპიცენტრში, რადგან ყოველთვის შემოქმედებითი და ენერგიული იყო. წყნარად ჯდომას ლაპარაკი ერჩია. მისთვის სკოლა საოცარი სოციალური თავშეყრის ადგილი გახლდათ. ზედმეტია იმის თქმა, რომ მისი ამგვარი ხედვა მასწავლებლის პიროვნებასა და მოუთმენლობას შეეჯახა.

მე და ჩემს ცოლს არაერთხელ მოგვიხდა სკოლის შემდგომ კონსულტაციაზე დარჩენა. მასწავლებელთან ვთანამშრომლობ-დით და ალეკს ვარიგებდით, რომ მის წესებს დამორჩილებოდა, მაგრამ მთელმა ამ დამთრგუნველმა პროცესმა სტრუქტურული აკადემიური სწავლების მიმართ მისი სიყვარული დააბრკოლა.

შემდეგ სხვა შტატში გადავედით საცხოვრებლად და ალეკი იქაური სკოლის მეორე კლასში გადავიდა. იქ მას ზედმეტად საყვარელი მასწავლებელი დახვდა, რომელიც მეტისმეტად მგრძნობიარე იყო მოსწავლეების კარგი განწყობის მიმართ. ამ ქალის აზრით, ალეკი შესანიშნავი ბავშვი გახლდათ და მისი ხასიათიდან გამომდინარე, მასწავლებელი ძალიან შეუყვარდა, თუმცა მთლად წავიდა ხელიდან და თითქმის არაფერს სწავლობდა. როგორც ჩანდა, ალეკი აკადემიური განათლების ბზარებს შორის იკარგებოდა, ამრიგად, ის ერთ კარგ ჩარტერულ სკოლაში (მთარგმნელის შენიშვნა: დამოუკიდებელი, სახელმწი-ფო, უფასო სკოლა) გადავიყვანეთ, სადაც აკადემიურ მოსწრებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

აქ ალეკი ძალზე დაბნეული და იმედგაცრუებული იყო. იგი წარჩინებულ ბავშვებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც კარგა გვარიანად გაუსწრეს ორი წლის ბეჯითი სწავლით. ახლა ის ერთი კარგი და კეთილი, მაგრამ მტკიცე მასწავლებლის მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდა. მალე გამოირკვა, რომ ალეკი სხვა მოსწავლეებს ჩამორჩებოდა. ისევ დაიწყო ხშირი, მაგრამ ამჯე-რად, სასარგებლო შეხვედრები მასწავლებელთან. მე და ლიზაც დიდად ვიყავით ჩართული მის შრომაში. ყოველდღე სკოლაში სიარული და ყოველ საღამოს ზურგიდან მშობლების სუნთქვის შეგრძნება მისთვის მეტისმეტი იყო. ალეკი ხშირად იკეტებოდა.

ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იძირებოდა, არადა სინამდვილეში წინ მიდიოდა.

ერთ დღეს მისმა ემოციებმა ზედაპირზე ამოხეთქა. ძმები როლიკებზე სრიალის საღამოზე მიდიოდნენ, რომელიც სკოლაში იმართებოდა, ის კი სახლში უნდა დარჩენილიყო და დაუმთავრებელი დავალება შეესრულებინა, რომელიც მერხში შემალა. ალეკი ყოველგვარ გართობას მოკლებული იყო მასწავლებლის უამრავი დავალების გამო. მან ტირილის გარდა ვერაფერი შეძლო. დადგა კიდევ ერთი მამაშვილური დარიგების ჯერი. რამდენიმე სიტყვის შემდეგ პრობლემა დავინახე. ის თვლიდა, რომ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. იმედგაცრუების ცრემლებმა გადმოხეთქა და არ ესმოდა, თუ რას ეუბნებოდა მამა. დადგა მომენტი, როცა სათქმელი არც ერთს აღარ გვქონდა. მან თავი მხრებში ჩარგო და აქვითინდა.

არასდროს დამავიწყდება, რაც შემდეგ მოხდა. იგი წამოდგა, თითქოს თავი ხელში აიყვანა, სახე მოიწმინდა და თავისი დიდი მუქი თაფლისფერი თვალებით და ახლებურად თავდაჯერებული მზერით შემომხედა. ჩანდა, იდეა მოუვიდა, თუ როგორ გადაეჭრა არსებული პრობლემა და ცრემლები შეეშრო. იგი მხრებში გასწორდა, მკლავები გადაიჯვარედინა და მძიმე ხმით მითხრა:

– მამა, რაღაც უნდა გითხრა! გახსოვს ჩემი კლასელი ჯესიკა ... რომელსაც ექიმების არ სწამს?

შემდეგ ცოტათი შეყოყმანდა და დაამატა:

– იცი მამა, მეც არ მწამს მასწავლებლების!

ჩემთვის ძნელი იყო ამ დროს სიცილისგან თავშეკავება. მან წარმატებით გამაკვირვა. ალეკმა განაგრძო:

– თუ ჩემს კლასელ ჯესიკას ექიმების არ სჯერა, არც მე მჯერა მასწავლებლების!

სიცილის შეკავება ვეღარ შევძელი. ეს რომ იმედგაცრუებულს ეთქვა, ასე სასაცილო არ იქნებოდა. მთავარი მისი ხმის ტემბრი იყო. ალეკს მართლაც ეგონა, რომ ახალი გამოცხადება გამიზიარა, რომელიც მის ყველა პრობლემას გადაჭრიდა. ისეთივე სერიოზული იყო, როგორც სასამართლოს წინაშე მდგარი მოწმე.

რასაკვირველია, ამ შემთხვევით ვისარგებლე და ავუხსენი, სად აღმოჩნდებოდა მასწავლებლების გარეშე. ვუამბე, რა ვნახე, როცა აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, ანგოლაში ვიყავი წინა

წელს და დამშეული ბავშვებისთვის საკვების დარიგების სადგურებზე ვმუშაობდი. ის ბავშვები რას არ გაიღებდნენ, რომ ალექსანდერის მსგავსი შესაძლებლობა ჰქონოდათ! ისინი სიხარულით შეხტებოდნენ სწავლის შანსის მიცემის გამო, რადგან კარგად ხვდებოდნენ მის მნიშვნელობას თავიანთი ოჯახების თუნდაც ერთი დღით რჩენის შემდეგ. ჩემი გრძელი ახსნა-განმარტების შედეგად, ალეკმა ახალმოფიქრებული ფილოსოფია უხალისოდ დათმო და სამზარეულოს მაგიდას დაუბრუნდა დავალებების მთების დასალაშქრად.

მომდევნო რამდენიმე კვირის მანძილზე ვფიქრობდი ჩემ ბიჭთან საუბარზე და არ შემეძლო პარალელი არ გამევლო ამ ამბავსა და ძალაუფლების მიმართ ზოგიერთი ადამიანის დამოკიდებულებას შორის. ხშირად მსმენია უსიამოვნო ისტორიები ძალაუფლებასთან დაკავშირებით: ზოგიერთი ადამიანის მიმართ უფროსები გაუმართლებელ სიმკაცრეს იჩენდნენ; სხვები, ალექსანდერის მსგავსად, ზემდგომებს სიამის მიღების დაბრკოლებად მიიჩნევდნენ სრული იმედგაცრუების გამო, თუმცა სინამდვილეში, მშვენიერი ადამიანების ხელქვეით იმყოფებოდნენ. ამ უსიამოვნო გამოცდილებებმა შეფარული დამოკიდებულება წარმოშვა: ზემდგომების არაფერი მწამს ანუ ზრდასრულთა სიტყვებით რომ გამოვთქვათ, *ძალაუფლებას არ დავემორჩილები, სანამ მასთან ერთ ა ზრში არ მოვალ.*

რას ფიქრობს ღმერთი ამ საკითხზე? უნდა დავემორჩილოთ თუ არა ძალაუფლებას მაშინაც კი, როცა უსამართლობას იჩენენ? რა ხდება კორუმპირებული ხელისუფლების პირობებში? რა იქნება, თუ ისეთი რამის გაკეთებას მოგვთხოვენ, რაც არასწორად მიგვაჩნია? რა მოხდება, თუ ცოდვაში ფეხის ჩადგმა გარდაუვალია? სად უნდა გაივლოს ზღვარი? გარდა ამისა, რატომ უნდა დავემორჩილოთ? აქედან რაიმე სარგებელი გვაქვს? ნუთუ ღვთის სული არ წარგვმართავს?

ღვთის სიტყვას ყველა ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხები აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია, რომლის დაწერაც ღმერთმა დამავალა, რადგან ბევრ საფუძვლიან პრობლემას განიხილავს, რომელთაც ადამიანები ცხოვრებაში აწყდებიან. რამ გამოიწვია ლუციფერის დაცემა? ამბოხებამ. რატომ შესცოდა ადამმა? ამბოხების გამო. რატომ

ცდებიან ადამიანები ღვთის გზას? ამბოხების გამო. რაც მართლაც სერიოზულ მიდგომას მოითხოვს, ეს გახლავთ ამბოხების შემპარავი ბუნება, რომელიც აშკარად არ ყვირის.

ამ წიგნში საკუთარი შეცდომების მაგალითებს მოვიყვან. არ გახლავართ ძალაუფლებას მოწყურებული ლიდერი, რომელსაც სამწყსოს, თანამშრომლებისა და ოჯახის სრულ მორჩილებაში მოქცევა სურს. მშვენიერი მსახურთა გუნდი და ოჯახი მყავს. არც ადგილობრივი ეკლესიის მწყემსი გახლავართ. ამრიგად, ვწერ როგორც ადამიანი, რომელმაც მრავალი შეცდომა დაუშვა, უფრო ზუსტად, მრავალი ცოდვა ჩაიდინა. 1980-იან წლებში ორი საერთაშორისო დონის ეკლესიაში ვმსახურობდი. მიღებული გამოცდილებიდან ყველაზე უმართლო შეცდომების დანახვა შევძელი. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ნებისმიერ იმ შემთხვევაში თავი მართალი მეგონა, როცა სინამდვილეში ასე არ გახლდათ. დიდად მადლიერი ვარ ჩემი უფლისა, რომ მისმა სიტყვამ ჩემი ფარული ზრახვები გამოავლინა.

ჩემი წრფელი სურვილია, რომ გადატანილი სირთულეებიდან გასწავლოთ და იგივე შეცდომებს აგარიდოთ. ვლოცულობ, რომ ჩემი უგუნურებიდან საჭირო მითითებები და ღვთიური მიგნება მიიღოთ და სარგებელს არ აცდეთ. ის, რაც მოგვიანებით გავიაზრე ჩემი გამოცდილების შედეგად და ჭეშმარიტების გაცხადების პროცესში, მართლაც სასარგებლო და საოცარი აღმოჩნდა. მონანიებამ უსაფრთხოება და უზრუნველყოფა მოიტანა.

დარწმუნებული ვარ, რომ იგივე მოხდება თქვენს შემთხვევაშიც. როცა ბიბლიურ და პირად მაგალითებს გაეცნობით ამ წიგნის მეშვეობით, თქვენს გულს სინათლე მოეფინება. ზოგიერთი მათგანი უკვე არსებულ ცოდნას გაამყარებს, ხოლო სხვები – გაგათავისუფლებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ვლოცულობ, რომ უფლის სიტყვა თავმდაბლობით მიიღოთ, რადგან სწორედ ამის გადმოცემა მსურს გულით.

ჭეშმარიტებასთან შეხვედრისას ორგვარი რეაქცია გვექნება. შეიძლება გავბრაზდეთ და თავდაცვაზე გადავიდეთ კაენის, ადამის ძის მსგავსად და უარი ვთქვათ საჭირო გამოცხადებაზე (დაბ. 4). მეორე შემთხვევაში მოვიდრიკებით და გულს მოვილბობთ დავითის მსგავსად, რომელიც ნათანმა ამხილა. დაე, ტკივილმა და მონანიებამ ღვთიური ხასიათის შეძენის ახალ

საფეხურზე აგვიყვანოს (2 სამ. 12)! ამ საქმეში დავითის გული ვიქონიოთ და უარვყოთ სიამაყე, რომელიც ღვთიური უზრუნველყოფისა და დაცვის გეგმისგან ჩვენს ჩამოშორებას ლამობს.

რაკი ერთხელ მიიღებთ ამ გზას, დაიმახსოვრეთ, რომ ხშირად დიდი თავისუფლება და დაცვა შემპარავ და ალერსიან ნათქვამზე მეტად მტკივნეულ სიტყვებს მოაქვს! როცა ბავშვი ვიყავი, იმუნიზაციის მეორე საფეხურის აცრა მქონდა გასაკეთებელი. მეგობარმა მითხრა, რომ ძალიან მტკივნეული იყო. ამის გაგონების შემდეგ გადავწყვიტე, რომ აცრა ნებისმიერი საშუალებით თავიდან ამეცილებინა. ორ ექთანს ვებრძოლე და ბოლოს ისინი დანებდნენ. მშობლებმა დამსვეს და ამიხსნეს, რა მოხდებოდა, ტუბერკულოზის ვაქცინას თუ არ გავიკეთებდი. უკვე შევესწარი ჩემი დის სიკვდილს სიმსივნისგან და ვიცოდი, რომ მათ ჩემი დაცვა სურდათ. ისიც გავიაზრე, რომ ნემსი რაღაც დონეზე მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ უფრო დიდი ტკივილისგან დამიცავდა იმ შემთხვევაში, თუ საზარელი და შესაძლოა, სასიკვდილო დაავადება შემეყრებოდა. როცა ამას მივხვდი, ჩემი ნებით დავბრუნდი ნემსის გასაკეთებლად.

გაიხსენეთ ეს მაგალითი, როცა უხერხულ და ზოგჯერ მტკივნეულ, იმუნიზაციის უნარის მქონე ჭეშმარიტებას შეხვდებით ღვთის სიტყვიდან. იცოდეთ, რომ თქვენი ზეციერი მამის გზები სრულყოფილია და რაც ერთ დროს მავნე და საზიანო გეჩვენებოდათ, რეალურად თქვენს დაცვას, კურთხევას ან სხვა ადამიანის გადარჩენას ემსახურება. არასოდეს დაივიწყოთ, რომ მისი სიყვარული ჩვენ მიმართ წმიდა, სრული და მარადიულია!

სანამ წიგნში მოგზაურობას დავიწყებდეთ, ვილოცოთ:

ზეციერო მამა, ჭეშმარიტების ჩემს შინაგანში დამკვიდრება ნებისმიერ კომფორტსა და სიამოვნებაზე მეტად მწყურია. ამიტომ შენს ხელთ გადმოგცემ გულსა და სამშვინველს და დარწმუნებული ვიქნები, რომ შენი გზები სრულყოფილია. იმდენად შემიყვარე, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, შენი ძე, იესო გამოგზავნე ჩემთვის სასიკვდილოდ და საუკუნო სიცოცხლის მოსანიჭებლად. თუკი ასე შემიყვარე, ნამდვილად გინდა, დაასრულო ჩემს ცხოვრებაში შენს მიერ დაწყებული საქმე. გთხოვ, ამ წიგ-

ნის კითხვისას შენი სულით დამელაპარაკო და მაჩვენო შენთვის სასურველი გზები ჩემი ცხოვრებისთვის! ამიხილე თვალები და გამიხსენი ყურები შენი სიტყვის მოსასმენად! უფრო მეტად დამანახე იესო, ვიდრე აქამდე ვხედავდი! წინასწარ გმადლობ ამ წიგნის სიტყვის მეშვეობით ჩემში გაკეთებული საქმეებისთვის! ვლოცულობ იესოს სახელით. ამინ!

თავი 2

ძნელია წვეტის წინააღმდეგ დარტყმა!

დემოკრატიული აზროვნებით ცათა
სამეფოს პრინციპების გაგება რთულია.

ჩემს წინაშე ერთი გამოწვევა დგას, რომლის გადაჭრა შეუძლებელია ღვთის მადლის გარეშე. ვცდილობ ძალაუფლების საკითხი შევასწავლო ყოველდღიურად მზარდ ურჯულოებაში ჩაფლულ ქვეყნიერებას. ამრიგად, რაც ამ წიგნში ჩამოვაყალიბე, ჩვენი საზოგადოების აზროვნების პროცესებს ეწინააღმდეგება. მრავალი სხვადასხვა გზით დაგვაპროგრამეს, რომ აქ გადმოცემული საფუძვლიანი ჭეშმარიტებებიდან განსხვავებულად გვეფიქრა. სწორედ ასეთია სატანის, ჩვენი სულის მტრის ტაქტიკა – იგი თავის ბადეში გვახვევს იმით, რომ ბოროტს სასურველად გვაჩვენებს, ხოლო კარგს, გამათავისუფლებელსა და წმიდას ბორკილებად გვისახავს.

თავდაპირველად, სწორედ ასე დაიწყო ყველაფერი. გაიხსენეთ ედემის ბაღი! მისმა მეთოდმა საოცრად იმოქმედა და მას შემდეგ არაფერი შეუცვლია. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებენ: „ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო“ (იაკ. 1:16) და „და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“ (რომ. 12:2).

გამოცდილება მკარნახობს, რომ დასავლეთის საზოგადოება ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება ღვთის სიტყვის ჭეშმარიტ მოსმენას. ამას საფუძვლიანი მიზეზი აქვს. სამეფოს პრინციპების გაგება ადვილი როდია დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანისთვის. დემოკრატია მშვენიერია მსოფლიოს ერებისთვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის სამეფო ნამდვილი სამეფოა. მას მეფე მართავს და იქ იერარქია, წესრიგი და ძალაუფლება არსებობს. ამ სამეფოს კანონები არ ექვემდებარება პოპულარულ მოსაზრებებს, ხმის მიცემას ან გამოკითხვის შედეგებს. ღვთის მცნებები არ დაიყვანება ჩვენს აზრებზე, თუ რა მიგვაჩნია საუკეთესოდ, რადგან ევა ძალზე მოხერხებულად მოატყუეს, როცა ამაზე ფიქრი დაიწყო. ამრიგად, როგორც სამუელმა „გამოუცხადა ... მთელ ხალხს მეფის უფლებები [და] ჩაწერა წიგნში“ (1 სამ. 10:25), ისე ჩვენც უნდა მივიღოთ სამეფოს პრინციპები დღეს, რადგან საზოგადოება სამეფოს გზების გათავისებაში ხელს არ შეგვიწყობს.

თუ შევეცდებით ქვეყანაში გავრცელებული აზროვნების მქონე მორწმუნეების სახით ვიცხოვროთ და ასეთი დამოკიდებულება ვიქონიოთ ძალაუფლების მიმართ, უკეთეს შემთხვევაში არაეფექტურები ვიქნებით, უარეს შემთხვევაში კი საფრთხეს ვერ ავირიდებთ. ჩვენი უზრუნველყოფა და დაცვა დაბრკოლდება ან საერთოდ დავკარგავთ, როცა ჭეშმარიტი სიცოცხლის წყაროს მოვწყდებით. ეს დაემგვანება ბეისბოლის თამაშს ცხოვრებაში იმ დროს, როცა ღმერთი ფეხბურთის ჩემპიონატში მიგვიძღვის. ასევე მიზანშეწონილია შედარება, როცა ელექტროხელსაწყოს დენის წყაროსთან მიერთების გარეშე ვიყენებთ.

დღესდღეობით ხშირად ხდება, რომ ხელისუფლებასთან უთანხმოებისას ჩივილით და პროტესტით ვცდილობთ მის გამოწვევას. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ხომ „ხალხისგან, ხალხის მეშვეობით და ხალხისთვის“ უნდა არსებობდეს? ეს და სხვადასხვა სახის დემოკრატიული სტილის აზროვნება ქრისტიანობაში შემოიპარა და ბევრი ადამიანი დააყენა თვითმმართველობის მაცდურ გზაზე. ამ მიმართულებით სიარულისას ისევ გრძელდება ძალაუფლების გამოწვევა უხეში წინააღმდეგობით. ამ ადამიანთაგან ზოგიერთმა ხელისუფლებისადმი ზიზღის ისეთი დონე განივითარა, რომ მის არსებობას

სრულიად უგულებელყოფს. ამრიგად, მათ სრულიად დაკარგეს ღვთის შიში.

არც ერთი ასეთი მიდგომა არ მოიტანს ჩვენთვის ნანატრ თავისუფლებას. წერილი ამბობს:

> „თუ გაუგონებენ და ემსახურებიან, კურთხევაში დაასრულებენ დღეებს და წლებს – ნეტარებაში. და თუ არ გაუგონებენ – მახვილით დაეცემიან და უმეცრებაში დაიხოცებიან“. (იობ. 36:11-12)

აქ სხვა არავინაა ნაგულისხმევი, თუ არა ღმერთი. ყურადღება მიაქციეთ აღთქმას: მისი ძალაუფლების მორჩილებას უზრუნველყოფა და დაცვა მოსდევს შედეგად. გარდა ამისა, დააკვირდით მოსალოდნელ საფრთხეს, რაც მისი მმართველობის უგულებელყოფას მოსდევს. ძალაუფლების დაპირისპირებით ვეძებთ თავისუფლებას, რომელსაც ვკარგავთ, როცა მას არ ვემორჩილებით. ჩემს მეუღლეს აქვს ასეთი გამოთქმა: „მორჩილებაში არის თავისუფლება, ხოლო ამბოხებაში – ბორკილები.“ ეს იობის წიგნიდან მოყვანილი მონაკვეთის შეჯამებად გამოდგება.

მავანმა შეიძლება თქვას: „მე ღმერთს ვემორჩილები, მაგრამ არა – ადამიანს, თუ მას არ ვეთანხმები.“ აი, სად გვაბრკოლებს ჩვენი აღზრდა და არასწორი ეკლესიური აზროვნება. ღვთის ძალაუფლებისადმი მორჩილებას მის მიერ გადაცემული ძალაუფლებისადმი მორჩილებისგან ვერ განვასხვავებთ. ყოველგვარი ძალაუფლება მისგან მოდის! მოუსმინეთ, რას გვარიგებს წმიდა წერილი:

> „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას; *ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღვთისაგან,* ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ღვთის დადგენილებას ეწინააღმდეგება, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“. (რომ. 13:1-2)

ამ მონაკვეთზე დიდი დაფიქრება გვმართებს და უფრო ღრმად მოგვიანებით განვიხილავთ. ახლა კი მხოლოდ რამდე-

ნიმე პუნქტს განვმარტავ. პირველი, ღმერთი ადგენს ყოველგვარ ძალაუფლებას. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ღვთის გარეშე ვერც ერთი ლეგიტიმური ხელისუფალი ვერ დადგება ამ პოზიციაზე. ეს აზრი ღრმად უნდა ჩავიბეჭდოთ გულში. ბევრისთვის ძნელია ამის მიღება, რადგან ადამიანებმა გამოსცადეს მკაცრი, სასტიკი და უპატიოსნო მმართველობები. და მაინც, აუცილებელია, კარგად ჩავუკვირდეთ ზემოხსენებულ სიტყვებს: გვეუბნებიან, რომ არ *არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღვთისგან;* ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ხელისუფლება ღვთისნიერია. სხვაობა დიდია და ამ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავთ.

მეორე, ძალაუფლებათა წინააღდგომა უფლის, თავად ღვთის მიმართ ამბოხებას ნიშნავს და ასეთები მსჯავრს დაიტეხენ თავზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ზეციერი მამა და არა ძალაუფლებას მოწყურებული წინამძღოლი ამბობს ზემომოყვანილ სიტყვებს, ხოლო „მთელი წერილი ღვთივსულიერია“ (2 ტიმ. 3:16). ადამიანთა მიერ გაუკუღმართებული ძალაუფლება არ ნიშნავს, რომ ის ღვთისგან არ არის დაყენებული.

გარდა ამისა, ბევრი არცთუ სწრაფად და ხალისით აღიარებს, რომ ისინი თავს ღვთის წინაშე ვალდებულად თვლიან, მაგრამ არა ხელისუფლების წინაშე. ვინც ასე ფიქრობს, შორს არ არის მასთან შეჯახებისგან, ვისაც უფალს უწოდებენ. გაიხსენეთ იესოს სიტყვები სავლეს მიმართ (რომელსაც პავლე ეწოდა): „გაგიჭირდება დეზის წინააღმდეგ დარტყმა“ (საქმ. 9:5). ბიბლიის დროის მიწათმოქმედები წვეტიან ჯოხებს იყენებდნენ. ერთი ასეთი ჯოხი წარმოადგენდა რვა ფუტის სიგრძის მუხის ან სხვა მყარი ხის ჯოხს, რომელსაც ქერქი შემოცლილი ჰქონდა. ჯოხის ბოლოში დამაგრებული იყო წვეტი. მათ ხვნის დროს ხარების სამართავად იყენებდნენ. ხარს არ შეეძლო შეწინააღმდეგებოდა ამ მახვილ იარაღს, რომელიც საკმაო ტკივილსა და ზიანს მიაყენებდა. პავლეს დღეებში ზემოხსენებული გამოთქმა ზემდგომი ძალაუფლების წინააღმდეგ მოქმედების ამაოებაზე მიანიშნებდა.

მოდით, ის ჩვენს თანამედროვეობას მოვარგოთ! „წვეტს“ ლურსმანი ვუწოდოთ. სრული უგუნურება და მტკივნეულია ლურსმნის მახვილი წვეტის წინააღმდეგ მოქმედება. ვინც ღვთის ძალაუფლებას პავლეს მსგავსად პირდაპირ ან ირიბად (გადაცემული ძალაუფლების მიმართ) ეწინააღმდეგება, აღმოაჩენს,

როგორ ურტყამს წვერმახვილ ლურსმანს. უფრო ხშირად ეს მტკივნეული განცდა გახლავთ და საკმაოდ ბევრ ადამიანს ამ გაკვეთილის სწავლა რთული განსაცდელის ფასად უჯდება, როგორც ჩემ შემთხვევაში იყო.

საკუთარი თვალისამხელი გამოცდილება

როცა ტკივილზე ვლაპარაკობთ, მახსენდება იმ ფაქტისადმი თვალის ახელა, რომ გადაცემული ძალაუფლებისადმი წინააღმდეგობა, რეალურად, ღვთის წინააღმდეგობას ნიშნავს. ჩემთვის სამუდამო მონუმენტად იქცა, თუ რა სიბრიყვეა ლურსმნის მახვილი წვეტის წინააღმდეგ ცემა.

1980-იანი წლების შუა პერიოდში ერთ დიდ საერთაშორისო ეკლესიაში ახალგაზრდების პასტორის პოზიცია შემომთავაზეს. ლოცვისა და საოცარი დამოწმების შემდეგ დავთანხმდი და ეს ღვთის ნებად მივიჩნიე.

ძალზე აღლევებული ვიყავი, რადგან იქამდე ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილება არ მქონია, თუმცა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და გავლენიანი ეკლესიის შტატის ნაწილი გავხდი. ახალგაზრდული მსახურების სახელმძღვანელოების ხარბად ათვისება დავიწყე. ერთი წიგნის ავტორი იყო ლუიზიანის ეკლესიის ახალგაზრდების პასტორი, რომელსაც გამორჩეული სასწავლო პროგრამა ჰქონდა. ჩემს მდივანს ვთხოვე იმ ეკლესიაში დარეკვა და გამორკვევა, შემეძლო თუ არა გადაფრენა და იმ ჯგუფთან ორიოდე დღის გატარება. იქაური წინამძღოლები გულიანად დამთანხმდნენ და თარიღიც შევათანხმეთ.

ჩასვლისთანავე აღმოვჩნდი ოთხშაბათ საღამოს ახალგაზრდულ მსახურებაზე. გაოცებული დავრჩი. მათ საკუთარი 1500-კაციანი დარბაზი ჰქონდათ და ის მთლიანად სავსე იყო! ისინი არც თამაშობდნენ და არც ადვილად მისაღებ და კომპრომისულ სიტყვას არ ქადაგებდნენ; ყურადღება მახვილდებოდა სიწმიდესა და ძალაზე. უფრო მეტიც, ახალგაზრდებს უხაროდათ იქ ყოფნა. ჟრუანტელი მივლიდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ ჯგუფში მოვხვდი, რომლისგანაც ბევრი რამის აკრეფას შევძლებდი.

მეორე დღეს ეკლესიის წინამძღოლებს შევხვდი. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მათ საკუთარი ახალგაზრდული ადმინისტრაციული შენობა, ორი სრულ განაკვეთზე მომუშავე ადმინისტრაციული დამხმარე და ოთხი სრულად დასაქმებული ახალგაზრდების პასტორი აღმოაჩნდათ. მომდევნო ორი დღე ოთხივე პასტორთან ერთად გავატარე შეკრებებსა თუ მათ ფარგლებს გარეთ. მათი სტატისტიკური მონაცემები საარაკო იყო. იმ დროისთვის 1250 ახალგაზრდა ჰყავდათ და წინ საოცარი ტემპით მიდიოდნენ.

ოთხიდან თითოეულმა პასტორმა მითხრა, რომ მათი მსახურების წარმატება მეტწილად „საღამოებს“ ეფუძნებოდა, რომელთაც ყოველ პარასკევ საღამოს მართავდნენ ქალაქის ასზე მეტ ლოკაციაზე. სინამდვილეში, ეს საღამოები სახლის ჯგუფებს წარმოადგენდა და მათი მიზანი ახალგაზრდების გადარჩენა იყო.

ეს კონცეფცია მარტივი და საფუძვლიანი მომეჩვენა. საკმაოდ რთულია ურწმუნო მოზარდების ეკლესიაში მოზიდვა, მაგრამ საღამოზე მოწვევა ადვილია. კვირის განმავლობაში ახალგაზრდული ჯგუფის თითოეულ წევრს ევალებოდა სკოლიდან ერთ ადამიანთან მუშაობა და პარასკევის საღამოზე მოწვევა. იქ მყოფები ერთად მიირთმევდნენ საჭმელს, ერთმანეთს ეცნობოდნენ და თანამედროვე ქრისტიანულ მუსიკას უსმენდნენ. შემდეგ დაყენებული წინამძღოლი-უფროსკლასელი ან კოლეჯის სტუდენტი – ბიბლიაზე დაფუძნებულ ჯგუფურ განხილვას იწყებდა, რომელიც გადარჩენის თემაზე საუბრის განვითარებას ემსახურებოდა. ამის შემდეგ ახალგაზრდებს იესოსთვის თავის მიძღვნის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ბევრი ახალმოსული სლიერ ხსნას იღებდა. ისინი ცალკე გაჰყავდათ და მითითებებს აძლევდნენ ეკლესიასთან მოზიარეობის მნიშვნელობაზე, ცვლიდნენ საკონტაქტო ინფორმაციას და ოთხშაბათ საღამოს ახალგააზრდულ მსახურებაზე ეპატიჟებოდნენ.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს დავესწარი და აღფრთოვანებული დავრჩი, როცა რამდენიმე ურწმუნო ახალგაზრდამ თავი იესოს მიუძღვნა. ეკლესიაში დაბრუნებულმა მიღებული ინფორმაცია ჩემს დამხმარეს გავუზიარე. ლოცვის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთანაც მსგავსი პრინციპით გვემოქმედა. ასევე ჩვენი ხედვა აღტაცებით გავუზიარე უფროს პასტორს, როცა საკვი-

რაო მსახურების შემდეგ მანქანების დასაყენებელ ტერიტორიაზე შევხვდი. მან გამამხნევა და მითხრა: „დიდებულია! იმოქმედე შესაბამისად!"

რვათვიანი დაგეგმვა და შრომა

ლოცვისას ღმერთმა გეგმა მომცა. დაუყოვნებლივ უნდა დამეწყო წინამძღოლთა მოსამზადებელი სკოლა. ამის შესახებ სამშაბათ საღამოს მთელ ახალაზრდულ ჯგუფს გამოვუცხადე და ჩემდა გასახარად, მომდევნო კვირა დილის მსახურებაზე მათგან სამოცდაათმა ლიდერობის სკოლის გავლაზე თანხმობა განაცხადა. მათთვის ექვსი თვის მანძილზე ყოველ კვირას უნდა მესწავლებინა წინამძღოლობის პრინციპები, როგორიცაა ერთგულება, შინაგანი სიწრფელე, მიძღვნა, მომსახურება და ხედვის ქონა.

ხუთი თვის შემდეგ უფალი ჩემს გულს ლოცვაში დაელაპარაკა და ასე მითხრა: *„წინამძღოლობის კლასიდან ოცდაოთხი ახალგაზრდა აირჩიე და მათთვის დამოწაფების გაკვეთილები დაიწყე. ამ ჯგუფიდან შეარჩევ საღამოების პირველ ლიდერებს."* მყისვე შევუდექი ლიდერთა წვრთნას სახლის ჯგუფების პირველი რიგისთვის.

მომდევნო ორი თვის მანძილზე ის წინამძღოლები საშინაო ჯგუფის საღამოებისთვის მოვამზადე და სამშაბათ საღამოს მთავარ ახალგაზრდულ ჯგუფს საღამოების წარმართვის ხედვა გავუზიარე. მე და ჩემმა დამხმარე პასტორმა დავამუშავეთ წინამძღოლთა სასწავლო პროგრამა და მრავალი სხვა დეტალი, როგორიცაა საღამოების ლოკაცია, ქალაქის დაყოფა სასკოლო ზონებისა და საფოსტო კოდების მიხედვით. ასევე განვსაზღვრეთ, როგორ უნდა გაზრდილიყო ჯგგუფები და როგორ გვეწარმოებინა ახალმოსულთა შემდგომი მოკითხვა. ამ საქმეში მთელი სული და გული ჩავაქსოვეთ, რომ დაღუპულ სულებამდე მიგვეღწია.

ყველა აღფრთოვანებული იყო. წინამძღოლებიდან ხედვამ თანდათან მიაღწია ახალგაზრდული მსახურების რეგულარულად დამსწრეთა რიგებამდე. ახალგაზრდები უკვე ლაპარაკობდნენ იმ ადამიანებზე, რომელთა დაპატიჟებასაც გეგმავდნენ საღამოებზე დასასწრებად. ვლოცულობდით, რომ ღმერთი შეხებოდა ახალგაზრდების გულებს გამოსახმაურებლად და დაენახათ

იესოს და საკუთარი სულის გადარჩენის საჭიროება. მე და ჩემი ასისტენტი უკვე ვხედავდით, თუ როგორ ივსებოდა დარბაზი 2500 ახალგაზრდით ყოველ სამშაბათ საღამოს. ალბათ, იმის თქმა, რომ ხედვით და ვნებათაღელვით ვიყავით დამუხტულები, არაფრის თქმას ნიშნავდა.

შეკრება, რომელიც არასოდეს დამავიწყდება

პირველი საღამოების დაწყებამდე სამი კვირით ადრე პასტორთა ყოველკვირეულ შეკრებაზე მივედი და სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი იმისთვის, როს გაგონებაც მომიწია. ჩვენმა უფროსმა პასტორმა თერთმეტივე დამხმარე პასტორს მოგვმართა და გამანადგურებელი სიტყვები მოვისმინე:

– ბატონებო, სულიწმიდამ მაჩვენა, რომ ჩვენი ეკლესიის მიმართულება არ იქნება სახლის ჯგუფების განვითარება. მინდა ყველას გთხოვოთ, რომ შეწყვიტოთ ნებისმიერი პატარა ჯგუფის შეკრება, რომელიც ეკლესიის წევრების სახლებში ფუნქციონირებს.

ყურებს არ ვუჯერებდი. ეს შეცდომა ან რაღაც გაუგებრობა უნდა ყოფილიყო. ჩემი თანაშემწის ელდანაცემ მზერას შევეფეთე, რადგან ორივენი დაბნეულები ვიყავით. შევეცადე თავი გამემხნევებინა ასეთი აზრით: *„ის, ალბათ, ახალგაზრდებს არ გულისხმობდა ... სხვა პასტორები ჰყავდა მხედველობაში“.* სახლის ჯგუფები ჰქონდათ მარტოხელების, ხანდაზმულებისა და დაქორწინებული წყვილების პასტორებს. სხვა სახლის ჯგუფებიც არსებობდა, მაგრამ დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნიდნენ, ამიტომ მათ მსახურებაზე ყურადღებას არ გაამახვილებდნენ. მათი ჯგუფები უფრო წევრებზე მზრუნველობის მიზნით იკრიბებოდნენ, ხოლო ჩვენი საღამოები თავისი არსით სამახარებლო იყო. გარდა ამისა, უფროს პასტორს ამაზე ხუთი თვის წინ შევუთანხმდი მანქანების პარკინგზე და მან ასე მითხრა: „საქმეს შეუდექი!“ ამრიგად, დავასკვენი, რომ ახალგაზრდული განყოფილება გამოცხადებული მორატორიუმიდან გამონაკლისს წარმოადგენდა.

მეტი ლოდინი აღარ შემეძლო.

– მაპატიეთ, პასტორო! ალბათ, ახალგაზრდულ მსახურებას არ გულისხმობდით, არა?

მან შემომხედა და მითხრა:

– ჯონ, სულიწმიდამ მაჩვენა, რომ ამ ეკლესიის მიმართულება არ უნდა იყოს სახლის ჯგუფების განვითარება.

ისევ დაველაპარაკე:

– პასტორო, გახსოვთ რამდენიმე თვის წინ ლუიზიანაში რომ გავფრინდი ახალგაზრდულ მსახურებასთან შესახვედრად? მათ 1250 უფროსკლასელი ჰყავთ ახალგაზრდულ ჯგუფში. ოთხივე პასტორმა დამიდასტურა, რომ ეს სახლის ჯგუფების დამსახურებაა.

პასტორმა ისევ შემომხედა და გაიმეორა:

– ჯონ, სულიწმიდამ მაჩვენა, რომ ამ ეკლესიის მიმართულება არ გადის სახლის ჯგუფების განვითარებაზე.

კიდევ გავიმეორე და თან ჩემი აღელვება იზრდებოდა. ასე ვფიქრობდი: *„ეტყობა, ვერ გავაგებინე“.*

ისევ მივმართე:

– პასტორო, ძალზე ძნელია ურწმუნო ახალგაზრდების ეკლესიაში მოყვანა, მაგრამ საღამოზენებისმიერ უფროსკლასელს დავპატიჟებთ. სწორედ ამაზე გელაპარაკეთ ხუთი თვის წინ და გითხარით, რომ ჩვენი მსახურება სახლის ჯგუფებზე ფოკუსირებული იქნებოდა დაღუპულთა გადასარჩენად.

მან ისევ გამიმეორა:

– ჯონ, სულიწმიდამ მაჩვენა, რომ ამ ეკლესიის მიმართულება არ უნდა იყოს სახლის ჯგუფების განვითარება.

მოუთმენლობა დამეტყო და შევეკამათე:

– პასტორო, ჩვენ ხომ მთელ დარბაზს შევავსებთ 2500 მოსწავლით! შესაძლებელია მთელი ორლანდოს (ფლორიდის შტატი) ახალგაზრდობის გადარჩენა!

მან იგივე სიტყვები გამიმეორა.

დაახლოებით, თხუთმეტი წუთის განმავლობაში ვეკამათებოდი. ოთახში მყოფები გრძნობდნენ, როგორ იძაბებოდა ვითარება. ჩემდა საბედნიეროდ, ერთადერთი წინადადება, რომელიც პასტორის ბაგიდან გამოდიოდა, იყო ის, რაც მისი რწმენით, ღმერთმა უთხრა.

ბოლოს და ბოლოს, დავწყნარდი, მაგრამ შიგნიდან ვდუღდი. ამის შემდეგ შეკრებიდან თითქმის არაფერი მომისმენია. მხოლოდ ამაზე ფიქრი შემეძლო: *„რვა თვე ვიშრომეთ. მან ამის შესახებ იცოდა. თვეებით ადრე გავაფრთხილე. როგორ შეეძლო იმ საშუალების ჩაკეტვა, რომელიც ასობით კი არა, ათასობით*

ადამიანს მოიყვანს სასუფეველში? იგი ღვთის მოძრაობას აბრკოლებს! რა უნდა ვუთხრა ახალგაზრდებს? რას იფიქრებენ წინამძღოლები? ლუზიანაში გადავფრინდი. რამდენი ფული და დრო გავფლანგე! არც კი მჯერა, რომ ეს მართლა ხდება!" ფიქრებს დასასრული არ ჰქონდა და ყველა მათგანი საღი აზრის შემცველი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ღვთის თვალშიც მართალი გახლდით, მაგრამ პასტორი ამას ვერ აცნობიერებდა!

როცა შეკრება დასრულდა, ისარივით გავვარდი საკონფერენციო დარბაზიდან. ერთმა ხანდაზმულმა და გონიერმა დამხმარე პასტორმა ჩემთან დალაპარაკება სცადა, რომ შევეკავებინე და ვენუგეშებინე, მაგრამ გადავხედე მას და ვუთხარი:

– ფრედ, ლაპარაკი არ მინდა!

მან დაინახა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა და უკან დაიხია.

სახლში მანქანით წავედი და გონებაში არაერთხელ ჩამოვთვალე მიზეზები, რის გამოც უფროსმა პასტორმა ეს საშინელი შეცდომა ჩაიდინა. ბრაზი უფრო მემატებოდა, რაც მეტად ვფიქრობდი მის გადაწყვეტილებაზე. ასეთი აზრები მომდიოდა: *„მას არაფერი გაეგება სახლის საღამოების ეფექტურობაზე, რადგან ჩემნაირი კვლევა არ ჩაუტარებია. იგი უბრალოდ შემოვიდა და ერთი ხელის მოსმით გაგვიუქმა თვეების მძიმე შრომის ნაყოფი ისე, რომ არაფერი გამოუძიებია. ის კლავს ყველაფერს, რაც ეკლესიის და ახალგაზრდული ჯგუფის ზრდას ემსახურება. იგი ადამიანებს აბრკოლებს გადარჩენის მიღებაში!"* ეს მხოლოდ ნაწილია იმ ფიქრებისა, რომლებიც თავში მიტრიალებდა სახლისკენ მიმავალ გრძელ გზაზე. საღად ვმსჯელობდი და გამართლება არ ჰქონდა იმას, რაც შეკრებაზე მოხდა.

სახლისკენ გადავუხვიე, წინა კარი გამოვაღე და ცოლს შევხვდი. არ მივსალმებივარ, მაგრამ იმედგაცრუებული ხმით ვუთხარი:

– არც კი დაიჯერებ, რა გააკეთა!

ლიზამ ჩემი ხმის ტემბრის გაგონებისთანავე მკითხა:

–ვინ და რა გააკეთა?

– პასტორმა! სახლის ჯგუფების საღამოები გააუქმა! წყალში ჩაგვიყარა მთელი ახალგაზრდული ჯგუფის რვათვიანი შრომა! შეგიძლია ამის დაჯერება?

ძნელია წვეტის წინააღმდეგ დარტყმა!

მან შემომხედა და ძალზე მშვიდი და სერიოზული ხმით მითხრა:

– გასაგებია! როგორც ჩანს, ღმერთს შენთვის რაღაცის სწავლება სურს!

შემდეგ ის ფოიეში შევიდა და ჩვენი საწოლი ოთახისკენ გაემართა.

ახლა ლიზაზე გავბრაზდი. ჩემს თვალში მას სიბრძნე და სულიერი გაგება აკლდა. მასაც არაფერი გაეგებოდა უფროსი პასტორის მსგავსად. მაშინვე სამზარეულოსკენ გავექანე, რომელიც საწოლი ოთახის საწინააღმდეგო მხარეს იყო. ფეხები სკამზე შემოვაწყვე, წინა ფანჯარაში ყურება დავიწყე და გავაგრძელე ფიქრები, თუ როგორ ცდებოდა ჩემი პასტორი. თუმცა მათ კიდევ დაემატა რამდენიმე ახალი აზრი ჩემი ცოლის უგრძნობელობისა და სულიერი გარჩევის უნარის ნაკლებობაზე.

ბატონთან შეხვედრა

ფანჯარაში გავიხედე თუ არა, სულიწმიდა მყისვე დაელაპარაკა ჩემს გულს. მან მითხრა:

– ჯონ, ვის მსახურებას აშენებ? ჩემსას თუ შენსას?

გაჭირვებით ამოვილულღლუღე:

– შენსას, უფალო!

მან სწრაფად მიპასუხა:

– არა, ასე არ არის! შენს მსახურებას აშენებ.

მე ვუთხარი:

– უფალო, ურწმუნო მოსწავლეთა უმეტესობას ეკლესიაში ვერ მოვიზიდავთ, მაგრამ საღამოები სულ სხვა ამბავია ...

და დავიწყე მის წინაშე მთელი სტრატეგიისა და ნაფიქრის გადმოშლა, თითქოს მან არაფერი იცოდა. რა ადვილად ვცდუნდებით!

უფალი დაელოდა, სანამ ეს ყველაფერი ზედაპირზე ამოვიდოდა და შემდეგ მითხრა:

– ჯონ, როცა ეკლესიაში იმ ადამიანის მსახურებისთვის დაგაყენე, მისთვის მინდობილი მსახურება გავაფართოვე. მოგიწოდე, რომ მისი ხელები და ფეხები ყოფილიყავი. მთელი მსახურების პასუხისმგებელი მხოლოდ ერთი ადამიანია.

მან მოსე გამახსენა. ბიბლია ამბობს: „მოსეც ერთგული იყო მთელ მის სახლში“ (ებრ. 3:5). ის გახლდათ წინამძღოლი, რომელიც ღმერთმა მთელ თემზე დააყენა.

შემდეგ ღმერთმა იაკობი მომაგონა ახალი აღთქმიდან. ის გახლდათ იერუსალიმის ეკლესიის წინამძღოლი. იმ დროს მორწმუნეებს შორის კამათი მოხდა წინადაცვეთის საჭიროების გამო (საქმ. 15). პავლე, ბარნაბა, პეტრე, იოანე და დანარჩენი მოციქულები, ასევე იერუსალიმის ეკლესიის უხუცესები ამ საკითხის გასარჩევად შეიკრიბნენ.

სიტყვით პირველები გამოვიდნენ მორწმუნეები ფარისეველთაგან, რომლებიც ასევე წინამძღოლები იყვნენ. შემდეგ პეტრემ თქვა სიტყვა. შემდეგ პავლემ და ბარნაბამ ილაპარაკეს, რა გააკეთა ღმერთმა მათი მხრიდან წარმართებში. როცა დაასრულეს, იაკობი წამოდგა, შეაჯამა ნალაპარაკევი და წესი დაადგინა: „ამიტომ, მივიჩნევ ...“ მან როგორც თავმა, გადაწყვეტილება მიიღო და ყველა დანარჩენი პეტრეს, პავლესა და იოანეს ჩათვლით, მას დაემორჩილა.

იგივე შთამბეჭდავი თვალსაჩინოება ვიხილე, როცა ანგელოზმა პეტრე ციხიდან გამოუშვა. პეტრემ მორწმუნეებს უთხრა მარიამის სახლში: „წადით და უთხარით იაკობსა და ძმებს“ (საქმ. 12:17). იგივე დამოკიდებულება იყო ლუკასა და პავლეს შემთხვევაშიც. როცა ისინი იერუსალიმში მივიდნენ, ლუკამ დაწერა: „იერუსალიმში ასულები სიხარულით მიგვიღეს ძმებმა. მომდევნო დღეს პავლე ჩვენთან ერთად შევიდა იაკობთან. მოვიდა ყველა უხუცესიც“ (საქმ. 21:17-18). რატომ ახსენებენ პეტრე და პავლე იაკობს ორივე შემთხვევაში? ნათელია, რომ ის წინამძღოლი იყო და სხვებისგან გამორჩეულად, სახელით არის მოხსენიებული.

მას შემდეგ, რაც სათქმელი მითხრა, სულიწმიდამ განაგრძო:

– ჯონ, როცა ჩემი სამსჯავროს წინაშე წარსდგები ამ ეკლესიაში მსახურების პერიოდისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად, იმას კი არ გკითხავ, რამდენმა ახალგაზრდამ მიიღო გადარჩენა ორლანდოში, ფლორიდის შტატში. თავდაპირველად იმის გამო განისჯები, რამდენად ერთგულად ემსახურებოდი მწყემსს, ვის ხელქვეითაც დაგაყენე.

შემდეგ მან რაღაც ელდისმომგვრელი რაღაც თქვა:

– ფაქტობრივად, შეძლებდი ორლანდოს მთელი ახალგაზრდობის მოპოვებას და ჩემს წინაშე დაყენებას, მაგრამ განისჯებოდი იმის გამო, რომ არ დაემორჩილე და არ უერთგულე მწყემსს, რომლის ძალაუფლების ქვეშაც დაგაყენე.

ძნელია წვეტის წინააღმდეგ დარტყმა!

ამის გაგონებაზე ღვთის შიშის განახლებული შეგრძნება მოვიდა! მთელი ჩემი თავდაცვის თანხლებით, მხოლოდ საგოზავი ვიყავი ოსტატის ხელში.

მან განაგრძო:

– ჯონ, თუ ამ გზით სიარულს გააგრძელებ, ახალგაზრდები ერთი მიმართულებით წავლენ, ხოლო ეკლესია – სხვა მიმართულებით! შენ ეკლესიაში გაყოფას მოიტან.

ინგლისურად სიტყვა გაყოფის შესატყვისი division გახლავთ და პრეფიქსი di „ორს“ ნიშნავს, ხოლო vision – ხედვას. მათი გაერთიანებით მივიღებთ „ორ ხედვას“. რატომ არის დაყოფილი დღეს მრავალი ეკლესია და სახლი?

თუ არსებობს ერთზე მეტი ხედვა, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც ღვთის დაყენებულ ძალაუფლებას არ ემორჩილება. ღმერთი იმის გამო აყენებს ადამიანებს ანუ ლიდერებს, რომ ნებისმიერი ორთავიანი ორგანიზაცია დაყოფისთვის არის განწირული!

პასუხი და მონანიების შემდგომი პერიოდი

მყისვე მოვინანიე ჩემი ამბოხებული მდგომარეობა. ლოცვის შემდეგ მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა. ტელეფონი ავიღე და უფროს პასტორს დავურეკე. როცა მან მიპასუხა, ასე ვუთხარი:

– პასტორო, ეს ჯონ ბევირია. პატიების სათხოვნელად ვრეკავ. ღმერთმა მაჩვენა, რომ ამბოხებული ვიყავი თქვენი ძალაუფლების წინააღმდეგ და დიდად შევცოდე. გთხოვთ, მაპატიოთ. დაუყოვნებლივ გავაუქმებ სახლის ჯგუფებს.

მან დიდსულოვნად მაპატია. როგორც კი ყურმილი დავდე, სულიწმიდამ ახალი კითხვა წამოწია:

– რას ეტყვი შენს ოცდაოთხ წინამძღოლს ამ შაბათ-კვირას?

თვალწინ წარმომიდგა, როგორ შევდივარ ოთახში, სადაც ლიდერები სხედან და ნაღლიანი, მონოტონური ხმით ვეუბნები:

– მეგობრებო, არ დაიჯერებთ, რა მოხდა!

ისინი ინტერესით მიყურებენ და მეკითხებიან:

– რა მოხდა?

ისეთივე დამძიმებული ხმის ტემბრით ვაგრძელებ:

– იცით, რომ ამ საკითხზე რამდენიმე თვე ვიშრომეთ, მაგრამ მწყემსმა სახლის ჯგუფები გააუქმა. პარასკევ საღამოს შეხვედრები აღარ გვექნება.

დავინახე მათი ვიშვიში და უკმაყოფილო ოხვრა ამ გადაწყვეტილების გამო. ადვილი მისახვედრი იყო, რომ განაწყენებული იყვნენ უფროს მწყემსზე. ყველა მის მსხვერპლად ვიქეცით და რასაკვირველია, ამ ფონზე უკეთესიც ვჩანდი.

გონებაში ამ სცენის აწონ-დაწონის შემდეგ სულიწმიდის კითხვა გავიგონე:

– მათთვის ამის თქმას აპირებ?

ვუპასუხე:

– არა, უფალო!

მომდევნო შეხვედრაზე ლიდერებით სავსე ოთახში თავდაჯერებულმა შევაბიჯე. ვიღიმოდი და ხმაში აღტაცება მეტყობოდა. ენთუზიაზმით გამოვაცხადე:

– მეგობრებო, თქვენთვის ახალი ამბავი მაქვს.

ისინი დიდი ინტერესით მომაჩერდნენ.

– რა მოხდა?

მე გავაგრძელე:

– ღმერთმა დაგვიფარა, რომ არ გვეშვა და გამოგვეზარდა რაღაც ისეთი, რაც მისგან არ არის. შტატის შეკრებაზე უფროსმა პასტორმა გვითხრა, რომ სულიწმიდას არ უნდა ეკლესიის განვითარება სახლის ჯგუფებზე გადიოდეს. ამრიგად, დაგეგმილი საღამოები გაუქმებულია!

ჩანდა, რომ ჩემი აღმაფრენა ყველამ გაიზიარა და ერთხმად შესძახეს:

– ჰო ... რა თქმა უნდა!

მათთან პრობლემაც კი არ შემქმნია. მხოლოდ მე კი არ გამზარდა მიღებულმა გამოცდილებამ, არამედ ჩვენ ყველანი. მათ მოგვიანებით გავუზიარე, რაც მოხდა. იმ ოცდაოთხი ახალგაზრდიდან უმრავლესობა სრული დროით დაკავებული მსახური გახლავთ და საქმე ყველას კარგად მისდის.

მოდრეკილი და მონანიე გული

როცა უკან ვიხედები, ვრწმუნდები, რომ ის შემთხვევა ჩემი ცხოვრებისა და მსახურების მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. საკუთარი ნააზრევით გული რომ გამესასტიკებინა და ჩემს სიჯიუტეში დავრჩენილიყავი, დღეს სულ სხვა ადგილზე ვიქნებოდი. ალბათ, მომიწევდა საღამოების გაუქმება, რადგან სხვა

გზა არ მექნებოდა, მაგრამ ჩემი გული უდრეკი, ამაყი და გაქვავებული დარჩებოდა. არასოდეს დაივიწყოთ: ღმერთს მხოლოდ გარეგნული მორჩილება როდი სჭირდება, არამედ მოდრეკილი და მონანიე გული, რომელსაც ღვთის ნების შესრულება სწყურია. სწორედ ამის გამო თქვა დავითმა:

„რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო ... შესაწირი ღმერთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო!“ (ფს. 51:16-17)

შესაძლებელია დიდი მსხვერპლი გავიღოთ ცხოვრებაში, მრავალი საათი ვიმსახუროთ, ანაზღაურების გარეშე ვიშრომოთ, ძილი მოვიკლოთ, მოვძებნოთ ადამიანებამდე მიღწევის გზები და ბევრი მსგავსი რამ მოვიმოქმედოთ, რადგან მსახურების სია ამოუწურავია. ყველა ამ მსხვერპლშეწირვით გართულები ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი ძალისხმევა ღმერთს აამებს. თუმცა შესაძლებელია, რომ ყველა ამ საქმიანობის მთავარი მოტივაცია საკუთარი ნების გატარების საცდურით იყოს აღგზნებული.

მოისმინეთ ეს სიტყვები: ღმერთს მოსწონს დაქვემდებარება, რომელსაც ნამდვილი მორჩილებისკენ მიჰყავხართ. ამ წიგნის მიზანი არ გახლავთ ღვთის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარების მნიშვნელობის სწავლა, არამედ სიყვარულისა და მოშურნეობის შექმნა მის დასამორჩილებლად.

ვაცნობიერებ, რომ აქ მოყვანილ დამოწმებასთან დაკავშირებით უამრავი უპასუხო კითხვა გიტრიალებთ თავში. ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერს: „განა ღმერთმა არ გითხრა ლოცვაში იმ სახლის ჯგუფების შესახებ?“ და მეორე: „იქნებ პასტორი ცდებოდა ეკლესიის მიმართულებასთან დაკავშირებით? იქნებ ეკლესიისთვის უკეთესი ყოფილიყო საოჯახო ჯგუფების განვითარება და შესაბამისად, ის ცდებოდა, ხოლო შენ მართალი იყავი? იქნებ მასზე არასწორი ზეგავლენა იყო? რაც უფრო წინ წავიწევთ ჩვენს კვლევაში, ამ და კიდევ მრავალ სხვა კითხვას პასუხი გაეცემა.

და მაინც, სანამ გადაცემულ ძალაუფლებაზე ვილაპარაკებდეთ, თავდაპირველად უნდა დავადგინოთ ღვთის პირდაპირი ძალაუფლების დაქვემდებარების მნიშვნელობა. უოჩმან ნი წერს:

> სანამ ადამიანი ღვთის მიერ გადაცემულ ძალაუფლებას დაექვემდებარება, ჯერ თავად ღვთის პირდაპირ ძალაუფლებას უნდა შეხვდეს. ღმერთთან მთელი ჩვენი ურთიერთობა იმით რეგულირდება, შევხვდით თუ არა ძალაუფლებას. თუ პასუხი დადებითია, ნებისმიერი ძალაუფლების შეხვედრას გავუმკლავდებით და ღვთისგან შეზღუდულები, მის მიერ ვიქნებით გამოყენებული. (Spiritual Authority [New York: Christian Fellowship Publishers, 1972])

თავდაპირველად უნდა დადგინდეს ღვთის დაქვემდებარების მყარი ბიბლიური საფუძვლები. როცა ეს მიიღწევა, შეგვიძლია, წინ წავიდეთ და გადაცემული ძალაუფლების მნიშვნელობაზეც ვისაუბროთ. ეს იქნება ქვაკუთხედი, რომელზეც ყველაფერს დავაშენებთ.

ნაწილი 2

ღვთის უშუალო მფარველობა

თავი 3

ცოდვის განსაზღვრება

ეკლესია ხშირად აცდება ხოლმე ცოდვის უმთავრეს განსაზღვრებას. მის ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე წარმოდგენა არ გვაქვს.

მცირე ხნით, რაღაც თამაშს შემოგთავაზებთ. უკეთესი სახელწოდების არქონის გამო ფსიქოლოგისა და პაციენტის თამაში ვუწოდოთ. თქვენ სავარძელზე გადაწოლილი პაციენტი ხართ, ხოლო მე – თქვენს გვერდით სკამზე მჯდომი ფსიქოლოგი. სიტყვას ვახსენებ და თქვენ უნდა მიპასუხოთ, რა ასოციაცია გიჩნდებათ მის გაგონებაზე. მზად ხართ? აი, სიტყვა: ცოდვა. რა მოგივიდათ თავში პირველად?

მსოფლიო მასშტაბით არაერთ მორწმუნესა და წინამძღოლთან საუბრის შემდეგ შემიძლია გამოვიცნო, რა მოსდით თავში პირველად ამ სიტყვის გაგონებაზე. შესაძლოა, იფიქროთ მრუშობაზე, გარყვნილებაზე ან სექსუალური ქცევის რომელიმე ფორმაზე. საკმაოდ ხშირად მესმის ეს სამწუხარო წინადადება: „ცოდვაში ჩავარდა“. როგორც წესი, იგულისხმება, რომ წინამძღოლმა სექსუალური ცოდვა ჩაიდინა. ამბის მომტანს მეტი არაფრის თქმა არ სჭირდება. ისედაც ვხვდები, რას გულისხმობს. საეკლესიო წრეებში ამ აზრმა მყარად მოიკიდა ფეხი და ცოდვის ხსენებაზე, ყოველთვის ზემოხსენებული ასოციაცია ექმნებათ.

შესაძლოა, თავში სიმთვრალე ან წამალდამოკიდებულება ამოგიტივტივდათ. მორწმუნეებისთვის ეს ცოდვები ძირითად კატეგორიაში შედის. იქნებ აზარტული თამაშები, მკვლელობა,

ქურდობა ან ჯადოსნობა გახსენდებათ. ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ შესაძლებელია ცოდვების კატეგორიაში სიძულვილი, უთანხმოება, შური ან უპატიებლობაც შეიყვანოთ. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სია საკმაოდ გაიზარდა.

ძირითად განსაზღვრებაზე წარმოდგენის არქონა

ვინაიდან ამ საქმეს მცირეოდენი ნათელი მოვფინეთ, ნება მიბოძეთ, ვთქვა: ადამი ბაღში ვიღაც უცხო ქალს როდი ჩაუხტა ლოგინში და არც მარიხუანა გაუბოლებია! მიუხედავად ამისა, მისი ცოდვა იმდენად სერიოზული იყო, რომ მთელი კაცობრიობა ტყვეობასა და ბორკილებში მოაქცია. ცოდვის განსაზღვრისთვის აუცილებელია ადამის ვითარების შესწავლა, რადგან მისი შეცოდების ბუნება მთელი კაცობრიობის სისხლძარღვებში მიედინება. რა გააკეთა ასეთი, რომ ამხელა ნგრევა მოუტანა ადამიანთა მოდგმას? მარტივად რომ ვთქვათ, ის არ დაემორჩილა ღვთის ნათქვამს.

ერთი წუთით დაფიქრდით ამაზე. სულაც არ ვამბობ, რომ წელანდელი ჩამონათვალი ცოდვას მოკლებულია, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა ერთ საკითხს – ეკლესია ხშირად ცდება ცოდვის მთავარ განსაზღვრებას. მის რეალურ მნიშვნელობას ვერ ვიაზრებთ. ამ არსებითი კავშირის გარეშე საცდურში აღმოვჩნდებით, რომლის განხილვას მოცემულ თავში ვაპირებთ.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო! დავუშვათ, თქვენი გაგება ადამიანის ავადმყოფობის შესახებ შემოიფარგლება სხეულის ტემპერატურის 98.6-მდე (37 გრადუსი ცელსიუსით) აწევის ძირითადი მაჩვენებლით, რასაც თან ახლავს ზოგადი სისუსტე, ხველა, ცემინება ან ღებინება. შვიდი წლის ასაკში ასეთი იყო ჩემი სრული ცოდნა ავადმყოფობის შესახებ, როცა ჩემს საყვარელ თოთხმეტი წლის დას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ის სასწრაფოდ გაასინჯეს ექიმებს და რამდენიმე კვირა საავადმყოფოშიც იწვა. დედამ ასე ამიხსნა: „ჯონი, შენი და მძიმედ არის ავად!“ მიუხედავად ამისა, მას არც სიცხე ჰქონდა და არც ახველებდა ან აცემინებდა. ვერ გამეგო, რატომ იყვნენ ასე აღელვებული დედ-მამა და უფროსი და. ვერ გავიაზრე მისი დაავადების სერიოზულობა, რადგან ჩემი აღქმა იმ დროისთვის მხოლოდ გონებაში არსებულ ცოდნას და გამოცდილებას ემყარებოდა.

ცოდვის განსაზღვრება

ვითარება მანამ ვერ გავაცნობიერე, სანამ პირველი კლასის სასწავლო ოთახიდან არ გამომიყვანეს, სახლში არ წამიყვანეს და ჩვენს მისაღებ ოთახში დედ-მამის გვერდით მჯდარი მღვდელი არ დავინახე. მაშინ მითხრეს, რომ და გარდაიცვალა. მივხვდი, რომ ის ძალზე ავად ყოფილა. მთელი იმ თვეების მანძილზე წარმოდგენა არ მქონდა, რა ხდებოდა, რადგან ავადმყოფობის შესახებ ჩემი განსაზღვრება მისი მხოლოდ ერთი ასპექტით იყო შემოფარგლული. კითხვები დავსვი და უფრო მეტის გაგება მოვინდომე. ვისწავლე, რომ ავადმყოფია სუსტი ჯანმრთელობის პატრონი ან რაიმე სნეულების მქონე ადამიანი. იმ დღიდან მოყოლებული ავადმყოფობას იგივე საზომებით აღარ ვუდგებოდი და გავაცნობიერე მისი ნამდვილი განსაზღვრება.

ცოდვის ნამდვილი მნიშვნელობა

ეკლესიაში ბევრ ადამიანს ზუსტად იგივე წარმოდგენა აქვს ცოდვაზე. ხშირად გვაკლია მისი რაობის მთავარი განსაზღვრება. წინ რომ წავიდეთ, უნდა ვნახოთ, რას ამბობს მის შესახებ წმიდა წერილი. ბიბლია აცხადებს: „ცოდვა ურჯულოებაა“ (1 იოან. 3:4). „ურჯულოების“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ ანომია. Thayer's ბერძნული ლექსიკონი ასეთ განმარტებას გვაწვდის: „კანონის გარეშე არსებობის მდგომარეობა მისი უცოდინარობის ან უგულებელყოფის გამო“. მარტივად რომ ვთქვათ, ურჯულოება ნიშნავს ღვთის კანონების ან ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობას. Vine's ლექსიკონი აცხადებს, რომ ეს მუხლი „სიტყვის [ცოდვის] ნამდვილ მნიშვნელობას“ გვაწვდის. ის განაგრძობს: „ცოდვის ასეთი განმარტება მის არსებით ბუნებას გამოკვეთს, რაც ღვთის მცნებისა და მისი ნების უარყოფასა და საკუთარი ნებით ჩანაცვლებაში მდგომარეობს“.

ამ განსაზღვრების დასადასტურებლად იესოს ერთ იგავს გადავხედოთ. იგი რამდენიმე ადამიანთან ერთად ჭამდა. ამ დროს ერთ-ერთმა თქვა: „ნეტარია, ვინც ღვთის სამეფოში ჭამს პურს“ (ლუკ. 14:15).

უფალმა ეს ნათქვამი გამოიყენა და განმარტა, ვინ შეჭამდა კრავის საქორწილო სუფრიდან. მან ასე დაიწყო: „ერთმა კაცმა დიდი ვახშამი გამართა და ბევრი მიიწვია. სერობის დრომ რომ

მოაწია, მონა გაგზავნა, რათა წვეულთათვის ეთქვა: მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო“ (ლუკ. 14:16-17).

ვახშამის გამმართველი მამა ღმერთია, ხოლო მონა თავად იესო ქრისტეა. „მონის მხოლობითი რიცხვი კიდევ უფრო აძლიერებს ამ განმარტებას. წმიდა წერილი აცხადებს: „ღმერთი, ძველთაგან მრავალჯერ და მრავალგვარად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა მეშვეობით, ამ უკანასკნელ დღეებში კი გველაპარაკა ძის მიერ“ (ებრ. 1:1-2). იესოა ჩვენი ორატორი. ვინც ქადაგებს, ასწავლის ან წერს ახალი აღთქმის პერიოდში, უფლის სახელით უნდა ლაპარაკობდეს. უნდა გვესმოდეს, რას გვეუბნება იგი და ზუსტად გადავცეთ სხვებს.

ამ იგავში მოცემულია მამის ნება: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის“. ეს განაცხადი ეხება უკვე მოწვეულ ადამიანებს ანუ ეკლესიას და არა ურწმუნოებს, რომელთაც არასოდეს სმენიათ სახარება.

და მაინც, ამ ადამიანებს საპატიო მიზეზები მოჰყავთ წასვლისგან თავის ასარიდებლად. ერთი ამბობს: „200 გრამი არაყი და რამდენიმე მარიხუანის სიგარეტი მაქვს. საღამოს ნარკოტიკებსაც გავუსინჯავთ გემოს. ძალიან მინდა იქ ყოფნა და გთხოვ, მაპატიო.“

მეორე ამბობს: „ლას ვეგასის სრულად დაფინანსებული მოგზაურობა მოვიგე. გარდა ამისა, ხუთი ათასი დოლარი მაქვს მეძავების დასაქირავებლად და კაზინოში სათამაშოდ. ძალიან მინდა იქ წასვლა, ამიტომ მაპატიე, რომ ვერ მოვალ.“

მესამე ამბობს: „ჩემი მდივანი შემიყვარდა და ამ კვირას ერთად მოგზაურობას ვგეგმავთ ჰავაის ერთ-ერთ კურორტზე, სადაც სიყვარულით დავთვრებით. გთხოვ, ჩემს ცოლს არაფერი უთხრა! მას ჰგონია, რომ საქმიანი ვიზიტით მივდივარ. მოკლედ, ვერ მოვალ.“

ნუთუ ამას ამბობენ ისინი? ბიბლიას თუ წაიკითხავთ, სრულიად სხვა პასუხებს ნახავთ. მოდით, გავარჩიოთ თითოეული მათგანი!

ერთმა თქვა: „ყანა ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე“. ახლა მე მაქვს კითხვა, სანამ წინ წავიდოდეთ. არის თუ არა მიწის შეძენა საფუძვლიანი ცოდვა? თუ ასეა, მრავალი ჩვენგანი შავ დღეში ყოფილა. პასუხია „არა“. ეს ყველამ ვიცით. მოდით, ერთხელ კიდევ გადავხედოთ, რას ამბობს ის: „ყანა ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო“ (მ. 18). როგორც

აღვნიშნე, მიწის ყიდვა ცოდვა არ არის, მაგრამ ქონების შეძენით დაინტერესება ღვთის სიტყვის მეყსეულ მორჩილებაზე მნიშ-ვნელოვანი რომ ხდება, მაშინ ის ცოდვის კატეგორიაში შედის. ეს ურჯულოებაა. ის ღვთის ძალაუფლებას არ ემორჩილება.

მომდევნო წვეული სულაც არ იყო გართული აზარტულ თამაშებსა და მეძავებში. მან თქვა: „ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო“ (მ. 19). ნუთუ ხარის ან არსებობისთვის საჭირო რაიმე მოწყობილობის ყიდვა ცოდვაა? რასაკვირველია, არა, მაგრამ წარმოება და ბიზნესი თუ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ღვთის სიტყვის დაუყოვნებელი მორჩილება, მაშინ ეს ცოდვაა! გახსოვდეთ, რომ ადამს ედემის ბაღში ჰომოსექსუალი მეძავი არ დაუქირავებია! ის უბრალოდ არ დაემორჩილა ღვთის ნათქვამს.

მესამე წვეულმა თქვა: „ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლა“ (მ. 20). ცოლის შერთვა ცოდვაა? რა თქმა უნდა, არა. ასე რომ ყოფილიყო, ბევრი ჩვენგანი ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, თუ მეუღლის საამებლად რაიმეს კეთება ღვთის ნების აღსრულებაზე მნიშვნელოვანია, ცოდვასთან გვაქვს საქმე. კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ედემის ბაღი. ევა ცდუნებულ იქნა (2 კორ. 11:3), მაგრამ ადამის ამბავი სულ სხვაგვარად იყო: „ადამი კი არ მოტყუებულა“ (1 ტიმ. 2:14). როცა ლაპარაკია ადამის ცოდვაზე, წმიდა წერილი გვეუბნება: „როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი“ (რომ. 5:19). ადამმა დაუმორჩილებლობა გამოიჩინა, რადგან მის ცოლს უკვე ნაჭამი ჰქონდა ხის ნაყოფი და უნდოდა ქმარსაც გაესინჯა. მან ცოლისთვის სასურველი არჩია ღვთის ძალაუფლების დამორჩილებას. ეს ცოდვაა. ადამის დაუმორჩილებლობის შედეგად „ბევრი გახდა ცოდვილი“ ან ამის თქმა სხვაგვარადაც შეგვიძლია: „ბევრი გახდა ურჯულო და ღვთის ძალაუფლების ურჩი“. ეს არის ნამდვილი ცოდვა. იგავის ამ ნაწილში იესომ გვაჩვენა, როგორ ამჯობინებს ადამიანი ცოლთან ურთიერთობას ღვთის სიტყვის დაუმორჩილებლობის ხარჯზე.

ახლა მოუსმინეთ, რა თქვა იესომ იმ ადამიანებზე, რომლებმაც თავაზიანი ბოდიში მოიხადეს, მაგრამ მოწოდებას არ მიყვნენ და ღვთის ძალაუფლებას ეურჩნენ: „რადგან გეუბნებით, ვერავინ იმ წვეულ კაცთაგან ვერ იგემებს ჩემს ვახშამს (ლუკ. 14:24)!“ რა მნიშვნელოვანია! იმ ადამიანებს აღარ დაუშვებდნენ საქორწილო

ვახშამზე, თუმცა თავდაპირველად, პატივით იქნენ მოწვეულნი. მათ კრავის საქორწილო ვახშამზე დასწრების უფლება სექსუალური ცოდვის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო კი არ დაკარგეს, არამედ ღვთის სიტყვის უბრალო დაუმორჩილებლობის გამო. რატომ გვიკვირს? თუ კარგად დავფიქრდებით, განა ეს არ იყო ადამის ურჩობის არსი, რამაც კაცობრიობას მსჯავრის უდიდესი შედეგები მოუტანა?

ნუთუ საინტერესო არ არის, რომ ამ იგავში ვერ ვხედავთ წამალდამოკიდებულებს, მეძავებს, სუტენიორებს, ლოთებს, მკვლელებს ან ქურდებს? ნუთუ მართლა არ არიან?

ეს აზრი მცდარია!

თუ კითხვას განაგრძობთ, შენიშნავთ, რომ მსახური ბატონს ანგარიშს აბარებს და ყველა მიზეზს ჩამოუთვლის. სახლის პატრონი მას მითითებას აძლევს: „გადი გზებზე და ორღობეებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ და აივსოს ჩემი სახლი“(ლუკ. 14:23). გზებსა და ორღობეებში მდგარი ადამიანები არიან სწორედ ის მეძავები, ნაძირალები, ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები, ლოთები და სხვანი! ოჰო, ისინი არიან იგავში, მაგრამ კარგი მხრიდან!

უფალმა იცის, რომ უკანასკნელ დღეებში ბევრი ასეთი ადამიანი გააცნობიერებს ცხოვრების ამაოებას, რომელსაც მათთვის მწუხარების გარდა არაფერი მოაქვს. მათ მობეზრებული აქვთ წვეტის წინააღმდეგ ცემა. როცა ასეთები ბატონის ხმას გაიგონებენ, დაუყოვნებელი მორჩილებით უპასუხებენ. ამის საპირისპიროდ, მოწვეულები და ეკლესიის წევრები თავს ღვთისმოსავ ადამიანებად მიიჩნევენ, რომელთაც ღვთის მადლი იცავთ, თუმცა ღმერთს მაშინ ემორჩილებიან, როცა ეს მათთვის მოსახერხებელია და წინასწარ დაგეგმილი გრაფიკი, კურთხევა ან სიამოვნება არ ირღვევა. ისინი ადამთან აღმოჩნდებიან, ღვთის დიდებული თანდასწრებიდან გამოდევნილები.

„წავალ, ბატონო!“

საქორწილო ვახშმის იგავში ცოდვის ნამდვილი განსაზღვრება ვლინდება, როგორც ღვთის ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობა. იესომ ეს ცხადი გახადა კიდევ ერთი იგავის მეშვეობით, რომელიც კითხვით დაიწყო: „აბა, რა გგონიათ?“ მისი

მეშვეობით იესოს გარეგნული ღვთისმოსაობით შემკობილი მსმენელების ღრმად დაფიქრება და პასუხებში ჭეშმარიტების დანახვება სურდა.

იესომ კაცზე ისაუბრა, რომელსაც ორი ძე ჰყავდა. მამამ პირველ ძეს მიმართა და უთხრა: „მივიდა პირველთან და უთხრა: შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში!“ მან უპასუხა: „არ მინდა, ბატონო!“ მერე ინანა, მიატოვა თავისი საქმეები და ვენახში სამუშაოდ წავიდა.

შემდეგ მამა მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა. მან უპასუხა: „წავალ, ბატონო!“ კეთილშობილი ძის პასუხს ჰგავდა და ნამდვილად მამის პატივსაცემად უთხრა ასე, მაგრამ იესომ თქვა, რომ „არ წავიდა“.

ამის შემდეგ უფალმა ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ადვილად საპასუხო კითხვა დასვა:

„იმ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?“

მსმენელთა ჯგუფმა, რომელსაც მან მიმართა, სწორად უპასუხა: „პირველმა“.

შემდეგ იესო საკითხის არსს მიადგა და თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღვთის სამეფოში“ (მათ. 21:28-31). ცხადია, ყველა მშობელს სურს, რომ მისმა ძემ თქვას: „კარგი, წავალ, ბატონო!“ და სიხარულით წავიდეს, არა მარტო მორჩილების გამო, არამედ თავადაც სურდეს ამის გაკეთება. თუმცა იგავმა იქ მყოფ წინამძღოლებს დაანახა, რომ ცოდვის უმთავრესი მნიშვნელობა ღვთის ძალაუფლების ურჩობა იყო. ცოდვა არ არის მხოლოდ მრუშობა, მკვლელობა, ქურდობა და ა.შ.

წინამძღოლები სიამაყით და თავდაჯერებულობით მივიდნენ, რადგან მათ „დიდ ცოდვებში“ ვერ გამოიჭერდით. მიუხედავად ამისა, ცოდვის შეზღუდული განსაზღვრების გამო ადვილად მოტყუვდნენ და თავი ამოყვეს ღვთიური ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ცოდვაში, რომლისგან თავის არიდებასაც ასე ბეჯითად ცდილობდნენ.

რა ხდება „დიდ ცოდვებთან“ დაკავშირებით?

თუ ბიბლიას გადავხედავთ, იგივე სათქმელს არაერთხელ შევხვდებით. ალბათ, ფიქრობთ: *„მაშ, რა ხდება ტყუილთან,*

ლოთობასთან, მრუშობასთან, ქურდობასა და მკვლელობასთან დაკავშირებით? ნუთუ ამას ცოდვა არ ქვია?“ რასაკვირველია! ისინიც ღვთის ძალაუფლებას ეწინააღმდეგება. სწორედ ღმერთი გვეუბნება, რომ მოვიშოროთ სიცრუე და „თითოეულმა ჭეშმარიტება ელაპარაკოს თავის მოყვასს“ (ეფეს. 4:24-25). რაც შეეხება სიმთვრალეს, იგი ამბობს: „ნუ დათვრებით ღვინით“ (ეფეს. 5:18). ღმერთი ასევე გვაფრთხილებს მრუშობასთან დაკავშირებით: „გაექეცი სიძვას“ (1 კორ. 6:18). რა ხდება ქურდობასთან დაკავშირებით? ბიბლია მითითებას გვაძლევს: „მომპარავი ნუღარ მოიპარავს“ (ეფეს. 4:28). მკვლელობაზე გვეუბნებიან: „ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არც ერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (1 იოან. 3:15). ახალი აღთქმა ხაზგასმით ამბობს, რომ ამ ცოდვების ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (1 კორ. 6:9-11; გალ. 5:19-21; გამოც. 21:8). მიუხედავად ამისა, მხედველობიდან ნუ გამოგვრჩება ფაქტი, რომ ყოველგვარი ცოდვა დამანგრეველია და არა მხოლოდ ისინი, რომელთაც „დიდ ცოდვებად“ მიიჩნევენ.

მოდით, დავუბრუნდეთ ფსიქოლოგისა და პაციენტის თამაშს. ტახტზე წამოწოლილი პაციენტი, რომელსაც კარგად აქვს გათვითცნობიერებული ცოდვის რაობა, მარტივად პასუხობს: „ღვთის ძალაუფლების მიმართ ურჩობა“. მას გააზრებული აქვს კავშირი ცოდვასა და ურჯულოებას შორის.

ურჯულოების დღეები

მოწაფეებმა იესოს კითხვა დაუსვეს წუთისოფლის დასასრულის შესახებ. მან ჩამოთვალა მოვლენები, რომელთაც ადგილი ექნება ბოლო ჟამს და აღწერა: რა ვითარებები იქნება გამოკვეთილი მისი მეორედ მოსვლისწინა პერიოდში. ერთ-ერთი მათგანი ასეთი გახლავთ: „და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. მაგრამ ის, ვინც ბოლომდე დაითმენს, ის გადარჩება“ (მათ. 24:12-13).

სადაც კი ვსვამ კითხვას, მიესადაგება თუ არა ეს მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებას, მსმენელები ხელს წევენ და თავს მიქნევენ თანხმობის ნიშნად. მრავალი ადამიანი ჩვენს საზოგადოებას ცოდვილად მიიჩნევს. ერთეულები თუ ეჭვობენ,

რამდენად ზუსტია ეს შეფასება. თუმცა იესო იმ განაცხადში საზოგადოებას არ გულისხმობდა, არამედ ეკლესიას აღწერდა! შესაძლოა, გაგიკვირდეთ, როგორ მივედი ამ დასკვნამდე. კეთილი! ორი მუხლის ორი გამორჩეული ფრაზა მეტყველებს, რომ მას ეკლესია ჰყავდა მხედველობაში და არა საზოგადოება.

პირველი გახლავთ საკვანძო ფრაზა „ბევრს გაუნელდება სიყვარული“. სიყვარულის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *აგაპე*. უ. ი. ვაინი, რომელიც ბერძნულის ექსპერტი გახლავთ, წერს, რომ *აგაპე* გამოიყენება „სულიწმიდის გამოცხადებით ... აქამდე უცნობი იდეის გამოსახატავად“. გაიხსენეთ იესოს ნათქვამმი: „ახალ მცნებას გაძლევთ, გიყვარდეთ [აგაპაო – ზმნა არსებითი სახელიდან აგაპე] ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ!“ (იოან. 13:34). ასეთი სიყვარული უცნობი იყო კაცობრიობისთვის. თავად იესომ წარმოადგინა ის ქვეყნიერებაზე, რომელიც განსაზღვრა ფრაზით: „როგორც მე შეგიყვარეთ“. ვაინი განაგრძობს და ამბობს: „ამგვარი სიყვარული გულისხმობს სრულყოფილი პიროვნების ღრმა და მუდმივ „სიყვარულსა“ და ინტერესს სრულიად უღირსი ობიექტების მიმართ“. არსებითად, ის ღვთის უპირობო სიყვარულზე ლაპარაკობს, რომელიც ჩვენს გულებში სულიწმიდამ ჩაღვარა და იესოს ნათქვამის თანახმად, „რომლის მიღებაც არ შეუძლია წუთისოფელს“ (რომ. 5:5; იოან. 14:17). არსებითად, ასეთი სიყვარული მხოლოდ მათშია, ვინც იესო ქრისტე საკუთარ მხსნელად მიიღო.

სხვა ბერძნული სიტყვებიც არსებობს, რომლებიც ახალ აღთქმაში „სიყვარულად“ ითარგმნება. თუმცა მათი გამოყენება ურწმუნოების მიმართაც შეიძლება. ასეთია სიტყვა *ფილეო*. უ. ი. ვაინის თანახმად, ეს სიტყვა „უნდა განვასხვაოთ აგაპაო-სგან, რადგან *ფილეო* უბრალოდ „ნაზ გრძნობებს“ ასახავს ... და არასოდეს გამოიყენება მცნების აღსანიშნავად, რომ ადამიანს „უყვარდეს“ ღმერთი. აგაპე-სგან განსხვავებით ფილეო მხოლოდ მორწმუნეების მიმართ არ გამოიყენება.

იესოს განაცხადში – „და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული“ – გამოყენებულია არა ფილეო. არამედ *აგაპე!* იესოს სიტყვები არ ეკუთვნოდა საზოგადოებას – იგი ეკლესიაზე ლაპარაკობდა. იგი

გვაფრთხილებდა, რომ უკანასკნელ დღეებში ეკლესიაში ურჯულოება გამრავლდებოდა.

შეუძლებელია იესოს სხვა მსგავსი განცხადებების უგულებელყოფა. ერთ-ერთ მათგანს მათეს სახარებაში ვხედავთ: „ყველა, ვინც მეუბნება, „უფალო, უფალო!“ როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათ. 7:21).

ეს განცხადება აუქმებს ჩვენს კონცეფციას და განსაზღვრებას, თუ ვინ არის დახსნილი. ასე გვასწავლეს და დარწმუნებული ვართ, რომ „ცოდვილის ლოცვის“ წარმოთქმის შემდეგ ზეცაში ადგილი გარანტირებული გვაქვს. უგულებელყოფილია ან ყურადღებას ნაკლებად ვაქცევთ მისი მცნებების დაცვის ბრძანებას. ეს არასრული სახარების სიტყვა ბევრს აცდენს გზიდან და ზედაპირული მორჩილებისკენ უბუძგებს. იესომ თქვა, რომ ზეცაში იქნებიან ისინი, რომლებიც ღვთის ნებას აღიარებენ და ასრულებენ ანუ მის მცნებებს იცავენ.

ჭეშმარიტი მადლი მოგვეცა გასაძლიერებლად, რომ დავემორჩილოთ მის მოთხოვნებს. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამას საუკეთესოდ გადმოსცემს: „შევინახოთ მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს“ (ებრ. 12:28 – სტოკჰოლმის ვერსია). მადლი გვაძლიერებს, რომ ვემსახუროთ ღმერთს მისთვის მისაღები ფორმით, რაც მის ნებას შეესაბამება.

იესო განაგრძობს: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?“ (მათ. 7:22).

აქ ნახსენებია *მრავალი* და არა ერთი-ორი ადამიანი. გახსოვთ სიტყვა *ბევრი* წინა განაცხადში? „ბევრს გაუნელდება სიყვარული“. ეს მრავალი ადამიანი ეტყვის იესოს: „უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?“ ურწმუნოს არ შეუძლია დემონის განდევნა იესოს სახელით (საქმ. 19:13-17). ამრიგად, ვიმეორებ, რომ აქ ლაპარაკია ეკლესიაზე.

შემდეგ იგი მაღიარებელ ქრისტიანებს ეტყვის: „გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ. 7:23). ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი *ურჯულოების* მოქმედნი არიან. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, მათი ცხოვრების წესი საქორწინო ვახშმის იგავში ნახსენებ წვეულთა ქცევის ანალოგიურია. მათ ჩვევაში გადაეზარდათ საკუთარი გრაფიკის, სიამოვნებისა და გეგმების ბატონის მცნებების დაცვაზე მაღლა დაყენება. დღეს ეს ნორმალურ ანუ ბუნებრივ ქმედებად ითვლება. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი მისი უფლობის აღიარების შესაბამისად არ ცხოვრობენ. ისინი მორჩილებას იჩენენ, თუ ეს მათ გეგმებში შედის. მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რომ ამჟამად ურჯულოებაში ცხოვრობენ. ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ დღეს ასეთია მრავალი მაღიარებელი ქრისტიანის მდგომარეობა!

მეორე მიზეზი, რის გამოც დარწმუნებული ვართ, რომ იესო სწორედ ეკლესიაზე საუბრობდა, გახლავთ კიდევ ერთი ფრაზა: „ბოლომდე მომთმენი გადარჩება“. ასპარეზობა რომ დაასრულოთ, ჯერ უნდა დაიწყოთ. ურწმუნოებს არც დაუწყიათ ქრისტიანული რბოლა.

სიცრუის ელდა და აგონია

როცა იესო და მისი მოცქიულები ხალხს უკანასკნელ ჟამზე ელაპარაკებოდნენ, არაერთი გაფრთხილება ვიპოვეთ იმ დროისთვის დამახასიათებელი განსაზღვრების – *სიცრუის* – წინააღმდეგ. სიცრუის ფართოდ გავრცელება ცოდვის უმთავრესი მნიშვნელობის არასწორი გაგების შედეგია. ეს დიდად არ განსხვავდებოდა ჩემი აზროვნების მასშტაბებისგან ჩემს დასთან დაკავშირებით. ელდა მეცა, როცა სახლში მოვედი და მკვდარი დამხვდა, რადგან მისი ავადმყოფობის ფაქტი სერიოზულად არ მიმიღია. ეს ერთ გამოცდილებას უკავშირდება, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს მქონდა.

ლოცვისას გამომაფხიზლებელი სულიერი ხედვა მივიღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება და მსახურება შეცვალა. უამრავლი ხალხი ვიხილე, იმდენად ბევრი, რომ ადრე არასოდეს მენახა. ისინი ზეცის კარიბჭესთან იდგნენ შესასვლელად გამზადებულები და ელოდებოდნენ, როდის იტყოდა ბატონი: „მოდით, მამაჩემის მიერ კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სამეფო“ (მათ. 25:34). ამის ნაცვლად გაიგონეს უფლის ხმა: „გამშორდით მოქმედნო ურჯულოებისა!“ მათ სახეებზე საშინელი ელდა, ტანჯვა და თავზარდაცემა

აღიწერა. მართლაც სჯეროდათ, რომ ზეცა მათი ხვედრი იყო, ვინაიდან იესოს უფლობასა და თავიანთ ქრისტიანობას აღიარებდნენ. თუმცა ცოდვის ნამდვილი მნიშვნელობის არაფერი გაეგებოდათ. ზეცა კი სურდათ, მაგრამ მამა ღმერთის ნების მორჩილებით შესრულების მოშურნეობა აკლდათ.

ღმერთი ეძებს შვილებს, რომელთა გულებიც მის მორჩილებაში სიარულს მოწყურებულია. ჩვენ, როგორც მორწმუნეებს, მისი ნების შესრულება უნდა გვახარებდეს იმის მიუხედავად, ჩვენი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება. ცხოვრების ბოლოს მორჩილებით მიღებული წარმატებისა და ურჩობით გამოწვეული სირთულეებით აღსავსე სოლომონის ბაგიდან მარადიული სიბრძნე ამოიფრქვა: „ისმინე ყოველივე ამის დასკვნა: გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი ყველა ადამიანისთვის“ (ეკლ. 12:13).

მათ. 7:23-ის მთლიანი მუხლი აცხადებს: „მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ ალბათ, ზოგიერთი ჩათვლის, რომ ეს წინადადება მორწმუნეებს არ მიესადაგება, რადგან იესომ მათ ასე უთხრა: „არასოდეს მიცვნიხართ თქვენ!“ გაიხსენეთ, რომ ურწმუნოებს არ შეულიათ დემონების განდევნა იესოს სახელით. იესოს ნათქვამში, „არასოდეს მიცვნიხართ“, მნიშვნელოვანია აქ გამოყენებული ბერძნული სიტყვის, გინოსკო-ს განხილვა, რომელიც ახალ აღთქმაში მამაკაცსა და ქალს შორის ინტიმურ ურთიერთობას აღწერს (მათ. 1:25). *სიტყვა* ძალზე ახლო კავშირზე მიანიშნებს. რეალურად იესო ამბობს: „მე ახლოს არასოდეს გიცნობდით“. 1 კორ. 8:3-ში ვკითხულობთ: „ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან“. აქ თარგმნილია იგივე ბერძნული სიტყვა გინოსკო. ღმერთი ძალზე ახლოს იცნობს მათ, ვისაც იგი უყვარს. მისი მოყვარულები არიან ადამიანები, რომლებიც მის ძალაუფლებას ექვემდებარებიან და მის სიტყვას ემორჩილებიან. იესომ თქვა, „ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს“ (იოან. 14:24).

თავი 4

ურჯულოების ფარული ძალა

სიცრუის წინააღმდეგ ჩვენი უდიდესი დამცველია
არა გადაცემული, არამედ გაცხადებული ცოდნა.

ფრაზა „უკანასკნელი ჟამი“ წმიდა წერილში ხშირად გამოიყენება. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს დღეები ყველაზე საინტერესო, მაგრამ ამავდროულად, შემაძრწუნებელიც იყოს კაცობრიობის ისტორიაში. საინტერესო იმიტომ, რომ ღვთის დიდების უდიდესი გამოცხადების ზღვართან ვდგავართ, რომელიც ჯერ კიდევ გამოსაცდელი აქვს ნებისმიერ თაობას და ამას გადარჩენილი სულების არნახული მოსავალი მოჰყვება. ეს იქნება დიდებისა და სიხარულის, განკითხვისა და შიშის დრო.

შემაძრწუნებელი იმიტომ იქნება, რომ პავლე მოციქული აშკარად გვეუბნება: „უკანასკნელ დღეებში იქნება საზარელი ჟამი“ (2 ტიმ. 3:1). ამ განცხადების წინ ის ამბობს: *„ეს კი იცოდე!“* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურადღებით დააკვირდით, რასაც ახლა მოგწერთ; გამოკვეთეთ და ხაზი გაუსვით გონებაში! შემდეგ მესამე თავში მან გასაჭირის დეტალური აღწერა დაიწყო. საზარელი დროის გამომწვევი მიზეზი არ იქნება ხელისუფლების ან ათეისტების მხრიდან დევნა. სახიფათო დრო დადგება ეკლესიაში გავრცელებული სიცრუის გამო. ეს გაფრთხილება არაერთხელ გვხვდება ახალ აღთქმაში.

სიცრუე საშიში რამ არის. რატომ? იმიტომ, რომ ტყუილში გაცხოვრებს! *მოტყუებული* ადამიანი მთელი გულით დარწმუნე-

ბულია, რომ მართალია, თუმცა სინამდვილეში ცდება. იესო არაერთხელ გვაფრთხილებს სახარებებში სიცრუის შესახებ. მარტო მათეს სახარების 24-ე თავში ოთხი ასეთი გაფრთხილებაა. ფაქტობრივად, როცა მოწაფეებმა მის მეორედ მოსვლაზე კითხვა დაუსვეს, იესოს ბაგიდან პირველივე ჯერზე ასეთი სიტყვები გამოვიდა: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ!“ (მათ. 24:4). მის გაფრთხილებაში იოლად შეინიშნება გადაუდებლობა. მას სერიოზული და აღელვებული ტონი აქვს. მას სურდა, რომ მოწაფეებს გულში აღებეჭდათ მისი სიტყვები და მათ შინაგანში მიეღწია. ამ სიტყვებს საუკუნეები უნდა გაეძლო და საკმაო გონიერება უნდა გამოვიჩინოთ, რომ არ უგულებელვყოთ მისი რჩევა.

ორი მნიშვნელოვანი კითხვა

ორი მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დავსვათ. პირველი, რა არის ამ სიცრუის მთავარი გამომწვევი მიზეზი? მეორე, როგორ შეძლო სიცრუემ გზის გაკვლევა ისე, რომ ვერავინ აღმოაჩინა? პირველ კითხვაზე პასუხი სხვა არაფერია, თუ არა წინა თავში განხილული საკითხი: ღვთის ძალაუფლების მიმართ ურჩობა ანუ ურჯულოება. ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ ვიყოთ „სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“ (იაკ. 1:22).

მნიშვნელოვანია! წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ღვთის სიტყვის მხოლოდ მოსმენისას, როცა მას არ მოსდევს *მორჩილება,* ადამიანის გულსა და გონებაში სიცრუე შედის. ახლა ასეთი ადამიანი დარწმუნებულია, რომ სხვების სამიზნე გახდა, თუმცა სინამდვილეში ის მცდარ გზაზეა დგას. მან ჭეშმარიტება სიცრუით ჩაანაცვლა. როცა არ არსებობს ღვთის ძალაუფლებისადმი ნამდვილი მორჩილება, რომელიც მისი სიტყვის ძალაუფლებასაც მოიცავს, კარი ღიაა ჩუმად შემოპარული დიდი სიცრუისთვის.

რატომ გავრცელდება სიცრუე ასე ფართოდ უკანასკნელ დღეებში? პავლე გვეუბნება, რომ მრავალი ცდუნდება, რადგან „არ მიიღეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად“ (2თეს. 2:10). საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სიცრუე მოვა არა „ჭეშმარიტების“ უარყოფისგან, არამედ „ჭეშმარიტების სიყვარუ-

ლის“ არქონისგან. ჭეშმარიტების სიყვარული არ ნიშნავს მისი მოსმენით სიხარულის განცდას, არამედ – მისი დამორჩილების სიყვარულს. ღმერთმა ასე უთხრა ერთ წინასწარმეტყველს:

> „შენ კი, ძეო კაცისავ! შენი ერის ძეები შენზე რომ ლაპარაკობენ კედლებთან და სახლების შესასვლელებთან, ერთმანეთს ეუბნებიან: მოდით და მოისმინეთ სიტყვა, რომელიც უფლისგან გამოვიდა! ჩემი ხალხი მოდის შენთან ჩვეულებისამებრ, ჯდება შენს წინაშე და ისმენს შენს სიტყვებს, *მაგრამ არ ასრულებს მათ;* ბაგეებით სიყვარულს გამოხატავენ, მათი გული კი მხოლოდ ანგარებას მიჰყვება“. (ეზეკ. 33:30-31)

ჩვენს ეკლესიებში მრავალ ადამიანს უყვარს კარგი ქადაგებისა და სწავლების მოსმენა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ღვთის ნების შესრულებას მაინც საკუთარი გზებით სიარულს ამჯობინებენ (2 ტიმ. 3:1-4). ჭეშმარიტება ყველასა და ყველაფერზე მეტად უნდა გვიყვარდეს. დაშურებით და საკუთარ ცხოვრებაზე ან კომფორტზე მეტად უნდა გვინდოდეს მისი ნების შესრულება. მაშინ სიამოვნებით გადავდებთ გვერდზე პირად სურვილებს მისი ნების გამო. ჩვენს ჯვარს ავიღებთ და საკუთარ უფლებებსა და პრივილეგიებს უარვყოფთ მისი ნების შესასრულებლად. რატომ? იმიტომ, რომ ის ღმერთია, ჩვენი შემოქმედი, გამომსყიდველი და მისი სიყვარული ჩვენ მიმართ სრულიყოფილია. მარტო ეს დაგვიცავს საცდურისგან.

ვხედავთ თუ არა ასეთ მიძღვნას თანამედროვე მორწმუნეთა შორის? რეალობა სრულიად სხვაგვარია. საოცარია, როგორ განჭვრიტეს ბიბლიის მწერლებმა ჩვენი დღეები იმაზე ზუსტად, ვიდრე ჩვენ ვხედავთ.

ურჯულოების ფარული ძალა

კიდევ ერთი ფაქტორია განსახილველი, რის გამოც ურჯულოება ასე ფართოდ გავრცელდა თანამედროვეობაში. ჩვენ გვაფრთხილებენ: „ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს“ (2 თეს. 2:7). სიტყვა „ურჯულოება“ გახლავთ იგივე ბერძნული ანომია, რომელიც წინა თავში შევისწავლეთ. ყურადღება

მიაქციეთ, რომ მის უკან ფარული ძალა იმალება. მეფე იაკობის ბიბლიის ახალ ვერსიაშიც ნახსენებია „ურჯულოების საიდუმლო“. საიდუმლო მის დაფარულ ძალაში მდგომარეობს. მორწმუნეთა ცხოვრებაში აშკარა ურჯულოება ეფექტური ვერ იქნება – მხოლოდ ჩუმად და სიცრუით შემოპარული გამოდგება. სწორედ ამაშია მისი საიდუმლო. ღმერთს არ სურს, რომ ამ ფარული ძალის შესახებ არაფერი ვიცოდეთ, ამიტომაც გვაფრთხილებს (2 კორ. 2:11).

სატანა მოტყუების დიდოსტატია. იფიქრეთ ამაზე: მან ღვთის წინააღმდეგ ააჯანყა ანგელოზების მესამედი (გამოცხ. 12:3-4). ეს ყველაფერი სრულყოფილ გარემოში ხდებოდა, თვით ჩვენი უფლის დიდებულ თანდასწრებაში! იესომ გვითხრა, რომ სატანა მარტო მაცდუნებელი კი არ არის, არამედ სიცრუის მამა გახლავთ (იოან. 8:44). იესომ ასევე გაგვაფრთხილა, რომ სატანის საცდურები და ტყუილები კიდევ უფრო გაძლიერდება უკანასკნელ დღეებში, რათა ღვთიური გზას რჩეულნიც ააცდინოს (მათ. 24:24).

რატომ გვიკვირს? თუ მან მილიონობით ზეციური ანგელოზის შეცდენა შეძლო, უფრო ადვილად არ გადაიყვანს გზიდან უამრავ ადამიანს დედამიწაზე, რომელიც „ჰაერში გაბატონებული მთავრის“ სამოქმედო ასპარეზია? (ეფეს. 2:2) ახლა ზუსტად იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელზეც იესო ლაპარაკობდა, ამიტომ გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ პავლეს ნათქვამი კორინთოს ეკლესიისადმი:

> „ვშიშობ, რომ როგორც გველმა აცდუნა ევა თავისი მზაკვრობით, ასევე არ გაიხრწნას თქვენი გონება“ (2 კორ.11:3)

პავლემ მორწმუნეთა მოწყვლადობა ევას ცდუნებას შეადარა. ეჭვგარეშეა, რომ ეშმაკის ყველაზე მარჯვე ხრიკი, სწორედ ევას ცდუნება გახლდათ. დედაკაცი სრულყოფილ გარემოში ცხოვრობდა და დემონური მმართველობის ან ზეგავლენისგან თავისუფალი იყო. ის ღვთის თანდასწრებაში დადიოდა და ხორცი მას არ აბრკოლებდა. დედაკაცისთვის წყენა არავის მიუყენებია, მასზე არავის უძალადია, მისთვის არაფერი მოუპარავთ, მასზე ჭორები არ გაუვრცელებიათ, უხეშად არავინ დალაპარაკებია და მის ცხოვრებაში არანაირი სიბოროტე არ

მომხდარა, რითაც სავსეა ჩვენი დაცემული ქვეყნიერება. ამბოხებისკენ ევას წაბიძგება სატანის ყველაზე მოხერხებული ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო. მან შემპარავი და მზაკვრული ტაქტიკა აირჩია, რომ ევას გონების სიწმიდე გაეხრწნა. მასთან გამოყენებული ხერხის გააზრებით, მის საუკეთესო იარაღს გამოვავლენთ; მივხვდებით, რა გზებით ცდილობს ჩვენ შეცდენას და დღეს რატომ იჩენს დაუმორჩილებლობას ასე ბევრი ადამიანი.

გავიხსენოთ, რომ ევა მოტყუებით ჩავარდა ურჩობაში, მაგრამ ადამმა კარგად იცოდა, რას აკეთებდა. მინახავს ადამიანები ეკლესიაში, რომლებიც არღვევდნენ ღვთის მცნებებს ფართოდ გახელილი თვალებით და სრული გაცნობიერებით, რასაც აკეთებდნენ. ისინი არ არიან მოტყუებულნი. ისინი საშიშ ტერიტორიაზე დგანან და სულიერი სიკვდილისკენ მიაბიჯებენ (რომ. 8:13). ამ ადამიანებს ქვის გული აქვთ და მათთან მიღწევა ჭირს. მათ გარდა არიან სხვები, რომლებიც ეკლესიაში დაუმორჩილებელთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ – *მოტყუებულები.* ისინი ევას მსგავსად უმეცრებით გაეხვივნენ ტყუილში, რაც არის ურჯულოების საიდუმლო.

უმეცრება სიცრუის გასამრავლებელი ნიადაგია. ღმერთმა თქვა: „ტყვეობაში წავა ჩემი ხალხი უმეცრების გამო“ (ეს. 5:13). ღვთის გზების გამოცხადებით მიღებული ცოდნა და მისი სულიერი კანონები მტრის სიცრუეში გახვევისგან გვიცავს. მისი ჭეშმარიტების ნათელი ნებისმიერ ტყუილს აღმოაჩენს და მისგან დაგვიცავს.

გამოცხადება გადაცემული ცოდნის საწინააღმდეგოდ

ღმერთმა კაცი ბაღში მოათავსა და უთხრა: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო, ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შეჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, სიკვდილით მოკვდები!“ (დაბ. 2:16-17).

ამის შემდეგ უფალმა მამაკაცისგან ქალი ამოიღო. ვვარაუდობთ, რომ ეს ამბავი მოგვიანებით მოხდა, რადგან მისი ნეკნიდან ქალის შექმნამდე ადამმა ყველა ცხოველსა და ფრინველს სახელი დაარქვა.

კაცისგან განსხვავებით, ქალს ღვთის ბაგით წარმოთქმული მცნება არ გაუგონია. ალბათ, ადამმა გადასცა მას ეს მითითება, როცა ბაღში ცხოვრებით ხარობდნენ. ასეთი ვარაუდი გველისადმი ქალის პასუხიდან მომდინარეობს:

„ღვთის მიერ შექმნილ ველურ ცხოველებს შორის გველი ყველაზე ცბიერი იყო. ჰკითხა გველმა დედაკაცს: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო?“ უპასუხა დედაკაცმა: „ბაღის ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა. მაგრამ შუა ბაღში რომ ხეა, მის ნაყოფზე გვითხრა ღმერთმა - არ შეჭამოთ და არც შეეხოთ, თორემ მოკვდებითო“. (დაბ. 3:1-3)

პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ, რომ გველის კითხვას ღვთის მცნებასთან დაკავშირებით, ქალმა ასე უპასუხა: „ყველა ნაყოფი გვეჭმევა ...“ და არ უთქვამს: „ღმერთმა თქვა ...“. ასეთია ადამიანის კლასიკური პასუხი, როცა მცნებები და კანონები გადმოცემით აქვს მიღებული. ადამიანი, რომელსაც გული უძგერს მისთვის, ვისგანაც ბრძანებას იღებს, სხვაგვარად პასუხობს.

მეორე, მცნების შინაარსი განსხვავდება ღვთის თავდაპირველი მითითებისგან. ქალმა დაამატა: „გვითხრა ღმერთმა – არ შეჭამოთ და არც შეეხოთ, თორემ მოკვდებითო“. ღმერთს არასოდეს არაფერი უთქვამს შეხებაზე. ერთი წუთით წარმოიდგინეთ სურათი! ადამი და ევა უზარმაზარ ბაღში ათასობით ხეს შორის დასეირნობენ და როცა იმ განსაკუთრებულ ხეს მიადგნენ, ადამი, რაღაც ამდაგვარს ამბობს: „ძვირფასო, ეს ის ხეა, რომელსაც არ უნდა მივეკაროთ“. მან კარგად იცის, რას გულისხმობდა ღმერთი, ევამ კი – არა. კაცმა მხატვრულად უთხრა, მაგრამ ქალმა პირდაპირ გაიგო. კიდევ ერთი მაგალითი გვაქვს, თუ რა ხდება მაშინ, როცა სხვისგან იგებთ ღვთის ნათქვამს და უფალს საკუთრივ თქვენთვის არ განუცხადებია.

როცა ღმერთი სიტყვას სულიწმიდის მეშვეობით გვიცხადებს, ის ჩვენი ნაწილი ხდება. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს წიგნის კითხვის, სხვა მასწავლებლის მოსმენის, ბიბლიის მარტო კითხვის ან სულიწმიდასთან ურთიერთობისას. ადამისთვის ღვთის მცნება ისეთივე რეალური იყო, როგორც მის ირგვლივ არსებული საგნები. ის მისი ნაწილი გახლდათ. ამის საპირისპიროდ, თუ ღვთის მცნებას ვისმენთ და ის სულიწმიდით არ არის გაცხადებული, ჩვენი ნაწილი ვერ ხდება. ეს მხოლოდ კანონია ჩვენთვის და „ცოდვის ძალა რჯულია“ (1 კორ. 15:56).

უფრო სავარაუდოა, რომ ევას პირადად ღვთისთვის არ უკითხავს ხის შესახებ. მან ადამის ინფორმაცია ისე მიიღო,

როგორც ითქვა. მისთვის ეს არ იყო გამოცხადებით მიღებული ჭეშმარიტება, არამედ გადაცემული ცოდნა. ადამიანისგან მოსმენილით შეიარაღებული ევა სიცრუისადმი დაუცველი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ შეეცადა გველი მის ცდუნებას ადამზე უწინ.

სიცრუისგან არა გადაცემული, არამედ გაცხადებული ცოდნა გვიცავს. ბევრი ადამიანი ლეგალიზმით არის შებორკილი, რადგან მხოლოდ ცოდნა, მითითება ან წმიდა წერილის შეზღუდვები აქვს გაგონილი მშობლებისგან, ბიბლიის მასწავლებლებისგან, პოდკასტებიდან, სოციალური მედიისგან ან წიგნებიდან. თუმცა ადამიანმა ნებისმიერ საკითხში ღვთის გულისნადები უნდა ეძიოს, რაც მას ტყუილში ცხოვრებისგან დასაცავ გაგებას მისცემს. მათ აქვთ წმიდა წერილის ასო მისი გულისცემის გარეშე. ასეთებს ზუსტად შეუძლიათ თავისა და მუხლის ციტირება, მაგრამ დაკარგეს სიცოცხლის სუნთქვა, რომელიც წერილის მიღმა არსებობს.

ისინი ენთუზიაზმით სავსენიც არიან, როცა სემინარზე ან კონფერენციაზე მოსმენილ ახალ სწავლებას გადასცემენ. თუმცა ასეთი აღტაცებით გაზიარებული სიტყვის შესაბამისად ცხოვრების უნარი არ აქვთ. ის მათ ნაწილს არ წარმოადგენს. მათ მხოლოდ სიტყვები მოაქვთ, მაგრამ უნაყოფონი რჩებიან და ღვთიური სიცოცხლის წარმოშობის ძალა არ შესწევთ. როცა ასე ხდება, ადამიანები ადვილად ექვემდებარებიან ცდუნებას, რომ ღვთის ნათქვამს რამე დაუმატონ ან გამოაკლონ. ისინი სიცრუეს ადვილად იჯერებენ, რადგან ღვთის გზების გაგება არ გააჩნიათ.

აი, მაგალითი, რომელიც არაერთხელ მომისმენია: „იცი, ძმაო, ფული ყოველგვარი ბოროტების ფესვია!“ ღმერთს ასე არ უთქვამს. მან თქვა: „ვერცხლისმოყვარეობაა ყოველგვარი ბოროტების ფესვი“ (1 ტიმ. 6:10).

ფული რომ ყოველგვარი ბოროტების ფესვი ყოფილიყო, იესოს საქმეც ვერ იქნებოდა რიგზე, რადგან მას ხაზინადარი ჰყავდა, რომელსაც ფულის ქისა ებარა! ერთხელ ერთმა ქალმა მთელი წლის შემოსავლის საღირალი ნელსაცხებლის ჭურჭელი დაამსხვრია და იესოს სცხო. ფულის მოყვარული იუდა ამ ფაქტმა გააბრაზა, თუმცა უფალმა მას უსაყვედურა, ხოლო ქალი შეაქო (იოან. 12:3-7).

არა, ფული კი არა, მისი სიყვარულია ყოველგვარი ბოროტების ფესვი. ეს არის ფულისკენ არაჯანსაღი სწრაფვა და მასზე

დამოკიდებულება. ეს ლეგალისტური შეხედულება ადამიანებში ფულის მიმართ არაჯანსაღ მიდგომას წარმოშობს, რაც ღმერთს არასოდეს სდომებია. ამრიგად, ისინი ვერასოდეს შეძლებენ ფინანსების სფეროში ღვთისნიერი გზით მოქმედებას. ამგვარი უმეცრება ნათელყოფს, რომ ღვთის სიტყვა მათ გულებში არასოდეს გაცხადებულა, ღვთის სიტყვის მხოლოდ გადაცემა შეუძლიათ და სიცრუის მახეში ჩავარდნის კანდიდატები არიან.

მაშ, როგორ ვიღებთ ცოდნას გამოცხადებით? ღვთის წინაშე მოდრეკით, მისი მოშიშებით და ღვთის სიყვარულით, რომელიც ჩვენს გულებში ანთია.

ღმერთმა თქვა:

„აი, ვის მივაპყრობ მზერას: თავმდაბალს და სულით მოდრეკილს, ჩემს სიტყვაზე რომ თრთის“. (ეს. 66:2)

ვინც მის სიტყვაზე თრთის, მეყსეულად ემორჩილება, რამე სარგებელს ელის თუ არა. ასეთია ჭეშმარიტად ღვთისმოშიში ადამიანი. წმიდა წერილი ნათლად აცხადებს: „საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ“ (ფს. 25:14).

ახლა უკეთ ვიგებთ სოლომონის განაცხადს მისი სიცოცხლის მიწურულს რომ თქვა: „ გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი ყველა ადამიანისთვის“ (ეკლ. 12:13). ღმერთი თავის საიდუმლოს ანუ გზებს მის მოშიშებს უმხელს და იოანეც ადამიანთა ამ ჯგუფს ეუბნება:

„ეს მოგწერეთ თქვენს მაცდუნებელთა შესახებ. ცხებულება კი, მისგან რომ მიიღეთ, თქვენში რჩება და არ გჭირდებათ, რომ ვინმემ გასწავლოთ; არამედ მისი ცხებულება გასწავლით ყველაფერს, ის არის ჭეშმარიტი და უტყუარი; რასაც ის გასწავლით, იმაში დარჩით“. (1 იოან. 2:26-27)

მოყვანილი მონაკვეთი გვაჩვენებს, თუ როგორ გვიცავს საცდურისგან გაცხადებული სიტყვა. ევაც მოტყუვდა და ურჩობა გამოიჩინა, რადგან აკლდა ღვთის გაცხადებული ცოდნა. მან ვერ შეძლო მზაკვრობისა და უკუღმართობის აღმოჩენა გველის სიტყვებში.

ურჯულოების ფარული ძალა

როგორ მოახერხა ეს გველმა?

მოდით, წინ წავიდეთ და ამ კითხვას ვუპასუხოთ: როგორ შეძლო გველმა დედაკაცის მოტყუება? რაში მდგომარეობდა მისი შეტევის ვერაგული გეგმა? ამაზე პასუხის ცოდნა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ერთი წუთით დაუფიქრდით, რა მანევრით მოახერხა ევას მოტყუება. ის ხომ სრულყოფილ გარემოში იმყოფებოდა! ქალის ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა ძალაუფლების უზურპირება. მას არ ჰქონია წარსულის მწარე გამოცდილება მამასთან, უფროსთან ან მსახურთან. ევა წალკოტში ცხოვრობდა, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი დემონური ზეწოლისგან. მან მხოლოდ ღვთის სიკეთე და უზრუნველყოფა იცოდა. ის უფლის თანდასწრებაში დადიოდა და მასთან საუბრობდა. მაშ, როგორ მოახერხა გველმა მისი ცდუნება?

გაიხსენეთ ღვთის მცნება: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო, ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შეჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, სიკვდილით მოკვდები“ (დაბ. 2:16-17).

ღვთიური სიკეთე მას ნებას რთავდა, რომ „ბაღის ყოველი ხისგან“ ეჭამა, მაგრამ მისი ძალაუფლება უკრძალავდა „კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან“ ჭამას. ღმერთმა ხაზი გაუსვა მათ თავისუფლებას და მხოლოდ ერთ გამონაკლისი დატოვა.

ღვთის ბუნებისთვის დამახასიათებელია სიყვარული და გაცემა. მას ბაღში კომპანიონების ყოლა სურდა, რომლებიც მასთან ურთიერთობას აირჩევდნენ და შეინარჩუნებდნენ. მას არ უნდოდა რობოტები, რომელთაც არჩევანის თავისუფლება აკლდათ. მას სჭირდებოდა მისი მსგავსი შვილები თავისუფალი ნებით. როცა ადამსა და ევას ხესთან წვდომა აუკრძალა, ამით არჩევანის თავისუფლება მიანიჭა – შეინარჩუნებდნენ თუ არა მასთან მოზიარეობას, რაც მათ, საბოლოო ჯამში, სიკვდილისგან დაიცავდა. საქმეში მათი ნება იყო ჩართული. მიენდობოდნენ და დაემორჩილებოდნენ ღმერთს? მცნების გარეშე ხომ არც არჩევანის თავისუფლება იარსებებდა!

კარგად გამოვიკვლიოთ გველის სიტყვები: „ღვთის მიერ შექმნილ ველურ ცხოველებს შორის გველი ყველაზე ცბიერი იყო. ჰკითხა გველმა დედაკაცს: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო?“ (დაბ.

3:1). თანამედროვე ტერმინებით მის კითხვას ასეთი სახე ექნებოდა: „გავიგე, რომ ღმერთმა ყველა ხისგან ჭამის ნება არ დაგრთოთ. მართალია?“

გველმა თავისი სტრატეგია აამუშავა, თავდაპირველად, ღვთის მცნების მახვილის შეცვლით. მისი მნიშვნელობის დამახინჯებით ღვთის განზრახვის სიწრფელე ეჭვქვეშ დადგა. გველს სურდა, რომ ევა ფიქრისა და აწონ-დაწონის გზაზე გამოეტყუებინა, სადაც ქალი ღვთის სიკეთესა და პატიოსნებას კითხვის ნიშანს დაუსვამდა. როცა ამას მიაღწევდა, ძნელი აღარ იქნებოდა ღვთის ძალაუფლების წინააღმდეგ მისი მიმართვა.

გველმა უგულებელყო ღვთის გულუხვობა და გამონაკლისს გაუსვა ხაზი. მის ნათქვამში იგულისხმებოდა, თითქოს ღმერთმა ადამიანებს კარგი რამ დაუმალა. მან ერთადერთი კითხვით შეძლო დაცვისთვის გათვალისწინებული მცნების დამახინჯება და უსინდისოდ უარყო მასში არსებული სიკეთე. შეგიძლიათ გესლის დანახვა მის კითხვაში: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო“? ბაღში არსებული უამრავი ხის მიუხედავად, საიდანაც ჭამა შეეძლოთ, გველმა ევას ყურადღება ერთადერთი აკრძალული ხისკენ მიმართა. მან ღმერთი „წამრთმევად“ წარმოაჩინა, თუმცა იგი ბუნებით „გამღებია“.

მას შემდეგ, რაც უფალი უსამართლო გამოაჩინა, გველს ღვთის იურისდიქციაზე თავდასხმა შეეძლო. სატანა სულელი არ არის; მან უფლის ძალაუფლების საფუძვლის შერყევა სცადა: „სიმართლესა და სამართალზეა დაფუძნებული მისი ტახტი“ (ფს. 97:2). მისი ტახტი მის ძალაუფლებას წარმოადგენს. თუ სატანა ღვთის სამართლიანობას ტყუილით და დამახინჯებით გააკულმართებდა, მისი ძალაუფლების საძირკველი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა მისი ქმნილების თვალში.

გველის კითხვის პასუხად ევამ შეუსწორა: „ბაღის ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა. მაგრამ შუა ბაღში რომ ხეა, მის ნაყოფზე გვითხრა ღმერთმა - არ შეჭამოთ და არც შეეხოთ, თორემ მოკვდებითო“ (დაბ. 3:2-3).

სრულიად შესაძლებელია, რომ მისი პასუხის მიუხედავად ევას ცნობისმოყვარეობა კლავდა, რა მიზეზი იდგა მცნების უკან. ახლა მისი ყურადღება ხისკენ არის მიპყრობილი. ის ეჭვქვეშ აყენებს ღვთის სიკეთეს. წარმოგიდგენიათ მისი

ფიქრები? – „მშვენივრად გამოიყურება ... *არ მესმის, რატომ არ შეგვიძლია ამ ხიდან ჭამა, რა უნდა გვავნოს? რა არის მასში ჩვენთვის ასერიგად ცუდი?“* ღვთის განზრახვის სიწრფელესთან დაკავშირებული კითხვის ნიშნების ფონზე, ევა მზად იყო მის ძალაუფლებაში დასაეჭვებლად.

გველმა ვითარებით ისარგებლა და ღვთის ძალაუფლებას, ჭეშმარიტობასა და სიწრფელეს ძირი გამოუთხარა მისი სიტყვის გაბედული დაპირისპირებით: „არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ იმ ხის ნაყოფს, თვალი აგეხილებათ და ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი გახდებით“ (დაბ. 3:4-5).

ცდუნების ოსტატი ევას ერთგულების საძირკვლის შერყევას ღვთის მიმართ უხეში წინააღმდეგობით შეეცადა და დედაკაცი დაარწმუნა, რომ არ მოკვდებოდა. მან სწრაფად განაგრძო აზრების მიყოლა: „სიკვდილის ნაცვლად ღვთის მსგავსი შეიქნებით, თავად აირჩევთ, რა იქნება თქვენთვის კარგი და ცუდი, რადგან ბრძენები გახდებით! სხვისგან აღარ მოგიწევთ რაიმეს მოსმენა და არც უსამართლო ბრძანებებს არ დაექვემდებარებით“.

ჩასახულ ცოდვას მონობა მოსდევს

ევა ელდანაცემი და დაბნეული ჩანდა. მას აინტერესებდა: „რატომ ამიკრძალა ღმერთმა ამ ხიდან ჭამა?“ დედაკაცმა კიდევ ერთხელ შეხედა ხეს, რომ კარგად გამოეკვლია, მაგრამ მისი მზერა ამჯერად სრულიად სხვაგვარი იყო. ნაყოფი კარგი და საამური მოეჩვენა და არა ცუდი და მავნებელი. ის ასე ფიქრობდა: „ნამდვილად გემრიელი საჭმელი იქნება და გარდა ამისა, ცოდნასაც შეგვმატებს“.

ამ ფიქრმა სრულიად დაჩრდილა ყველაფერი მის გარშემო. ერთ ხეზე ყურადღების გამახვილებამ აქამდე მიღებული უხვი სიკეთე დაავიწყა. ქალი ფიქრობდა: *„ამ ხის ნაყოფი ჩვენთვის კარგი უნდა იყოს, მაგრამ ღმერთმა დაგვიმალა. მისი ჭამა დიდი ხნის წინ შეგვეძლო. ასე რატომ მოგვექცა? თუ ამ ხის სიკეთე დაგვიკავა, კიდევ რას უნდა მალავდეს ჩვენგან?“*

ღვთის ბუნებაში, სიწრფელესა და სიკეთეში დაეჭვებულ და ხის უვნებლობაში დარწმუნებულ ევას მისი ძალაუფლების დამორჩილების მიზეზი აღარ რჩებოდა. მისმა ნებამ გადაფარა ზეციერი მამის ნება. დედაკაცი ნაყოფს მიწვდა და ხელში მოიქცია. არაფერი მოხდა. ალბათ, გველი მართალი იყო. ქალმა შეჭამა და ქმარსაც აჭამა.

როგორც კი ჭამეს, თვალები აეხილათ და სირცხვილისა და შიშის ტალღა მოაწყდათ. გააცნობიერეს, რომ შიშვლები იყვნენ. მათ ურჩობას სულიერი სიკვდილი მოჰყვა. ხორცი ძლიერ მეთვალყურედ ექცათ და მათზე გაბატონდა. ღვთის სიტყვაში დაეჭვებით და მაცდუნებელი ფიქრის გზაზე შედგომით თავიანთი ცხოვრება ურჩობის მთავარს გაუღეს. ის გახდა მათი ბოროტი ბატონი. როგორც წერილი ამბობს: „ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის“ (რომ. 6:16). სიკვდილის მთავარს არა მარტო ადამისა და ევას ცხოვრებასთან მისადგომი, არამედ ქვეყნიერებაზე კანონიერად შემოსვლის უფლებაც მიეცა, რადგან ღმერთმა ბატონობა კაცობრიობას გადასცა. ადამმა თავისი სამფლობელო სატანას ჩაუგდო ხელში. პავლე ამას ასე განმარტავს: „ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ხოლო ცოდვის მეშვეობით - სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში“ (რომ. 5:12).

ადამისა და ევას ურჩობამდე არ იყო სიძულვილი, რისხვა, უპატიებლობა, ჩხუბი, ჭორაობა, ხრწნილება, თაღლითობა, სიმწარე ან გამოძალვა. არ არსებობდა სქესობრივი გარყვნილებანი, წამალდამოკიდებულება, ლოთობა, მკვლელობა და ქურდობა. არავინ ძალადობდა ცოლსა და შვილებზე. ავადმყოფობა, სნეულებანი და სიღარიბე წარმოუდგენელი იყო. კაცობრიობამ არ იცოდა ბუნებრივი კატაკლიზმები, ჭირი და წყლულები. ცხოველთა სამყარო სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდა. დედამიწის ატმოსფერო თანხმობაში იყო ღვთის ნებასთან, რომელიც მთელ ქმნილებაზე მაღლა იდგა.

ურჩობამ კაცობრიობას საშინელი ქცევითი პრობლემები ჭირივით დაატეხა. მათი სია ყოველ მომდევნო თაობაში მრავლდება და უფრო შემზარავი ხდება. დაუმორჩილებლობის

ურჯულოების ფარული ძალა

ერთადერთმა აქტმა საფუძველი დაუდო ურჯულოების ფარულ ძალას. მისმა საცდურმა ადამიანს ღვთიური უზრუნველყოფა და მფარველობა დააკარგვინა. სატანის ამბოხების ნიმუშმა კარი გაუღო მის ბატონობასა და ნგრევას. მან სრულად ისარგებლა შესაძლებლობით, რომ ღვთის მსგავსად ემეფა ისე, რომ არ დამორჩილებოდა. ღვთის ქმნილების დამონებით თავად გაბატონდა (ეს. 14:12-14).

მისი გეგმა დღესაც იგივეა

სატანის მოქმედების მანერა დიდად არც დღეს შეცვლილა. მას ახლაც სურს ღვთის ბუნების დამახინჯება და ამის მიმართვა მისი ძალაუფლების წინააღმდეგ. იაკობის წიგნი სრულიად ნათლად ამბობს: „ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო! ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“ (იაკ. 1:16-17).

ავტორს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ მორწმუნეები ურჯულოების იგივე ფარული ძალის ხელში არ ჩავვარდებოდით ევას მსგავსად. მან, როგორც პავლემ, დასაცავად გაგვაფრთხილა. ეს სიტყვები კარგად უნდა გავითვალისწინოთ და გულში ჩავიმარხოთ. ღვთის ნების მეფობის იქით კარგი არაფერია. შესაძლოა, მიმზიდველად გამოიყურებოდეს, მაგრამ თუ ღვთის ნებას არ შეესაბამება, შეცდომას ნუ დაუშვებთ – მასში ჩვენთვის სასიკეთო არაფერი იქნება.

იაკობი არაერთხელ იმეორებს შემდეგ აზრს: თუ ფიქრობთ, რომ ღვთიური უზრუნველყოფის მიღმა რაიმე კარგს იპოვით, ცდუნებას ვერ აცდებით ევას მსგავსად. გულმოდგინედ იფიქრეთ იმაზე, რაზეც ვიმსჯელეთ. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კარგად გამოიყურება, გემრიელია ან კარგ შეგრძნებებს იძლევა; მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მდიდარს, დოვლათიანს, ბრძენს ან წარმატებულს გაგხდით ის რაც ღვთისგან არ არის. დასასრულს დაღმართში დაეშვებით დიდი ნაღვლის, სინანულის და ბოლოს, სიკვდილის გზაზე. ღვთიური უზრუნველყოფა და დაცვა ტყუილის მეშვეობით განადგურდება. ყველა სრულყოფილი და კეთილი საბოძვარი ღვთისგან მოდის; იგია წყარო.

მიიღეთ ეს ჭეშმარიტება, გულში ჩაიბეჭდეთ და გარეგნული მხარე ვეღარ მოგხიბლავთ! ევა ასე რომ მოქცეულიყო, გზას არ აცდებოდა. ის ღვთიური უზრუნველყოფის მიღმა შეეცადა საკუთარი სურვილების ასრულებას.

რამდენი ადამიანი ქმნის ოჯახს არასწორ პიროვნებასთან არასწორი მიზნებით? შესაძლოა, ღმერთმა კიდეც გააფრთხილა მშობლების ან მწყემსის მეშვეობით ან პირდაპირ მის გულს დაელაპარაკა, მაგრამ საკუთარმა მოსაზრებამ გადაწონა ყველა ეს ხმა. ალბათ, მარტოსულები იყვნენ და კომპანიონი სჭირდებოდათ. ალბათ, ის მეორე ადამიანი სასიამოვნოდ გამოიყურებოდა მათ თვალში და გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარებასაც უწევდა. ცხადია, რომ ეს ადამიანები საკუთარი ნების გატარებას ამჯობინებენ ღვთისას და ხშირ შემთხვევაში დიდად იტანჯებიან.

რასაკვირველია, ღმერთს შეუძლია დაშვებული შეცდომების გამოსყიდვა. დავითის ბერშებაყთან შესვლა სოლომონის დაბადებამ გამოისყიდა. თუმცა მან მრავალი ტკივილი იწვნია ამ დაუმორჩილებლობის გამო და მის სახლს მახვილი არ მოშორებია. მან სამი ვაჟი ადრეულ ასაკში ან მათი აღმავლობის წლებში დაკარგა.

რამდენად უმჯობესია მორჩილების არჩევა!

ადამიანები მეტისმეტად ხშირად ტოვებენ თავიანთ ადგილებს სამსახურში, ეკლესიებში, ქალაქებში, სადაც ისინი ღმერთმა დანერგა იმიტომ, რომ ზემდგომებს არ ეთანხმებიან. შესაძლოა, ფიქრობენ, რომ მათი ცხოვრება ინერტულია ან დარწმუნებული არიან, რომ იქ მომავალი არ აქვთ. აი, შესაძლებლობა გამოჩნდა და ისინი მიდიან სულიწმიდის მოწმობის გარეშე. არა მარტო ეს, არამედ წასვლა ხშირად სიწმიდის უგულებელყოფით ხდება, რომლისკენაც ღმერთი მოგვიწოდებს. მიზეზი ასეთია: *ამ თარო ზე დიდხანს ვიყავი შემოდებული. რაღაც უნდა გავაკეთო.* საბოლოოდ, ისინი ღვთის ნების საწინააღმდეგოდ მიდიან და ეძებენ რაღაც ისეთს, რაც, მათი აზრით, სასიკეთოდ ეწევათ. შესაძლოა, ფინანსური თვალსაზრისით წარმატებასაც მიაღწიონ, მაგრამ მათი გულები უფალს და მასთან დაშურებულ ურთიერთობას დიდი ხნის წინ დაშორდნენ.

უფრო ზოგადი ტერმინებით რომ ვთქვათ, რამდენი ეურჩება ღვთის ნებას? მათ კარგი და სასიამოვნო იზიდავთ. ალბათ,

ღვთის სიტყვის რჩევის მიღმა იპოვეს წარმატებისა და აყვავების საშუალება. ისინი მიყვებიან მას და პოულობენ გართობას, ბედნიერებას და დაინტერესებას, მაგრამ მხოლოდ დროებით. ისინი „კარგს“ ხედავენ იმაში, რაზეც ღმერთი „არა“-ს ამბობს. ისინი შიშობენ, რომ უფალი მიმზიდველს ან გასართობს წაართმევს მათ! ისინი ფიქრობენ, რომ ღმერთი ვერ უგებს, რა სჭირდებათ ან უგულებელყოფს მათი სურვილების მნიშვნელობას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ღმერთი ერთგულებას არ იჩენს, თუ მათი ლოცვები ნაპასუხები არ იქნება მათგანვე წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში. ისინი ასე მსჯელობენ: „რატომ ვიცადო? ახლავე ავიღებ კარგსა და სასიამოვნოს!“

იფიქრეთ იესოზე

იფიქრეთ იესოზე. იგი ორმოცი დღე და ღამე უდაბნოში იყო წყლის, საკვების ან რაიმე კომფორტის გარეშე. შიმშილით გამოწვეული ტკივილი სერავდა მის მუცელს, რადგან დიდი ხნის უჭმელობას სასტიკი შედეგები მოყვება. უახლოეს მომავალში რომ არ მიეღო საკვები და წყალი, მოკვდებოდა. და მაინც, რა მოვიდა პირველად, უზრუნველყოფა თუ ცდუნება?

ამ დროს სატანა კითხვას უსვამს: „თუ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ პურებად იქცნენ ეს ქვები“ (მათ. 4:3). მტერი ეჭვის ქვეშ აყენებს იმას, რაც ღმერთმა ნათლად თქვა. ზეციერმა მამამ იესო თავის ძედ გამოაცხადა იორდანეს ნაპირებთან. სატანა ისევ ცდილობს ღვთიური ბუნების დამახინჯებულად წარდგენას: „თუ ღვთის ძე ხარ, რატომ გამოგიყვანა აქ საშიმშილოდ? რატომ არ გაწვდის საკვებს? იქნებ დრო დადგა, რომ თავად გაანძრიო ხელი? საკვებს სასწრაფოდ თუ არ მიიღებ, მოკვდები ან თუ დააგვიანებ, დიდი ფიზიკური პრობლემების წინაშე დადგები! გამოიყენე ძალაუფლება და მოემსახურე საკუთარ თავს! აქციე ქვები პურებად!“

იესო ეწინააღმდეგებოდა და ღვთიურ უზრუნველყოფას ელოდებოდა. მან ეშმაკს საშუალება არ მისცა, რომ მის გონებაში ღვთის ბუნების დამახინჯებული სურათი აღებეჭდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ზეციერი მამა მის საჭიროებებს დააკმაყოფილებდა. იგი კვლავ ღვთის ძალაუფლების მორჩილი რჩებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად უსიამოვნო შეიძლებოდა ყოფილიყო ეს იმ მომენტისთვის.

სატანის ცდუნების დაძლევის შემდეგ, რომელიც მართვის სადავეების საკუთარ ხელში აღებას ურჩევდა, „მიატოვა იგი ეშმაკმა. და აჰა, ანგელოზები მიეახლნენ და ემესახურნენ მას“ (მათ. 4:11). რატომ? ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ასე ამბობს: „მან ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღაღადითა და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება მას, ვისაც შეეძლო სიკვდილისგან ეხსნა იგი, და შესმენილ იქნა მისი ღვთისმოშიშების გამო. და თუმცა ძე იყო, ტანჯვის მეშვეობით ისწავლა მორჩილება“ (ებრ. 5:7-8). ღმერთმა უსმინა მას ღვთისმოშიშობის გამო. იესოს ეჭვი არ შეუტანია ზეციერი მამის სიკეთეში. მან მორჩილება არჩია წარმოუდგენლად დიდი ცდუნებისა და ინტენსიური ტანჯვის დროს, თუმცა ეს გადაწყვეტილება სერიოზულ სირთულეებს უქადდა.

ადამისა და ევას რეაქციისგან განსხვავებით, ამგვარმა მორჩილებამ და დაქვემდებარებამ მტერს მის ცხოვრებასთან მისადგომელი გზები ჩაუხერგა. იესომ დაამოწმა: „მოდის ამ წუთისოფლის მთავარი და არაფერი აქვს ჩემში. მაგრამ, რათა გაიგოს წუთისოფელმა, რომ მიყვარს მამა და როგორც მამამ მამცნო, ისე ვაკეთებ“ (იოან. 14:30-31).

ადამისგან განსხვავებით, იესო, რომელსაც უკანასკნელი ადამი ეწოდება, სრული მორჩილებით დადიოდა მამის წინაშე და შეეძლო დაემოწმებინა, რომ სატანა მასში ხელჩასაჭიდს ვერაფერს პოულობდა. სწორედ ამ მიზეზის გამო გვარიგებენ: „ვინც ამბობს, რომ მასში [იესოში] რჩება, მოვალეა ისევე მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“ (1 იოან. 2:6). იგი ჩვენთვის მაგალითი და წინამორბედია. მან საფასური გადაიხადა და სავალი გზა გაგვინათა. ჩევნი ხვედრი აღარ არის პირველი ადამისა და მისი ურჯულოების გზით სიარული, არამედ მოწოდებული ვართ და შესაბამისი ძალაც გვაქვს, რომ უკანასკნელი ადამის მორჩილების გზით ვიაროთ.

The Message ბიბლია ენთუზიამით აცხადებს:

„ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და გავირბინოთ ჩვენ წინ მდებარე სარბიელი ისე, რომ არასოდეს შევწყვიტოთ [ღვთის მორჩილება]! არავითარი ზედმეტი სულიერი ქონი ან პარაზიტული ცოდვები! ვუმზიროთ ჩვენი რბოლის წინამძღოლსა და სრულმყოფელ იესოს. შევისწავ-

ლოთ, როგორ გააკეთა მან ეს. იესოს მხედველობიდან არასოდეს დაუკარგავს, თუ საით მიდიოდა. ყველაფერი გადაიტანა, რაც გზაზე შეხვდა: ჯვარი, სირცხვილი და ნებისმიერი სხვა რამ. და აი, ის იქ არის, ღვთის ტახტის მარჯვნივ, დიდების ადგილას. როცა რწმენაში [მორჩილებაში] მოიკოჭლებთ, ისევ გადახედეთ ამ ამბავს, ერთი პუნქტიდან მეორემდე და ნახეთ, რომ მას სულ თან სდევდა ცოდვილთა სიძულვილი, მაგრამ დაითმინა ის. დაე, ამან შემატოს მხნეობა თქვენს სულებს!“ (ებრ. 12:1-3)

ეს შემაჯამებელი მონაკვეთია. ისწავლეთ პირველი ადამის დაცემიდან და გულმოდგინედ მიჰყევით მეორე ადამის მორჩილებას.

მომდევნო თავში დაუმორჩილებლობის შედეგებს გამოვიკვლევთ. მათ ყოველთვის მეყსეულად არ მოიმკიან, მაგრამ თავის დროზე აუცილებლად მიიღებენ. როცა კი რაიმე სახის ურჩობა ნათლად გამოვლინდება, არც უნდა დაუშვათ აზრად, რომ მასთან დათმობაზე წახვიდეთ.

თავი 5

ურჩობის შედეგები I

რწმენა და მორჩილება განუყოფელია, რადგან
მორჩილება ნამდვილი რწმენის ნიშანია.

ურჩობას მრავალი შედეგი აქვს. ისინი ყოველთვის ამოსაცნობი ან აშკარა არ გახლავთ, მაგრამ დანამდვილებით მოვა, ისევე როგორც დათესილი თესლი მოიმკის მოსავალს. ჩვენი სულის მტერი ყველანაირად ცდილობს ამ ცოდნის ჩვენგან დაფარვას იმ იმედით, რომ მორჩილებას ზედაპირულად მივუდგებით და მის მაცდურ ხრიკებს ავყვებით.

ზოგიერთი ადამიანი ქვეცნობიერად ფიქრობს, რომ დაუმორჩილებლობის ნებისმიერ შედეგს მისი გადაწყვეტილების მეყსეული სარგებელი გადაწონის. გაოცებული ვარ, რამდენად არის გავრცელებული ამ მაცდური და მომაკვდინებელი აზროვნების პროცესი. ეს გახლავთ ურჯულოების საიდუმლო ანუ ფარული ძალა. ჩემი წრფელი იმედი და ლოცვაა, რომ მომდევნო სამმა თავმა თქვენს გულში მტკიცე გადაწყვეტილება წარმოშვას, რომ არასოდეს ეთამაშოთ დაუმორჩილებლობას!

ადამის ძეები

თავდაპირველად, ადამის პირმშოთი, კაენით დავიწყებთ. კაენი პროფესიით მიწათმოქმედი იყო. მისი ძმა აბელი, რომელიც მის შემდეგ დაიბადა, მწყემსი გახლდათ. წმიდა წერილი გვეუბნება, რომ გარკვეული დროის შემდეგ კაენმა მიწის ნაყოფი მიუძღვნა უფალს, ხოლო აბელმა – ფარის პირმშო. ბიბლიიდან ვიგებთ, რომ „გადმოხედა უფალმა აბელსა და მის ძღვენს. კაენსა და მის ძღვენს არ გადმოხედა უფალმა“ (დაბ. 4:4-5).

სხვათა შორის მინდა გავიხსენო ერთი ნაკლოვანი გამოთქმა, რომელსაც ეკლესიაში ხშირად გაიგონებთ: „ღმერთი მიგიღებთ ისეთს, როგორიც ხართ“. ეს მართალია, მაგრამ ყველაფერი ამით არ სრულდება. ღმერთი გვიღებს ისეთს, როგორიც ვართ, *თუ ვინანიებთ!* მიუყენეთ ხსენებული გამოთქმა ანანიასა და საფირას ცხოვრებას! არ გამოდის – ისინი დაიხოცნენ (საქმ. 5:1-11).

ღმერთმა არ მიიღო კაენის შესაწირი. უფრო მეტიც, მან თავად კაენი არ მიიღო! კაენის მიუღებლობა არ ნიშნავს, რომ ის სამუდამო უარყოფისთვის იყო განწირული, მაგრამ ღვთისგან უპირობო მიღების თანამედროვე თეოლოგია არასწორია. ფაქტობრივად, ეს საშიშიც კია, რადგან გულში არ გვიტოვებს უფლისადმი მოკრძალებას. უფლის შიში გვიცავს და ცოდვისგან თავის შორს დაჭერას გვაიძულებს (გამ. 20:20). ანანიასა და საფირას სიკვდილის შემდეგ ბიბლია გვეუბნება: „დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვისაც ეს ესმა“ (საქმ. 5:11). ამის შემდეგ დაუმორჩილებლობა დაუდევრობის საგანი არასოდეს გამხდარა!

მეტი შესაბამისობისთვის ადამის ორი ძის ამბავს ცოტათი გავათანამედროვებ. მისი ძეები გაიზარდნენ სახლში, სადაც უფლის სახელს უხმობდნენ. ორივემ მოუტანა ღმერთს შესაწირი, რაც მათი ცხოვრების გამოხატულება იყო. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენი სხეულები უნდა შევწიროთ ღმერთს ცოცხალ მსხვერპლად (რომ. 12:1). ღვთის წინაშე მოტანილი შესაწირი მის მიმართ ჩვენს მსახურებას წარმოადგენს. ამრიგად, ჩვენ არ ვლაპარაკობთ აბელზე, რომელიც ღმერთს ემსახურებოდა და კაენზე, რომელიც მას არ ემსახურებოდა. კაენი სულაც არ დადიოდა კაზინოებში, სტრიპტიზის ან სხვა სახის ბარებში, რითაც თავს არიდებდა საეკლესიო მსახურებაზე დასწრებას. ნუ აურევთ კაენს ადამიანში, რომელსაც ღმერთთან საქმის დაჭერა საერთოდ არ სურს. ორივე უნდა ჩაითვალოს მორწმუნედ, რომელსაც ღმერთთან ურთიერთობა აქვს.

ორივე ძმა გულმოდგინედ შრომობდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი უფალთან მიეტანა. ფაქტობრივად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაენი აბელზე მეტადაც მუშაობდა. ბევრი არაფერი ვიცი მიწათმოქმედებასა და მწყემსობაზე, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ ვამტკიცო მიწათმოქმედების სირთულე, თუმცა მწყემსობაც სამუშაოა. მწყემსის მოვალეობაა დილას და საღამოს

მიხედოს ფარას, მაგრამ შუადღის ხვატში შეუძლია ხის ძირას წამოწვეს და გამაგრილებელი სასმელი წრუპოს.

მიწათმოქმედება უფრო ინტენსიურ შრომას მოითხოვს. კაენის შესაწირი მრავალგზის დაღვრილი ოფლის და ღვთის მიერ დაწყევლილი მიწის ეკალ-ბარდებთან ბრძოლის შედეგი იყო (დაბ. 3:17-19). კაენს მიწა უნდა გაესუფთავებინა ქვების, ჯირკების და სხვა ნარჩენებისგან. შემდეგ მას მოხვნა და გაფ-ხვიერება ესაჭიროებოდა. კაენი რგავდა, რწყავდა, ანოყიერებდა და მარცვლეულს იცავდა. შესაწირი რომ შეენარჩუნებინა, მას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

რატომ არ მიიღო ღმერთმა კაენი?

მაშ ასე, უნდა დავსვათ კითხვა, თუ რატომ არ მიიღო ღმერთმა კაენის შესაწირი, როცა ამ უკანასკნელმა გაცილებით მეტი იშრომა? პასუხი მის მშობლებში უნდა ვეძიოთ. ბაღში ღვთის ყველა ქმნილებას საფარველი ჰქონდა. ცხოველები ბეწვით შეიმოსნენ, თევზები ქერცლით, ხოლო ფრინველები – ბუმბულით. ვერასოდეს ნახავთ პოლარულ დათვს ჯინსებში; მას დამატებითი საფარველი არ სჭირდება.

არც ადამი და ევა იყვნენ გამონაკლისები. მათ არ ჰქონდათ ფიზიკური საფარველი ანუ სამოსი; მათ მხოლოდ დიდების „გვირგვინი“ ედგათ (ფს. 8:5). *გვირგვინი* „შემოფარგვლას“ ნიშნავს. ისინი ამით იყვნენ დაფარულნი. ღმერთმა ისინი დიდებით შემოსა და ეს იმდენად მოჭარბებული იყო, რომ მათ თვალში ფიზიკურ სიშიშვლესაც ფარავდა. სწორედ ამიტომ ამბობს წერილი: „ორივენი შიშვლები იყვნენ, ადამი და მისი დედაკაცი და *არ რცხვენოდათ*“ (დაბ. 2:25). ისინი სინდისით მართული არ იყვნენ. მათი ცხოვრება მთლიანად ღვთის წინაშე მიმდინარეობდა. თავში აზრადაც არ მოსვლიათ სამოსელის საჭიროება, რადგან ეს აუცილებელი არ იყო.

ურჩობის ჩადენისთანავე ყველაფერი შეიცვალა. იქამდე მათი სულები სრულად ბატონობდნენ, ხოლო ცოდვით დაცემამ ხორცი გააბატონა. აკრძალული ნაყოფის ჭამის შემდეგ წმიდა წერილში ჩაწერილი პირველივე სიტყვები იყო: „აეხილა ორივეს თვალი და მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“ (დაბ. 3:7). საკვანძო სიტყვაა მიხვდნენ. *მათ მიიღეს ცოდნა,* რომელიც ადრე არ ჰქონდათ.

კეთილისა და ბოროტის შემეცნების პრინციპი გახლავთ ცხოვრება იმის მიხედვით, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი. ცოდვით დაცემამდე მათი ქმედებები იმართებოდა არა კეთილისა და ბოროტის შემეცნებით ანუ რა იყო სწორი და რა არასწორი, არამედ ღვთის შემეცნებით. მათი ზრახვები მორჩილებიდან მომდინარეობდა, რომელიც ნდობამ და სიყვარულმა წარმოშვა. მათ გონებაში კი არა, ღვთის ხელში იყო სწორისა და არასწორის რაობა. ჩვენ ასე გვეუბნებიან:

„სრულყოფილია მისი საქმენი, რადგან სამართლიანია მისი ყველა გზა; ჭეშმარიტი ღმერთია ის, არ არის მასში უსამართლობა; მართალია იგი და წრფელი“. (2 რჯ. 32:4)

ადამი და ევა ღმერთთან თანხმობაში ცხოვრობდნენ, ღვთის სრული შემეცნებით. კეთილისა და ბოროტის ხის ნაყოფის ჭამით ღვთის გარეშე მიიღეს ცოდნის წყარო, თუ რა არის კეთილი და ბოროტი. ამას შეიძლება ვუწოდოთ მსჯელობის პრინციპი. მათ აღარ სჭირდებოდათ ღმერთი მიმართულების მისაღებად; სწორისა და არასწორის შეგრძნება შიგნით ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, დაცემის შემდეგ ღვთის პირველი კითხვა იყო: „ვინ გითხრათ?“ (დაბ. 3:11).

როცა ღმერთი კითხვას სვამს, ინფორმაცია არ აინტერესებს. მას თავისი სათქმელისკენ მიჰყავხართ. ღმერთმა უკვე იცოდა, რომ ადამმა და ევამ ხისგან შეჭამეს და საკუთარი სიბრძნიდან ლაპარაკობდნენ. მათ მორჩილება აზრობრივ მსჯელობაში გაცვალეს. რეალურად, ღმერთი ამას ამბობდა: „ამრიგად, თქვენ იპოვეთ კეთილისა და ბოროტის შეგრძნების წყარო ჩემ გარეშე. როგორც ჩანს, კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფი გაქვთ ნაჭამი“.

ადამმა და ევამ ურჩობისთანავე დაიფარეს სიშიშვლე ლეღვის ფოთლებით ანუ *მიწის ნაყოფით.* ამ საფარველის მიუხედავად, სიშიშვლეს მაინც გრძნობდნენ და დაიმალნენ. ღმერთი ეკითხება: „ვინ გითხრათ, რომ შიშვლები ხართ?“ (დაბ. 3:11). კეთილისა და ბოროტის ახლადმიღებული შემეცნებით გააკეთეს ის, რაც სწორი მოეჩვენათ, მაგრამ სიშიშვლის აღქმა მაინც რჩებოდა. ასეთი საფარველი არ იყო ღვთიური გზის შესაბამისი. მან თვალსაჩინოდ აჩვენა, რა იქნებოდა მისაღები საფარველი ანუ

სიშიშვლის შესაწირი, როცა უცოდველი ცხოველი დაკლა და ადამი და ევა მისი ტყავით შემოსა. ეს იყო ღვთის მიერ დადგენილი წესი და არა მიწის ნაყოფი. იმ დროისთვის ადამი და ევა ვერ ხვდებოდნენ, რა უნდოდა ღმერთს, მაგრამ კაენმა და აბელმა ეს კარგად იცოდნენ. მშობლებმა ასწავლეს, რა იქნებოდა ღვთისთვის მოსაწონი შესაწირი. ამრიგად, როცა კაენმა მიწის ნაყოფი მოიტანა, ღვთისთვის ისევ მიუღებელი აღმოჩნდა. ის ღმერთს საკუთარი შეხედულებით ემსახურებოდა! კაენს თანდათან იზიდავდა წყევლა, რომელიც მსჯელობის გზით მოქმედებს და სწორისა და არასწორის განსაზღვრით იღებს გადაწყვეტილებას. ეს გზა განსხვავდებოდა მისი ძმის, აბელის ბავშვური მორჩილებისგან.

შენ უნდა იბატონო მასზე

წერილი გვეუბნება: „რწმენით შესწირა აბელმა ღმერთს კაენისაზე უკეთესი მსხვერპლი, რომლითაც მიიღო მოწმობა, რომ მართალია იგი, როგორც ღმერთმა დაამოწმა მისი ძღვენის შესახებ, და კვლავ მისითვე ლაპარაკობს სიკვდილის შემდეგაც“ (ებრ. 11:4). ახალი აღთქმის ავტორმა აბელის მორჩილება რწმენას გაუტოლა. მომდევნო თავში ვისწავლით, რომ ნამდვილი რწმენა მორჩილების ტოლფასია და მასვე ეფუძნება. ნამდვილი რწმენა მორჩილებიდან მომდინარეობს და არა – სწორისა და არასწორის შეგრძნებიდან.

მას შემდეგ, რაც კაენი მიხვდა, რომ მისი ძალისხმევა და შესაწირი ღვთისთვის მისაღები არ იყო, „დიდად გაბრაზდა ... და მოეღუშა სახე“ (დაბ. 4:5). ასეთია ფარისეველი რელიგიური პიროვნების კლასიკური რეაქცია, როცა მას ჭეშმარიტების წინაშე აყენებენ. ის ბრაზდება. ბიბლიაში არაერთგზის ნახავთ, რომ ეს სიმართლეა. ასეთ ბრაზს სიამაყე კვებავს და ღვთის ნებას და გზებს უარყოფს, რომ საკუთარი განახორციელოს.

ღმერთი თავისი მოწყალებით შეეცადა კაენისთვის თვალის ახელას და კიდევ ერთი კითხვა დაუსვა: „რად გაბრაზდი და მოიღუშე სახე? თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო?“ (დაბ. 4:6-7). სიკეთის ქმნა ღვთის მორჩილებას ნიშნავს. მას შესაწირის მიღებას მორჩილება ურჩევნია. უფალს არაერთგზის უთქვამს თავისი ხალხისთვის, რომ აღარ სურდა

მათი სიმღერების და ინსტრუმენტების ხმის მოსმენა ან მათგან შესაწირის მიღება. რატომ? „რადგან ვეძახდი და არ იყო პასუხის გამცემი, ვლაპარაკობდი და არავის ესმოდა“ (ეს. 66:4). ისინი მსხვერპლს წირავდნენ, მაგრამ ღმერთს არ უსმენდნენ და მის ნათქვამს არ ემორჩილებოდნენ. თაყვანისცემის უმაღლესი ფორმა მორჩილება გახლავთ.

ვიცით რა ეს, თავისუფლად შეგვიძლია სიკეთის ქმნის ნაცვლად დამემორჩილე ჩასვათ დაბადების წიგნის ზემომოყვანილ მუხლში, რომელიც ასე წაიკითხება: „კაენ, რად გაბრაზდი? ასე მოქცევა საჭირო არ არის. თუ დამემორჩილები შენი ძმის მსგავსად, მიგიღებ შენც და შენს შესაწირსაც, როგორც აბელი და მისი მსხვერპლი მივიღე“.

უფალმა კაენი გააფრთხილა: „თუ სიკეთის მქნელი არა ხარ [თუ არ დამემორჩილები და შენს ამჟამინდელ აზროვნებაში გაჯიუტდები], ცოდვაა ჩასაფრებული კართან და შენკენ აქვს ლტოლვა, მაგრამ შენ უნდა იბატონო მასზე“ (დაბ. 4:7). ყურადღება მიაქციეთ ორ საკითხს! პირველი, ცოდვას (დაუმორჩილებლობას) სურვილი აქვს. ურჯულოების ბატონი, სატანა არის დაუმორჩილებლობის უკან მდგარი ძალა. მას შემდეგ რაც ადამმა ამ ძალას შემოსვლის ნება დართო, ერთადერთი მიზანი ამოძრავებს: ყველა და ყველაფერი აკონტროლოს და იბატონოს. ეს იმ ბოროტ მეცნიერს ჰგავს, რომელმაც ჩვენს ატმოსფეროში აღურიცხავი მოცულობის რადიოაქტიური აირი შემოუშვა. აირი ყველგან მიდის, იმ ადგილასაც კი, სადაც თავად მეცნიერი არ იმყოფება. მან მომაკვდინებელი და მძლავრი ძალა აამოქმედა. სასიკვდილო აირს მხოლოდ ის ადამიანები გადაურჩებიან, რომელთაც დამცავი აირწინაღი უკეთიათ. წმიდა წერილი ნათლად ამბობს: „ვიცით, რომ ღვთისგან ვართ და მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში წევს“ (1 იოან. 5:19).

ამ საკითხის გასააზრებელი კიდევ ერთი მაგალითი იქნება ცოდვის სურვილის ანუ გულისთქმის შედარება გრავიტაციის კანონთან. ეს მუდმივი ძალაა, რომელიც ყოველთვის და ყველაფერზე მოქმედებს. თუ შენობის სახურავიდან გადმოაბიჯებთ, ამ კანონის ძალას ძალზე მწარედ იწვნევთ საკუთარ თავზე და უმაღლესი წერტილიდან უმდაბლეს წერტილში აღმოჩნდებით. შესაძლოა, ჩამოვარდნა არ გინდოდეთ ან ამ კანონის შესახებ არაფერი იცოდეთ ან არ გჯეროდეთ, მაგრამ მასთან შეხვედრა მაინც მოგიწევთ.

ერთ დღესაც მეცნიერებმა სხვა კანონი აღმოაჩინეს – ჰაერში აწევის კანონი. მათ გაიგეს, რომ აწევის კანონი გრავიტაციისას აღემატება, თუ სათანადო პირობები იქნება დაცული. გამჭრიახმა ადამიანებმა აწევის კანონზე დაფუძნებით შექმნეს აეროპლანი. როცა თვითმფრინავით მიფრინავთ, თავისუფალი ხართ გრავიტაციის ზემოქმედებისგან და უმდაბლეს წერტილში არ ვარდებით. წერილი გვეუბნება: „რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“ (რომ. 8:2). რა საოცარი ამბავია!

ხშირად დავფრინავ. მსოფლიოს მასშტაბით სახარების გაცხადების ოცდაათწლიანი გამოცდილება მაქვს და ამ დროის მანძილზე თითქმის ათი მილიონი მილი გადავლახე. როცა თვითმფრინავში ვჯდები, ძალიან მახარებს ამბავი, რომ აწევის კანონი გრავიტაციის კანონისგან მათავისუფლებს. და მაინც, თუ პილოტი ძრავის გამორთვას გადაწყვეტს და ფრთები დაიკეცება, თვითმფრინავი მიწას დაენარცხება მიზიდულობის კანონის სრული დაცვით. უკვე ვეღარ ვიბატონებთ გრავიტაციის ძალაზე და გვძლევს ის, რასაც ადრე სიამოვნებით ვმართავდით.

წერილი იგივე თავში აცხადებს: „ამიტომ, ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ ძმებო, რომ ხორციელად ვიცხოვროთ; ვინაიდან, თუ ხორცის მიხედვით ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ“ (რომ. 8:12-13). მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის სულის რჯული გვათავისუფლებს ცოდვის რჯულისგან, ეს უკანასკნელი ხელუხლებელი რჩება. ჩვენი დაცვა ანუ მასზე ბატონობა შესაძლებელია ნამდვილი რწმენით ანუ მორჩილებით, რომელიც ჩვენი გულებიდან მოდის.

„სიცოცხლის სულის რჯულს“ „რწმენის რჯულიც“ ეწოდება (რომ. 3:27). ვიცით, რომ რწმენის რჯული ცოდვის რჯულზე ძლიერია. ნამდვილი რწმენა განიმარტება, როგორც მორჩილების შესატყვისი საქმეები (იაკ. 2:19-23). რწმენა და მორჩილება განუყოფელია, რადგან მორჩილება ნამდვილი რწმენის ნიშანი გახლავთ.

აბელი რწმენით ანუ ღვთის მიმართ მორჩილებით გაბატონდა ცოდვისა და სიკვდილის რჯულზე. კაენთან საუბრისას ღმერთმა ის გააფრთხილა: ცოდვის სურვილი შენსკენ ისწრაფვის (როგორც გრავიტაციის სურვილი ანუ ზეგავლენა მოქმედებს ნებისმიერ მყარ საგანზე); თუ დამემორჩილები, მასზე იბატონებ (როგორც

აწევის კანონი ძლევს გრავიტაციას). ცოდვაზე ბატონობა შეესაძლებელია მორჩილებით.

ღია მისადგომელი

მეორე საკითხი, რომელიც ღმერთმა კაენთან საუბრისას გამოკვეთა, შემდეგი გახლავთ: „თუ სიკეთის მქნელი არა ხარ [არ მემორჩილები], ცოდვაა ჩასაფრებული *კართან*“ (დაბ. 4:7). ყურადღება მიაქციეთ, რომ მან გამოიყენა სიტყვა კარი. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს მეტაფორული კარი. ამის შესახებ გსმენიათ თუ არა, ის მაინც არსებობს. ეს კარი თქვენი ცხოვრების კარიბჭეა. ამ შემთხვევაში, ის გახლავთ ცოდვისა და დემონური ძალების მისადგომელი წერტილი. ღმერთი თავიდანვე გვეუბნება, რა აღებს მას ცოდვისა და დემონური ზეგავლენისთვის და რა კეტავს. დაუმორჩილებლობა აღებს, ხოლო მორჩილება მყარად კეტავს.

რა შეემთხვა კაენს? ის გაჯიუტდა საკუთარ აზრებსა და მსჯელობაში. მის გულში შური შევიდა, რაც სწრაფად მოჰყვა განაწყენებას. შემდეგ მოვიდა სიძულვილი. მკვლელობის ჩაფიქრებამაც არ დააყოვნა და მოკლე დროის შემდეგ კაენმა თავისი ძმა რისხვაში მოკლა. ის აგრესიული გახდა და სრულიად დაკარგა ღვთის შიში. თავისი დამოკიდებულება ღვთის მიმართ უტიფარ პასუხში გამოხატა, როცა უფალი ძმის ამბავს ეკითხებოდა: „არ ვიცი. განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“ (დაბ. 4:9). იგი ცრუობდა, რადგან ნამდვილად იცოდა, სად იყო მისი ძმა.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ღმერთმა კარგად იცოდა, სად იყო აბელი. ასე ხდება, როცა ადამიანი თავის ცხოვრებაში მორჩილების გამოჩენას საკუთარი ნააზრევით ხელმძღვანელობას ამჯობინებს. ის კარგავს სულიერი საგნების რეალობასთან კავშირს. ღვთის ხატება საკუთარ დონესა და შეზღუდულობამდე დაჰყავს და თავი ღმერთზე ბრძენი ჰგონია. ასეთი პიროვნება არ არის საღ ჭკუაზე. ლუციფერი ამის უმთავრესი მაგალითია. ურჯულოებიდან აღმოცენებულმა მსჯელობამ ის მიიყვანა აზრამდე, რომ ღვთის დამხობას შეძლებდა. რა უგუნურებაა! და მაინც, მან მრავალი გაიყოლა ამ გზაზე (ეს. 14:12-17).

კაენისა და აბელის მეგობრები რომ ყოფილიყავით და შიდა სამზარეულოს ამბები არ გცოდნოდათ, მთელი ეს ვითარება საგონებელში ჩაგაგდებდათ. როგორ შეეძლო უსულგულო მკვლელობის ჩადენა ადამიანს, რომელმაც თავიდან გულმოდგინედ დაიწყო ღვთის მსახურება? ეს როგორ მოხდა? მან თავისი სამშვინველის კარი ცოდვის რჯულს გაუღო, რადგან ურჩობაში გაჯიუტდა. გაგიგონიათ გამოთქმა: „მიეცი ერთი ინჩი და მთელ მილს წაგართმევსო“? ის სრულყოფილად აღწერს ურჩობის რჯულს. თუ მას ცოტათი გაუღებ კარს, კაშხალზე გაჩენილ ბზარს დაემგვანება. საბოლოოდ, წყალი ნიაღვარივით გადმოხეთქავს.

სახარებით ხალხის მომსახურების პატივი მქონდა ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე არაერთხელ გავხდი ზემოხსენებული რჯულის მოქმედების მოწმე. მინახავს ღვთის მსახურებისთვის ენთუზიაზმით ანთებული ადამიანები. ისინი აქტიურობენ ეკლესიებში და გამუდმებით იესოზე ახარებენ. ისინი კაენს გვანან, რომელმაც გულმოდგინედ დაიწყო მსახურება. გადის დრო და გარკვეულ ვითარებებში აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთ სფეროში ისევ აქვთ საკუთარი ნების გატანის სურვილი. ეს შეიძლება კაენის მსგავსად მოხდეს ღვთის ძალაუფლების ან გადაცემული ძალაუფლების საწინააღმდეგოდ. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე ძალაუფლებასთან დამოკიდებულებას ეხება.

ვუყურებდი, ასეთები როგორ აცხადებდნენ უარს თავიანთი ნება-სურვილის დათმობაზე და ჯიუტად მიიწევდნენ საკუთარი გზით. დროის ამბავია, თუ როდის წალეკავს მათ ცხოვრებას ურჯულოების ნიაღვრები. შესაძლოა, ეს არ გამოვლინდეს მკვლელობის სახით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მისი რაღაც ფორმით გამომჟღავნება გარდაუვალია. ასეთების ხორცს სიხარბის, სიძულვილის, რისხვის, უპატიებლობის, ჩხუბის, ჭორაობის, სექსუალური ცოდვების ნიაღვრები ემუქრება და ათასი სხვა სახის ბოროტებით შებორკილები ხდებიან. ხშირად ასე ხდება, რომ მოტყუებულ და შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები თავს მართლად მიიჩნევენ ღვთის წინაშე, ხოლო ყველა სხვა ძალაუფლება მათ თვალში უკიდურესობაშია გადავარდნილი, ლეგალისტურია და საერთოდ არაფერი გაეგება.

კაენის ანალოგიურ შემთხვევებში, ღვთის უშუალო ძალაუფლების წინააღმდეგ ამბოხებულები მის ხატებას, ავტორიტეტსა და ძალას აკნინებენ და ადვილად მართვად დონეზე დაჰყავთ, რითაც უსაზღვრო უპატივცემულობას იჩენენ. ისინი მის უფლობას აღიარებენ, მაგრამ რეალურად, საკუთარი შეხედულებით შექმნილ ხატებას ემსახურებიან. ისინი ვერც კი აცნობიერებენ, რომ საკუთარი არგუმენტები გულში ღვთის ტახტსა და ძალაუფლებაზე მაღლა დააყენეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ვერ ხედავენ თავიანთ ნამდვილ მდგომარეობას, რაც მათ გულებში სიცრუის დამკვიდრებამ მოიტანა.

კაენის გული ყმაწვილკაცობისას ღვთის მსახურებისთვის ძგერდა. მაშინ მისთვის რომ გეთქვათ, „ერთ დღეს საკუთარ ძმას მოკლავ“, ელდანაცემი სასწრაფოდ გიპასუხებდათ: „შეუძლებელია! ამას არასოდეს გავაკეთებ!“ მიუხედავად ამისა, მოგვიანებით მან ცხოვრების კარი ურჯულოებას გაუღო და ის ჩაიდინა, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა.

ეკლესიის წიაღში ან მის გარეთ მყოფი ადამიანები ერთ დღესაც უფლის წინაშე წარდგებიან და მათივე ურჯულოების გამო გასამართლდებიან. მათი ცხოვრებისთვის თვალი რომ გედევნებინათ, არ იფიქრებდით, რომ სიცოცხლის დასასრულს ასეთი ხევდრი ერგებოდათ. ახლაც კი არ ჰგონიათ, რომ ურჯულოებაში ცხოვრობენ, თუმცა განკითხვის დღეს, როცა ჭეშმარიტება გამოვლინდება, ისინი გაოცდებიან: „როგორ გადავუხვიე ასე ძალიან ღვთიური გზების მორჩილებიდან?“ სამწუხარო პასუხი იქნება, რომ არ შეიყვარეს ღვთის საფარქვეშ დარჩენის ჭეშმარიტება.

მოტყუებული ადამიანებისთვის ერთადერთი იმედი არსებობს, რომ ღვთის მოწყალება თვალებს აუხელს და მისი ჭეშმარიტების სინათლე სიცრუის შავ ღრუბელს გაფანტავს. ჩემი გულის განწირული ძახილი და ამ წიგნის მიზანია, რომ ადამიანები დაცული იყვნენ ურჯულოების მაცდუნებელი ბატონობისგან, ხოლო უკვე შებორკილებს ჭეშმარიტების სინათლე მოეფინოთ და გათავისუფლდნენ. ჩემი სათქმელი მთელ მსოფლიოს მოვფინე და როცა დავინტერესდები, რამდენი ადამიანია ჩავარდნილი ურჩობის ცოდვაში, პასუხი ყოველთვის დამამწუხრებელია – როგორც წესი, 50 პროცენტზე მეტი. ბევრი განთავისუფლებული აღიარებს: „არ ვიცოდი, რომ ამბოხებული ვიყავი, სანამ ჭეშმარიტებამ გული არ გამინათა“.

ასევე მეც ვაღიარებ, რომ არ გახლავართ უმანკო ავტორი, რომელიც ურჯულოების ფარული ძალის ცდუნებაში არ ჩავარდნილა. არა! მეც ვიწვნიე მისი საშინელი მარწუხები და ღმერთმა თავისი მოწყალებით დამანახა გულისა და გზების შეცდომები. გაგიზიარეთ, რაც ვიცოდი და რისგანაც თავად გავთავისუფლდი. ჩვენი უფლის დიდად მადლიერი ვარ მისი საუცხოო წყალობისთვის!

ღმერთი სულგრძელობით გვიხელს თვალებს ურჩობის სფეროებში, მაგრამ კაენის შემთხვევის არ იყოს, ჭეშმარიტებას ვერ დავინახავთ, სანამ თავს არ დავიმდაბლებთ. მომდევნო თავში ჩვენი განთავისუფლების საქმეში გულის მოდრეკის მნიშვნელობას განვიხილავთ და ამავდროულად, სიამაყის სასიკვდილო შედეგებსაც გადავხედავთ.

თავი 6

ურჩობის შედეგები II

ნაწილობრივი მორჩილება საერთოდ
არ არის მორჩილება ღვთის თვალში.

ისრაელის პირველი მეფის, საულის ცხოვრება ცოცხალ სურათს გვთავაზობს, თუ რა ხდება, როცა ადამიანი ურჩობას ეთამაშება. მისი ტრაგიკული ამბავი ბევრ საფუძვლიან გაკვეთილს გვაწვდის. უფლის მიერ მის მიმართ ნათქვამ სიტყვაში საკვანძო მომენტებია დაფარული. საულის ცხოვრების განხილვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ღვთის ძალაუფლებისადმი არასრული დამორჩილების სულიერი შედეგების თაობაზე. თუ მივიღებთ, ეს გაგება გაგვაძლიერებს და საულის მარცხი ჩვენთვის საჭირო მითითება და გაფრთხილება გახდება. გვეუბნებიან, რომ „ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენ სასწავლებლად დაიწერა“ (რომ. 15:4) და „ყოველივე ეს, სანიმუშოდ დაემართათ მათ და აღწერილია ჩვენ შესაგონებლად, ვინც საუკუნეთა აღსასრულს მიაღწია“ (1 კორ. 10:11).

ნაწილობრივი მორჩილება

დავიწყოთ იმ მომენტიდან, როცა ისრაელის მთავარი წინასწარმეტყველი, სამუელი საულთან ღვთის სიტყვით მივიდა. მან მეფე გააფრთხილა, რომ ბეჯითად დაეცვა მითითებები: „ახლა წადი და დაეცი ყამალეკს და გაანადგურე ყველაფერი, რაც გააჩნია. ნუ დაზოგავ, მოკალი ყოველი მამაკაცი, დედაკაცი, ყრმა და ძუძუმწოვარი, ყოველი ხარი, კრავი, აქლემი და სახედარი“ (1 სამ. 15:3). მითითება პირდაპირი და მეტად კონკრე-

ტული გახლდათ. ყამალეკის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი რამ უნდა განადგურებულიყო, ადამიანი იქნებოდა თუ პირუტყვი. ყველა არსება უნდა მოეკლათ, ვისაც სიცოცხლის სული ედგა.

ყურადღება მიაქციეთ საულის პასუხს. მას არ უთქვამს, „ამას არ გავაკეთებ ... ეს დიდი სისასტიკეა!“ ხშირად, ამბოხების გაგება მეტისმეტად ცხად და აშკარა დაუმორჩილებლობამდე დაგვყავს. მალე აღმოვაჩენთ, რომ ასე ფიქრი სიმართლისგან შორსაა. არ გეგონოთ, რომ საული ჯერ დათანხმდა და შემდეგ გადაიფიქრა. დაუმორჩილებლობის ეს ფორმაც გასაგებია ჩვენთვის. არც ისე მომხდარა, რომ საულმა ამ დავალებას უპირატესობა არ მიანიჭა სხვა საქმეების ფონზე და შემდეგ გადაავიწყდა. ბევრისთვის ესეც არ იქნებოდა მორჩილება, მაგრამ კარგი განზრახვის გამო გასამართლებელ მიზეზად გამოდგებოდა. უმრავლესობა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ყველა ზემოთ შემოთავაზებული ნიმუში ურჩობის ფორმებია, მაგრამ ახლა ყურადღება ისევ საულს მივაპყროთ.

მან სასწრაფოდ შეკრიბა არმია და ყამალეკზე შეტევისთვის გაემზადა. ყველაფერი დიდებულად გამოიყურებოდა. ის მტერს თავს დაესხა და მოსრა ყველა მამაკაცი, ქალი, ბავშვი და ჩვილი. ათი ათასობით ადამიანი დაეცა საულის და მისი დიდი არმიის ხელით.

თუმცა საულმა ყამალეკის მეფე დაინდო. რატომ? შესაძლოა, იმ დროის კულტურის გათვალისწინებით. თუ ერს დაიპყრობდი და მის წინამძღოლს ტყვედ ჩაიგდებდი, შეგეძლო სასახლეში მონად გყოლოდა და ყველასთვის წარგედგინა ცოცხალ ნაალაფარად.

საულმა ათასობით ცხოველი დახოცა, მაგრამ საუკეთესო ცხვარი, ხარი, ნასუქი პირუტყვი და კრავი დაინდო და ხალხს დაურიგა, რომ ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირათ და ასე ვთქვათ, „ბიბლიურად“ მოქცეულიყვნენ. წარმოგიდგენიათ, როგორ შეაფასებდა ხალხი მის ამ დიდსულოვან ჟესტს? მათ იაჰვესთვის შესაწირად გამოყოფილი ცხოველები მიჰყავდათ და თან ფიქრობდნენ: *„რა ღვთისმოსავი მეფე გვყავს! უფალი ყოველთვის პირველ ადგილზე უყენია!“*

ღმერთი ამ ამბავს სულ სხვაგვარად ხედავდა. იგი წუხს სამუელთან საუბრისას: „ვწუხვარ, რომ გავამეფე საული,

რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს“ (1სამ.15:11). საულმა ათი ათასობით დახოცა და მხოლოდ ერთი დაინდო. მან ნაბრძანების 99 პროცენტი შეასრულა. ბევრი ჩვენგანი მის ამ ლაშქრობაში მორჩილებას დაინახავდა, მაგრამ ღვთისთვის ეს ურჩობა იყო. ფაქტობრივად, რამდენიმე მუხლის შემდეგ სამუელის პირით ამას თვითნებობა უწოდა. ამრიგად, ვისწავლეთ, რომ ნაწილობრივი მორჩილება საერთოდ არ ითვლება მორჩილებად ღვთის თვალში. თითქმის სრულყოფილი, 99 %-იანი მორჩილებაც კი არ არის ნამდვილი მორჩილება. ღმერთი მას ამბოხებად მიიჩნევს.

რამდენად ხშირად გვესმის ასეთი შენიშვნა: „რატომ არ ითვალისწინებ იმ ყველაფერს, რაც გავაკეთე? მხოლოდ იმ მცირედის ხაზგასმა გინდა, რაც არ გამიკეთებია!“ ამის თქმა საულს დანამდვილებით შეეძლო. მართალია, ადამიანები ასე აზროვნებენ, მაგრამ ღმერთი სხვაგვარად ფიქრობს!

სამუელი საულისკენ გაემართა და როცა მიუახლოვდა, მეფე დიდი ენთუაზიაზმით მიესალმა: „კურთხეული ხარ უფლისგან; აღვასრულე უფლის ბრძანება“ (1 სამ. 15:13). მის ხმაში სიხარული და თავდაჯერებულობა გამოსჭვივის. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საული გულწრფელი იყო. მას მართლა სჯეროდა, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც ებრძანა, თუმცა ღმერთმა მის ნამოქმედარს ამბოხება უწოდა.

როგორ ავხსნათ ეს დიდი განსხვავება ერთი ღამით ადრე ღვთის შეხედულებასა და საულის დარწმუნებულობას შორის? პასუხი ამ სიტყვებში ჩანს: „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“ (იაკ. 1:22). როცა პიროვნება მისთვის ნათლად გაცხადებულ ღვთის სიტყვას ეურჩება, მის გულს საფარველი ეფარება, რომელიც ამახინჯებს და აფერხებს ადამიანის აღქმას.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა საულმა ვერ შეძლო უფლის სიტყვის სრულად დამორჩილება. სამუელმა ადრეც უსაყვედურა ურჩობის გამო (1 სამ. 13:1-3). ალბათ, სხვა შემთხვევებიც იქნებოდა, რომლებიც ბიბლიაში არ ჩაწერილა. საულს ურჩობა ახასიათებდა. როცა ასეთი ქცევის წესი ფორმირდება, მეტისმეტად ძნელი ხდება ჭეშმარიტებისა და შეცდომის ერთმანეთისგან გარჩევა.

ცდუნების ფარდა

გახსოვთ, როცა პირველად შესცოდეთ გადარჩენის მიღების შემდეგ? მე მახსოვს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გულში დანა გამიყარეს. ღვთის შვილებისთვის ნაცნობია ეს განცდა. სულიწმიდისგან მხილება მოდის და გული გვეკუმშება. რა ხდება, როცა ჩადენილს ვამართლებთ და ამით ზურგს ვაქცევთ ნამდვილ მონანიებას? ორი რამ. პირველი, იგივე დაუმორჩილებლობის აქტის გამეორების საფრთხის წინაშე ვდგებით და მეორე, ჩვენს გულს ცდუნების ფარდა ეფარება, რაც მხილების განცდას ამცირებს და მას გონების ნააზრევით ცვლის.

შემდგომი დარღვევის დროს გულზე ისეთ მწარე დარტყმას აღარ ვგრძნობთ, რადგან ფარდა ეფარება, თუმცა შესაძლებელია პატარა დისკომფორტის განცდა. კიდევ ვამართლებთ თავს და გულს კიდევ ერთი ფარდა ეფარება, რითაც ჭეშმარიტების ძახილი უფრო მეტად იხშობა. თუ კიდევ შევცოდავთ, მხილების ოდნავ ჩქამს გავიგონებთ. თუ კიდევ გავიმართლებთ თავს, კიდევ ერთი სასიკვდილო საფარველი მოეხვევა ჩვენს გულს. თუ ისევ შევცოდავთ, საფარველი უკვე ისეთი სქელი ხდება, რომ მასში ვეღარ აღწევს მხილება – მხოლოდ თავის მართლება. სიცრუემ ჭეშმარიტება დაგვიმალა, ხოლო სინდისი დამფრთხალი და უგრძნობელია.

ამ მომენტისთვის პიროვნებამ, შესაძლოა, დაკარგოს ღვთისმოსაობის ყოველგვარი სახე ან რაც უფრო ხშირად ხდება, გარეგნულ სახეს ინარჩუნებს, მაგრამ მისი ცხოვრება დიდად არ განსხვავდება მათგან, ვინც ღმერთთან აღთქმაში არ არის. მართალია, ასეთი ადამიანი ქრისტიანობას აღიარებს, მაგრამ მისი ცხოვრება კეთილისა და ბოროტის რაობაზე საკუთარი მცდარი ცოდნის შესაბამისია. ახლა კეთილისა და ბოროტის შეგრძნება სხვა წყაროდან მოდის და არა ღვთის ცოცხალი სიტყვიდან, რომელიც სულიწმიდამ ჩაბერა ჩვენს გულებში. ისინი მათი მოტყუებული გულის კარნახით მოქმედებენ. ეს შეიძლება იყოს წმიდა წერილის ასო, რომელიც კლავს (2 კორ. 3:6) ან საზოგადოების შეხედულება სწორსა და არასწორზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მას ცოცხალ ღმერთთან შეხება არ აქვს. ახლა მათთან მიღწევის ერთადერთი გზა ღვთისგან გამოგზავნილი წინასწარმეტყველური წარგზავნილია.

სამნაბიჯიანი პროცესი

უფალი ადამიანს მზარდ პროცესში ჩართავს, რომ მისი ურჩობა გამოასწოროს. პირველი, იგი ყოველთვის ეცდება მის მხილებას. თუ ის არაერთხელ იტყვის უარს, მაშინ გულთან კავშირს და ღვთის მითითებების გაგონების უნარს დაკარგავს სიცრუის ფარდის მეშვეობით. ამის შემდეგ ღმერთი წინასწარმეტყველური სიტყვის მქონე მაცნეს გზავნის, როგორც სამუელი გაუგზავნა საულს. წინასწარმეტყველის ნამდვილი მსახურება მას თვალს აუხელს ღვთის გზების დასანახად. ღმერთს ნებისმიერი პიროვნების გაგზავნა შეუძლია წინასწარმეტყველური მისიით. აუცილებელი არ არის, რომ ადამიანი წინასწარმეტყველად დადგენილი იყოს. სიტყვა შეიძლება მოვიდეს პასტორის, მშობლის, უფროსის, მეუღლის ან მეგობრის მხრიდან. იაკობი განმარტავს, *„ჩემო ძმებო,* თუ ერთი თქვენგანი გადაუხვევს ჭეშმარიტებას და ვინმე მოაქცევს მას, იცოდეთ, რომ ცოდვილის ცდომილების გზიდან მომქცევი სიკვდილისგან იხსნის მის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს“ (5:19-20). ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ცოდვაში მყოფ მორწმუნეებს მიმართავდა. ასევე დააკვირდით ფრაზას „მრავალი ცოდვა“. ცდომილება არაერთი ურჩობის შედეგია.

თუ წინასწარმეტყველური მაცნის (მაცნეების) გაგზავნის შემდეგაც ვცოდავთ, ღმერთი ჩვენამდე მოღწევას სასჯელის მეშვეობით შეეცდება. პავლემ დაწერა: „თვითონვე რომ *განვიკითხავდეთ* ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი“ (1 კორ. 11:31). აქ გამოყენებულია ორი სხვადასხვა ბერძნული სიტყვა. პირველი, „თვითონვე რომ *განვიკითხავდეთ* ჩვენს თავს“, გახლავთ დიაკრინო და „საფუძვლიან გამოცალკევებას“ ნიშნავს (ეს მაშინ ხდება, როცა საკუთარ თავს გულმოდგინედ ვიკვლევთ, რომ ძვირფასს წიდა მოვაშოროთ). ამას ვაღწევთ ჩვენი ურჩობის აღიარებისა და მონანიების შემდეგ. მეორე შემთხვევაში, „აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი“, გამოყენებულია ბერძნული სიტყვა კრინო, რომელიც „დასჯას ან დაგმობას“ ნიშნავს. პავლე განაგრძობს: „ხოლო მსჯავრდადებულნი [კრინო, დასჯილნი], უფლის მიერ ვიწვრთნებით, რათა წუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი“ (მ. 32). ღმერთი დიდად არის მოწადინებული, რომ ჩვენივე ურჩობისგან

გამოგვაცალკევოს, რომ ქვეყნიერებასთან ერთად არ დავისაჯოთ (მათ. 7:20-23; ლუკ. 12:45-48).

ისმის კითხვა: როგორ სჯის ღმერთი მის ხალხს, როცა ისინი უგულებელყოფენ ან უარყოფენ წინასწარმეტყველურ გაფრთხილებას? როგორც წესი, პასუხი მოდის სირთულის, ავადმყოფობის ან რაიმე სხვა სახის გასაჭირით. მეფსალმუნე აცხადებს:

> „ვცდებოდი, ვიდრე დავისაჯე; ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ ... ვიცი უფალო, რომ სამართლიანია შენი განკითხვა, სამართლიანად დავისაჯე“. (ფს. 11:67,75)

თუ ეკლესიისადმი პავლეს სიტყვებს გადავხედავთ, ყველაფერი ცხადი გახდება: „ამის გამო ბევრია თქვენ შორის უძლური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს. თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი“ (1 კორ. 11:30-31).

ცოცხალი მაგალითი

ბევრი შემთხვევის მოწმე ვარ, თუ რა სასჯელს იღებდნენ ადამიანები ღვთის გამომასწორებელი პირველი ორი მეთოდის უგულებელყოფის შემდეგ. ერთ მეტყველ თვალსაჩინოებას ადრეულ 1990-იან წლებში მომხდარი ამბის სახით მოვიყვან, როცა ტექსასის ახალგაზრდულ ბანაკში ვქადაგებდი. კვირის დასაწყისი მეტად წინააღმდეგობრივი იყო, რადგან ახალგაზრდათა დიდმა ნაწილმა ცოდვების გამო დაკარგა უფლის მიმართ მგრძნობიარეობა. ყველა მსახურებაზე წინ გამოდიოდა რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟი და გოგონა და უმეტესწილად, სექსუალური ხასიათის ცოდვებს ინანიებდა. ისინი საოცრად იწმიდებოდნენ იესოს სისხლით. დიდი ინტერესით ველოდებოდი ბოლო საღამოს სულიერ გარღვევას იმ მონანიებათა გამო, მთელი კვირის განმავლობაში რომ დაითესა.

როცა ბოლო მსახურება დავიწყეთ, მივხვდი, რომ საქმე ისე არ წარიმართებოდა, როგორც მოველოდი. ისევ ვიგრძენი შესწორების საჭიროება და მონანიებისკენ მოწოდების აუცილებლობა. როცა ჩემი ლაპარაკის დრო დადგა, მიკროფონი ავიღე და ლოცვა დავიწყე. სულიწმიდამ მაჩვენა: *„ამ დარბაზში*

არის ერთი ამბოხებული ადამიანი. მიეცი მას კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ წინ გამოვიდეს.“ (წინა მსახურებაზე უკვე ვიქადაგე ამბოხების შესახებ). ახალგაზრდებს მოვუწოდე, მოსანანიებლად გამოსულიყვნენ. რამდენიმე მათგანი გამომეხმაურა, მაგრამ გულით ვხვდებოდი, რომ ის იქ არ იყო, ვისზეც სულიწმიდამ მიმითითა. გამოსულები მგრძნობიარე ჭაბუკები და გოგონები იყვნენ, რომელთაც ალბათ, სხვა სახის პრობლემები ჰქონდათ.

სულიწმიდა ისევ დაელაპარაკა ჩემს გულს: *„უთხარი იმ ადამიანს, რომ თუ ამ საღამოს არ მოინანიებს, სასჯელი მოვა მის ცხოვრებაში.“* ზუსტად ის გავიმეორე, რაც მან გულში მითხრა და კიდევ უფრო მეტი ვაჟი და ქალიშვილი გამოვიდა წინ, მაგრამ ისევ ვიგრძენი, რომ მათ შორის არ იდგა პიროვნება, რომელზეც სულიწმიდა მითითებდა.

ის ისევ დამელაპარაკა: *„უთხარი ამ ადამიანს, რა იქნება მისი სასჯელი, თუ არ მოინანიებს.“* მან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, რის შემდეგაც ისევ გავიგონე მისი ხმა: *„უთხარი მას, რომ სამ კვირაში მანქანას დაეჯახება საქარე მინით, თუ ამ საღამოს არ მოინანიებს!“*

შიშით და თრთოლვით გავიმეორე მის მიერ ნათქვამი სიტყვები. კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა გამოვიდა წინ, მაგრამ მათ შორის ისევ არ იყო ის, ვისზეც უფალი მელაპარაკებოდა. მან ნება დამრთო, რომ მსახურება გამეგრძელებინა და წინ გამოსულებისთვის მელოცა. ასეც მოვიქეცი. ამის შემდეგ სწორედ ისეთი ძალმოსილი მსახურება გვქონდა, როგორსაც ველოდებოდი. ბევრმა მიიღო სიტყვა უფლისგან. სხვებმა მსახურების მოწოდება გააცნობიერეს. ზოგიერთი განიკურნა და ცხოვრებისეული მიმართულება მიიღო. ეს ის საღამო იყო, რომელსაც ვერც ერთი ჩვენგანი მალე ვერ და შესაძლოა, ვერც ვერასოდეს დაივიწყებდა.

რამდენიმე თვე გავიდა. მე და ერთი ახალგაზრდების პასტორი ტელეფონით ვსაუბრობდით. მან ახალგაზრდულ ბანაკში მყოფებთან შემდგომი დაკავშირების ანგარიში წარმომიდგინა და ასე მითხრა:

– ჯონ, არის ერთი ახალგაზრდა უფროსკლასელი გოგონა, რომელმაც სხვებზე მეტი პრობლემა შეგვიქმნა. ის მუდამ გვეურჩებოდა და სირთულეებს ქმნიდა. გულში მივხვდი, რომ ეს

სწორედ ის გოგო იყო, რომელზეც იმ საღამოს სულიწმიდა ლაპარაკობდა. იმედგაცრუებული დავრჩი, რომ მოწოდებას არ გამოეხმაურა.“ (წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო ის გოგონა).

მან განაგრძო:

– სამი კვირის შემდეგ მანქანას შეასკდა, როგორც შენ გააფრთხილე. მანქანის შეკეთება შეუძლებელი იყო.

ავკანკალდი. მინდოდა, გამეგო, რა მოუვიდა მას. ვიცოდი, რომ ღვთის სულით ვლაპარაკობდი. იმედი მქონდა, რომ ის ღვთიურ მოწოდებას გაიგონებდა და ტრაგედიას აცდებოდა.

პასტორმა განაგრძო:

– ღმერთმა დაინდო მისი სიცოცხლე! ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მას შემდეგ მომჯობინდა. ახლა ის ყველაზე მეტად ანთებული გოგონაა ჩვენს ეკლესიაში. სრულიად სხვა პიროვნებად იქცა. მისი ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა!

შვება ვიგრძენი და აღტაცებაში მოვედი მის გამო. კიდევ ერთხელ მოისმინეთ დავითის სიტყვები: „ვცდებოდი, ვიდრე დავისაჯე; ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ.“

ნება მომეცით, ხაზი გავუსვა ერთ საკითხს. ღმერთს არ მოაქვს ჩვენზე უბედურება. თუმცა ის ხელს იღებს ჩვენს დაცვაზე და მტერს ნებას აძლევს, მოგვწიოს ის, რისგანაც მორჩილება გვიფარავდა. მეფსალმუნე აცხადებს:

„კაცი აამხედრე ჩვენზე; ცეცხლსა და წყალში გამოგვატარე
და სიუხვის ადგილზე მოგვიყვანე“. (ფს. 66:12)

სხვა თარგმანში ასე წერია: „გამოგვიყვანე და სიუხვის სისრულეში შეგვიყვანე“. იმ ახალგაზრდა გოგონას ყურადღება ავტოკატასტროფამ მიიპყრო. მან საავადმყოფოში მოინანია და ამის შემდეგ სიუხვის სისრულეში შევიდა. ღვთის თავდაპირველი მიზანი არ იყო მისი დასჯა, მაგრამ სხვა მეთოდების უმოქმედობის შემდეგ ეფექტური გამოდგა.

ვისურვებდი, შემძლებოდა იმის თქმა, რომ ყველა ანალოგიური შემთხვევის დასასრული სასიხარულოა, მაგრამ ასე არ გახლავთ. კიდევ ერთი ამბავი მახსენდება. ერთი ამბოხებაში მყოფი ახალგაზრდა კაცი ნაცნობმა მსახურმა გააფრთხილა. მან ეს ყურად არ იღო და მოკლე ხანში ავარიით ადგილზევე გარდაიცვალა. უამრავი დამოწმების მოყვანა შემიძლია – ვინც

მოინანია და კურთხეულ იქნა და ვინც მეფე საულის მსგავსად დაასრულა ცხოვრება.

მორჩილება მსხვერპლშეწირვის საპირისპიროდ

მოდით, საულის ამბავს დავუბრუნდეთ! სამუელმა დაინახა საულის მოტყუებული მდგომარეობა და მეყსეულად გაემართა საქმის არსში ჩასაწვდომად, როგორც ნამდვილ წინასწარმეტყველ მაცნეს შეეფერება. მან კითხვა დასვა: „მაშ ცხვრისა და საქონლის ბღავილი რატომ ესმის ჩემს ყურებს?“ უთხრა საულმა: „ყამალეკისგან გამორეკეს; ხალხმა საუკეთესო ცხვარი და საქონელი დაზოგა, რომ უფალს, შენს ღმერთს შესწიროს. დანარჩენი კი გავანადგურეთ“ (1 სამ. 15:14-15).

მან ჭეშმარიტების წინაშე აღმოჩენისას ბრალი ხალხს დასდო. „მე მინდოდა დამორჩილება“ – გულისხმობდა ის – „მაგრამ ხალხმა მაიძულა“. მოუნანიებელი გულის ადამიანი სხვებს დებს ბრალს, როცა დაუმორჩილებლობაში გამოიჭერენ და ამით საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას გაურბის.

ადამმა ღმერთი და ევა დაადანაშაულა, ხოლო ევამ – გველი. ადამი ერთი მხრივ მართალი იყო – ღმერთმა მისცა დედაკაცი და ამ ქალმა ხის ნაყოფი შესთავაზა, თუმცა მისთვის ძალა არავის დაუტანებია. მან ის საკუთარი თავისუფალი ნებით შეჭამა. დიახ, ევა აცდუნეს, მაგრამ მან თავად გააკეთა დაუმორჩილებლობის არჩევანი.

საული მიუძღოდა ხალხს და არა პირიქით. ის არა მარტო საკუთარი დაუმორჩილებლობისთვის იყო პასუხისმგებელი, არამედ ხალხის ურჩობაზეც. მას ჰქონდა მიცემული წინამძღოლობის და მითითების გაცემის ძალაუფლება. ლიდერებო, ყურადღებით მომისმინეთ! პასუხს აგებთ იმ დაუმორჩილებლობისთვის, რომლის უფლებასაც თქვენს მზრუნველობას მინდობილ ადამიანებს მისცემთ.

ყელი ისრაელის წინამძღოლი და სამუელის ზედამხედველი გახლდათ. მან კარგად იცოდა, რომ მისი ვაჟები ღვთის მცნებებს არღვევდნენ, მაგრამ არაფერს აკეთებდა. ის ხელზე მსუბუქად წამორტყმის მსგავს საყვედურს აძლევდა მათ და არ იყენებდა მათი მსახურებიდან ჩამოშორების ან შეკავების ძალაუფლებას. ამიტომ, ღმერთმა დაადგინა: „ნათქვამი მაქვს მისთვის, რომ

სამუდამო მსჯავრს დავდებ მის სახლს უმართლობისთვის, რადგან იცოდა თავისი ძეების უკეთურება და არ ალაგმა“ (1 სამ. 3:13). მარტო მისი ძეები კი არა, თავად ყელიც დაისაჯა.

გარდა ამისა, საულმა თავისი დაუმორჩილებლობა გაამართლა, თითქოს ცხვარ-ძროხა უფლის მსხვერპლშეწირვისთვის გადაინახა. ცხადია, საული მოტყუებული იყო, თუ ფიქრობდა, რომ ურჩობით ღვთისთვის საამებელ მსხვერპლს მოიტანდა ან მისთვის სათნო მსახურებას გაწევდა. ეს გახლდათ ამბოხების შემპარავი და მაცდუნებელი ფორმა.

იესომ ასეთი განაცხადი გააკეთა: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს“ (მათ. 16:24). ზოგიერთი იღებს ჯვარს და ყურადღებას ამახვილებს მისი ტანჯვის მხარეზე, როგორც მსხვერპლად მიტანილი ცხოვრების განსახიერებაზე. როგორც არ უნდა იყოს, იესოს ამ სიტყვებში ჯვარი არ არის ერთადერთი და სრულყოფილი მიზანი. შესაძლოა, თავი უარყოთ და მსხვერპლად მიიტანოთ, მაგრამ ღვთის ნება არ შეასრულოთ! ფაქტობრივად, შესაძლებელია იცხოვროთ თავის უარყოფით და მსხვერპლის გაღებით, მაგრამ მაინც ამბოხებული იყოთ ღვთის წინააღმდეგ!

იესოს ნათქვამში მთავარია მორჩილება. მორჩილების ერთადერთი გზა ჯვრის აღებაა. საკუთარი გეგმებისა და სურვილებისთვის სიკვდილის გარეშე ყოველთვის იარსებებს წინააღმდეგობა ღვთის ნებასა და ადამიანის სურვილს შორის. თუ საკუთარ ცხოვრებას არ უარვყოფთ, ჩვენი სურვილების შესრულების გზას ვიპოვით, რომელიც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება და საულის მსგავსად წმიდა წერილის ადგილებსაც მოვიყვანთ მის გასამყარებლად. საკუთარ თავს კითხვა უნდა დავუსვათ: „ღვთის მსახურება დაუმორჩილებლობას მოიცავს?“ თუ ასეა, სატანა დიდებას მიიღებს ჩვენი „სულიერი“ რელიგიური მსახურებიდან ან მსხვერპლიდან, ვინაიდან ის გახლავთ ამბოხების მოთავე და ბატონი.

ამ მომენტისთვის სამუელმა საულს მსჯელობა შეაწყვეტინა:

> „მაცადე და გეტყვი, რაც წუხელ მითხრა უფალმა“. თქვა საულმა: „ილაპარაკე“. უთხრა სამუელმა: „განა უღირსად არ მიგაჩნდა თავი, როცა ისრაელის ტომთა თავად და ისრაელის მეფედ გცხო უფალმა?! წარგგზავნა უფალმა

> გზაზე და გითხრა: წადი და ააოხრე ეს ცოდვილი ყამალეკი, მანამდე ებრძოლე, ვიდრე ბოლოს არ მოუღებ! რატომ არ შეისმინე უფლის ხმა, რატომ დახარბდი ნადავლს და რატომ მოიქეცი ბოროტად უფლის თვალში?“ (1 სამ. 15:16-19)

სამუელმა თქვა: „განა უღირსად არ მიგაჩნდა თავი, როცა ისრაელის ტომთა თავად და ისრაელის მეფედ გცხო უფალმა?“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საულ, როცა მეფე გახდი, უპრეტენზიო, თავმდაბალი და მოკრძალებული იყავი“. ვხედავთ, რომ სამუელისა და საულის პირველი შეხვედრისას, როცა ამ უკანასკნელმა მეფედ დადგენის შესახებ შეიტყო, ურწმუნოებით წამოიძახა: „არა, მე ბენიამინელი ვარ, ისრაელის ყველაზე მცირერიცხოვანი ტომიდან; ჩემი საგვარეულო კი უმცირესია ბენიამინის საგვარეულოთა შორის. რისთვის მეუბნები ამას?“ (1 სამ. 9:21). საული თავის თავს მეფედ არ აღიქვამდა. პირიქით, შეფიქრიანებული იყო, თუ რატომ აირჩია ღმერთმა მისნაირი უმნიშვნელო ადამიანი.

მოგვიანებით, როცა უფალმა ისრაელის წინაშე მისი წარდგენა მოისურვა. წილი ჰყარეს ტომებს შორის. მათგან ბენიამინის ტომი იქნა არჩეული, ხოლო ტომის შიგნით – საულის საგვარეულო და ბოლოს, თავად საული. „მიიყვანა ბენიამინის ტომი სახლეულების მიხედვით და მატრის სახლს ხვდა წილი; მერე კი საულს, კიშის ძეს, ხვდა წილი. დაუწყეს ძებნა და ვერ იპოვეს; კვლავ დაეკითხნენ უფალს: „უკვე მოვიდა ის კაცი?“ უთხრა უფალმა: „აჰა, აღალს არის ამოფარებული“ (1 სამ. 10:21-22).

საული გააოგნა იმ აზრმა, რომ ღვთის ერი უნდა ემართა. ის პატარა იყო საკუთარ თვალში. სამუელმა სწორედ ეს გაახსენა მას და განაგრძო: „ახლა უფალმა მისიაზე გაგაგზავნა და გითხრა: „წადი და ბოლომდე გაანადგურე“ ... რატომ იფიქრე, რომ უფალზე მეტი იცი? როდის გადააჭარბა შენმა სიბრძნემ უფლისას? ახლა მისი ადგილი დაიკავე? რატომ ცდილობ კეთილისა და ბოროტის განსაზღვრას ღვთის მიღმა არსებული წყაროდან? რა დაემართა ადრინდელ თავმდაბალ და უპრეტენზიო საულს?“

იცის თუ არა ნებისმიერმა ჩვენგანმა ღმერთზე მეტი? რასაკვირველია, არა! თუმცა, როცა არ ვემორჩილებით, სწორედ ამის თქმა გვსურს მისთვის და ჩვენ ირგვლივ მყოფთათვის. რა

უგუნურებაა იმის ფიქრი, რომ დიდების ტახტზე მჯდომარეზე ბრძენები ვართ. მან არა მარტო შექმნა სამყარო, არამედ ინარჩუნებს კიდეც მას. მან, შემოქმედმა განალაგა ვარსკვლავები თავისი თითებით. და მაინც, უბრალო ადამიანის სიბრძნეს ღვთისაზე მეტად ვამაღლებთ, როცა მის რჩევას უგულებელვყოფთ!

ამბოხება და ჯადოქრობა

სამუელმა საულს მიაპყრო მზერა და მისი წინასწარმეტყველური მსახურებისთვის დამახასიათებელი გაბედულებით განაცხადა:

> „მაგრამ მიუგო სამუელმა: „განა ისევე ეამება უფალს სრულადდასაწველნი და მსხვერპლნი, როგორც უფლის ხმის მორჩილება? აჰა, მორჩილება მსხვერპლზე უკეთესია და მოსმენა – ვერძის ლურთებზე. რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, კერპთაყვანისმცემლობა და თვითნებობა“. როგორც შენ უარყავი უფლის სიტყვა, ისე უფალმაც უარყო შენი მეფობა“. (1 სამ. 15:22-23)

სამუელმა ამბოხება (ინგლისურ თარგმანში) პირდაპირ ჯადოქრობას დაუკავშირა: „ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა.“ ტექსტი პირდაპირ ამბობს, რომ „ურჩობა (ამბოხება) *იგივე* ჯადოქრობაა“. წერილის კონტექსტიც ამას ადასტურებს. ერთია, ამბოხება ჯადოქრობას მიამსგავსოთ და სულ სხვა საქმეა იმის თქმა, რომ ეს პირდაპირ ჯადოქრობაა. რამდენი ადამიანია მისი ზეგავლენის ქვეშ გაუცნობიერებლად, როცა ამბოხების ცდუნებით მოქმედებენ.

სიტყვა *ჯადოქრის* ხსენებაზე თვალწინ წარმოგვიდგება შავებში ჩაცმული დედაბერი, რომელიც შელოცვებს ბუტბუტებს და ცოცხზე გადამჯდარი მოგზაურობს ან მომავალს კითხულობს ბროლის ბურთიდან, ხოლო იქვე ახლოს ღია ცეცხლზე ქვაბი თუხთუხებს. შესაძლოა, უფრო თანამედროვე ვერსია იყოს ადამიანი, რომელიც წყევლას წარმოთქვამს სხვებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად. მოდით, უკან მოვიტოვოთ ორივე კონცეფცია და ჯადოქრობის არსს ჩავწვდეთ, იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმას იღებს ის.

„ჯადოქრობის“ აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *ქესემ.* მისი შესატყვისებია *მკითხაობა, გრძნეულობა* და *ჯადო-*

სნობა. ექსპერტები ამბობენ, რომ დაუდგენელია ამ ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა ოკულტიზმთან კავშირში, ამიტომ მისი მრავალი თარგმანი გვხვდება (Theological Wordbook of the Old Testament, vol. 3, p. 805). აქ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა ფორმას ან მეთოდს, არამედ ჯადოქრობის შედეგს ან მიზანს.

ჯადოქრობა პირდაპირ დემონურ სამყაროს უკავშირდება. მისი მიზანია ვითარებების, სიტუაციებისა და ადამიანების *კონტროლი* სხვადასხვა გზების მეშვეობით, როცა თავად მონაწილე პირიც კი ვერ ხვდება, რა მოვლენები ვითარდება სულიერ სამყაროში. ჯადოსნობის პრაქტიკა მოქმედების ფართო სპექტრს მოიცავს მასში მონაწილე პირის სრული უცოდინარობით დაწყებული და სიბნელის ძალების ჩართულობის სრული გაცნობიერებით და ცოდნით დამთავრებული.

მონობა ურჩოგის მეშვეობით

მე, როგორც ყოფილ ახალგაზრდების პასტორს, ოკულტიზმთან ახლო კონტაქტის შესაძლებლობა მქონდა. იმ არეალის სკოლების უფროსი კლასები სავსე იყო სპირიტუალიზმის სხვადასხვა დონეზე გატაცებული მოსწავლეებით. ჩემი ახალგაზრდული მსახურების ლიდერები რეგულარულ ანგარიშებს მაწვდიდნენ ჯადოქრობასა და სატანიზმში ჩართულ კლასელებთან შეხვედრების შესახებ.

ოკულტურ პრაქტიკასთან დაკავშირებით ერთი ყველაზე საინტერესო პრინციპი ვისწავლე: როცა პიროვნება ჯადოქრების ჯგუფში გაწევრიანებას მოისურვებდა, ლიდერები ურჩევდნენ, რომ მიეღო ნარკოტიკები, ალკოჰოლური სასმელები, ჰქონოდა უკანონო სქესობრივი კავშირები, მოეპარა და ეკეთებინა სხვა მსგავსი საქმეები, რომლებიც შეურაცხყოფდნენ ღვთის კანონებს და ჩვენს მიწას ბილწავდნენ. ვერ ვხვდებოდი, რა იყო ამის მიზეზი, სანამ ღმერთმა თვალი არ ამიხილა, რომ „ამბოხება იგივე ჯადოქრობაა“.

მათ ასწავლიდნენ, რომ მეტ ძალას მიიღებდნენ, თუ უფრო მეტად აჯანყდებოდნენ და ისინიც ძალას ეძებდნენ. ეს მართალია, რადგან ამბოხება ჯადოქრობაა. რაც მეტი იქნებოდა მათი ამბოხების ხარისხი, მით მეტი ლეგალური მისადგომელი ექნებოდათ დემონურ ძალებთან. ამით ზეგავლენას, კონტროლსა

და გაძლიერებას მოიპოვებდნენ. ღვთის წესრიგისა და რჯულის, ასევე მის მიერ გადაცემული ძალაუფლების წინააღმდეგ ამბოხების შედეგად, გააზრებულად მოიპოვებდნენ დემონურ სამყაროსთან მისადგომს.

ეს იდეა ასახულია ჯადოქართა ე. წ. სატანურ ბიბლიაში. რამდენიმე წლის წინ, როცა მსახურების შემდეგ მე და ჩემი მეუღლე სასტუმროს ნომერში სატელევიზიო არხებს ვათვალიერებდით, ერთ არხს წავაწყდით სატანიზმსა და ჯადოქრობაზე. გადართვა დავაპირე, რაც ჩვეულებრივ, გონივრული გადაწყვეტილებაა, რადგან მორწმუნემ სულიერ ბრძოლაზე მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რაც ღვთის სულიდან მოდის. მიუხედავად ამისა, ვიგრძენი, რომ ერთი წუთით უნდა შემეხედა. შოუში სატანური ბიბლია განიხილებოდა. ჟურნალისტმა ნომერი პირველი მცნება გამოაცხადა: „გააკეთე ყველაფერი, რასაც მოისურვებ!“

ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. გონებაში მაშინვე ამომიტივტივდა ადგილი წმიდა წერილიდან. მეფსალმუნე ამბობს:

> „მაშინ ვთქვი - აჰა, მოვდივარ, როგორც გრაგნილში წერია ჩემზე. შენი ნების აღსრულება მწადია, ღმერთო და რჯული შენი ჩემს გულშია“. (ფს. 40:7-8)

იესომ თავის თავზე თქვა: „მე ჩემს ნებას კი არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას“ (იოან. 5:30). წლების კვლევით აღმოვაჩინე, რომ უფალი მას უახლოვდება, ვინც მის წინაშე მორჩილებით ცხოვრობს. გონება გამინათდა, რომ საწინააღმდეგოც ჭეშმარიტია: სიბნელის ძალები მათკენ მიიწევენ, ვინც ამბოხებაში ცხოვრობს. მცნება - „აკეთე, რაც გინდა!“ – ღვთის სიტყვის პირდაპირი გაუკუღმართებაა და შეესაბამება ღვთის ნათქვამს ამბოხებაზე.

სატანის სამსახურში ნებით დამდგარი ადამიანი ამ პრინციპს კარგად აცნობიერებს, დანარჩენები კი მოტყუებულები არიან. უმეცრებს ურჯულოება თავისუფლებაში ერევათ. ამბოხებაში თავისუფლებას ვერ იპოვით. ახალი აღთქმა ნათელ სურათს გვაწვდის, თუ რა ხდება სინამდვილეში. ისინი გახრწნილების მონები ხდებიან. პეტრემ მათი ცდომილება ასე გამოამჟღავნა: „თავისუფლებას პირდებიან მათ, თვითონ კი გახრწნილების მონები არიან, რადგან ვინც რისგანაა ძლეული, მისივე მონაა“ (2 პეტრ. 2:19).

ჭეშმარიტება ცხადია. იქ თავისუფლება არ არსებობს; ამის ნაცვლად არის ბორკილი და კონტროლი, რომელიც სულს დემონური ზეწოლისა და მმართველობის ქვეშ აქცევს. პავლემაც განიხილა ეს საკითხი: „ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის“ (რომ. 6:16).

იესომ ხაზი გაუსვა ხსენებულ პრინციპს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ყველა ჩამდენი ცოდვისა, ცოდვის მონაა“ (იოან. 8:34). გაიხსენეთ კაენის ურჩობა ღვთის შესაწირის არჩევის საქმეში? ამის შემდეგ ღმერთმა ნათლად გაუცხადა, რომ მისი არჩევანი მისივე ხვედრს განაპირობებდა. მას შეეძლო ღვთის ნების პატივისცემა და ცოდვის კონტროლისთვის (ჯადოქრობისთვის) კარის მიხურვა ან ამბოხება და მასზე გასაბატონებლად ჩასაფრებული ცოდვის პირისპირ აღმოჩენა ღვთიური დაცვისა და ძალის გარეშე.

სამუელმა საული გააფრთხილა ისევე, როგორც ღმერთმა – კაენი. ამბოხებამ მისი სამშვინველი მაკონტროლებელ სულებს გაუღო და მათი ზეგავლენით ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც საღ გონებაზე მყოფი არაფრით არ გააკეთებდა. საულმა, რეალურად, არ მოინანია. ბიბლია 1 სამ. 16:14-ში მიუთითებს, რომ არცთუ დიდი ხნის შემდეგ მის ცხოვრებაში მტანჯველი ბოროტი სული გამოჩნდა, რომელიც მას აწვალებდა. ამ დროიდან მოყოლებული, ბოროტ სულს კანონიერი მისადგომელი ჰქონდა მის ცხოვრებაში. საულისთვის მოსვენება აღარ არსებობდა, რადგან გულწრფელ მონანიებას ადგილი არ ჰქონია. ის სრულიად სხვა ადამიანად იქცა, რომელიც თავდაპირველი საულისგან დიდად განსხვავდებოდა.

მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მამისა და წინასწარმეტყველ სამუელის ძალაუფლებას ემორჩილებოდა და ყოველივე ღვთიურს პატივს მიაგებდა, იქცა ადამიანად, რომელმაც გათელა ის, რაც მისთვის აქამდე ძვირფასი იყო. მასთან რომ მისულიყავით ადრე და გეთქვათ, „საულ, დადგება დღე, როცა რისხვას ვერ დაიოკებ და ოთხმოცდახუთ უდანაშაულო მღვდელს ცოლ-შვილიანად დახოცავ!“, გიჟად ჩაგთვლიდათ. ასე იფიქრებდა: „შეუძლებელია! ამას არასოდეს გავაკეთებ!“ სიმართლე ის გახლავთ, რომ სწორედ ასე მოიქცა (1 სამ. 22).

საულს ბოროტი სული აკონტროლებდა და მის ცხოვრებაში უხვად გამოჩნდა შური, რისხვა, სიძულვილი, ჩხუბი, მკვლელობა და სიცრუე. ეს ყველაფერი მართავდა მას მოუნანიებელი ურჩობის მეშვეობით. იგი დევნიდა და დავითის მოკვლას ცდილობდა, რომელიც ღვთის ყველაზე ერთგული მსახური იყო. მისი აზრით, დავითმა უღალატა, თუმცა სინამდვილეში ღვთის გულის სანდომი ყმაწვილი გახლდათ. დემონური კონტროლის შედეგად საული ჭეშმარიტების ნაგლეჯებს ხედავდა სიცრუის სქელი ღრუბლის მიღმა. ამიერიდან სიმართლე სიცრუედ ექცა, ხოლო სიცრუე – რეალობად.

ოჰ, რამდენჯერ მინახავს ანალოგიური შემთხვევები! არა მარტო სხვების, არამედ საკუთარ ცხოვრებაშიც. ვიხსენებ ჩემი ცხოვრების იმ პერიოდს, როცა ურჩობაში ჩავეფალი და ტირილი მინდა იმ სიცრუის გამო, რომელშიც დავდიოდი. მაშინ ღვთიურ ძალაუფლებას ლეგალისტურად ან მცდარ მდგომარეობაში მყოფად ვთვლიდი, ხოლო ღვთისნიერი მეგობრები, ხშირად, მტრებად მიმაჩნდა. სხვა მეამბოხეებს დავუახლოვდი მხოლოდ იმისთვის, რომ დაუმორჩილებლობის ცეცხლით აგიზგიზებული ჩემი გულისთვის ნავთი მიმესხა. გვეგონა, რომ ღმერთთან ახლოს ვიყავით. იმაშიც დარწმუნებული გახლდით, რომ მან ჩვენი სახით „ახალი კატეგორიის“ მსახურები წამოწია. ოჰ, რა მოწყალე იყო ღმერთი ჩემს მიმართ! დაე, ფართოდ იყოს გახელილი თქვენი თვალები ამ ხრიკის დასანახად, რომ ჩემსავით არ გაებათ სიცრუის მახეში.

თავი 7

მოჯადოებული

ღვთის სიტყვის სინათლე სიცრუეს ააშკარავებს და ადამიანთა გულის ფიქრებსა და ზრახვებს განარჩევს.

ამბოხება ჯადოქრობაა. ურჯულოების ამ ფარული პრინციპის ზემოქმედება სახეზეა ჩვენს საზოგადოებაში და არანაკლებად ცხადია ჩვენს ეკლესიებში, თუმცა აქ შედარებით ფარული გზებით იპარება. ეს თავი სიღრმისეულ წარმოდგენას გვაძლევს ამბოხებაში მყოფი მორწმუნის ცხოვრებაზე ჯადოქრობის ზეგავლენის შესახებ. ურჩობიდან მომდინარე კონტროლის საკითხს ძველი და ახალი აღთქმებიდან, ასევე თანამედროვე აღწერილობებიდან შევისწავლით.

უარყოფილი წყევლა

უპირველესად, გადავხედოთ ისრაელს. უდაბნოში მოგზაურობისას აბრაჰამის შთამომავლებმა ბანაკი მოაბის ველზე დასცეს. არცთუ დიდი ხნის წინ ბაშანს შეუტიეს, დაამარცხეს და თითქმის გაანადგურეს ამორელები, რომლებმაც თავიანთ ტერიტორიაზე გავლის უფლება არ მისცეს.

როცა ისრაელი მოაბის მახლობლად დაბანაკდა, ბალაკი და მისი ხალხი, მოაბელები და მიდიანელები შეშფოთდნენ. ისინი შიშმა აიტანა. უფალი ასე დაპირდა ისრაელიანებს: „წინ წაგიმძღვარებ ჩემს შიშის ზარს და ძრწოლას მოვგვრი ყოველ ხალხს, ვისთანაც მიხვალ“ (გამ. 23:27). მათ იცოდნენ, რომ ისრაელმა ყველა ერი დაიპყრო, ვინც მათ წინ აღუდგა და სრულიად გაანადგურა ძლევამოსილი ეგვიპტე.

მეფე ბალაკმა ელჩები გაუგზავნა წინასწარმეტყველ ბილყამს და დახმარება სთხოვა. ის სულიერი გულმოდგინებით და გაგებით იყო ცნობილი. მეფემ იცოდა, რომ ბილყამის წინასწარმეტყველებები სრულდებოდა. მის მიერ ნაკურთხი, კურთხეული იყო და მის მიერ დაწყევლილი, იწყევლებოდა. წარგზავნილთა ორი ჯგუფის მიღების შემდეგ ბილყამი დათანხმდა მთავრების სათხოვარს და ბალაკთან გაყვა მათ ისრაელის დასაწყევლად. მეფის შემოთავაზებულმა ფულმა წინასწარმეტყველს სწორი გზიდან გადაახვევინა.

მომდევნო დღეს ისინი ბაყალის გორაკებზე ავიდნენ და ბილყამმა იქიდან გადახედა ისრაელს. მან მეფეს შვიდი სამსხვერპლო აღამართინა და თითოეულისთვის შესაწირი მოამზადებინა. ბილყამმა პირი გახსნა ისრაელის დასაწყევლად, მაგრამ ამის ნაცვლად კურთხევა გამოვიდა.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მეფე განაწყენდა. „ეს რა მიყავი? ჩემი მტრების დასაწყევლად მოგიყვანე და, აჰა, ლოცვით აკურთხე“ (რიცხვ. 23:11).

ამრიგად, ბილყამმა მეფეს უფრო მაღალ გორაკზე წაყვანა სთხოვა, რომ იქედან მაინც მიეცა მისთვის სასურველი. შესაძლოა, იქ უფრო მეტი ენერგია იყო დაგროვილი დასაწყევლად. ისევ აღიმართა შვიდი სამსხვერპლო და დამატებით საკლავიც შესწირეს, თუმცა ბილყამმა ბაგე გახსნა თუ არა, ჯადოქრული წყევლის ნაცვლად ისევ ისრაელის კურთხევა გამოვიდა.

პროცესი გაგრძელდა. ყოველ ჯერზე ცდილობდა წინასწარმეტყველი უფლის ერის დაწყევლას, მაგრამ კურთხევას წარმოთქვამდა. ბილყამის მეორე წინასწარმეტყველებაში ერთ საფუძვლიან განაცხადს ვხვდებით: „რადგან არაა შელოცვა იაკობის წინააღმდეგ და ჯადოქრობა ისრაელის წინააღმდეგ“ (რიცხვ. 23:23).

ბილყამმა თქვა, რომ ღვთის ერის წინააღმდეგ არც შელოცვა და არც ჯადოქრობა არ ჭრის! ეს ჭეშმარიტება თანამედროვეობას რომ მივუყენოთ, ასე ვიტყოდით: „არანაირი ჯადოქრობა არ ჭრის ღვთის ხალხზე და არც შელოცვა არსებობს მისი ეკლესიის წინააღმდეგ!“ (რიცხვ. 23:23-ის პარაფრაზი).

ამ აღთქმამ უნდა გაგვამხნევოს. რამდენიც უნდათ, იმდენი ბოდვა და ფუჭსიტყვაობა წარმოთქვან ჯადოქრებმა და გრძნეულებმა და ანთონ სანთლები. შეუძლიათ გააკეთონ თი-

ლისმები, მოაჯადოვონ და დაწყევლონ, მაგრამ ღვთის შვილს ვერაფრით ავნებენ. ისინი ვერ დაძლევენ ცოცხალი ღვთის ეკლესიას. იგ. 26:2 კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს ამ ჭეშმარიტებას: „ისევე არ მოეწევა კაცს დაუმსახურებელი წყევლა, როგორც ბელურის გაფრენა ან მერცხლის ნავარდი“.

უკან დაბრუნებული წყევლა

ისევ გავიხსენებ დღეებს, როცა ახალგაზრდების პასტორი ვიყავი. გოგონა, რომელიც თავისი სკოლის უფროს კლასებში წამყვანი ჯადოქარი იყო, იესოსთან მოვიდა. დედამისმა ჯერ კიდევ მაშინ მიუძღვნა სატანას, როცა მუცლად მყოფი ჩვილი გახლდათ. მოქცევის შემდეგ ჩემს დამხმარე პასტორს თავისი ცხოვრების შესახებ უამბო. მისმა ერთმა ნათქვამმა ჩემი ყურადღება მიიპყრო:

– ჩვენ ჯადოქრულ წყევლას არ წარმოვთქვამთ ქრისტიანებზე.

ჩემი ასისტენტი ჩაეკითხა:

– რატომ?

მან თქვა:

– იმიტომ, რომ მათზე წარმოთქმული წყევლა უკანვე გვიბრუნდება.

პასტორი ათრთოლდა.

ხედავთ? მისი ნათქვამი ბილყამის სიტყვებს ეთანხმება. პირველ წინასწარმეტყველებაში ასეთი კითხვა დასვა: „როგორ დავწყევლო? ღმერთი არ წყევლის!“ (რიცხვ. 23:8). ბილყამსაც რომ წარმოეთქვა წყევლა ისრაელის ძეებზე, უკანვე დაუბრუნდებოდა. დავითი იგივე აზრს ასე გადმოსცემს:

> „დამიფარე სიავის მოქმედთა ფარული ზრახვებისგან, სიმრუდის მოქმედთა *ამბოხისგან.* რომლებმაც მახვილივით აილესეს ენები, მწარე სიტყვას ისარივით მიმიზნებენ, რათა საფარიდან ესროლონ უდანაშაულოს; მოულოდნელად ესვრიან და არ ეშინიათ“. (ფს. 64:2-4)

წყევლას ამბოხებულები (ჯადოქრობაში ჩართულები) წარმოთქვამენ, მაგრამ ის მართლებს არ შეეხება. ნახეთ, რა ემართებათ მაწყევრებს:

„მაგრამ ღმერთი ესვრის მათ ისარს, მოულოდნელად დაწყლულდებიან. მათი ენების გამო დაანარცხებს მათ; თავს გააქნევს ყოველი მათი მხილველი“. (ფს. 64:7-8)

ისინი თავიანთ ენებზე წაბორძიკდებიან. სხვების საზიანოდ გამოშვებული სიტყვები მათვე დაუბრუნდება. დავითმა ასეთი მეტყველი სურათი გამოიყენა ამის აღსაწერად: „ბადე გაამზადეს ჩემთა ფერხთათვის; ჩემი სული მოიდრიკა; წინ ორმო გამითხარეს და თვითონ ჩაცვივდნენ შიგ“ (ფს. 57:6).

დაუმორჩილებლობისთვის ცდუნებული

ბილყამმა იცოდა, რომ იმ დროისთვის ისრაელიანების დაწყევლა შეუძლებელი იქნებოდა. ძალიანაც რომ სდომებოდა, მაინც ვერ მოაწევდა მათზე წყევლის შედეგებს. მოსემ ეს ვითარება ასე აღწერა: „რადგან პურითა და წყლით არ შემოგეგებნენ გზაზე, როცა გამოხვედი ეგვიპტიდან და დაიქირავეს შენს წინააღმდეგ ბილყამ ბეყორის ძე, შუამდინარეთის ფეთორიდან, შენს დასაწყევლად. არ ინება უფალმა, შენმა ღმერთმა, ბილყამის მოსმენა და წყევლა კურთხევად შეგიცვალა უფალმა, შენმა ღმერთმა, რადგან შეგიყვარა უფალმა, შენმა ღმერთმა“ (2 რჯ. 23:4-5). ეს ჩვენს შემთხვევაშიც ჭეშმარიტებაა.

განრისხებულმა მეფე ბალაკმა შეჰყვირა: „ჩემი მტრების დასაწყევლად მოგიხმე, შენ კი სამჯერ აკურთხე. ახლა, გაიქეცი შენს ადგილას; ვიფიქრე პატივს გცემ-მეთქი და, აჰა, დაგიკავა პატივი უფალმა“ (რიცხვ. 24:10-11).

მეფეს ბილყამისთვის დიდძალი ჯილდოს და საზოგადოებრივი პატივის მინიჭება სურდა, თუ ეს უკანასკნელი წარმატებით დაწყევლიდა საბედისწერო მტერს. არსებითად კი, მეფემ ეს თქვა: „დაივიწყე საზღაური. ჩანს, შენს ღმერთს არ სურს, რომ მოგცეს ის. წადი და თვალით აღარ დამენახო!“

ბილყამს პრობლემა ჰქონდა: მას ჯილდოს მიღების სურვილი კლავდა. სწორედ ამიტომ იყო იმ ადგილზე და ახლა ხელიდან ეცლებოდა. დანაკარგის თავიდან ასაცილებლად მეფე ბალაკს შეტევის სხვა გეგმა გაუზიარა. მართალია, ისრაელიანების დაწყევლა არ შეეძლო, მაგრამ იცოდა, როგორ უნდა მოექცია ისინი წყევლის ქვეშ.

უწყოდა რა ამბოხებასა და ჯადოქრობას შორის არსებული სულიერი კავშირის შესახებ, ბილყამმა მეფეს ისრაელიანთა ბანაკში მოაბელი ქალების გაგზავნა ურჩია. მეფემ მათ კერპები გაატანა და ისრაელიანი კაცების სექსუალურ ცოდვაში ჩათრევა უბრძანა, რომ ღვთის დადგენილებების წინააღმდეგ ამბოხებულიყვნენ. ბილყამი დარწმუნებული იყო, რომ ამბოხება მათ ჯადოქრული წყევლის ქვეშ მოაქცევდა.

ამ ამბის სინამდვილეში დარწმუნებული ვართ, რადგან მოსემ და იესომ მეფისთვის მიცემული რჩევის შესახებ ილაპარაკეს. მოსემ დაამოწმა: „განა, ბილყამის რჩევით არ აცდუნეს მათ ისრაელის ძენი? რათა ემუხთლათ უფლისთვის ფეღორზე და მომსვრელი სენი მოედო უფლის კრებულს?“ (რიცხვ. 31:16). მრავალი წლის შემდეგ იესომ ბილყამზე თქვა, რომ მან „ბალაკს ... ასწავლა და აცდუნა ისრაელიანები, რათა კერპთშენაწირი ეჭამათ და ემეძავათ“ (გამოცხ. 2:14).

ძალად თავსდატეხილი წყევლის შესახებ წმიდა წერილიც ლაპარაკობს. ბილყამის წინასწარმეტყველებების შემდეგ მალევე ვკითხულობთ: „დარჩა ისრაელი შიტიმში და დაიწყო ხალხმა მრუშობა მოაბელ ასულებთან; თავიანთი ღმერთების სამსხვერპლოებთან იწვევდნენ ხალხს ისინი და ჭამდა ხალხი და სცემდა თაყვანს მათ ღმერთებს. მიეწება ისრაელი ბაყალფეღორს და აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელზე“ (რიცხვ. 25:1-3). დიდმა ჭირმა იფეთქა და ისრაელის ძეები გაანადგურა.

შეუძლებელი იყო ისრაელის დაწყევლა, მაგრამ დაუმორჩილებლობამ ისინი ჭირის წყევლის ქვეშ მოაქცია: „ოცდაოთხი ათასი კაცი მოსრა ამ ჭირმა“ (რიცხვ. 25:9). ოცდაოთხი ათასი! აცნობიერებთ ამ განცხადების მთელ ტრაგედიას? დღეს ავიაკატასტროფის ან ქარიშხლის მიერ წაღებული ასობით სიცოცხლე მსოფლიო მნიშვნელობის სიახლე ხდება. აქ ლაპარაკია არა რამდენიმე ასეულზე, არამედ ოცდაოთხი ათას ადამიანზე! ეს იყო უდიდესი ერთეული შემთხვევა, როცა ისრაელმა ამხელა დანაკარგი ნახა უდაბნოში ცხოვრებისას. ყველაფერი ადამიანთა ამბოხებას მოჰყვა შედეგად.

უკიდურესმა ურჩობამ კარი გაუხსნა უკიდურეს ჭირს. მათი ამბოხება შემზარავი გახლდათ. ფაქტობრივად, ერთმა უსირცხვილო ისრაელიანმა მიდიანელი ქალი მოსესა და მთელი თემის თვალწინ ჩაატარა, როცა ისინი ღვთის წინაშე მოთქვამდნენ (რიცხვ. 25:6).

რამ შეაჩერა ჭირი? ალბათ, მიხვდებით – უკიდურესმა მორჩილებამ!

„დაინახა ფინხასმა, ელეაზარის ძემ, აჰარონ მღვდლის ძემ, წამოდგა შუაგულ კრებულში და შუბი აიღო ხელში. მიყვა ისრაელიანის კვალს მის კარვამდე და ორივე განგმირა შუბით, ისრაელიანი და ქალი - მუცელში; და შეწყდა ისრაელის ძეთა მოსრვა“. (რიცხვ. 25:7-8)

ნება მომეცით, ერთი რამ გამოვკვეთო: ღმერთი არ გახლავთ ჭირისა და სნეულებების ავტორი. ისრაელის ძეებმა აშკარა დაუმორჩილებლობა გამოიჩინეს და ღვთის ძალაუფლების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ამის გამო უფლის მფარველობა აღებულ იქნა მათგან და ღვთის ნებართვით მტერს კანონიერი მისადგომელი მიეცა. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ამბოხება ჯადოქრობაა და მაკონტროლებელ დემონურ ძალებს კანონიერად შემოსვლის უფლებას აძლევს. ისრაელი მისნის წყევლას გადაურჩა, მაგრამ ურჩობამ გაანადგურა.

ვინ მოგამწყვდიათ წყევლის ქვეშ?

ახლახანს განვიხილეთ ძველი აღთქმის მაგალითი, რომ ამბოხება ჯადოქრობაა. კიდევ ბევრი თვალსაჩინოება არსებობს, მაგრამ ახლა ახალ აღთქმას მივუბრუნდეთ. პავლე მოციქულმა გალატიის ეკლესიებს მკაცრი წერილი მისწერა. ეს წერილი ზოგადად გალატიის მოსახლეობას კი არა, კონკრეტულად, ეკლესიებს მიეკუთვნებოდა. ყურადღებით წაიკითხეთ პავლეს განაცხადი: „ჰოი, უგუნურო გალატელებო! ვინ მოგაჯადოვათ?“ (გალ. 3:1).

ერთი წუთით მოითმინეთ! პავლე ეკლესიას ეუბნება, რომ ჯადოქრული წყევლის ქვეშ იმყოფება! შესაძლოა, კითხვა დასვათ, „მე მეგონა, ღვთის ერის წინააღმდეგ არავითარი შელოცვა და ჯადოქრობა არ ჭრიდა?“ დიახ, ეს მართალია. არც ერთ მორჩილ ქრისტიანზე არ მოქმედებს წყევლა. და მაინც, გახსოვდეთ, რომ ამბოხება ანუ ურჩობა ადამიანს ჯადოქრობის გავლენის ქვეშ აყენებს.

გაიხსენეთ ჩემი დამხმარე პასტორის შეხვედრა ყოფილ ჯადოქართან, რომელიც გრძნეულებისგან გათავისუფლდა.

როცა გოგონამ დაინახა, რომ კაცმა აღფრთოვანება გამოხატა ქრისტიანების წყევლისგან დაცულობის გამო, სასწრაფოდ დაამატა: „პასტორო, ჩვენ შეგვიძლია, ზეგავლენა მოვახდინოთ ეკლესიის ნელთბილ ქრისტიანებზე [ურჩებზე]“. ამის დასტურად მოისმინეთ, რა თქვა პავლემ: „ვინ მოგაჯადოვათ, რომ არ დამორჩილებოდით ჭეშმარიტებას?“ (გალ. 3:1).

მოჯადოება გულისხმობდა ღვთის სიტყვის ურჩობას და არა ჯადოქრების წყევლას მათზე. რატომ? იმიტომ, რომ ამბოხება ჯადოქრობაა! არსებითად, გალატიის ეკლესია ჯადოქრულ წყევლას ურჩობის გამო დაექვემდებარა.

სანამ წინ წავიდოდეთ, მინდა ერთ საკითხს ნათელი მოვფინო. მოჯადოებულები ვხდებით მაშინ, როცა ღვთისგან უკვე გაცხადებულ სიტყვას არ ვემორჩილებით და არა მაშინ, როცა ურჩობას ვიჩენთ ჯერ კიდევ გაუცხადებელი სიტყვის მიმართ. ეს ნათელი ხდება პავლეს შემდგომი სიტყვებიდან: *„ჰოი, უგუნურო გალატელებო! ვინ მოგაჯადოვათ, რომ არ დამორჩილებოდით ჭეშმარიტებას? თქვენ, ვის თვალწინაც აღიწერა ჯვარცმული იესო ქრისტე!“ (გალ. 3:1)*

ეს კონკრეტული შემთხვევა უნივერსალურ ჭეშმარიტებას მოიცავს. ღმერთმა მადლით გადარჩენა განუცხადა იმ ეკლესიებს პავლეს ქადაგების მეშვეობით. დიდი ხანი არ გასულა, რაც სხვაგვარი აზროვნება და ტრადიციები მიიღეს და ეურჩნენ ადრე სულიწმიდისგან ძალზე ნათლად გაცხადებულ სიტყვას. მათ დაიწყეს იმ რწმენით სწავლება და ცხოვრება, რომ გადარჩენა რჯულის საქმეების დაცვით მოდის. თუმცა აქ გვინდა ხაზი გავუსვათ უნივერსალურ ამოსავალ წერტილს: როცა ვეურჩებით ღვთისგან ნათლად გაცხადებულს, საკუთარ თავს ჯადოქრული წყევლის ზეგავლენის ქვეშ ვაყენებთ. რატომ? იმიტომ, რომ ამბოხება ჯადოქრობაა.

ანალოგიური რამ მინახავს მთელ თემში, ოჯახებში და ცალკეულ ადამიანებში. ბევრ ეკლესიაში მოსიარულეს შევ-ხვედრივარ, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო თითქმის მუდ-მივ ურჩობაში ცხოვრობენ. ბევრმა არაფერი იცის მის სისას-ტიკეზე, რადგან გახევებული არიან ე. წ. მადლის ცალმხრივი სწავლებით, რომელიც მორჩილების მნიშვნელობას აკნინებს. მათ ცხოვრებაში ერთ კრიზისს მეორე ცვლის. ყოველთვის ებრძვიან რაღაც პრობლემას ან ცოდვას, რომელზეც ვერ იმარ-

ჯვებენ. ისინი ერთ მახეს დაუძვრებიან იმისთვის, რომ მეორეში გაებან. ყოველი შემდგომი ვითარება წინაზე უარესია. ეს პრობლემები შთანთქავენ მათ დროს, ენერგიას და შემოსავალს. სადღაც ადგილი მიეცა კანონიერ დემონურ ზეწოლას ან ზეგავლენას. დაუმორჩილებლობა მათ ადვილ სამიზნედ აქცევს.

მინახავს, როგორ ზარალდება მათი ქორწინება. უარესიც, გაყრის მსხვრევამდე მიდის. სხვები კარიერულ წინსვლას ვერ ახერხებენ, უფრო მეტიც, სამუშაოს კარგავენ. ზოგიერთები ქურდობის, ფინანსური კრიზისისა და ტრაგედიის მსხვერპლნი ხდებიან. გაღიზიანებულები სასოწარკვეთით დაეძებენ, ვის დასდონ ბრალი. ხშირ შემთხვევაში ასეთები აღმოჩნდებიან მშობლები, პასტორი, უფროსი, მეუღლე, ბავშვები, მთავრობა ან სხვა ადამიანები, რომლებიც მათ მოსაზრებებს არ ეთანხმებიან.

ფაქტობრივად, სახეზეა ორი დამნაშავე, რომლებიც ერთმანეთით იკვებებიან. პირველი გახლავთ სიცრუე. მათი გულები სიბნელის ღრუბელშია მოქცეული, რადგან უარი თქვეს ღვთის სიტყვის მორჩილებაზე. მეორე დამნაშავე მაკონტროლებელი სულების აბურდული მახეა, რომლებიც ურჩობის გამო ადამიანის ნებას უტევენ. პავლე არიგებდა ადამიანებს, რომლებსაც საქმე ჰქონდათ ამბოხებაში მყოფ მაღიარებელ მორწმუნეებთან: „სიმშვიდით არწმუნებდეს მოწინააღმდეგეთ, იქნებ მისცეს მათ უფალმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად, რათა გონს მოეგონ და გათავისუფლდნენ ეშმაკის მახიდან, რომელმაც საკუთარი ნებისამებრ დაატყვევა ისინი“ (2 ტიმ. 2:25-26). პრობლემა: მოტყუებული ტყვეები სხვებს ადანაშაულებენ, რომ საკუთარ ურჩობას დაემალონ. ამის გაკეთება სწორედ იმას ფარავს, რისგანაც უნდა განთავისუფლდნენ.

მადლობა ღმერთს მისი სიტყვისთვის. მისი ნათელი ავლენს სიცრუეს და ადამიანის გულის ფიქრებსა და ზრახვებს განარჩევს. სამწუხაროდ, ურჩობის გამო დაზარალებულთა უმეტესობა რაიმეს სწავლაზე უარს აცხადებს. ისინი დაუმორჩილებლობის უდაბნოში ხეტიალს განაგრძობენ და ყველას ადანაშაულებენ იმის ნაცვლად, რომ საკუთარი მცდარი გზებიდან რაიმე ისწავლონ.

მოჯადოებული

„თანაგრძნობა არ გაქვს“

ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა ადამიანმა რაღაც ისწავლა. ერთ საერთაშორისო მსახურებაზე რეგულარული ქადაგების პატივი მქონდა, რომელიც ეკლესიისა და ბიბლიის სკოლისგან შედგებოდა. მიყვარდა და ვაფასებდი მის წინამძღოლს, რომელმაც გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. ერთ დღესაც ამ ადამიანმა დამირეკა და მითხრა:

– ჯონ, ამ მსახურების ყველა ახლო მეგობარს ვურეკავ, რომ ვამცნო, რა მოხდება მალე. არ მინდა, რომ ეს ამბავი სხვა წყაროებიდან გაიგონ. უნდა გითხრა, რომ ცოლს ვეყრები. თვრამეტი წელია დაქორწინებული ვართ და ჩანს, რომ აზროვნებასა და ცხოვრებისეულ ხედვაში განსხვავებული მიმართულებები გვაქვს აღებული. უკვე ვერაფერს ვაკეთებთ ერთად, როგორც წყვილი და ძალიან განსხვავდება ის საგნები, რაც მოგვწონს. წლებია, ვცდილობთ გაუმჯობესებას, მაგრამ ყველაფერი უარესისკენ მიდის.

არ მჯეროდა, რასაც ვისმენდი. ჩემთვის ვფიქრობდი: *არა, გთხოვ, ამას ნუ გააკეთებ!* ძალიან მიყვარდა ეს წყვილი და მათი მსახურება. გაოგნებული და ენაჩავარდნილი ვიყავი.

ვდუმდი, პასტორი კი ლაპარაკს განაგრძობდა:

– ჯონ, იცი, რომ იესო ძალიან მიყვარს და თუ შეცდომას ვუშვებ, ის მაჩვენებს.

წინამძღოლი კიდევ რამდენიმე წუთს მელაპარაკა ამ ამბავზე და საუბარი დაასრულა. მე თითქმის არაფერი მითქვამს, რადგან ამ ამბის მიღება მიჭირდა და ელდანაცემი ვიყავი.

მთელი დღის მანძილზე ვერ გადავხარშე გაგონილი. არაერთხელ გავიმეორე მოსმენილი სიტყვები. *ვფიქრობდი, რომ ეს ცუდი სიზმარი იყო.* ამ ფორიაქში ვიგრძენი, რომ სულიწმიდა იმ ადამიანთან დარეკვას და ჭეშმარიტების თქმას მთხოვდა.

მეორე დილით დავრეკე. კარგად მქონდა ნაფიქრი, რომ ნათქვამი სულიწმიდით ნაკარნახევი პასუხი ყოფილიყო და არა რაიმე რეაქციონური. ჩემი ხმა რომ იცნო, პასტორმა მკითხა:

– გამარჯობა, ჯონ, რა ხდება?

ასე დავიწყე:

– გაყრასთან დაკაცშირებით მინდა ცოტაოდენი ვილაპარაკოთ. რაიმე ამორალურ ქცევას ხომ არ ჰქონია ადგილი თქვენი მეუღლის მხრიდან?

პასუხი ასეთი იყო:

– არანაირად!

მაშინ ვუთხარი:

– არასწორია, რის გაკეთებაც გადაგიწყვეტიათ. იესომ ნათლად თქვა, რომ გაყრის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ ღალატი შეიძლება იყოს (მათ. 5:32). მალაქიას წიგნი გვეუბნება, რომ ღმერთს გაყრა სძულს, რადგან ეს ჩვენს სამოსელს ძალადობით ფარავს (2:16). გუშინ მითხარით, რომ იესო გიყვართ და თუ არასწორად იქცევით, დაგანახებთ. რატომ უნდა დაგანახოთ, როცა ეს საკითხი უკვე გააცხადა თავის სიტყვაში? როგორ შეგიძლიათ ღვთის გაცხადებულ ნებას აშკარად შეეწინააღმდეგოთ? თუ ასე მოიქცევით, როგორ დადგებით კათედრასთან მრევლის წინაშე ან ბიბლიის სკოლაში და როგორ ეტყვით, რომ სიწმიდეში უნდა დარჩნენ და ცოდვას შეეწინააღმდეგონ? საკუთარ თავს და მსახურებას გასაჭირისა და სიცრუისთვის იმეტებთ.

პასტორმა შემაწყვეტინა და მკაცრად მითხრა:

– ჯონ ბევირ, შენ ჩემი ცხოვრებით არ გაგივლია და თანაგრძნობა არ შეგიძლია!

ყურმილში კიდევ ერთი ხმა გავიგონე, ტელეფონის გათიშვის ზუმერი. მსახურმა ყურმილი დამიკიდა. ოცდაათი წუთის შემდეგ ჩემი ოფისიდან მაცნობეს, რომ დაგეგმილი მსახურება გამიუქმეს (იქ წასვლას სამ თვეში ვგეგმავდი). ცოლს ვუთხარი:

– ვიცოდი ამას რომ იზამდნენ, მაგრამ ასე სწრაფად არ ველოდი.

ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყდა და მოგვიანებით, ერთმა ცნობილმა მსახურმა, რომელმაც იქ გაიარა, მითხრა, რომ ჩემი სახელი „ტალახში“ ამოსვარეს. იგივე აზრზე ვრჩებოდი, *რომ გავაკეთე ის, რაც ნამდვილ მეგობარს უნდა გაეკეთებინა.*

სასჯელით გამოფხიზლებული

ჩემდა გასაკვირად, შვიდი თვის შემდეგ ზემოხსენებულმა პასტორმა დამირეკა:

– ჯონ, შენთან გულითადი ლაპარაკი მინდა. იცი, რა მოხდა, როცა ყურმილი დავკიდე და შენი მსახურება გავაუქმე? ერთი თვის შემდეგ თირკმელებმა მიმტყუნა და გადარჩენის 50 %-იანი შანსი მომცეს. მეორე დიალიზის შემდეგ გამოვფხიზლდი და

საკუთარ თავს ვუთხარი: „ამას რას ვაკეთებ გაყრის გამო?“ მივხვდი, რომ ძალიან ვცდებოდი. თირკმელების პრობლემა ჩემი გამოსაფხიზლებელი ზარი იყო. მეუღლეს დავურეკე და მოვინანიე. ბიბლიის კოლეჯში ვთქვი: „ჯონ ბევირის მსახურება გავაუქმე, რადგან მან გაყრის შეცდომაზე მიმითითა. ახლა უნდა დავურეკო და ვნახო, დაბრუნდება თუ არა“. ამრიგად, ჯონ, დაბრუნდები?

– რასაკვირველია, – მივუგე მე.

ძალიან მიხაროდა ამ ადამიანის გამო და მისდამი ჩემი პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა. გარდა ამისა, მისი გამოჯანმრთელება იმაზე სწრაფად მოხდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ერთიი წლის შემდეგ შესაფერისი თირკმლის დონაცია განხორციელდა. პასტორს ერთი მსახურებაც არ გაუცდენია და ასეთი პროგრესი ექიმებს აკვირვებდა. მონანიების შემდეგ მის ცხოვრებაში უფრო მეტი სულიერი ძალაუფლება და ძალა მოვიდა. ახლა, წლების შემდეგ, ეს პასტორი გაცილებით შედეგიანად წარმართავს მსახურებას, ვიდრე ოდესმე და მეტად მოთხოვნადი მქადაგებელია ბედნიერი ოჯახით. ყოველთვის, როცა ამ წყვილს ვხვდები, ადვილი დასანახია ერთმანეთის მიმართ მათი სიყვარული. ვერც კი იფიქრებთ, რომ რამდენიმე წლის წინ გაყრამდე რამდენიმე ნაბიჯი აშორებდათ.

სამთვენახევრიანი ავადმყოფობა

ჩემთვის ადვილი იყო იმ მსახურის თანაგრძნობა განკითხვის გარეშე, რადგან წლების წინ ანალოგიურ პრობლემაში გავიარე. ეს არ ეხებოდა ქორწინებას, არამედ დაუმორჩილებლობას მსახურების ერთ-ერთ სფეროში. როცა მესინჯერ ინტერნეშნალი დავაფუძნეთ, უფალმა ნათელი მითითება მომცა, რომ მსახურების შესაძლებლობა არასოდეს მიმეღო მისი ნების გაგების გარეშე, რაც არ უნდა მიმზიდველი ყოფილიყო ის.

მაშ ასე, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენს მსახურებას გაფართოების შესანიშნავი შანსი მიეცა. თუმცა ლოცვაში ღმერთი მე და ჩემს მეუღლეს ცალ-ცალკე მტკიცე „არას“ გვეუბნებოდა. შემოთავაზება არ მივიღეთ. მიუხედავად ამისა, მეორე მხარე დაჟინებული იყო. ამან სიამოვნება მომგვარა და მისაღებად განმაწყო. დიდი ხანი არ გასულა, რომ ლოგიკურად დავიწყე იმ სიტყვის უარყოფა, რომელიც თავდაპირველად

ღვთისგან მივიღე. დავიბენი და გონება ყოველგვარი სახის სიტყვებმა დამიბნელა. ჩემი ცოლი შეეცადა რჩევის მოცემას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ვერ გადამარწმუნებდა. ბოლოს იქამდე მივედი, რომ შემოთავაზება მივიღე.

ხსნის მიღების შემდეგ ჯანმრთელობით კურთხეული ვიყავი და არასოდეს შემხვედრია რაიმე ავადმყოფობა (ღმერთს ჰქონდეს დიდება!) იშვიათად თუ გავცივდებოდი და ისიც მალე გადიოდა 24-36 საათში. დარწმუნებული ვარ, რომ იესომ ჯვარზე სიკვდილით არა მარტო პატიება მოგვიტანა, არამედ ღვთიური ჯანმრთელობითაც დაგვაჯილდოვა (ეს. 53:4-5; ფს. 103:2-3). იმ დღეს, როცა ზემოხსენებული შემოთავაზების მიღების საქმეში წინ წავიწიე, ავად შევიქენი და თავიდან ვერაფრით ავიცილე.

ყველაფერი გრიპით დაიწყო. ეს მეორე შემთხვევა იყო მას შემდეგ, რაც ცხრამეტი წლის გავხდი. რამდენიმე დღე ვებრძოდი მას, მაგრამ ვირუსიც დამერთო. მე და ჩემი მეუღლე ქალაქიდან გასული ვიყავით ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად, მაგრამ რამდენიმე დღეში სხეულის ტემპერატურამ 100 გრადუსს (ცელსიუსით 37.7) გადააჭარბა და დასვენება ჩაგვეშალა. კვირის ბოლოს უნდა მექადაგა, თუმცა სიცხისა და ციებისგან ვიტანჯებოდი. ციებ-ცხელება მომდევნო კვირასაც გაგრძელდა, როცა კანადაში შეკრებები გვქონდა. მაღალი სიცხით ვქადაგებდი და მომდევნო მსახურებამდე ჩემს ოთახში ვბრუნდებო, საწოლში ვწვებოდი და ვკანკალებდი. ძალა თითქმის სრულიად გამომეცალა.

ციება მესამე კვირასაც გაგრძელდა. ვერ ვხვდებოდით, რა იყო ამის მიზეზი. ასეთი არასოდეს არაფერი დამმართნია. ვლოცულობდი და ღვთის სიტყვის გამოყენებით ვიბრძოდი, მაგრამ ვერ ვიშორებდი. ბოლოს ექიმთან წავედი. მან ძლიერი ანტიბიოტიკი გამომიწერა და მალე ნორმალურ მდგომარეობას დავუბრუნდი.

წამლის მიღების დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ მაგრად გავცივდი ისე, რომ სხეულიდან მთელი ენერგია გამომეცალა. საცოდავ დღეში ვიყავი. ყელის ტკივილი, გაბრუებული თავი და ყველა სხვა უქეიფობის სიმპტომი სახეზე იყო. ეს რამდენიმე კვირა გაგრძელდა, სანამ მსახურება დასრულდებოდა.

გაციებიდან განკურნების შემდეგ კედელზე ავძვერი და მუხლი დავიზიანე. ისე მძიმედ ვიყავი, რომ მოგზაურობისას ინვალიდის სავარძელში ვიჯექი და შემდეგაც კარგა ხანს კოჭლობით დავდიოდი. ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და კიდევ

ერთი ვირუსი შემხვდა. სიცხე 38 გრადუსის ზევით ავიდა და ვერაფრით ვიგდებდი. ისევ დამჭირდა რეცეპტი. როგორც ჩანდა, ერთი კვირაც ვერ ვძლებდი რაიმე დახმარების გარეშე. მთელი ეს ციკლი სამნახევარ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ჩემი ცოლი ერთი დღითაც არ გამხდარა ავად. ფიზიკური პრობლემების გარდა სხვა პრობლემებიც გამოჩნდა. ერთ ოპონენტს ვებრძოდი და ისე ჩანდა, რომ მის ადგილიდან დაძვრას ვერ მოვახერხებდი. ჩემზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. ჩემმა გაცნობიერებულმა ურჩობამ წყევლის ქვეშ დამაყენა!

მყისიერი შვება ნამდვილი მონანიების შემდეგ

ოთხი თვე გავიდა და ჩემი ცოდვა ვაღიარე. მიუხედავად ამისა, დადებული პირობა თავს მახსენებდა და თუ სასწაულებრივი ჩარევა არ მოხდებოდა, გამოსავალს ვერ ვპოულობდი. მე და ლიზამ ხელები ჩავჭიდეთ; მოვინანიე და ღმერთს წყალობა ვთხოვე. მან დაგვიხსნა გრძელვადიანი კონტრაქტისგან, რომელშიც თავი გავყავი.

რამდენიმე თვის შემდეგ მე და ჩემი ცოლი განვლილ პერიოდზე ვმსჯელობდით და ჩემი ავადმყოფობა დაუმორჩილებლობას დავუკავშირეთ. მივხვდით, რომ ადრინდელი ჯანმრთელობა მონანიებისთანავე აღმიდგა. იმ დროს არსებული სხვა პრობლემებიც გადაიჭრა და გაქრა.

მაშინ გამიცხადდა იაკობის სიტყვები. ხშირად მომყავდა ეს მუხლი: „წინაღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან“ (იაკ. 4:7). წარსულში შეტევის შეგრძნებისთანავე სიბნელის ძალებს ღვთის სიტყვით ვეწინააღმდეგებოდი და შედეგებს ვხედავდი, თუმცა იმ განსაცდელის პერიოდში არაფერმა მიშველა. როცა მას თავი დავაღწიე, მივხვდი, რომ იაკობის ნათქვამიდან მხოლოდ ნახევარი მომყავდა: „ამრიგად, დაემორჩილეთ ღმერთს, წინაღუდექით ეშმაკს და იგი გაიქცევა თქვენგან.“ (4:7).

ეშმაკთან დაპირისპირება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ღვთის ძალაუფლებას მორჩილებით ვექვემდებარებით. გალურჯებამდე შეიძლება ვაღიაროთ წმიდა წერილის მუხლები, მაგრამ ურჩობის შემთხვევაში შედეგი არ იქნება.

საფარქვეშ

მნიშვნელოვანი განმარტება

გთხოვთ, გაიაზროთ ერთი რამ: აუცილებელი არ არის, რომ ადამიანი დაუმორჩილებლობაში იყოს ყოველთვის, როცა განსაცდელშია, ავად არის ან პრობლემებს ებრძვის. ბევრი მორჩილებაში ცხოვრებისთვისაც იტანჯება. დავითი ასეთი კაცი იყო. მის გულში ადგილი არ ჰქონდა ამბოხებას. ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ წინამძღოლის რისხვა დატეხოდა თავს. მიუხედავად ამისა, გამოქვაბულებში, უდაბნოებსა და უდაბურ ადგილებში ცხოვრება უწევდა. ის გახლდათ კაცი სახლისა და სამშობლოს გარეშე. წლების მანძილზე მაწანწალასავით ცხოვრობდა გაჭირვებაში. ზოგიერთი განიკითხავდა მას და მისი ცხოვრებაში არსებულ სიძნელეებს დაუმორჩილებლობას უკავშირებდა. გარჩევის უნარის მქონე ადამიანები დავითის ცხოვრებაში ღვთის ხელს ხედავდნენ, რომელიც ახალი ტიპის მეფეს ქმნიდა და უფლის კეთილგანწყობაც საგრძნობი ჩანდა. მისი სიბრძნით ეს ცხადი ხდებოდა.

არაერთი მაგალითი არსებობს, როცა მორჩილი ადამიანი იტანჯება: იესო, იოსები, ხანა, დანიელი, იერემია და იობი მრავალ სხვათა შორის. მორჩილის ტანჯვასა და ჯადოქრობის ზეგავლენის ქვეშ მყოფთა შორის განსხვავება ის არის, რომ მორჩილის ცხოვრებაში სულიერი წინსვლა ჩანს. ასეთები კედელს თავით არ ანგრევენ და მთას გარს არ უვლიან უმიზნოდ.

კაენის შემთხვევა სრულიად განსხვავებულია. მისმა ურჩობამ დიდი ტანჯვა გამოიწვია. განაწყენებულმა უარი თქვა მონანიებაზე, რაც ცხოვრებისეულ წყევლად ექცა. მთელი ცხოვრება ლტოლვილობასა და წანწალში გაატარა. მისი უმიზნო და უიმედო ხეტიალი გაფრთხილებაა მომდევნო თაობებისთვის.

ასეთი განცხადებით მინდა, დავასრულო: ბოლო ორი თავის ჭეშმარიტებებს სხვათა განსაკითხად ნუ გამოიყენებთ. შესაძლოა, მათი ტანჯვა გამოცდა იყოს, საიდანაც ღმერთი განდიდდება. განხილული თავის მიზანია თქვენი დახმარება ღვთის ძალაუფლების დაუმორჩილებლობის სასტიკი შედეგების გაცნობიერებაში. თუ ურჩობაში ხართ, მოყვანილი ჭეშმარიტებები საკუთარი თავის განსასჯელად გამოიყენეთ და სიცოცხლის გზას დაუბრუნდით.

ნაწილი 3

ღვთისგან დადგენილი საფარველი

თავი 8

იცის თუ არა ღმერთმა, ვინ არის სათავეში?

თუ ვისწავლით ღვთის მორჩილებას, მისი ძალაუფლების
სხვაში ამოცნობის პრობლემა არ გვექნება.

უკვე დავადგინეთ ღვთის პირდაპირი ძალაუფლების მორჩილების მნიშვნელობა. ახლა განვიხილოთ მის მიერ გადაცემული ძალაუფლების საკითხი, რომლისადმი მორჩილებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ფონის შესაქმნელად მეორე თავში ხაზგასმულ მონაკვეთს მოვიშველიებთ:

> „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას; ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ღვთის დადგენილებას ეწინააღმდეგება, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“. (რომ. 13:1-2)

მმართველი ძალაუფლება

პირველი, რას წარმოადგენს „მმართველი ძალაუფლება“? ამ კონკრეტულ ტექსტში პავლე სამოქალაქო მმართველობაზე ანუ ხელისუფლებაზე საუბრობს. თუმცა შეგონების სიტყვები მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლების მიმართ არ გამოიყენება და გადაცემული ძალაუფლების სხვა სფეროებსაც მოიცავს.

ახალი აღთქმა გადაცემული ძალაუფლების ოთხ განსხვავებულ მიმართულებაზე ლაპარაკობს: სამოქალაქო, საეკლესიო, ოჯახური და საზოგადოებრივი. საზოგადობრივში შევიყვანე: დამსაქმებლები, მასწავლებლები და უფროსები. ახალი აღთქმა განსაკუთრებულ მითითებებს გვაწვდის თითოეული ამ სფეროსთვის. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევებში დარიგება მოცემულ საზღვრებს სცდება და გადაცემული ძალაუფლების ყველა სფეროზე ვრცელდება.

ყურადღება მიაქციეთ საწყის სიტყვებს, „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას“. ბერძნული სიტყვა *„ემორჩილებოდეს“* გახლავთ *ჰუპოტასო.* ის სამხედრო ტერმინია და ნიშნავს „არმიის წესრიგით მოწყობას ხიელმძღვანელის ბრძანებაზე“. სამოქალაქო მნიშვნელობით სიტყვა ითარგმნება, როგორც „მოხალისეობრივი დამოკიდებულება რაღაცისთვის თავდადების, თანამშრომლობის, პასუხისმგებლობის აღების ან ტვირთის ტარების საქმეში“ (Thayer's Greek dictionary). მარტივად რომ ვთქვათ, მუხლი ხელისუფლების სრულ მორჩილებას გვავალდებულებს და ეს საკუთარი ნებით უნდა მოვიმოქმედოთ.

ყოველი სული უნდა დაემორჩილოს ხელისუფლებას, რადგან ღმერთმა მმართველები დაგვიყენა ცხოვრებაში. ყოველგვარი ძალაუფლების საწყისი ღმერთამდე მიდის. გამონაკლისი არ არსებობს. ფაქტობრივად, ამ მუხლში სიტყვა დადგენა, რომელიც გახლავთ ბერძნული *თასო,* ნიშნავს *„დაყენებას“.* დაყენებაში ვერაფრით მოვიაზრებთ „შემთხვევითობას“. ეს პირდაპირი დანიშვნაა. ვინაიდან ღმერთმა დააყენა ყოველგვარი ძალაუფლება, არსებულის უპატივცემულობა ან მის დამორჩილებაზე უარის თქმა მის უკან მდგარი ძალაუფლების მორჩილებაზე უარის თქმას ნიშნავს. ამას ვაცნობიერებთ თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში ღვთის დადგენილებას ანუ წესებს ვეწინააღმდეგებით. გადაცემულ ძალაუფლებას თუ ვუპირისპირდებით, თავად ღმერთს ვუპირისპირდებით!

როცა ქრისტიანებს ხელისუფლებასთან შეხება გვაქვს, კონკრეტული პიროვნებების, ქცევის ან პატივის მდგომარეობის მიღმა ხედვა უნდა შევძლოთ და ადამიანს ვემორჩილებოდეთ იმის გამო, რომ მის ზემოთ ღვთის ძალაუფლება დგას. მნიშვნელობა არ აქვს, მოგვწონს ხელისუფალის პიროვნება ან მისი მმართველობის სტილი, ვეჭვობთ მისი მხრიდან ამ პოზიციის

დაკავების მართებულობას თუ არა, მას მაინც პატივი უნდა მივაგოთ. ხშირად ისე ხდება, რომ მორწმუნეები აღიარებენ ღვთის დაქვემდებარებას, მაგრამ უგულებელყოფენ გადაცემულ ძალაუფლებას. ისინი მოტყუებული არიან!

თუ ვისწავლით, როგორ დავემორჩილოთ ღმერთს, შევძლებთ მისი ძალაუფლების ამოცნობას სხვაში. არსებობს თუ არ შანსი, რომ დაგვჭირდეს არჩევანის გაკეთება ღვთის უშუალო ძალაუფლებასა და მის მიერ გადაცემულ ძალაუფლებას შორის? დიახ! თუმცა ამის ალბათობა არც ისე ხშირია, როგორც მორწმუნეები ფიქრობენ. მხოლოდ ერთი გამონაკლისი არსებობს, რომელსაც ერთ-ერთ მომდევნო თავში ვრცლად განვიხილავთ. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ მთავარი – ბევრი ქრისტიანის აზრით, მორჩილება გამონაკლისია, ხოლო პირადი თავისუფალი ნება – წესი. ამ ტიპის აზროვნების კვალზე სიარული ნგრევამდე მიგვიყვანს. როგორც წინა თავებში დავინახეთ, შედეგები საზარელია. ეს არა მარტო ღვთის სასჯელის საფრთხეს გვიქადის, არამედ დემონურ ძალებს კანონიერ მისადგომელს აძლევს ჩვენს ცხოვრებაში. თუ გვსურს ღვთის მორჩილებაში დარჩენა და კურთხევის მიღება, მხოლოდ ერთი არჩევანი გვაქვს, როცა ლაპარაკია გადაცემულ ძალაუფლებაზე – დაქვემდებარება და მორჩილება.

ბოროტი მთავრობა ღვთისგან დაყენებულია?

ამრიგად, მითითებას გვაძლევენ, რომ ყოველგვარი ხელისუფლება ღვთისგან დადგენილია და მას პატივისცემით და ამ პოზიციისადმი დაქვემდებარებით უნდა ვუპასუხოთ. ხშირად, ამ მომენტისთვის ადამიანები გონებაში კედლებს აღმართავენ. გავრცელებული კონტრმტკიცებულება ასეთია: „როგორ მეუბნებით, რომ ისინი ღვთისგან არიან დადგენილები?“ გავიხსენოთ პავლეს ნათქვამი, რომ ყოველგვარი ძალაუფლება *ღვთისგანაა*. მას არ უთქვამს, რომ ყოველი ძალაუფლება *ღვთისნიერია*. ხელისუფლება ღვთისგანაა, მაგრამ მისი საქციელი შეიძლება არ იყოს ასეთი. მოდით, ყველაზე უარესი სცენარი წარმოვიდგინოთ ჰიტლერის ან სტალინის მსგავსი მმართველების კატეგორიიდან. ამ ორმა ადამიანმა თავი გამოიჩინა, როგორც გასული საუკუნის ყველაზე ბოროტმა წინამძღოლებმა. ყველანი ვთანხმდებით, რომ ამ კატეგორიის მმართველი მეტისმეტად სასტიკი და ბოროტია. ხომ მართალია?

ახლა ფარაონზე, ეგვიპტის მმართველზე ვილაპარაკოთ. ისიც ნამდვილად შედის ზემოხსენებულ კატეგორიაში. მისი მმართველობისას ისრაელი მეტისმეტად დაიჩაგრა. მან ხალხი დაიმონა და გააღატაკა, ფიზიკურად თუ გონებრივად ძალადობდა მათზე და თითქოს ეს საკმარისი არ იყო, ათასობით ბავშვი დახოცა ცივი გონებით. ამ კადნიერ და ქედმაღალ მმართველს არც ადამიანის სიცოცხლე ადარდებდა და არც ღმერთს უწევდა ანგარიშს. საიდან მოვიდა მისი ძალაუფლება? როგორ მოხდა, რომ ღვთის ერი მის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა? ნუთუ შემთხვევითობას ჰქონდა ადგილი?

წერილის თანახმად, ღმერთმა ფარაონს ასე უთხრა მოსეს პირით: „იმისათვის გტოვებ“ (გამ. 9:16). პავლემ ეს დაადასტურა რომაელთა მიმართ წერილში (რომ. 9:17). ორივე მონაკვეთიდან ვასკვნით, რომ ეს სწორი აზრია და არა შეცდომა, რომელიც ორი მოწმის მიერ არის დადასტურებული (იოან. 8:17). ეჭვგარეშეა, რომ ღმერთმა და არა ეშმაკმა დაადგინა ფარაონი ძალაუფლების პოზიციაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფარაონს ღმერთმა მიანიჭა ძალაუფლება აბრაჰამის შთამომავლებზე. ეს სრულად შეესაბამება ნათქვამს – „არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“.

მოდით, განვიხილოთ, როგორ აღმოჩნდა ღმერთთან აღთქმაში მყოფი ერი ამ ბოროტი მმართველის დაქვემდებარებაში. ღმერთი გამოეცხადა აბრაჰამს, როცა ის სამოცდათხუთმეტი წლის იყო და უთხრა, რომ მისგან დიდ ერს შექმნიდა, თუ დაემორჩილებოდა. აბრაჰამი ასეც მოიქცა და იმდენად აამა ღმერთს, რომ მას „რწმენის მამა“ ეწოდა (რომ. 4:11-12). აბრაჰამის მორჩილების პასუხად ღმერთმა მას აღთქმა დაუდო. აღთქმის დადების პროცესში ღმერთმა ასე უთხრა: „იცოდე, ხიზნებად იქნებიან შენი შთამომავალნი სხვის ქვეყანაში; *დამონებული* და *დაჩაგრული* ეყოლებათ ოთხასი წელი“ (დაბ. 15:13).

რა მწარე გადასაყლაპი აბია! უამრავი ძისა და შვილიშვილის მამა რომ ვყოფილიყავი, არ გამიხარდებოდა ამის გაგება. ამას ვერც მაშენებელ წინასწარმეტყველებას და ნუგეშისცემას ვერ ვუწოდებ. კარგად დაფიქრდით! ამჟამად ახალი ათასწლეულის პირველ საუკუნეში ვცხოვრობთ. ღვთის ნათქვამის თანახმად, ასეთი მოპყრობა ჩემს შთამომავლობაზე გავლენას იქონიებდა ჩვ. წ.-ით 2400 წლამდე! ალბათ, მაცდუნებელი აზრიც შემომეპარებოდა: *ნუთუ ეს არის მორჩილების საპასუხო აღთქმა* და

კურთხევა? კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ღმერთმა ამის შესახებ ისაკის დაბადებამდე განაცხადა.

ეს მათი ცუდი საქციელის გამო მოხდა?

ვიღაცამ შეიძლება იფიქროს: „უფალმა აბრაჰამს წინასწარ იმიტომ აცნობა ეს ამბავი, რომ მისი შთამომავლობა დაუმორჩილებელი გახდებოდა და ამის გამო ფარაონის მმართველობას დაექვემდებარებოდა ცუდი ქცევისთვის სასჯელის სახით, თუმცა თავდაპირველად, ღმერთი ამას არ გეგმავდა!“ მოდით, გამოვიკვლიოთ და ვნახოთ, რამდენად ზუსტია ამგვარი მსჯელობა!

პასუხის გასაცემად ჯერ უნდა გავიგოთ, როგორ აღმოჩნდნენ ისინი ფარაონის ხელქვეით. აბრაჰამის ძე, ისაკი ღვთისმოშიში ადამიანი იყო, რომელიც მორჩილებასა და სიწმიდეში ცხოვრობდა. მას და მის ცოლს, რებეკას, ორი ძე ჰყავდათ: უფროსი ესავი და მომდევნო, იაკობი. ძმები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ღმერთმა თავისი მოსაზრება მათ დაბადებამდე გააცხადა: „იაკობი შევიყვარე, ხოლო ესავი შევიძულე“ (რომ. 9:13).

იაკობმა თავდაპირველი გზასაცდენილობა ღმერთთან შეხვედრით დაასრულა ფენუელში (დაბ. 32). ამ შეხვედრამ ღვთიური კურთხევის აღთქმა მოიტანა მის ცხოვრებაში და სახელიც შეეცვალა. მას ისრაელი ეწოდა, რაც ნიშნავს „მთავარი ღმერთთან“. ამის შემდეგ მისი ცხოვრების წესში თავის ძლიერი მიძღვნა ვლინდება. მან ოჯახს კერპთაყვანისმცემლობისგან განთავისუფლება უბრძანა, რომ ღვთის წინაშე წმიდანი დარჩენილიყვნენ. ამის შედეგად, ურწმუნოებს ღვთის შიში დაეცათ, როცა იაკობის სახლეული ქანაანის გზას ადგა (დაბ. 35).

ისრაელი თორმეტი ძის მამა გახლდათ. მეთერთმეტე იოსები ათვალწულებული იყო დანარჩენი ძმებისგან, რადგან მამას გამორჩეულად უყვარდა. ღმერთმა იოსებს ორი განცალკევებული წინასწარმეტყველური სიზმარი აჩვენა, რომ დიდი წინამძღოლი გახდებოდა და ძმები მოემსახურებოდნენ. სიზმრებმა ისე გააღიზიანა ძმები, რომ მისი მოშორება დაისახეს მიზნად და განახორციელეს კიდეც, როცა ეგვიპტეში მონად გაყიდეს.

იოსებმა ეგვიპტის მიწაზე უკიდურესი მარტოობისა და სასოწარკვეთის დროსაც კი შეინარჩუნა უფლისადმი ერთგუ-

ლება. ფარაონის ერთ-ერთ დიდებულთან ათწლიანი მსახურების შემდეგ ცილი დასწამეს ბატონის ცოლზე ძალადობის ბრალდებით. ორ წელზე მეტი ხნით აღმოჩნდა მიწისქვეშა საპატიმროში გამომწყვდეული, მაგრამ იქაც მტკიცე და ერთგული დარჩა. შემდეგ უფალმა ფარაონის ორი მსახურის სიზმრების ახსნისთვის გამოიყენა, რომლებიც ასევე პატიმრები იყვნენ. ერთი სიკვდილით დასაჯეს; მეორე გადარჩა და თავის თანამდებობას დაუბრუნდა, მაგრამ იოსები, ამ უკანასკნელის თხოვნის მიუხედავად, რაღაც დროით არც კი გახსენებია. იოსებს ღვთისთვის ახლაც არ უღალატია.

გარკვეული ხნის შემდეგ ფარაონი სიზმარმა შეაჭირვა. აღდგენილმა მსახურმა იოსებზე მოახსენა. ის დილეგიდან გამოიძახეს ფარაონის სიზმრის ასახსნელად. განმარტების თანახმად, შვიდი უხვმოსავლიანი წლის შემდეგ ეგვიპტეს დიდი შიმშილობა ემუქრებოდა. ღმერთმა სიბრძნე მისცა იოსებს და მან ფარაონს სიუხვის წლებში მოსავლის მარაგის შენახვა ურჩია. ფარაონი გააოცა მისმა გონიერებამ და სასწრაფოდ აღაზევა ეგვიპტეში მეორე კაცად ფარაონის შემდეგ.

იოსების ღვთისმოსავი მამა, ისრაელი ქანაანის მიწაზე იმყოფებოდა და მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. ღმერთმა მას არაფერი გაუმხილა. ერთი წუთით შეჩერდით და დაფიქრდით ამაზე: ღმერთმა ფარაონს აჩვენა, რა იყო მოსალოდნელი, მაგრამ მის ერთგულ და მასთან აღთქმაში მყოფ მსახურს, ისრაელს – დაუმალა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ეს იქნებოდა აბრაჰამის მთელი შთამომავლობის ეგვიპტეში გადასახლების საშუალება. შიმშილობის ორი წლის შემდეგ ისრაელმა ძეები ეგვიპტეში გაგზავნა ხორბლის საყიდლად. ამის გარეშე დაიღუპებოდნენ. ის ერთადერთი ადგილი იყო წასასვლელად, რადგან მხოლოდ ეგვიპტე მოემზადა შიმშილობისთვის და საზრდო მოიმარაგა უფლის სიბრძნის მეშვეობით. ღმერთმა ეს ერი გაამდიდარა იმის შედეგად, რაც ფარაონს გაუმჟღავნა. იგი უვლიდა ამ ქვეყანას, რომ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი გამხდარიყო ერებს შორის. ესეც მის მიზანს ემსახურებოდა.

როცა ისრაელის ძეები ეგვიპტეში ჩავიდნენ, ისინი იოსების წინაშე წარადგინეს, მაგრამ მათ ძმა ვერ იცნეს. გასაკვირი არ არის. ვინ იფიქრებდა, რომ მონა ტახტზე ავიდოდა? მეორე მხრივ, იოსებმა ისინი იცნო, შესაძლოა, კიდეც ელოდებოდა მათ

გამოჩენას, მაგრამ თავი არ გაამჟღავნა. ისინი უფასო ხორბლით აკურთხა, მაგრამ გეგმა შეადგინა, როგორ დაეტოვებინა ერთ-ერთი ძმა, რომ დანარჩენები უკან მობრუნებულიყვნენ. როცა საჭმელი გაუთავდათ, ისრაელის ყველა ძე ეგვიპტისკენ გაემგზავრა. როცა ყველანი შეიკრიბნენ, იოსებმა თავისი ვინაობა გაამხილა.

ამის გაგებამ ძმები დააფრთხო. იოსები ისეთ პოზიციაზე იყო, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ძმებზე შური ეძია ღალატისთვის. ამის ნაცვლად მან ისინი ანუგეშა:

„იოსები ვარ, თქვენი ძმა, ეგვიპტეში რომ გაყიდეთ. ახლა ნუღარ სწუხართ და ნუღარ ბრაზობთ საკუთარ თავზე, აქ რომ გამყიდეთ. თქვენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად *წარმომგზავნა ღმერთმა.* რადგან ეს ორი წელია შიმშილია ქვეყანაზე და კიდევ ხუთი წელი არ იქნება ხვნა და მკა თქვენს წინ წარმომგზავნა ღმერთმა, ქვეყნად თქვენი ნატამალის დასატოვებლად, რათა დიადი ხსნით შეგი-ნარჩუნოთ სიცოცხლე. *თქვენ კი არ წარმომგზავნეთ აქ, არამედ ღმერთმა“.* (დაბ. 45:4-8)

მისი პასუხის შემდეგ, ალბათ დაინტერესდებით: ნუთუ ამდენი ხანი დაჰყო ეგვიპტეში, რომ მისი აზროვნება შეიცვალა? შესაძლოა, მას დაავიწყდა ტკივილის, ღალატისა და მარტოობის წლები. ბოლოს და ბოლოს, როგორ შეეძლო მოსიყვარულე ღმერთს მისთვის ამდენი ტანჯვის გაგზავნა? როგორ გაიმეტა ისრაელის ყველაზე ერთგული და მორჩილი ძე მონობისა და დილეგისთვის თორმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, როცა დანაშაული არაფერში მიუძღოდა? უფრო მეტიც, როგორ გაგზავნა ღმერთმა მასთან აღთქმაში მყოფი ერი ქვეყანაში, სადაც ერთხელაც ყველა დროის უსასტიკესი მმართველის ხელში ჩავარდებოდნენ? ნუთუ მართლა სჯეროდა იოსებს, რომ ღმერთმა არა მარტო დაუშვა ეს, არამედ დაგეგმა კიდეც?

გახსოვდეთ, რომ ორი მოწმის პირით მტკიცდება ყოველი ჭეშმარიტება. მოისმინეთ, რას წერს მეფსალმუნე წლების შემდეგ:

„შიმშილს მოუხმო დედამიწაზე და ყოველი სახსარი პურისა შემუსრა. გაგზავნა მათ წინ კაცი; მონად გაიყიდა იოსები. გატანჯეს ბორკილებით მისი ფეხები, რკინა

> მისწვდა მის სულს. ვიდრე ასრულდებოდა მისი ნათქვამი, უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი“. (ფს. 105:16-19)

ოჰო, იოსები არ ცდებოდა თავის შეფასებაში! მოდით, დაკვირვებით განვიხილოთ ეს მონაკვეთი. პირველი, ღმერთმა დაგეგმა შიმშილობა და არა ეშმაკმა ან გარემოებებმა. მეორე, როგორც იოსებმა თქვა, ღმერთმა ოჯახზე წინ გამოგზავნა ეგვიპტეში. სხვა ვერავინ იქნებოდა, როცა გამოყენებულია ფრაზა „წარმოგზავნა ღმერთმა“. იოსები კი არ უარყოფდა მის თავზე გადამხდარ ამბავს, არამედ ღვთის სულით ლაპარაკობდა. მესამე, მთელი ეს ტანჯვა იოსების გამოცდას და განწმედას ემსახურებოდა. და ბოლოს, ბორკილებით გაიტანჯა და რკინა მისწვდა მის სულს. მაშინდელი დილეგები გაცილებით უარესი იყო, ვიდრე დღევანდელი ციხეებია. თუმცა იოსები ყველაზე ღვთისმოსავი ძე გახლდათ! ნიშნავს თუ არა ეს, რომ კარგი ადამიანებიც გადიან სიძნელეებს ძალაუფლების გადაწყვეტილებით და ეს არ არის შემთხვევითობა ან ეშმაკისეული გეგმა? თვლით თუ არა, რომ ეს ვითარებები, რეალურად, ღვთის განზრახვა ან წინასწარჭვრეტაა?

დიადი ხსნა?

> მოდით, გავაგრძელოთ ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა! ისევ გადავხედოთ იოსების სიტყვებს. გახსოვდეთ, რომ ის ღვთიური შთაგონებით ლაპარაკობდა: „თქვენს წინ წარმომგზავნა ღმერთმა, ქვეყნად თქვენი ნატამალის დასატოვებლად, რათა დიადი ხსნით შეგინარჩუნოთ სიცოცხლე. თქვენ კი არ წარმომგზავნეთ აქ, არამედ ღმერთმა“. (დაბ. 45:7-8)

დიადი ხსნა! ერთი წუთით მოითმინეთ. აბრაჰამის შთამომავლები დაუმორჩილებლობის გამო კი არ აღმოჩნდნენ ფარაონის მმართველობის ქვეშ, არამედ ღვთის გეგმის თანახმად. უფრო მეტიც, ღმერთმა წინასწარ იცოდა, რომ იოსების სიკვდილიდან მოკლე დროში სხვა ფარაონი დადგებოდა ეგვიპტეზე და ისრაელს სასტიკად მოექცეოდა (გამ. 1:8-14). ღმერთმა აბრაჰამს უთხრა, რომ მათ ავად მოეპყრობოდნენ

ოთხასი წლის მანძილზე. მაშ, ეს იყო უფლის დიადი ხსნა? როგორ შეიძლება ხსნად ჩაითვალოს ასეთი გასაჭირი?

შესაძლოა, მავანმა კითხვა დასვას: „რატომ არ მისცა ღმერთმა სიბრძნე აბრაჰამის შთამომავლებს ეგვიპტელთა ნაცვლად, რომ შვიდწლიანი შიმშილობისთვის საკვები მოემარაგებინათ? მაშინ იოსებიც აცდებოდა ამდენ ტანჯვას“. მიზეზი ნათელია: ღმერთს სურდა, რომ ისინი ფარაონის მმართველობის ქვეშ ყოფილიყვნენ. მან ასე დაგეგმა. შეგიძლიათ, თქვათ: „ფარაონი ძველი მსოფლიოს ჰიტლერია. მან ათასობით ებრაელი დახოცა და ღვთის ერს დიდი ზიანი მიაყენა“. დიახ, მართალია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთისთვის უპირატესი არ არის ჩვენი კომფორტი და ამ ქვეყნიერების სიკეთეებით გახარება. მისი პრიორიტეტი გახლავთ ხსნა! აი, როგორია ღვთიური სიბრძნე, რომელიც ფარაონთან ლაპარაკისას გამოჩნდა: „იმისათვის გტოვებ, რომ გაჩვენო ჩემი ძალა, რათა ეუწყოს მთელ დედამიწას ჩემი სახელი“ (გამ. 9:16).

ამ მოვლენებამდე, უფალი ღმერთის სახელი მხოლოდ აბრაჰამმა, ისაკმა, იაკობმა და მისმა შთამომავლებმა იცოდნენ. დანარჩენ მსოფლიოს არაფერი სმენოდა აბრაჰამის, ისაკისა და იაკობის ღმერთზე. სწორედ ამიტომ, როცა მოსე ფარაონთან მივიდა და უფლის სახელით სთხოვა ისრაელიანთა გაშვება, ფარაონმა ასე უპასუხა: „ვინაა უფალი, რომ ვისმინო მისი ხმა და გავუშვა ისრაელი? არც უფალს ვცნობ და არც ისრაელს გავუშვებ“ (გამ. 5:2). ფარაონი და ეგვიპტე ღმერთს არ იცნობდნენ. შემდეგ, როცა მან ნიშნებით და სასწაულებით იხსნა თავისი ერი, ყველაფერი შეიცვალა.

რამდენიმე ჭირის შემდეგ ზოგიერთმა ეგვიპტელმა ყური უგდო ღვთის სიტყვას. სეტყვის სასჯელამდე ვკითხულობთ: „ვინც შეუშინდა უფლის სიტყვას ფარაონის მსახურთა შორის, ჭერქვეშ შერეკა თავისი მონები და საქონელი“ (გამ. 9:20). რაღაც დროის შემდეგ ფარაონს ევედრებიან: „გაუშვი კაცები და ემსახურონ უფალს“ (გამ. 10:7). ეგვიპტელმა მოგვებმაც კი უთხრეს თავიანთ მეფეს: „ეს ღვთის თითია!“ (გამ. 8:19).

იაჰვეს შესახებ მათი ახალშეძენილი ცოდნა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო, რადგან ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „მოსეც დიდ კაცად იყო შერაცხული ეგვიპტის ქვეყანაში, ფარაონის მსახურთა და ხალხის თვალში“ (გამ. 11:3). ისინი დიდად

აფასებდნენ ღვთის კაცს, რადგან იცოდნენ, ვინ იყო უფალი. ასევე ვხედავთ, რომ აბრაჰამის შთამომავლებმა ყველაფერი მიიღეს, რაც ეგვიპტელთაგან ითხოვეს, მაგალითად, ვერცხლი, ოქრო და სამოსი (გამოცხ. 12:3-36). ბოლოს ფარაონმაც კი აღიარა: „მართალია უფალი, მე და ჩემი ხალხი კი დამნაშავენი ვართ“ (გამ. 9:27). დასასრულს, მთელმა ეგვიპტემ გაიგო, ვინ იყო ცოცხალი ღმერთი.

მთელმა ქვეყანამ გაიგო

არა მარტო ეგვიპტემ, არამედ მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ იაჰვეა ნამდვილი და ცოცხალი ღმერთი. ეს ცოდნა დედამიწის ყველაზე ძლიერი ერის მოდრეკის შედეგი იყო. ღმერთმა სიბრძნე მისცა ამ ქვეყანას იოსების მეშვეობით, რომ უდიდეს სახელმწიფოდ ექცია მხოლოდ იმისთვის, რომ საბოლოოდ, ისრაელიანი მონების ხელით დაემარცხებინა. დამარცხებას ასეთი გამოძახილი არ ექნებოდა დამკვირვებელი ქვეყნების თვალში, მონებს სუსტი ან თუნდაც საშუალო დონის სახელმწიფოზე რომ გაემარჯვათ. ღმერთმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ მსოფლიოზე, რომ ისრაელის უდაბნოში ხეტიალის წლების შემდეგაც ერებს ღვთის შიში ჰქონდათ და ისრაელის წინაშე კანკალებდნენ.

ეფექტი ერთი თაობის შემდეგაც კი საგრძნობი იყო. იეშუამ, მოსეს საქმის მემკვიდრემ ორი მზვერავი გაგზავნა იერიხონში. კაცები რახაბ მეძავს შეხვდნენ და ეს სიტყვები მოისმინეს:

> „ვიცი, რომ თქვენ მოგცათ უფალმა ეს ქვეყანა, თქვენდამი შიშმა მოგვიცვა ყველანი და შეძრწუნებულნი არიან ამ ქვეყნის მკვიდრნი თქვენ წინაშე. რადგან გვსმენია, როგორ დააშრო უფალმა მეწამული ზღვის წყლები თქვენ წინაშე, როცა გამოხვედით ეგვიპტიდან ... მოვისმინეთ და შედრკა ჩვენი გული, აღარავის შერჩა მხნეობა, *რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, ღმერთია მაღლა ზეცაში* და *დაბლა დედამიწაზე“.* (ი.ნ. 2:9-11)

მან აღიარა, რომ უფალია ღმერთი და „ქვეყნის მკვიდრნიც“ შეძრწუნებული იყვნენ. უფლის სახელი მთელ დედამიწას მოედო!

ეს ცოდნა მარტო მის სადიდებლად კი არა, ხსნისთვისაც

იყო. პირველი ნაყოფები მაშინ მიიღეს, როცა უცხო ქვეყნის მეძავი და მთელი მისი ოჯახი გადარჩა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის გახდა მეფე დავითის დიდი ბებია და იესო ქრისტეს გენეალოგიაში შევიდა. ეს არ მოხდებოდა, ღმერთს მთელ მსოფლიოში რომ არ გაეცხადებინა მისი სახელი მოდრეკილი ფარაონის, იმ კაცის მეშვეობით, რომელიც ისრაელიანებს მმართველად დაუდგინა.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ რამდენიმე ასეული წელი გავიდა, მაგრამ ღვთის შიში ცხადად იგრძნობოდა ერებს შორის. ყელის დროს, რომელიც ისრაელის მღვდელი და მსაჯული იყო, ისევ გაიხსენეს, თუ რა გაუკეთა ღმერთმა ფარაონს. ისრაელი ფილისტიმელებს ებრძოდა და პირველივე დღეს დამარცხდა. მეორე დღეს საბრძოლო ბანაკში კიდობანი მოიტანეს. ისინი შეიკრიბნენ და „მაღალი ხმით გამართა ყიჟინი მთელმა ისრაელმა და შეიძრა მიწა“ (1 სამ. 4:5). ფილისტიმელებმა ხმაური გაიგონეს და ერთმანეთს ჰკითხეს, რა ხდებაო. შემდეგ გაიგეს, რომ უფლის კიდობანი მოვიდა ისრაელიანთა ბანაკში. დააკვირდით მათ რეაქციას:

> „შეეშინდათ ფილისტიმელებს, რადგან თქვეს: „ღმერთი მოვიდაო ბანაკში“. ამბობდნენ: „ვაი ჩვენ, რადგან არ მომხდარა ასეთი რამ არც გუშინ და არც გუშინწინ. ვაი ჩვენ! ვინ დაგვიხსნის ამ ძლიერი ღვთის ხელიდან? ეს ის ღმერთია *[ელოჰიმ],* ეგვიპტელები რომ მოსრა უდაბნოში ყოველგვარი წყლულებით“. (1 სამ. 4:7-8)

ღვთის აღსანიშნავად გამოყენებულია ებრაეული სიტყვა ელოჰიმ. ის ორი ათასზე მეტჯერ გვხვდება ძველ აღთქმაში იმ უფალი ღმერთის აღსანიშნავად, რომელსაც ვემსახურებით. მარტო დაბადების წიგნის პირველ თავში ოცდათერთმეტჯერ გამოიყენება და ჩვენს ღმერთსა და შემოქმედზე მიუთითებს. ფილისტიმელებიც კი შედრკნენ ასწლეულების შემდეგ, თუმცა მას არ ემსახურებოდნენ. მათ იცოდნენ, ვინ იყო ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი.

ღვთის სიბრძნის სიღრმე

ღმერთი საგონებელში არ ჩავარდნილა, როცა ეგვიპტის წინამძღოლი ბოროტი ფარაონი გახდა: „ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“ (რომ. 13:1). ყოველი ხელისუფალი იმ წლების განმავლობაში, რაც კანონიერი მმართველობისთვის აქვს განსაზღვრული, კარგი იქნება თუ ცუდი, ღვთის მიერ არის დაყენებული. ის კონკრეტული მიზნისთვის არის დადგენილი და შემთხვევითობა გამორიცხულია.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: „რამე კარგი გამოვიდა სტალინის ან ჰიტლერის მსგავსი ადამიანების მმართველობიდან?“ ამაზე პასუხის გასაცემად პავლე მოციქულის ნათქვამს მოვიყვან:

> „ამრიგად, ვინც სურს, მას შეიწყალებს, და ვინც სურს, მას გააჯიუტებს ... ო! ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი?“ (რომ. 9:18; 11:33-34)

მას შეუძლია ისეთი საქმეები აკეთოს, რომლებიც ჩვენი მიდევნების უნარის ფარგლებს ცდება. უნდა მივიღოთ ის, რის გამომჟღავნებაც მას შეუფერებლად მიაჩნია.

პავლე კიდევ ერთ კითხვას სვამს ღვთის სიბრძნესთან დაკავშირებით: „ვინ ხარ შენ, ადამიანო, რომ ეკამათები ღმერთს? განა ქმნილება ეტყვის შემოქმედს: რატომ შემქმენიო ასე?“ (რომ. 9:20). მოისმინეთ ეს სიტყვები: „ვინ ხარ შენ?“ სხვაგვარად, ვართ კი იმ პოზიციაში, რომ ღმერთს ჯვარედინი დაკითხვა მოვუწყოთ?

ღმერთმა ფარაონის აღზევების მიღმა თავისი ზრახვა გვაჩვენა და ამით ნიმუში, შინაგანი წვდომა და გაგება მოგვცა, რომ მის სიბრძნესა და სიკეთეს ვენდოთ. თუმცა ყველა ლიდერთან დაკავშირებით ასე არ ხდება. უფალს სურს, რომ ვენდოთ მის სიბრძნეს და სიკეთეს.

ღმერთი თავისი სიბრძნით არასოდეს დაუშვებს, რომ უმიზნოდ ვიტანჯოთ. იგი ყოველთვის შემოაბრუნებს სიტუაციას მისი გამომსყიდველი მიზნების სასარგებლოდ, თუნდაც იმ

დროს ამის დანახვის უნარი არ შეგვწევდეს. უფალი თავისი სიკეთის ფარგლებში არ დაუშვებს, რომ ზიანი მოგვადგეს მარადისობის თვალსაზრისით. შესაძლოა, შემეკამათოთ: „წამხდარი მმართველების ხელში ადამიანები დიდად, მეტისმეტად დიდად დაზარალდნენ“. ეს მართალია ფიზიკურ ასპექტში, მაგრამ ღმერთი სულიერს ფიზიკურზე მაღლა აყენებს. აბელის სიკვდილი ამაო ჩანდა, მაგრამ მისი სისხლი ისევ ლაპარაკობს (ებრ. 11:4). ათასობით ქრისტიანი დახოცეს გახრწნილმა მმართველებმა ინკვიზიციისა და მის წინა და მომდევნო დევნის დროს, თუმცა მათი სისხლი ამაოდ არ დაღვრილა. მათი სისხლი დღესაც მეტყველია.

ზოგჯერ შესაძლებლობა გვაქვს, რომ ლიდერებზე ზეგავლენა მოვახდინოთ თავმდაბლობით, მორჩილებით და ლოცვებით. როცა ღვთის ერმა თავი დაიმდაბლა, ილოცა და ბოროტი გზებიდან შემობრუნდა, ღმერთმა ზეციდან მოუსმინა და მიწა განკურნა. ღვთისნიერი მმართველობის დაყენების ნიმუშს მსაჯულთა წიგნში ვხედავთ. ახალი აღთქმა აცხადებს: „ამრიგად, შეგაგონებ, უწინარეს ყოვლისა, ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადამიანისთვის, მეფეებისა და ყველა ზემდგომთათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობითა და პატიოსნებით; ვინაიდან ესაა კეთილი და მისაღები, ჩვენი მაცხოვარი ღვთის წინაშე“ (1 ტიმ. 2:1-3).

არსებულ მმართველობაზე ზეგავლენის მოხდენა ლოცვებით არის შესაძლებელი. გავლენა იმდემად შორს მიმავალი შეიძლება იყოს, რომ ხელისუფლების დაყენებასა და არჩევაზეც იმოქმედოს. მიუხედავად ყველა ამ ვითარების არსებობისა, შეიძლება იყოს გამონაკლისიც. პირველი ეკლესიის მოციქულები და წმიდანები ხშირად აწყდებოდნენ ხელისუფლების უხეშობას და სისასტიკეს, რომელიც მათ სდევნიდა. ისინი სულაც არ იტანჯებოდნენ უღვთო ცხოვრების წესის ან ლოცვების ნაკლებობის გამო. პირიქით, იმ მმართველებმა თავიანთი როლი შეასრულეს ღვთის გამომსყიდველი მიზნების აღსრულებაში.

ჰეროდე აგრიპა I

მოდით, ერთ-ერთი მათგანის ცხოვრებას გადავხედოთ. ეს გახლავთ ჰეორდე აგრიპა I. სახელი ჰეროდე რამდენიმე რომაელ მმართველს ერქვა პალესტინის რეგიონში იესოს დაბადებამდე, მისი ქვეყნიური მსახურებისას და მისი აღდგომის შემდეგ. ჰეროდე აგრიპა I ხელისუფლებაში ჩვ. წ.-ით 37 წელს მოვიდა იესოს აღდგომის შემდეგ. ეს მან გამჭრიახობისა და საღი აზრის მეშვეობით მოახერხა. მისმა შორსმჭვრეტელმა გონებამ ყველა საშუალება გამოიყენა, რომელიც ცხოვრებისეულ საფეხურზე მის წინსვლას უზრუნველყოფდა. იმპერატორ კალიგულას მკვლელობის შემდეგ მისი მთავარი პოლიტიკური მანევრი გახლდათ კლავდიუსის ხელშეწყობა, რომ ამ უკანასკნელს ხელში ჩაეგდო რომის ტახტი. კლავდიუსმა სათანადოდ დააფასა მისი გაქნილი პოლიტიკური ნაბიჯი და იმჟამინდელ პოზიციაზე დაამტკიცა. მას ასევე უბოძეს იუდეა და სამარია. აგრიპა იმხელა სამეფოს მმართველი გახდა, რამხელაც მის პაპას, ჰეროდე დიდს ჰქონდა.

მმართველობის პერიოდში ჰეროდე ააგრიპა I იძულებული იყო არჩევანი გაეკეთებინა იუდაიზმსა და ქრისტიანობის სექტას შორის დაპირისპირებაში. მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოირგო ქრისტიანთა მწვავედ მდევნელის როლი. საქმეთა წიგნში ვკითხულობთ: „იმ დღეებში, მეფე ჰეროდემ საბოროტოდ აღმართა ხელი ეკლესიის ზოგიერთ წევრზე. მან მახვილით მოაკვლევინა იაკობი, იოანეს ძმა; და როცა დაინახა, რომ ამით იუდევლებს აამა, პეტრეც დააპატიმრა“ (12:1-3). მმართველი მკაცრი იყო მორწმუნეთა მიმართ, რადგან საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და იუდეველთა (მისი სამეფოს მკვიდრთა უმრავლესობის) მომადლიერება სურდა. მან მოაკვლევინა იაკობი, იესოს ერთ-ერთი უახლოესი მოციქული და პეტრეს მოკვლაც მოინდომა.

კითხვა უნდა დავსვათ: „საიდან მოვიდა აგრიპას ძალაუფლება?“ მიუხედავად იმისა, რომ მაღალი მდგომარეობა პოლიტიკური ხრიკების შედეგად მოიპოვა, ძალაუფლების პოზიციაზე ღვთის დაშვებისა და დადგენის გარეშე ვერ ავიდოდა.

პეტრე, რომელმაც აგრიპას წნეხი გამოიარა, მორწმუნეებს ეუბნება: „ღვთისა გეშინოდეთ, მეფეს პატივი ეცით“ (1 პეტრ.

2:17). რა? პატივი მიაგონ მეფეს, რომელმაც იაკობი მოკლა? რატომ დააყენებდა ღმერთი ასეთ სასტიკ მმართველს ზუსტად იმ მიწაზე, სადაც მისი ბევრი შვილი სახლობდა და შემდეგ მათ ჰეროდეს „პატივისცემას“ უბრძანებდა? ნაწილობრივ პასუხს წერილში ვიპოვით, თუ კითხვას გავაგრძელებთ: „ასე რომ, პეტრეს საპყრობილეში დარაჯობდნენ, ეკლესია კი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს მისთვის“ (საქმ. 12:5). ამის შედეგად, ღმერთმა ანგელოზი გამოგზავნა, პეტრე სასწაულებრივად გაათავისუფლა დილეგიდან და საოჯახო ლოცვის შეკრებამდე მისი მისვლის უსაფრთხოება უზრუნველყო. მორწმუნეებს პატივი რომ არ მიეგოთ მეფისთვის და გადაცემული ძალაუფლების შესახებ ღვთის მცნების წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ, ვერ იხილავდნენ მისი სასწაულებრივი ხელის მოქმედებას.

პეტრეს დასჯაზე აგრიპას გეგმები ეკლესიის ლოცვისა და მორჩილების შედეგად ჩაიფუშა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად გააძლიერა მორწმუნეები. ფარაონის შემთხვევისა არ იყოს, ღმერთმა აქაც გამოავლინა თავისი ძალა გამოსყიდვის მიზნებისთვის. ამის უდიდესი მოწმობა თავად წერილშია: „უფლის სიტყვა კი იზრდებოდა და ვრცელდებოდა“ (საქმ. 12:24).

წმიდანთა განუწყვეტელმა ლოცვამ და ძალაუფლების პატივისცემისადმი მორჩილებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მოვლენების განვითარებაზე. თუ კითხვას გავაგრძელებთ, ვნახავთ, რომ ჰეროდე აგრიპამ დღე დანიშნა, როცა ხალხის წინაშე უნდა წარმდგარიყო ტახტზე მჯდარი სამეფო რეგალიებით და მათთვის საჯაროდ მიემართა: „ხალხი კი ღაღადებდა: „ღვთის ხმაა და არა კაცისა“. მაგრამ მოულოდნელად უფლის ანგელოზმა დასცა იგი, ვინაიდან დიდება არ მიაგო ღმერთს, და მატლებისგან შეჭმულს, სული ამოხდა“ (საქმ. 12:22-23).

სასჯელი მოვიდა, მაგრამ ეს უფლის მახვილით მოხდა და არა ღვთის ხალხის ხელით. მალე გავიგებთ, რომ ღმერთია ერთადერთი, ვისაც სასჯელი მოაქვს ხელისუფალზე. ჩვენ კი გვებრძანა, რომ მმართველობისთვის ვილოცოთ და მისი ძალაუფლებას პატივისცემით დავექვემდებაროთ. თუ სასჯელის აუცილებლობა დადგება, ღმერთი ამბობს, რომ ამისთვის სივრცე უნდა დავტოვოთ.

ამ თავში განხილულს ზურგს უმაგრებს ბიბლიური მოვლენები, თუმცა ეწინააღმდეგება ბევრი ეკლესიის სწავლებას და აღქმას.

ვინც საკუთარ კომფორტს ღვთის გამომხსნელ საქმიანობაზე მაღლა აყენებს, დაბრმავებულია იმ არეალში უფლის საქმიანობის მიმართ. მოდით, გული გავხსნათ ღვთიური სიბრძნის მისაღებად! გახსოვდეთ, ის ჩვენკენ არის და არა ჩვენ წინააღმდეგ!

თავი 9

მეფეს პატივი ეცით

ძალაუფლების პატივისცემა უნდა ვისწავლოთ — როგორ მოვექცეთ მოკრძალებით, მოვეპყროთ მოწიწებით, გაგონებით და შესატყვისი მოვალეობების შესრულებით!

პეტრე მოციქულის ძლიერი შეგონება, რომელიც ბოლო თავში მოკლედ არის ნახსენები, მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში და დროში. სანამ ამ კონკრეტულ ადგილს გამოვყოფდეთ, წინა განცხადებების კონტექსტი შევისწავლოთ: „საყვარელნო, შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს. განეშორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვიან. კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის, რათა რაშიც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები“ (1 პეტრ. 2:11-12). ახლოს ვართ აღმოჩენასთან, რომ ძალაუფლების დაქვემდებარება შესაფერის საქციელს ნიშნავს, რომელზეც ის ლაპარაკობდა. ნახსენები ბრძოლა ძალაუფლების ურჩობის მეამბოხე სურვილსა და მორჩილებას შორის ხდება. თუმცა მეტისმეტად ხშირად ამის საპირისპიროს ვფიქრობთ და დაუმორჩილებლობის სურვილს ჩვენს მოკავშირედ მივიჩნევთ, ხოლო მორჩილებას – მტრად. ასეთი აღქმა ჭეშმარიტებისგან უფრო მეტად შორს ვეღარ იქნება.

არ უნდა დაგვავიწყდეს პეტრეს ნათქვამი, რომ დაქვემდებარებისა და მორჩილების შემთხვევაშიც შეიძლება ბრალი დაგვდონ „ბოროტმოქმედებაში“. ხშირად გამიგონია ხალხის მსჯელობა: „რა სიკეთე მოდის მისგან? ვემორჩილები, მაგრამ მაინც მადანაშაულებენ იმაში, რაც არ ჩამიდენია.“ მათ ის ფაქტი

ავიწყდებათ, რომ მორჩილება უფლის მიმართ არის და საზღაურიც მისგან მოდის. Message-ის ბიბლია მშვენივრად აღწერს ამ საკითხს:

> „მსახურნო [დაქირავებულო მუშაკებო, ეკლესიის წევრებო, მოქალაქეებო და და ა. შ.], პატივისცემით დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს [დამქირავებლებს, ეკლესიის წინამძღოლებს, სამოქალაქო ხელისუფლებას და ა.შ.], მაგრამ ყოველთვის ფხიზლად იყავით, რომ დაემორჩილოთ ნამდვილ ბატონს, ქრისტეს. არა თვალის ასახვევად, როგორც პირმოთნენი, არამედ როგორც ქრისტეს მონები, რომლებიც გულით ასრულებენ ღვთის ნებას. სახეზე ღიმილი გქონდეთ და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ვინც არ უნდა გასცემდეს ბრძანებებს, რეალურად ღმერთს ემსახურებით. კარგი საქმის ჯილდოდ კარგ საზღაურს მიიღებთ ბატონისგან, მიუხედავად იმისა, მონა ხართ თუ თავისუფალი“. (ეფეს. 6:5-8)

მივუბრუნდეთ პეტრეს შეგონებას: „დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ მმართველობას უფლის გულისთვის, იქნება ეს მეფე, როგორც უმაღლესი მმართველი, თუ გამგებლები, მისგან წარმოგზავნილები ბოროტმოქმედთა დასასჯელად და კეთილისმოქმედთა საქებრად“ (1 პეტრ. 2:13-14). სულიწმიდა პეტრეს მეშვეობით გვარიგებს, როგორც პავლეს მხრიდან გააკეთა, რომ დავემორჩილოთ ყველა მმართველ ძალაუფლებას. მხედველობაში იქონიეთ, რომ ხსენებული მეფე მეტისმეტად მკაცრი იყო და მისი მმართველობისას მორწმუნეები სასტიკად იდევნებოდნენ. პავლეს მსგავსად, პეტრეც გვირჩევს, რომ ღვთის ძალაუფლება ვცნოთ ადამიანში ვიდრე თავად ადამიანი. იგი არასოდეს დაემორჩილებოდა ჰეროდე აგრიპა I-ის პიროვნებას, ამ მეფის პოზიციაში ღვთის ძალაუფლება რომ არ დაენახა და ეცნო. ძნელია გადაცემული ძალაუფლების მორჩილება, თუ ჯერ ღვთის ძალაუფლებას არ შევხვედრივართ. რაც უფრო მეტად ვეცდებით დამორჩილებას, მით მეტად გაგვიჭირდება, თუ ნამდვილი ძალაუფლების დანახვა ვერ შევძელით.

პეტრე გვაფრთხილებდა, რადგან იცოდა, რას აკეთებს სუბორდინაციის დარღვევა – ის, ფაქტობრივად, ანტიქრისტესა და

ანტიქრისტიანული სულების წისქვილზე ასხამს წყალს. რადგან ეს ძალა გახლავთ „წინააღმდგომი და აღზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღმერთად და სათაყვანებლად“ (2 თეს. 2:4), ჭეშმარიტი, ცოცხალი ღვთის გზების მეთოდების, მოქმედებებისა და დადგენილებების ჩათვლით. მორწმუნეებმა საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: „ურჯულოების მოქმედებას ვეხმარებით თუ ვეწინააღმდეგებით?“ თუ ვეხმარებით, მაშინ ღვთის კი არა სატანის (ამბოხებულის) პრინციპების გავლენით ვმოქმედებთ.

პეტრე განაგრძობს: „გიყვარდეთ საძმო! ღვთისა გეშინოდეთ, მეფეს პატივი ეცით!“ (1 პეტრ. 2:17). ის არა მარტო მმართველების დამორჩილებას გვთხოვს, არამედ მათ პატივისცემასაც. ბერძნული სიტყვა ტიმაო, რომელიც აქ არის გამოყენებული, „პატივისცემას და მოკრძალებას“ ნიშნავს. ეს იგივე სიტყვაა, რომელიც იესომ გამოიყენა, როცა თქვა: „მე პატივს მივაგებ მამას“ (იოან. 8:49). *Webster's Dictionary* (1828 წლის ვერსია) სიტყვა „პატივისცემას“ განმარტავს, როგორც „პატივის მიგებას, დაქვემდებარებას და შესაბამისი მოვალეობების შესრულებას“. ნება მომეცით, გავიმეორო: მეფე, რომელზეც პეტრე ლაპარაკობდა, თავის დროზე მორწმუნეების სასტიკად მდევნელი კაცი იყო! შეუძლებელია, რომ მას ეს ეთქვა მეფეზე, როგორც პიროვნებაზე; ის შეგვაგონებს, რომ მმართველს პატივი მივაგოთ, როგორც ღვთისგან დაყენებულ ძალაუფლებას.

გულისგამგმირავი ინტერვიუ

რამდენიმე წლის წინ სამხრეთის ერთ დიდ ქალაქში პოპულარული ქრისტიანული არხის თოქშოუს სტუმარი გახლდით რადიოში, რომელიც პირდაპირი ჩართვით მიმდინარეობდა. ჩემს წიგნებზე ვმსჯელობდით, ხოლო ათწუთიანი ინტერვიუს შემდეგ წამყვანმა შესვენება გამოაცხადა. ამ დროის მანძილზე რამდენიმე რეკლამა და განცხადება გავიდა ჩემთვის დაბალ ხმაზე, რადგან შესვენების გამო ეთერში არ ვიყავი.

მოულოდნელად, ერთმა კაცმა ქვეყნის ამინდის პროგნოზი გამოაცხადა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. ასობით ათასი მსმენელის წინაშე თქვა, რომ ერთ კონკრეტულ ჩრდილოეთ შტატში მეტისმეტად აცივდა და ყინვამ შტატის გუბერნატორს

ტუჩები მიაყინა. მან გუბერნატორის ვინაობა დაასახელა და ისიც განაცხადა, რომ ამ ადამიანმა პირის გაღება ვერ შეძლო რაღაც სისულელის სათქმელად, როგორც ჩვევიაო.

ელდანაცემი ვიყავი. არ მჯეროდა, რაც გავიგონე. ფიქრები ამერია: ნუთუ ეს არ არის ქრისტიანული რადიო? ნამდვილად არა. შემდეგ გავიფიქრე: *თუ ეს ქრისტიანული რადიოა, ალბათ, ამინდის პროგნოზი ასოშიეითედ პრესის წყაროდან ჩართეს.* ჩემი წამყვანი რომ დაბრუნდა, ჯერ კიდევ არ ვიყავი მდგომარეობიდან გამოსული.

გადაცემა გაგრძელდა. ერთი ბუნდოვანი კითხვა დამისვეს, რაზეც ვუპასუხე, რომ მეტად მნიშვნელოვანია ღვთიური გულის ქონა ყველა საქმეში, რასაც ვაკეთებთ. გონება ისევ მოსმენილზე ფიქრობდა, ამიტომ ასე დავამატე:

– კარგი მაგალითი იქნება ის, რაც შესვენების დროს გავიგონე.

და შემდეგ ვკითხე:

– ეს ქრისტიანული არხია?

მან მიპასუხა:

– დიახ.

– მაშ ასე, ჩემს მიერ გაგონილი, ალბათ, საერო წყაროდან ჩართეს, რადგან რამდენიმე წუთის წინ წამყვანი ღვთის გულის სათნოდ არ ლაპარაკობდა.

მან მკითხა:

– რას ეხება ეს?

მე ვუპასუხე:

– განცხადებას ყინვაზე, რომელმაც გუბერნატორს პირი დააკეტინა.

ჟურნალისტის ხმას ზიზღის ტონი გაერია:

– ეს მე ვიყავი.

მე ვუთხარი:

– წმიდა წერილი ამბობს, რომ ღვთისმოშიშება გვმართებს და პატივი უნდა მივაგოთ მეფეს ანუ ხელისუფლების სათავეში მყოფთ.

მან უფრო მტკიცე ხმით მიპასუხა:

– დიახ, მაგრამ ცოტაოდენ იუმორში ცუდი არაფერია.

მე სასწრაფოდ მივუგე:

– არა იმ ადამიანთა ხარჯზე, რომელთა პატივისცემაც ღვთის ნებაა. პავლე მოციქულმა თქვა: „შენი ხალხის მთავარზე აუგს ნუ იტყვი“ (საქმ. 23:5).

მეფეს პატივი ეცით

მან პირდაპირი ეთერი დაგეგმილზე ადრე შეწყვიტა ასეთი შენიშვნით:

– იცით, მე და ჯონს ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება არ გვაქვს.

გულგატეხილმა დავასრულე. ნუთუ ამას ჰქვია მმართველის პატივისცემა და მოწიწება? ვაღიარებ, რომ იმ ადამიანის საქციელი ყოველთვის პატივისცემას არ იმსახურებდა, მაგრამ მას მმართველის პოზიცია ეკავა. ჩვენ, ქრისტიანებმა ძალაუფლების პოზიციას პატივი უნდა მივაგოთ. რამდენ მორწმუნეზე მოახდინა ზეგავლენა იმ შეუფერებელმა იუმორმა? გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებაში პატივისცემის ბევრი ელემენტია დაკარგული.

ეს პირველი დევნილი ეკლესიის ქცევისგან მეტისმეტად შორსაა. ისინი პატივს სცემდნენ ძალაუფლებას. როცა ზემოხსენებული საქციელი და ლაპარაკი ჩვეულებრივი ამბავი ხდება ჩვენთვის, დღეს მოქმედ ურჯულოების ძალას კიდევ უფრო ვაძლიერებთ. და მაინც, ბიბლია გვეუბნება: „ვინაიდან ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, ოღონდ ახლა არის შემკავებელი, სანამ გაყვანილ იქნება შუაგულიდან“ (2 თეს. 2:7). ასეთი ქცევა ებრძვის სულიწმიდის შემაკავებელ ძალას. ეს სატანის პრინციპია!

უფლის შიში პატივისცემას შობს

მოდით, პეტრეს სიტყვებს მივუბრუნდეთ: „გეშინოდეთ ღვთისა! მეფეს პატივი ეცით!“ ღვთისმოშიშები არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფალთა წინაშე დიდების უფლის მაღალ და დიად პოზიციას იცავენ. ისინი მას შეხვედრიან და მისი შორსმიმავალი ძალაუფლებით არიან შთანთქმულნი. ისინი აფასებენ იმას, რასაც ღმერთი აფასებს და სძულთ ის, რაც ღმერთს სძულს. მათ ცხოვრებაში მყარად არის ჩანერგილი ყველა წინამძღოლის მიმართ მოწიწება და მოშიშება, რადგან ღმერთმა მათ გადასცა თავისი ძალაუფლება.

უფლის შიშის სულისკვეთების ნაკლებობა ცხადია, როცა ძალაუფლებას პატივს არ მივაგებთ. გაიხსენეთ იესოს ესაიასეული აღწერა:

„და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და *უფლის მოშიშებისა. უფლის მოშიშებით* აღივსება იგი, არც თავისი შეხედულებისამებრ განსჯის და არც *თავისი ყურით გაგონილის მიხედვით ამხელს“.* (ეს. 11:2-3)

იესოს სიამე უფლის მოშიშებაში იყო. ეს კი ძალას აძლევდა, რომ არ განესაჯა ბუნებრივად დანახულისა და გაგონილის მიხედვით. რადიოს წამყვანმა გამოავლინა, რომ უფლის შიშს არ იცნობდა, რადგან ამას საქმე აქვს გადაცემულ ძალაუფლებასთან. იმის გამო, რომ გუბერნატორის ქცევა პატივსაცემი არ იყო, წამყვანმა ის გაგონილისა და მოსმენილის მიხედვით განსაჯა. ამ სტანდარტით ჟურნალისტს ვერ გამოედავებით. თუმცა უფლის მოშიშების თვალებით რომ გამოეხედა, აღიარებდა გადაცემულ ძალაუფლებას გუბერნატორის ცხოვრებაში. მთავრობის ავტორიტეტის შელახვა არასოდეს არის ღვთისმოსაობის შესაფერისი აქტი.

იოანე ნათლისმცემელს ერთი დიდებულის, ჰეროდეს საქციელთან შეხება მოუხდა, მაგრამ ზემოხსენებული წამყვანისგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება გამოავლინა. პირველი, იოანემ ჰეროდეს ასე უთხრა: „ვინაიდან იოანე ეუბნებოდა, ნებადართული არ არისო შენთვის მისი ყოლა“ (მათ. 14:4). ის უშუალოდ ცოდვაზე ლაპარაკობდა და პიროვნებას არ შეურცხყოფდა. მეორე, იოანე ჰეროდეს ღვთის წინასწარმეტყველის ძალაუფლების პოზიციიდან ელაპარაკა. და ბოლოს, იოანე სულაც არ ხუმრობდა თავხედურად მეფეზე.

ერთადერთი ადამიანი ბიბლიაში, რომელიც ძალაუფლების მქონე ადამიანებზე ხუმრობდა, ელია გახლდათ (1 მეფ. 18:27). ის დასცინოდა ბაყალის და აშერას ქურუმებს და ღმერთებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ. ამ ადამიანებმა, რომელთაც ეპყრათ არა ნამდვილი, არამედ ყალბი ძალაუფლება, მრავალი ისრაელიანი ჩააგდეს სიბნელეში. მათი ძალაუფლება არ იყო ღვთისგან დადგენილი. ისინი პატივისცემისა და დაქვემდებარების ღირსნი არ იყვნენ. ოკულტური ორგანიზაციის წინამძღოლებს არ ეკუთვნით დაქვემდებარება და მორჩილება.

რაც შეეხება ნამდვილად დაყენებულ ძალაუფლებას, ადვილი არ არის პატივისცემა და მორჩილება, როცა ძალაუფლებას

უფლის შიშით განათებული თვალებით არ ვუყურებთ. მოუსმინეთ, რას ამბობს წმიდა წერილი: „უპირატესად კი ბილწ ხორციელ გულისთქმებს აყოლილნი, *უფლებათა მოძულენი*, თავხედნი, ჯიუტნი, დიდებით შემოსილთა ლანძღვისას რომ არ თრთიან“ (2 პეტრ. 2:10). ყურადღებამისაქცევი ის არის, რომ პეტრე და იუდა ამაზე ეკლესიაში ლაპარაკობენ (იუდ. 12; 2 პეტრ. 2:13-15).

თავიდანვე გაგაფრთხილეთ, რომ ზოგიერთისთვის ძნელი იქნებოდა ამ შეხედულების მიღება, რადგან ღვთის სამეფოს დემოკრატიული აზროვნებით უყურებენ. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან, რომ გონება სულით უნდა განვიახლოთ (ეფეს. 4:23). რადიოს წამყვანის აზროვნება ერთადერთი რომ ყოფილიყო, ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებდი, მაგრამ ხსენებულმა შეხედულებამ ეკლესიები მოიცვა. ეს ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას აღმოვაჩინე.

ბოროტს ბოროტებით ვერ დასძლევ!

როცა 1992 წელს კლინტონი პრეზიდენტად აირჩიეს, სამი დღე დეპრესია მტანჯავდა, სანამ ღმერთმა არ შემაჯანჯღარა. მან არცთუ ორაზროვანი სიტყვებით გამიცხადა: ვერავინ დადგება ძალაუფლების სათავეში, რომ მან ამის შესახებ არ იცოდეს და ხელისუფალთ თავად აყენებს. როცა ეს გამიცხადდა, ყურადღების მიქცევა დავიწყე ძალაუფლების პოზიციაზე და არა ადამიანის პირად ცხოვრებაზე. როცა ასე მოვიქეცი, მივხვდი, რომ ჩემს გულში ამ წინამძღოლის მიმართ ნამდვილი სიყვარული გაიზარდა. დიდი სურვილი ვიგრძენი, რომ ცდუნებისგან თავისუფალი და ჭეშმარიტებით მოსიარულე მეხილა.

დარწმუნებული ვარ, იოანე ნათლისმცემელიც ასე ფიქრობდა გულში ჰეროდეს მიმართ. მკაცრი ლაპარაკის მიუხედავად, ის ღვთიური გულისხმით იყო აღძრული იმ ცოდვილი წინამძღოლის მიმართ. იერემიაც იმიტომ მოთქვამდა ადამიანებზე, რომელთაც მკაცრად ამხელდა. არიან ისეთები, რომლებიც ლეგალისტურად, სიძულვილით სავსე გულებით ლაპარაკობენ და არიან სხვები, რომელთაც თანაგრძნობით სავსე გულებიდან მოაქვთ უფლის მამხილებელი სიტყვა.

უფალს აჯავრებენ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი სიმართლის პოზიციიდან ეძებენ „დამნაშავეს“. ამის მომსწრე

მრავალ ეკლესიაში ვყოფილვარ პრეზიდენტ კლინტონთან დაკავშირებით. სანამ გავაგრძელებთ, მინდა გავიმეორო, რომ არც ერთ არჩევნებში არ მიმიცია მისთვის ხმა და ძალზე გულდაწყვეტილი ვარ, თუ რა ზეგავლენა მოიტანა მისმა ქცევამ ამ ქვეყანაში.

1992 წელს მოგზაურობისას მორწმუნეები ხშირად მირჩევდნენ, რომ სატელევიზიო გადაცემებში თვალი მიმედევნებინა ერთი ულტრაკონსერვატული ადამიანისთვის. ჩანდა, რომ მას ბევრი ჰქონდა სათქმელი ჩვენი ქვეყნის ლიბერალი წინამძღოლების, განსაკუთრებით კი პრეზიდენტისა და მისი ცოლის შესახებ. ყოველკვირეულიად ვისმენდი ამგვარ გარჩევებს სხვადასხვა ქალაქებში. ეს ფანატიკოსები ამბობდნენ: *„ამ კაცს უნდა მოუსმინო! ეგრევე გამოიჭერს, რაც ვაშინგტონში ხდება“.* ამ ადამიანების ნდობის გამო გადავწყვიტე: მეც ვუყურებ ტელევიზორს და ვნახავ, რას ამბობს ნახსენები პიროვნება. გადაცემებს მაინცდამაინც ხშირად არ ვუყურებ, ამიტომ თითქმის ცხრა თვე გავიდა, სანამ ეს კაცი ვნახე.

კალიფორნიაში მსახურების შემდეგ ჩემს სასტუმროში დავბრუნდი და ტელევიზორი ჩავრთე. ის იქ იყო. ძალზე საინტერესო გახლდათ და გასაგიჟებელი ჰალსტუხი ეკეთა. ცოტა ხანში პრეზიდენტ კლინტონს მიადგა. უცებ გამახსენდა: *ეს არის ის კაცი, რომელ ზეც ყველა მელაპარაკება.* გამიხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ ცნობილ პიროვნებასაც მოვუსმენდი. საყურებლად და მისი ნათქვამის მოსასმენად მოვემზადე.

ოცი წუთი ვუსმენდი, როგორ ანადგურებდა პრეზიდენტს და მისგან ნაძირალა გამოჰყავდა. ხუმრობები მართლაც სასაცილო იყო და სიტყვებიც გონებამახვილური, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე მუცელში არასასიამოვნო შეგრძნება მქონდა. ჩემთვის ვფიქრობდი: რა ხდება? ყველაფერი, რასაც ის ამბობს, მართალია. მან კარგად დაიჭირა ჩვენი პრეზიდენტის ლიბერალური აზროვნება. შემდეგ კითხვა დავსვი: *„უფალო, რატომ მაქვს გულში ეს უსიამო გრძნობა?“*

სულიწმიდამ მაშინვე მიპასუხა: *შენი ქვეყნის მთავარზე აუგი არ უნდა ილაპარაკო* (საქმ. 23:5).

წერილის კიდევ ერთი ადგილი ამომიტივტივდა გონებაში: *„ამრიგად, შეგაგონებ, უწინარეს ყოვლისა, ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადა-*

მიანისთვის, მეფეებისა და ყველა ზემდგომთათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობითა და პატიოსნებით; ვინაიდან ესაა კეთილი და მისაღები, ჩვენი მაცხოვარი ღვთის წინაშე“ (1 ტიმ. 2:1-3). ამ აზრმა ისე დამკრა, თითქოს ერთი ტონა აგური დამცემოდეს. ღმერთმა ძალაუფლებაში მყოფთა პატივისცემა, მათთვის ლოცვა, შუამდგომლობა და მათ გამო მადლიერების გამოხატვა გვიბრძანა. მას არ უთქვამს, რომ გვერტყა, გვეკრიტიკებინა, გვებრძოლა ან მასხრად აგვეგდო ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომენტატორი მართალი იყო ყველაფერში, რასაც ხაზი გაუსვა, ორი შეცდომა ერთ სიმართლეს ვერასოდეს გაუტოლდება!

იმ ადამიანზე ისე არ გავბრაზებულვარ, როგორც მორწმუნეებზე, რომლებიც ასე აღტაცებით უსმენდნენ მას. რაც შეეხება წამყვანს, ჩავთვალე ადამიანად, რომელსაც ამაზე მეტი არ ესმის, რასაც ლაპარაკობს. ერთ რამეს ვერ ვხვდებოდი! როგორ შეეძლოთ მორწმუნეებს მხარი დაეჭირათ და გაევრცელებინათ მისი ნათქვამი? როგორ უნდა „ეცათ პატივი მეფისთვის?“ ღმერთმა გვითხრა, რა უნდა გვეკეთებინა ჩვენ, ქრისტიანებს: ლოცვა, შუამდგომლობა და მადლიერება. პავლე ღვთიურ სასჯელზე ლაპარაკობდა, რომელიც არა მარტო სხვადასხვა სახის ურჯულოებაში მოსიარულეებს მოეწევათ, არამედ მათაც, ვინც „გამკეთებლებს უწონებენ“ (რომ. 1:32).

რა კანონებით ვცხოვრობთ?

იმ სასტუმროს ნომერში მომხდარი ამბავი ყველას ვუამბე მთელ შეერთებულ შტატებში. ბევრი დაინახა ნათელი და მოინანია; სხვები ძალიან გაბრაზდნენ ჩემზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხსენებული წამყვანი სწორი ცხოვრების მომხრე იყო და ლაპარაკის თავისუფლება მთავრობისგან გვაქვს მონიჭებული. ეს მართალია, მაგრამ არსებობს მცნებები, რომლებიც ამგვარ ქცევას აღემატება. დემოკრატიული კანონებით ვცხოვრობთ თუ ღვთის სამეფოს კანონებით? მარტო იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელების დალევა აკრძალული არ არის და ზოგიერთ შტატში მარიხუანას მოწევაც ნებადართულია, მორწმუნეებმა ზომაზე მეტად სმა და მოწევა უნდა დავიწყოთ?

ჩვენ უზენაესი კანონი გვაქვს. ურწმუნო რომაელმა ასე აღწერა პირველი საუკუნის ეკლესიის ქრისტიანები: „ისინი სიცოც-

ხლის დღეებს დედამიწაზე ატარებენ, მაგრამ ზეცის მოქალაქეები არიან. ისინი ემორჩილებიან დადგენილ კანონებს და ამავდროულად, თავიანთი ცხოვრებით კანონით განსაზღვრულზე მეტს აკეთებენ“ (წერილი დიოგნეტუსს, თავი 5).

რა სარგებელი მოაქვს მლანძღველის მოსმენას? რა ნაყოფი მოაქვს მას? ნუთუ უფრო მეტ შედეგს მივიღებთ, თუ დროს იმ ტელეწამყვანის ნათქვამის მოსმენასა და გავრცელებაში დავკარგავთ და ქვეყნის წინამძღოლთათვის შუამდგომლობაში არ გამოვიყენებთ? განა უფალმა არ გვითხრა, რომ მორჩილი ქცევის შედეგი იქნებოდა „მშვიდად და წყნარად ცხოვრება სრული ღვთისმოსაობითა და პატიოსნებით?“

ვიცნობ მსახურს, რომელიც პრეზიდენტ კლინტონს შეხვდა და უთხრა: „ნებისმიერ წინამძღოლს, რომელიც უდანაშაულო ბავშვების მოკვლის კანონს დააწესებს, ღვთის სასჯელი ეწევა და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვება“. ეს მსახური ზუსტად ისე მოიქცა, როგორც იოანე ნათლისმცემელი – ჰეროდესთან. ღვთის მაცნემ გულიდან ამოიღო სამართლიანი რისხვა და ჭეშმარიტი სიყვარული დაუბადებელი ჩვილებისა და პრეზიდენტის მიმართ. მან პატივი მიაგო პრეზიდენტის ძალაუფლებას, მაგრამ ჭეშმარიტება დაუფარავად უთხრა. მას პრეზიდენტი სათამაშოდ არ აუგდია. როცა კაცები და ქალები ძალაუფლების გამქიაქებელ ტელეწამყვანებს უსმენენ, ღვთის გულისნადები აღარ ესმით. ლანძღვის მოსმენას არასოდეს მოაქვს საუკუნო ნაყოფი.

ძალაუფლების პატივისმცემელი გული

ჩვენი ქცევა ძალაუფლების პატივისცემის გულითადმა ზრახვამ უნდა გაჟღინთოს, ვინაიდან უფლის დადგენილებას პატივს მივაგებთ. პავლე შეგვაგონებდა:

> „რადგან მთავრები კეთილის მოქმედთათვის კი არ არიან საშიშნი, არამედ ბოროტ საქმეთა ჩამდენთათვის. გინდა, რომ არ გეშინოდეს ხელისუფლების? კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან; ვინაიდან იგი *ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ.* მაგრამ თუ ბოროტებას იქმ, გეშინოდეს, რადგან ტყუილად როდი ატარებს მახვილს; ის ღვთის მსახურია და რისხვით შურისმაძიებელი ბოროტმო-

ქმედზე. ამიტომ გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინდისის გამოც. სწორედ ამისათვის იხდით ხარკს, ვინაიდან ისინი *ღვთის მსახურები არიან* და დღენიადაგ მიძღვნილნი არიან ამ საქმეზე. ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, ვისაც შიში - შიში, ვისაც პატივი - პატივი". (რომ. 13:3-7)

სიმძიმეების აწევის ვარჯიშებს ვაკეთებდი ჩვენს ადგილობრივ ფიტნესის დარბაზში, როცა იქ ერთ კაცსა და ქალს შევხვდი, რომლებიც შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იყვნენ. ათი წუთის საუბრის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ორივენი კოლორადო სპრინგსის საპოლიციო ძალებში შედიოდნენ. მაშინვე ვუთხარი:

– ჩემი პატივისცემა დიდია თქვენს მიმართ, რადგან ბიბლიის თანახმად, ღვთის მსახურები ხართ!

პოლიციელის სახეზე გაოგნება და გაკვირვება აღიბეჭდა და აღტაცებით მითხრა:

– ბიჭოს! ნუთუ ეს მართალია? ბიბლია ამბობს, რომ ღვთის ერთ-ერთი მსახური ვარ?

დასტურის ნიშნად ზემოთ მოყვანილი მუხლები ვაჩვენე.

მან მითხრა:

– ტატუ უნდა გავიკეთო და ეს მონაკვეთი ზურგზე ამოვიტვიფრო!

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა იმ წყვილს სავარჯიშო დარბაზში შევხვდი, პოლიციელმა მაისური აიწია და ზურგზე დაწერილი მუხლი მაჩვენა. მისთვის ეს მნიშვნელოვანი გამოცხადება იყო.

დღეს ამ ჭეშმარიტების სათანადოდ გამოკვეთა არ ხდება. ღმერთმა ძალაუფლებაში მყოფებს თავისი „მსახურები" უწოდა და ისინი ღირსნი არიან, რომ პატივისცემა მიიღონ. აღმოვაჩინე, რომ ეს გრძნობა ყოველთვის ანთია ჩემს გულში, როცა პოლიციელს, მეხანძრეს, მერს, საკრებულოს წევრს, მმართველს, შტატის კანონმდებელს, მოსამართლეს, კონგრესმენს ან ხელისუფლების სხვა რომელიმე შტოს წარმომადგენელს ვხედავ. ამ პატივისცემის გრძნობას ყოველთვის ვპოულობ გულში, როცა ქალაქში, შტატში ან ფედერალურ ოფისებში შევდივარ. მყავს სენატორი მეგობრები, რომელთაც შეხვედრისას „სენატორის"

საკადრისად ვესალმები და სახელით არ მივმართავ. მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო იმ თანამდებობის მიმართ, რომელიც მათ ღმერთმა უბოძა. ისინი ღვთის მსახურები არიან მისი ხალხის მოსამსახურებლად.

უფრო მეტიც, ყურადღება მიაქციეთ, რომ ზემოხსენებულ მუხლებში ხელისუფალნი „ღვთის მსახურებას“ ეწევიან, როცა თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. ამ საკითხს ასე მიუდექით: თუ მანქანას სიჩქარის გადაჭარბებით მართავ და მოულოდნელად, უკანა ხედვის სარკეში მოციმციმე წითელ შუქს დაინახავ, ნუ დაიწყებ ლოცვას ეშმაკის წინააღმდეგ! პოლიცია მისთვის არ მუშაობს; ის ღვთის მსახურია. სჯობს წყალობისთვის ილოცო!

რამდენიმე საჯარიმო ქვითარი მაქვს და ყოველ ჯერზე, როცა ოფიცერი მას მაწვდის, ასე ვეუბნები: „მაპატიეთ, სერ! შეცდომა დავუშვი და მადლობას გიხდით თქვენი სამუშაოს შესრულებისა და ქალაქის მომსახურებისთვის. გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი არასწორი საქციელი!“ უნდა ნახოთ მათი სახეები. ერთ შემთხვევაში პოლიციელის ქცევა სრულიად შეიცვალა. მან მკაცრად დაიწყო, მაგრამ თანდათან მოლბა, როცა ძალაუფლების მიმართ ჩემი პატივისცემა დაინახა. რაღაც მომენტში ისიც შევნიშნე, რომ ქვითრის უკან წაღება უნდოდა, თუმცა ეს არ ყოფილა ჩემი განზრახვა.

ერთი მეგობარი მყავს, რომელიც იმ შტატში მწყემსავს ეკლესიას, სადაც გუბერნატორი არცთუ სახარბიელოდ მოიხსენია რადიოწამყვანმა. ის ქალაქისთვის ლოცულობდა და ღმერთს სთხოვა, ეჩვენებინა ნაბიჯები, რომლებიც განსხვავებას მოიტანდა. იმ დროისთვის მისი ეკლესია მორწმუნეთა მცირე ჯგუფისგან შედგებოდა. ღმერთმა გულში ჩაუდო, რომ სამოქალაქო ხელისუფლებისთვის პატივი მიეგო. ლოცვა კიდევ განაგრძო და მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მან და მისმა ლიდერებმა ქალაქის უდიდესი საჭიროებები გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ მეხანძრეებს არ ჰქონდათ კვამლში ადამიანთა დანახვის ფუნქციის მქონე ნიღბები. იმ წლის ბიუჯეტში ასეთი ნიღბები გათვალისწინებული არ იყო. თითოეული ასეთი ნიღაბი 25 000 დოლარი ღირდა. იმ ეკლესიისთვის ეს დიდი ფული გახლდათ.

პასტორმა ხედვა თავის ხალხს გაუზიარა და შესაწირის შემდეგ ზუსტად შეგროვდა ამ თანხის ყოველი ცენტი. მან და სხვა წინამძღოლებმა ჩეკი ქალაქის მმართველებს წარუდგინეს.

ჩემმა მეგობარმა ასე მითხრა: „ჯონ, გაოცდებოდი რომ გენახა, როგორ მოემსახურა ეს ამბავი ქალაქის მაღალჩინოსნებს. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ეკლესიას ასეთი სიკეთის გამოჩენა შეეძლო. ისინი მიჩვეული იყვნენ, რომ ხალხი აქეთ ითხოვს მთავრობისგან თავისი საჭიროებების დაკმაყოფილებას და უფასოდ რაღაცის მიცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

მას შემდეგ ეკლესია რაოდენობრივად გაიზარდა. როცა მრევლმა ახალი შენობა აკურთხა, ქალაქის ბევრი ხელისუფალი მოვიდა დასასწრებად და ზოგიერთი მათგანი ახლაც დადის ეკლესიაში. შეადარეთ ამ პასტორისა და ზემოხსენებული რადიოწამყვანის ნაყოფები.

არაერთი მორწმუნის წუწუნი გამიგია გადასახადებთან დაკავშირებით. ეკლესიაში ისეთი ადამიანებიც მინახავს, რომლებიც რაღაც გზებს ეძებენ, რომ არ გადაიხადონ. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა. ასეთებს ვეუბნები: „ღვთის რჩევა თქვენს მიმართ სავარაუდო კონსტიტუციურ უფლებას აღემატება. ღმერთი ამბობს, „ამისთვის იხდით ხარკს“. შემდეგ მათ ვეკითხები: „ვინ იხდის გზებისთვის, რომლებზეც მანქანას ატარებთ? ვინ უხდის პოლიციელს, მეხანძრეს და კანონმდებლებს, რომ დაგიცვან?“ ბუხჰალტრებისგან მომისმენია, როგორ ზოგავენ მორწმუნეები თანხებს გადასახადების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით. ეს სამწუხაროა. მე ასე ვეუბნები ჩემს ბუხჰალტრებს: „არ მჭირდება არც ერთი დამალული სფერო და ზედაპირულობა ამ საქმეში!“ გადასახადების გადახდა არის სამაგიეროს მიზღვა მთავრობისთვის, რომელიც ჩვენ გვემსახურება. ვერაფერს მოგვპარავენ, თუ გაღებას ავირჩევთ! როდის ვიქნებით მორწმუნეები ამ ჭეშმარიტებაში ცხოვრების მოშურნე?

თუ ქრისტეს სხეული ამას ჩაეჭიდება, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოსთვის უდიდესი მოწმეები ვიქნებით. უნდა ვისწავლოთ პატივისცემა – მოკრძალება და მოწიწება, დაქვემდებარება და შესატყვისი საქმეების კეთება – ძალაუფლებაში მყოფთა მიმართ. ამის გაკეთებით პატივს მივაგებთ ზეციერ მამას. როცა მეფეს მოკრძალებით ვეპყრობით, უფლისადმი მოშიშებას ვავლენთ.

საფარქვეშ

ძალაუფლების ყველა სფეროს ანალოგია

როგორც ბოლო თავში ვთქვი, მეფის პატივისცემის მცნება უშუალოდ სამოქალაქო ხელისუფლებას ეხება. ეს რჩევა გადაცემული ძალაუფლების სხვა სფეროებსაც მოიცავს. ყურადღება მიაქციეთ პატივისცემის საკითხს მომდევნო მუხლებში. ოჯახთან დაკავშირებით ღმერთი ამბობს: „პატივი მიაგე მამას და დედას“ (ეფეს. 6:2). იგი ისევ გვარიგებს: „ცოლს მოშიშება ჰქონდეს ქმრისა“ (ეფეს. 5:33). რაც შეეხება სოციალურ ძალაუფლებას, ასე ვკითხულობთ: „უღელქვეშ მყოფი მონები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ ბატონებს, რათა არ იგმობოდეს ღვთის სახელი და მოძღვრება“ (1 ტიმ. 6:1). საეკლესიო ძალაუფლებასთან დაკავშირებით გვარიგებენ: „ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, განსაკუთრებით კი ისინი, ქადაგებითა და დამოძღვრით რომ შრომობენ“ (1 ტიმ. 5:17).

მსახურების ოცდათერთმეტზე მეტი წლის განმავლობაში ხშირად მინახავს ახალგაზრდების უპატივცემულო დამოკიდებულება მშობლების მიმართ. მათში თავაზიანობაც კი ნაკლებად იყო, არათუ პატივისცემა. ყოფილა შემთხვევები, როცა ადგილზევე ვაძლევდი შენიშვნას, თუ მათი მშობლები დუმდნენ. ნეტა სცოდნოდათ, რომ ამით საკუთარ თავს აზიანებდნენ. მაშინ ვერ გაბედავდნენ მსგავს საქციელს. ღმერთი ამბობს: „წყეულიმც იყოს დედ-მამის შეურაცხმყოფელი! მიუგებს მთელი ერი და იტყვის: ამინ!“ (2 რჯ. 27:16). წინა თავებში განხილული წყევლა მოდის მასზე, ვინც მშობლებს შეურაცხყოფს.

მეორე მხრივ, ღმერთი დიდ კურთხევას პირდება მას, ვინც მშობლებს პატივს სცემს: „პატივი მიაგე შენს მამას და დედას, – ეს არის პირველი მცნება აღთქმით, – რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“ (ეფეს. 6:2-3).

რეალურად, ღმერთი ორ განსხვავებულ კურთხევას პირდება შვილს, რომელიც მშობლებს პატივს სცემს. პირველი, მის ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა. პიროვნება, რომელიც უპატიოჰყოფს მშობლებს, სიკეთეს არ უნდა მოელოდეს ცხოვრებაში. ის წყევლის ქვეშაა (ამ საკითხზე ჩემს დამოწმებას ერთ-ერთ მომდევნო თავში გაგიზიარებთ).

მეორე აღთქმა გახლავთ ხანგრძლივი სიცოცხლე. რა საოცარი სარგებელია მშობლების პატივისცემისთვის! შესაძლოა

იფიქროთ: *ერთი წუთით! გამიგია შვილებზე, რომლებიც პატივს სცემდნენ მშობლებს, მაგრამ ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალნენ.* დანამდვილებით ვიცი, რომ ღვთის სიტყვის თანახმად, ეს არის პირველი მცნება აღთქმით. ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, თუ ჩვენ გარშემო დანახულს ღვთის სიტყვის უარყოფის საშუალებას მივცემთ. ასე იფიქრეთ: ჩვენი ზეციერი მამა შიშისგან სრულ თავისუფლებას პირდება მათ, ვინც მის ძეებად და ასულებად იწოდებიან. ღვთის სიტყვებით, „სიმართლეში დაფუძნდები, შორს იქნები ჩაგვრისგან, რადგან არ შეგეშინდება; შორს იქნები ძრწოლისგან, რადგან არ მოგიახლოვდება“ (ეს. 54:14). და მაინც, ძვირფასი ქრისტიანები შიშით ცხოვრობენ. აღთქმა რომ ავტომატურად მოდიოდეს პიროვნების ცხოვრებაში, რატომ იქნებოდა ბევრი ადამიანი ამ ტანჯვაში? პასუხი ასეთია: ღვთის აღთქმები ლოცვით მიიღება და გამარჯვება რწმენის კეთილი ღვანლით მოიპოვება.

აბრაჰამის ძე, ისაკი ამის კარგი მაგალითია. ღმერთმა პატრიარქს აღთქმა მისცა ისაკთან დაკავშირებით: „მასთან დავდებ სამარადისო აღთქმას მისი შთამომავლობისათვის“ (დაბ. 17:19). ღმერთმა აღთქმა გამოაცხადა, მაგრამ ისაკმა რებეკასთან ქორწინების შემდეგ აღმოაჩინა, რომ მისი ცოლი ბერწი იყო! საქმე კიდევ უფრო რომ გავართულოთ, რებეკა თავად კი არ აურჩევია, სულიწმიდამ შეურჩია. ალბათ, კითხვას დასვამთ: „გულისხმობ, რომ ღმერთმა უნაყოფო ცოლი მოჰგვარა?“ დიახ! აღთქმა ავტომატურად არ განხორციელდებოდა. მას დასაკუთრება სჭირდებოდა. ნახეთ, რას ამბობს წმიდა წერილი: „ემუდარებოდა ისაკი უფალს თავისი ცოლისთვის, რადგან ბერწი იყო იგი; ისმინა მისი უფალმა და დაორსულდა რებეკა, მისი ცოლი“ (დაბ. 25:21).

ისაკს ბრძოლა მოუხდა აღთქმის მოსაპოვებლად და უფალს შეჰღაღადა. მან ღვთის ნების შესაბამისად ილოცა და პასუხი მიიღო. ჩვენ მოგვიწოდებენ: „და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“ (1 იოან. 5:14-15). ღმერთმა თავისი ნება აღთქმაში გააცხადა. თუ მისი აღთქმა გვაქვს, ვიცით, რომ შეგვიძლია მის შესაბამისად ვილოცოთ.

მშობლების პატივისცემის შემთხვევაში შეგიძლიათ მის ორ აღთქმას ჩაეჭიდოთ ლოცვის მეშვეობით და მიიღოთ კარგი, ხან-

გრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება. დააფუძნეთ თქვენი რწმენა ღვთის აღთქმაზე და არა სხვების ცხოვრების მაგალითებზე.

შესაძლოა, ახლა ღელავთ, რადგან მშობლებს პატივს არ მიაგებდით. აქ საქმეში მონანიება ერთვება. ღმერთს მიმართეთ ლოცვით და მშობლებს პირადად სთხოვეთ პატიება. დაიწყეთ მათთვის პატივის მიგება და დარწმუნებული იყავით, რომ ღვთის აღთქმით განპირობებული დაპირებები თქვენს ცხოვრებაშიც გამოვლინდება.

იგივე პრინციპი მოქმედებს უფროსების, დამქირავებლების, მასწავლებლების და სხვა საზოგადოებრივი ავტორიტეტების შემთხვევაშიც. თუ მათ პატივს მივაგებთ, ჩვენთვის კარგი იქნება და უფლისგან საზღაურს მივიღებთ. პავლე დაქირავებულ მუშაკებს მითითებას აძლევს: „ყოველივე, რასაც აკეთებთ, მთელი გულით გააკეთეთ, როგორც ღვთისთვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით. ხოლო, ვინც უსამართლოდ მოიქცევა, იგი მიიღებს თავისი უსამართლობისთვის; მასში არაა პირმოთნეობა“ (კოლ. 3:23-25).

მომდევნო თავში განვიხილავთ შორსმიმავალ სარგებელს, რომლითაც დავსაჩუქრდებით ღვთის მსახურების ეკლესიაში მიღებისა და პატივისცემის შემთხვევაში. იმასაც დავინახავთ, რა დაგვაკლდება, როცა ვერ ამოვიცნობთ ღვთისგან გამოგზავნილებს.

თავი 10

ორმაგი პატივი

ბევრჯერ ღმერთი ჩვენთვის სასურველს კომპლექტში
გვიგზავნის, რომელიც სულაც არ გვინდა.

„ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ... ვისაც პატივი – პატივი“ (რომ. 13:7). ამ თავში ვიხილავთ, რომ ღმერთი ხელისუფალთა პატივისცემაზე ჩვენდა სასიკეთოდ მიგვითითებს და არა მათთვის სახეიროდ და ეს ამ დარიგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ღვთის სიტყვიდან მიღებულ მითითებას კურთხევა მოაქვს. ამის მაგალითს 1 სამუელის წიგნში ვხედავთ.

შეურაცხყოფა კურთხევად იქცა

მსაჯულთა მმართველობისას ისრაელში ერთი უშვილო ქალი ცხოვრობდა, სახელად ხანა. ის ელკანას ცოლი გახლდათ, რომელსაც სხვა ცოლიც ჰყავდა, ფენინა. ხანა სავალალო მდგომარეობაში იყო, რადგან მეტოქე ქალი უშვილობის გამო დიდად ავიწროებდა. სავარაუდოდ, ელკანამ მეორე ცოლი იმიტომ შეირთო, რომ ხანა უნაყოფო იყო. ქმარს ხანა უყვარდა და მის გულს ავსებდა, მაგრამ სახლის გავსება ფენინამ მოახერხა. წელიწადში ერთხელ ოჯახი შილოში თაყვანისცემისთვის მიდიოდა. იქ ფენინამ განსაკუთრებით გაამწარა ხანა და ტირილამდე მიიყვანა. ის ვერაფერმა ანუგეშა, თვით ქმარმაც კი.

შილოში ერთ-ერთი სტუმრობის დროს ხანას მთლად გამოეცალა იმედი. დიდი მღელვარებით მივიდა უფლის წინაშე, აქვითინდა

და აღთქმა დაუდო: „თუ შვილს მომცემ, ისევ უკან დაგიბრუნებ და მთელი ცხოვრება შენი იქნება“ (ავტორის პარაფრაზი).

სანამ ხანა ლოცულობდა, ყელი, ისრაელის მღვდელმთავარი და მსაჯული, ქალს აკვირდებოდა: „გულში ლოცულობდა ხანა, მხოლოდ მისი ბაგენი იძვროდნენ და ხმა კი არ ისმოდა; მთვრალი ეგონა იგი ყელის. უთხრა მას ყელიმ: „როდემდე უნდა იყო მთვრალი? გამოფხიზლდი ღვინისგან!“ (1 სამ. 1:13-14).

რა შეურაცხყოფაა! ის არა მარტო უგრძნობელი აღმოჩნდა ქალის ტკივილის მიმართ, არამედ სულიერი მიხვედრილობაც ვერ გამოიჩინა დ მისი შინაგანი მღელვარება სიმთვრალეს მიაწერა. ხანამ მუდმივი მეტოქე უფლისგან ნუგეშისცემისა და მის თანდასწრებაში ყოფნისთვის მიატოვა, მაგრამ ქვეყნის უმაღლესი სასულიერო პირის მიერ ბოროტად შეირაცხა. ყოველ წელს ცარიელი მოდიოდა შილოში და არ შეეძლო შვილის წარდგენა უფლის წინაშე. ყოევლ წელს უხდებოდა მზერასთან, ჩურჩულთან და დაცინვასთან შეჯახება.

რა რეაქცია გექნებოდათ, თქვენს მწყემსს ბოროტებაში რომ დაედანაშაულებინეთ უდიდესი ტკივილის დროს? ალბათ ასე იფიქრებდით: *ნუთუ ეს ადამიანია უფროსი პასტორი? ნუთუ არ იცის, რომ ვმარხულობ და ღმერთს ვევედრები?* აი, უგრძნობი და უსულგულო არარაობა! ამ მსახურებაზე ჩემი ფეხი აღარ იქნება!

ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთმა აზრებმა ამოხეთქოს ჩვენი გულიდან: „საკუთარ თავს ღვთის მსახურს უწოდებ და ვერ ამოგიცვნია ტკივილებში მყოფი ადამიანი! ვერ ხედავ, რომ ღრმა ლოცვაშია ჩაძირული? რანაირი მწყემსი ხარ? ეს რა ეკლესიაა? საკმარისია! სხვა ეკლესიას და მწყემსს ვიპოვი, რომელიც ჩემი და ღვთის საქმეების მიმართ უფრო მგრძნობიარე იქნება!“ ასეთი აზროვნება სულაც არ არის უცხო ჩვენი თანამედროვე ეკლესიებისთვის. პასტორს პირში უტიფრად თუ არ ეტყვიან, ზურგს უკან მაინც გააქიაქებენ მრევლის სხვა წევრებთან.

მოუსმინეთ ხანას პასუხს ამ დიდი შეურაცხყოფის შემდეგ: „არა, ბატონო, სულდამწუხრებული ქალი ვარ, არც ღვინო და არც მაგარი სასმელი არ დამილევია; უფლის წინაშე ვღვრიდი ჩემს სულს. უკეთურ ქალად ნუ მიიჩნევ შენს მხევალს, რადგან დიდი მწუხარებისა და სიმწრის გამო ვლაპარაკობდი ამდენ ხანს“ (მმ. 15-16). მისი პასუხი სავსე იყო თავაზიანობით და პატივისცემით.

მიუხედავად იმისა, რომ ყელის მოქმედება და შეფასება ღირსებით არ გამოირჩეოდა, ქალმა პატივი მიაგო მისი ძალაუფ-ლების პოზიციას. ლოცვის მიზეზი იმდენად განმარტა, რამდენიც მის კეთილ ზრახვებში მღვდლის დარწმუნებას სჭირდებოდა.

რეალურად, თუ კი ვინმეს საქციელი გაკიცხვას იმსახურებდა, ეს თავად ყელი იყო და სასჯელი ელოდა. ხანამ ყურადღება მის საქციელს კი არა, თავისას მიაქცია. ამ ქალს ნამდვილად ჰქონდა ღვთისმოშიშება. თუ წინამძღოლის ცხოვრებაში რაღაც რიგზე არ იყო, ამ საქმეს ღმერთი მიხედავდა. როგორც გვჭირდება დღეს ასეთი ჭეშმარიტი დაქვემდებარება და თავმდაბლობა!

ხანას მიმართ მღვდლის პასუხი შეიცვალა:

> „მშვიდობით წადი და შეგისრულოს ისრაელის ღმერთმა თხოვნა, რაც სთხოვე მას“. მიუგო ხანამ: „დაე, მადლი ჰპოვოს შენმა მხევალმა შენს თვალში!“ მერე წავიდა თავისი გზით, საჭმელი ჭამა და აღარ ჰქონია მწუხარე სახე“. (მმ. 17-18)

მღვდლის მიმართ მის დაქვემდებარებაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა; ქალმა პატივი მიაგო მას, როგორც ღვთის კაცს და მადლობაც კი გადაუხადა კურთხევის სიტყვისთვის.

ნახეთ, რა მოხდა შემდეგ: „ადგნენ განთიადისას, თაყვანი სცეს უფალს, გამობრუნდნენ და სახლში, რამათს დაბრუნდნენ. შეიცნო ელკანამ ხანა, თავისი ცოლი, და გაიხსენა იგი უფალმა. დაორსულდა ხანა, ეყოლა ძე“ (1 სამ. 1:19-20).

ღმერთმა ხორციელი და უგრძნობი მღვდელი გამოიყენა აღთქმის კონცეპციის სისრულეში მოსაყვანად. ფაქტობრივად, მოკლე ხანში ღმერთმა პირდაპირ განაცხადა: „ამიტომაც დავუფიცე ყელის სახლეულს, რომ უკუნისამდე არ გამოისყიდება მისი სახლეულის ბრალი, არც მსხვერპლით და არც ძღვენით“ (1 სამ. 3:14). არასოდეს გენდომებათ, რომ ღვთისგან ეს სიტყვები მოისმინოთ თქვენი ან თქვენი ოჯახის მიმართ. ღმერთი მოწყალე და კეთილია, მაგრამ ამავდროულად, სამართლიანიც და აი, კიდევ რა ითქვა ყელისა და მისი სახლეულის შესახებ: „აჰა, დგება ჟამი და მოვკვეთ შენს მკლავს და მამაშენის სახლის მკლავს ისე, რომ მოხუცებული აღარ დარჩება შენს სახლში. მეტოქეს დაინახავ ჩემს სამყოფელში, მიუხედავად იმ სიკეთისა,

რაც ისრაელში მოხდება; შენს სახლში კი უკუნისამდე აღარ იქნება მოხუცებული“ (1 სამ. 2:31-32). ის ნამდვილად არ იყო ღვთისნიერი სულიერი წინამძღოლი.

დახშული საშო გაიხსნა და სიბნელიდან სიცოცხლე გამოვიდა. მომდევნო წელს ხანას პატარა სამუელი ჰყავდა მკერდში ჩაკრული. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩასახვამდე მიუძღვნეს ღმერთს, ისრაელში გამოღვიძებას მოიტანს. ხანას სურვილი და წლების ლოცვა მანამ არ იქნა შესმენილი, სანამ პატივი არ მიაგო მის შეურაცხმყოფელ, უგრძნობ მღვდელს. მისი საქციელი არ იყო მხედველობაში მისაღები. მთავარი გახლდათ ქალის ნამდვილი პატივისცემა და დაქვემდებარება ყელის ძალაუფლების მიმართ.

ვინ არის მოსამართლე?

განხილულიდან საოცარი პრინციპი მომდინარეობს: როცა ღმერთი პიროვნებას ძალაუფლების პოზიციაზე აყენებს, მნიშვნელობა არ აქვს მის პირად ქცევას. ჩვენ მაინც მივიღებთ თუ ამის მიღმა ღვთის წარმოგზავნილს დავინახავთ და პატივს მივაგებთ. იესომ ეს პრინციპი ნათელყო, რომ ბევრი მიიღებს თავის კურთხევას ცოდვილი მსახურებისგან, როგორც ხანას შემთხვევაში დავინახეთ: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ (მათ. 7:22-23).

როცა ამ მონაკვეთს ვკითხულობთ, ხშირად ყურადღებას ვამახვილებთ სიტყვაზე ბევრი. მრავალი ადამიანი სასწაულებს ახდენდა იესოს სახელით, მაგრამ მას ზურგი აქცია. ეს სერიოზული და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ საქმის მეორე მხარეც განვიხილოთ. ამ ურჯულოების მოქმედთა ხელიდან ბევრმა მიიღო ნამდვილი მსახურება. ასე იმიტომ მოხდა, რომ ღმერთს შეეხნენ მათი მეშვეობით, როგორც ხანას შემთხვევაში იყო. იესო ყელის მსგავს ადამიანებს გულისხმობდა, რომლის სახლეულიც ღმერთმა სამუდამოდ დასაჯა!

ეს წიგნი ცოდვილი მსახურების კი არა, ძალაუფლების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის დავწერე. წმიდა წერილი ეჭვს არ გვიტოვებს, რომ არსებობენ ცოდვილი და ღვთისმოსავი მსახურები. თუ ძალაუფლების ქვეშ მყოფნი განსჯის უღელს დაიდებენ, უკვე აღარ ემორჩილებიან დაადგენილ ძალაუფლებას და საკუთარი თავი წინამძღოლების მოსამართლეებამდე აღამაღლეს. მათი გულები სიამაყით აღივსო და თავი გადაამეტეს მათ ზემდგომ ადამიანებს. ღვთის დადგენილებასა და რჩევასაც არად აგდებენ. არსებითად, ისინი ღმერთს ეუბნებიან: „შენი სამართალი არასწორია, ახლა ამ საქმეს მე მოვკიდებ ხელს“.

ხანამ აღიარა ძალაუფლება ყელის ცხოვრებაში და პატივი მიაგო მას. „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს“. (იოან. 13:20). კარგად გაიხსენეთ, რომ იესომ იუდა ძალით აღჭურვა და სასწაულების მოსახდენად და ეშმაკების გასადევნად გაგზავნა. თუმცა უფალმა იცოდა, რომ ბოლოს იუდა თავის ბოროტ სახეს გამოავლენდა: „განა თორმეტი არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია“ (იოან. 6:70). იესომ მისი პიროვნება გარჩევის უნარის მეშვეობით დაინახა, რომელიც უფლის მოშიშებაში იპოვება, თუმცა იუდას ცოდვა ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი. მან სასწაულები მოახდინა და სხვებთან ერთად დაბრუნდა გახარებული, რომ დემონებიც ემორჩილებოდნენ იესოს სახელის გამო (მარკ. 6:7-13; ლუკ. 10:17). მიიღო თუ არა ხალხმა მსახურება იუდას ხელიდან? იმ ხელებიდან, რომელიც მიბარებული ხაზინიდან ფულს იპარავდა? რა თქმა უნდა!

როდის უნდა წახვიდეთ?

ნება მიბოძეთ, მნიშვნელოვანი საკითხი გამოვკვეთო! თუ გამომჟღავნდა, რომ ეკლესიის ხელმძღვანელობა აშკარა გახრწნილებას ეწევა და ცოდვაშია, აღარ უნდა გავაგრძელოთ წყლის სმა მისი წაბილწული ჭიდან. ბიბლია არაორაზროვანი სიტყვებით გვარიგებს, რომ უნდა გავეცალოთ მას. თუ ლიდერი ღალატის, მამათმავლობის, მექრთამეობის, ქურდობის, მწვალებლობის ან სხვა თქვენთვის ცნობილ ცოდვაშია და ეს საჯაროდ გამოვლინდა, მაგრამ არ ინანიებს, დატოვეთ მისი მსახურება და წადით! წმიდა წერილი აშკარად ლაპარაკობს ამის

შესახებ. ასეთ ადამიანთან არც კი უნდა ვჭამოთ (1 კორ. 5:9-11). ყელის შემთხვევაში უცნობია, იცოდა თუ არა ხანამ ყელისა და მისი ძეების ცოდვილი ცხოვრების შესახებ. იუდას ხელიდან სასწაულის მიმღებ ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ის ქურდი და პოტენციური მოღალატე იყო.

ეკლესიის წინამძღოლობაზე საუბრისას პავლემ თქვა: „ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარვე ცხადნი არიან (ყველას თვალწინ ხდება) და სამსჯავროსკენ მიუძღვიან წინ მათი სასჯელის წინასწარი გაცხადებით, ზოგიერთს კი უკან მისდევენ [შემცოდე სამჯავრომდე მიჰყავს და იქ გახდება ცხადი]“ (1 ტიმ. 5:24 AMP).

და ბოლოს, დასკვნა: თუ წინამძღოლი ცოდვაში ცხოვრობს და ღვთის სასჯელი ჯერ კიდევ არ გამოვლენილა, ეს ან ამ ცხოვრებაში მოხდება ან მომავალში. არ უნდა განსაჯოთ ან გაავრცელოთ რამე ისეთი, რაშიც დარწმუნებული არ ხართ. ბევრი ადამიანი ეჭვების დონეზე მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში, შეფასებაში ცდებიან, რითაც დიდ ზარალს აყენებენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც. მათი პირიდან გადმოედინება ეჭვებიდან მიღებული დასკვნები. ისინი თავიანთ წარმოსახვას სულიერი გარჩევის უნარს მიაწერენ. ასეთები სხვა ადამიანებს ღვთის მიერ დაყენებული ლიდერებისგან რაიმეს მიღებას ურთულებენ და შედეგად, ბევრი აცდა კურთხევას, რომელიც ღმერთს მისთვის ჰქონდა განსაზღვრული. სწორედ ამიტომ გვარიგებს ღმერთი: „ხუცესებზე ბრალდებას ნუ მიიღებ, თუ ორი ან სამი მოწმე არ იქნება“ (1 ტიმ. 5:19). მოწმე ის არის, ვისაც საქმეში სიცხადის შემოტანა შეუძლია და არა ვინმე ჭორიკანა.

ღმერთი ყველას თავის დროზე განსჯის და თუ მან ჩათვალა, რომ დადგა დრო და წინამძღოლის მოუნანიებელი ცოდვის გამოვლინება აუცილებელია, ამის შესახებ ნამდვილად გაიგებთ და მაშინ მისი ძალაუფლებიდან უნდა გამოხვიდეთ. პავლემ განაცხადა: „შემცოდენი ამხილე ყველას წინაშე, რათა სხვებმაც იქონიონ შიში“ (1 ტიმ. 5:20). გაფრთხილება: ნუ იქნებით მათი ცოდვების მოზიარენი და ნუ დარჩებით მათი ძალაუფლების ქვეშ, თუ გულწრფელად არ მოინანიებენ!

ერთხელ ერთი წინამძღოლის ხელქვეით ვმსახურობდი, რომელიც ბოლოს აშკარა ცოდვაში ჩავარდა. როცა ეს ყველაფერი მოხდა, იქ არ ვიყავი, რადგან უკვე სხვა შტატში ვცხოვრობდი,

სადაც ახალგაზრდების პასტორის პოზიცია მეკავა. ჩვენი წასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ ის წამოდგა და ეკლესიას განუცხადა, რომ ცოლთან გაყრას აპირებდა, რადგან მასთან ცხოვრება აღარ უნდოდა. მოკლე დროის შემდეგ ერთ ახალგაზრდა ქალზე დაქორწინების გეგმები გაამხილა. მის ცოლს მისთვის არ უღალატია, უბრალოდ მწყემსს სხვა ქალი უნდოდა.

ამ დროს უკვე ათასობით ადამიანმა დატოვა სამრევლო. ასე კარგი მიზეზის გამო მოიქცნენ. დარჩენილები საშიშ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, რადგან ეკლესიის დოქტრინა და სწავლება დიდად დამახინჯდა ამ წინამძღოლისა და მისი ახალი ცოლის მიზნების შესაბამისად. ბევრს ვიცნობ, ვინც წამოვიდა და წარმატებას მიაღწია, რადგან პასტორის წინააღმდეგ ლაპარაკი არ მოინდომა. ვინც შეეჯახა, დიდად დაზარალდა.

წლების შემდეგ ჩემი ოჯახი სხვა ცნობილ ეკლესიაში გადავიდა. ჩვენი პასტორი აშკარა ცოდვაში ცხოვრობდა, მაგრამ ღმერთმა ეს გარკვეული დროით დაფარა. მნიშვნელოვან შენიშვნას ჩავურთავ, რომ ღმერთი სულგრძელია. იგი იმედოვნებდა, რომ ის წინამძღოლი ცოდვას მიატოვებდა. მას უყვარს ის ადამიანი და მონანიების დრო მისცა. ბოლოს ღვთის მოთმინება ამოიწურა და ჩვენი პასტორის ცოდვა გამომჟღავნდა. ის ჰომოსექსუალ მეძავს ხვდებოდა და აკრძალულ წამლებს მოიხმარდა. ახალი ამბავი დამანგრეველი გახლდათ და შორს მიმავალი შედეგები იქონია, რადგან ის ევანგელური ეკლესიების ეროვნული ასოციაციის წინამძღოლი გახლდათ, რომელიც დახლოებით, ორმოცდაათი ათასი ეკლესიისგან შედგებოდა.

ისე მოხდა, რომ ამ ტრაგედიამ პირველად ნახსენებისგან განსხვავებული მიმართულება მიიღო. ეკლესიის უხუცესები – ოთხი სხვა ეკლესიის პასტორები – სწრაფად მოვიდნენ ამ ეკლესიის დასახმარებლად და შემცოდე პასტორს მობოდიშებისა და გადადგომის წერილი დააწერინეს. ადამიანებმა თავი დაცულად იგრძნეს და ეკლესია არ დაუტოვებიათ. ახალი პასტორი დაინიშნა და ეკლესია რიცხობრივად იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე წინა პასტორის დროს იყო.

მსახურების ოცდათხუთმეტზე მეტი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ანალოგიური ტრაგედიის მოწმე გავხდი. არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დაცემული წინამძღოლების ქვემდგომებმა ღვთისნიერი რეაქცია იქონიონ. დავითი ამგვარი

საქციელის ნიმუში გახლავთ. დემონის მიერ ტანჯული საულის სამეფო კარიდან გაქცევის შემდეგაც მეფეს სიკვდილამდე სათანადო პატივს მიაგებდა. დავითი ხვდებოდა, რომ საული ღვთის ცხებული მსახური იყო. დღემდე ვცდილობ პატივი მივაგო იმ ორ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ დამწუხრებული ვარ მათი არჩევანისა და მომხდარის ტრაგიკული შედეგების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანს პატივს ვცემ, მათი მოძღვრება ან მსახურება ჩემთვის უსაფრთხო აღარ არის, რადგან პირველმა აღდგენის პროცესზე უარი თქვა, ხოლო მეორემ შუა გზაზე შეწყვიტა.

იყო დრო, როცა მათგან უხვად მივიღე. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ამ მსახურების ურჯულო ქცევა ჯერ კიდევ იქედან მოდიოდა, როცა მათი სწავლებებით ვიზრდებოდი. ორივეს შემთხვევაში არსებობდა ბუნდოვანი მინიშნებები, მაგრამ მაშინ არაფერი გამომჟღავნებულა. ღმერთმა მისაყვედურა, როცა ჩემი პირველი პასტორის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გამოვავლინე (ამაზე მომდევნო თავში გიამბობთ). შესაძლოა, ღმერთი ახლაც ცდილობს ამ ადამიანის გულამდე მიღწევას. იმ დროს ეს ჩემი საქმე არ იყო. ღმერთმა მისი ძალაუფლების ქვეშ მომათავსა და მე არ უნდა განმესაჯა, რამდენად ღირსეული იყო და შეიძლებოდა თუ არა მისგან სიტყვის მიღება. როგორც ხანამ მიიღო ყელისგან, ისე ბევრი ადამიანი იღებდა მისგან იმ დროს.

სულიერი ძალაუფლების წესრიგი

მოდით, იესოს ნათქვამს დავუბრუნდეთ და ყელის ნაცვლად ღვთისნიერი წინამძღოლის მაგალითი განვიხილოთ! დააკვირდით მის სიტყვებს მათეს სახარებიდან:

> „ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს. ვინც წინასწარმეტყველის სახელით ღებულობს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და ვინც მართლის სახელით ღებულობს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს. ვინც ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთ სასმის ცივ წყალს დაალევინებს მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“. (მათ. 10:40-42)

მას ამ მუხლებით ორი საკითხის გადმოცემა სურდა. პირველი და უმთავრესი გახლავთ ძალაუფლების მომდინარეობა ზეციური მამისგან. სწორედ მან გამოგზავნა იესო და ყოველგვარი ძალაუფლება მიანიჭა. იესოსივე სიტყვებით: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცაში და დედამიწაზე“ (მათ. 28:18). იესოა ეკლესიის თავი. ერთ დღესაც მეფობას ზეციერ მამას გადასცემს, როცა ყველა ამბოხებული მის ფეხქვეშ აღმოჩნდება (1 კორ. 15:24-26).

ძალაუფლების წესრიგის თანმიმდევრობაში შემდეგი გახლავთ წინასწარმეტყველი. თავდაპირველად, წმიდა წერილში ასეთებად იწოდებოდნენ უფლის სახელით მოლაპარაკენი (გამ. 4:16; 7:1). წინასწარმეტყველება გახლავთ ხუთიდან ერთ-ერთი ნიჭი, რომელიც მან ეკლესიას მისცა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (ეფეს. 4:8-13). (ისინი არიან ეკლესიაში სიტყვით მომსახურე ადამიანები). როცა მსახურების ნიჭს ვიღებთ, უფლისგან ვიღებთ იმას, რასაც თავად იძლევა გადაცემული ძალაუფლების პოზიციიდან.

შემდეგ იგი გადადის მართალ ადამიანებზე და არც ბავშვებია გამოტოვებული. მინახავს, როგორ მიუღიათ კურთხევა ურწმუნო ადამიანებს, როცა ყველაზე პატარა მორწმუნეებს რაღაც კარგი გაუკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ ურწმუნოები უფალს არ ემსახურებიან, პატივისცემას ავლენენ მათი უფლის მიმართ. წმიდანების მიღებით და კურთხევით, საბოლოოდ, ზეციერ მამას ვიღებთ და ვაკურთხებთ. მოწაფეები, მათ შორის ბავშვები ეკლესიის ძალაუფლების ხუთმაგ მსახურებას ემორჩილებიან იესოს თავობის პირობებში, რომელიც ზეციერი მამის ნებას გამოხატავს. ამრიგად, ურწმუნო ადამიანებიც ქრისტეში ჩვილის კურთხევის ქვეშ ყვებიან, რადგან ცათა სამეფოში უმცირესს დაღუპულ ადამიანებზე მეტი ძალაუფლება აქვს. იესოს სიტყვებიდან ვხედავთ ძალაუფლების თანმიმდევრობას.

სულიერი ძალაუფლების მიღების საზღაური

ხსენებულ მუხლებში გადმოცემულია მეორე საკითხიც, რაც ღვთის მიერ გამოგზავნილთა მიღებას და ამისთვის შესაფერისი ჯილდოს დამსახურებას ეხება. იესოს მსახურებაში ამის თვალსაჩინო მაგალითს ვხედავთ.

ერთი ქალაქის მკვიდრებს გაუჭირდათ იესოს მიღება, თუმცა მესიის რეალობაზე ქადაგებდნენ და წმიდა წერილიდან იცოდნენ,

რომ მისი მოსვლის ჟამი იდგა. იესომ მათ ასე უთხრა: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“. და ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა“ (მარკ. 6:4-5).

ღვთის წარმოგზავნილს ვიღებთ მაშინ, როცა პატივს მივაგებთ მისი ადგილს ანუ ძალაუფლებას. ღმერთმა ასე უთხრა ხალხს მოსეს მეშვეობით: „გამოვუყვან მათ თავის ძმათაგან წინასწარმეტ-ყველს შენს მსგავსად“ (2 რჯ. 18:18). მათ პატივი არ მიაგეს იე-სოს, როგორც ზეციერი მამის წარმოგზავნილს ან მესიას.

რატომ არ მიიღეს იგი? იმიტომ, რომ ისეთი სახით არ მოვიდა, როგორც მათ წარმოედგინათ. მათი მოლოდინი დიდად განსხვავდებოდა იმისგან, როგორიც იესო იყო რეალურად. ისინი ესაიას წიგნში კითხულობდნენ:

> „რადგან ვაჟი შეგვეძინა, ძე მოგვეცა; მის მხრებზე დაივანებს მმართველობა ... განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე“. (ეს. 9:6-7)

ამრიგად, ისინი გამარჯვებულ მეფეს ელოდნენ, რომელიც მათ რომის ჩაგვრისგან იხსნიდა და იერუსალიმში თავის მეფობას დაამყარებდა. ამის ნაცვლად, იესო მოვიდა როგორც ხუროს შვილი და თან მუდმივად მეთევზეების, ყოფილი მეძავებისა და მებაჟეების საზოგადოებაში ტრიალებდა. ისინი თავისთვის ამბობდნენ: „ეს არ არის ის მესია, რომელიც ჩვენ გვინდა ან ველოდებით“.

ასევე, ყურადღება მიაქციეთ წერილის მინიშნებას, რომ იესომ „ვერ მოახდინა“ ვერავითარი სასწაული! არ წერია, რომ „არ მოახდინა“, რაც მისი გადაწყვეტილების შედეგი იქნებოდა, წერილი ამბობს, რომ მან „ვერ მოახდინა“, რაც ნიშნავს, რომ რაღაც აბრკოლებდა. იფიქრეთ ამაზე! ღვთის ძე, რომელიც უზომოდ სავსე იყო სულიწმიდით, დაბრკოლებულია! რატომ? პასუხი ორმაგია: იგი არ მოვიდა ისე, როგორც ელოდებოდნენ და ამიტომ არ მიიღეს და არც პატივი მიაგეს და კიდევ, იგი მათთვის ნაცნობი ადამიანი იყო. მოუსმინეთ მათ სიტყვებს:

„შაბათი რომ დადგა, სინაგოგაში დაიწყო სწავლება. მრავალი მსმენელი გაოცებული ამბობდა, *საიდან აქვს ეს ყველაფერი? რა არის ეს სიბრძნე, მას რომ აქვს მიცემული და სასწაულები, მისი ხელით რომ ხდება? განა ეს ხურო არ არის, მარიამის ძე, იაკობის, იოსეს, იუდას და სიმონის ძმა? აქვე, ჩვენთან არ იმყოფებიან მისი დები?* და ცდუნდებოდნენ მასში. უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“. (მარკ. 6:2-4)

სად არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე? ხშირად, სწორედ საკუთარ სახლსა და თავისიანებს შორის. დავითმა ეს მაშინ აღმოაჩინა, როცა საკუთარი სახლეულის საკურთხებლად დაბრუნდა. მის გამარჯვებას ქუჩებში ზეიმობდნენ, მაგრამ შეზიზღებული იყო საკუთარ ჭერქვეშ. მიქალმა დაკარგა ღვთისგან მისთვის განკუთვნილი კურთხევა. დავითს ჰქონდა საკუთარი სახლის კურთხევის ძალა. რამდენად დიდი იყო იესოს ძალაუფლება მისი საკუთრების საკურთხებლად! მიუხედავად იმისა, რომ კურთხევის ძალაში შეზღუდული არ იყო, მათთვის ძალზე მცირედის გაკეთება შეძლო (2 სამ. 6).

მხოლოდ ღმერთს მოწყურებული, განსწავლადი და თავმდაბალი გულის მქონე ადამიანები ხედავდნენ ღვთის ხელს იესოზე და იღებდნენ მას. სწორედ იგი გახლდათ მისი ხალხის გამყოფი მახვილი, რომელიც ცნობდა ღვთის გულით მაძიებელ ადამიანებს და გამოჰყოფდა გარეგნული ღვთისმოსაობის ფორმის მქონეთაგან, რომლებიც დაბრმავებული იყვნენ თავიანთი დაუმორჩილებელი გულების გამო. როგორც სიმონმა უთხრა მარიამს, იესოს დედას, „აჰა, დადგენილია იგი მრავალთა დასამხობად და აღსადგენად ისრაელში და სადავო ნიშნად. და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი“ (ლუკ. 2:34-35).

იოანე 1:11-12 ამ ორ გამოყოფილ ჯგუფს საზღვრავს: „თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი. მაგრამ, ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა“. აქ ყველა ჩვენგანისთვის საფუძვლიანი ჭეშმარიტება ჩანს. *ხშირად, ღვთის ნება ჩვენს საჭიროებას პაკეტით გვიგზავნის, რომელიც არ გვინდა.* სწორედ ეს დაგვანახებს ჩვენი გულის ნამდვილ მდგომარეობას და გამოავ-

ლენს, მის ძალაუფლებას ვემორჩილებით თუ ვეწინააღმდეგებით. იესომ თქვა: „არც მე მიცნობთ, არც მამაჩემს. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებოდათ“ (იოან. 8:19). ვინც ზეციერ მამას იცნობს, ადვილად ხედავს მისი ძალაუფლების გამოვლინებას მის მიერ გამოგზავნილ ადამიანებში! ამას არც ახსნა და სწავლება სჭირდება და არც დამტკიცება.

ამით აიხსნება ფაქტი, რომ აფრიკაში წასული მსახური ბრმების თვალების ახელას, უძლურთა სიარულს და ყრუებისთვის სმენის დაბრუნებას ხედავს, ხოლო ამერიკაში ჩამოსული მხოლოდ რამდენიმე თავის ტკივილისა და ცოტაოდენი ხერხემლის პრობლემის განკურნებას თუ ახერხებს. უამრავი ანალოგიური მაგალითის მოყვანა შემიძლია. აფრიკაში მამაკაცი თუ ქალი ღვთისგან გამოგზავნილად მიიჩნევა, მნიშვნელობა არ აქვს გარეგნობას ან პაკეტს. როცა ადამიანს ასე იღებენ და პატივს მიაგებენ, ძვირფასი აფრიკელები ღვთის ძალითა და მისი თანდასწრებით იკურთხებიან. ამერიკაში თუ პაკეტი მისაღები არ არის, პატივიც დაკავებულია. ეს პირდაპირპროპორციულია. რამდენადაც იღებთ და პატივს მიაგებთ ღვთის წარმოგზავნილს, იმდენად იღებთ თავად ღმერთს იმ პიროვნების მეშვეობით. უპატიოჰყავით და ეს იქნება თქვენი მისაღები. დიდი პატივი მიაგეთ და პატივისცემა იქნება თქვენი წილხვედრი.

იქნებით ჩემი მეგობარი?

როცა ახალგაზრდების პატორი ვიყავი, ერთ თხუთმეტი წლის მოზარდს, სახელად „ტიმს“ შევხვდი. სანამ იმ მსახურებას შევუერთდებოდი, ტიმი წინა პასტორის ჯგუფში ირიცხებოდა. ამ პასტორმა ჯგუფი სხვადასხვა აქტივობების, გასვლებისა და სპორტის დახმარებით შეადგინა. ახალგაზრდებს შორის გავრცელებული იყო დაუმორჩილებლობის, მოზარდების ორსულობისა და სხვა ზნეობრივი პრობლემები. გარკვეული დროის შემდეგ ეს წინამძღოლი უფროსმა მწყემსმა გაუშვა და მე ამიყვანა. წინა ახალგაზრდების პასტორმა რამდენიმე მილით დაბლა ქუჩაზე ჩაინაცვლა და მცირე ჯგუფით საკუთარი ეკლესია დააფუძნა. ტიმი დარჩენილთაგან ერთ-ერთი გახლდათ.

ახალგაზრდების სიმრავლის მიუხედავად, საჭირო იყო ახალი საფუძვლის ჩაყრა. უფალმა მითითება მომცა, რომ პირველი

ექვსი თვის განმავლობაში ქადაგების, ლოცვისა და თაყვანისცემის გარდა არაფერი გამეკეთებინა. იმ თვეების განმავლობაში არანაირი საზოგადოებრივი აქტივობა არ დამიგეგმავს. ზედმეტია თქმა, რომ მათთვის გავხდი პაკეტი, რომელსაც არ ელოდნენ. შედეგად, უფლის მათ შორის მახვილმა გაიარა, ზოგიერთი წავიდა, სხვები ცნობისმოყვარეობის გამო დარჩნენ. მათ გარდა იყვნენ ენთუზიაზმით განწყობილი ახალგაზრდებიც, რომელთაგან ბევრი დღესაც მსახურებაშია.

უკვე პასტორი ვიყავი ოთხი თვის განმავლობაში, როცა ერთ საღამოს, მსახურების შემდეგ მე და ტიმი ერთმანეთს გავესაუბრეთ. მან გულწრფელად მკითხა:

– პასტორო ჯონ, იქნებით ჩემი მეგობარი? წინა პასტორთან ვმეგობრობდი.

მისთვის სასურველ პაკეტს არ შევესაბამებოდი.

ტიმის კითხვა ზედაპირულად არ მიმიღია და შინაგანში ჩავიხედე, თუ როგორ უნდა მეპასუხა. პასუხი მალევე მოვიდა კითხვის ფორმით:

– ტიმ, იესომ თქვა, „ვინც წინასწარმეტყველის სახელით ღებულობს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს“ (მათ. 10:41). ეს ახალგაზრდების პასტორსაც ეხება. თუ პასტორს მიიღებ პასტორის სახელით, პასტორის საზღაური გერგება.

ისევ გავაგრძელე:

– ტიმ, შენ ბევრი მეგობარი გყავს, არა?

მან მიპასუხა:

– დიახ, სერ!

მაშინ ასეთი კითხვა დავუსვი:

– რა გსურს – მეგობრის თუ ახალგაზრდების პასტორის საზღაურის მიღება? როგორც მიმიღებ, ღვთისგან ისეთივე საზღაურს მიიღებ.

თითქოს ტიმს შინაგანში სინათლე აენთო. მის თვალებში დავინახე, რომ გამოცხადება მიიღო და სწრაფად მიპასუხა:

– ახალგაზრდობის პასტორის საზღაური მინდა. მივხვდი, რის თქმაც გსურდათ.

იმ მომენტის შემდეგ ტიმი გაიფურჩქნა. რამდენიმე წლის შემდეგ ის სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ყოველთვის ცდილობს ჩემთან შეხვედრას, როცა მის ქალაქში მოვხვდები.

ჩემი გამოცდილება

მარტო ამ საკითხზე მთელი წიგნი დავწერე, სახელწოდებით, ღირსების ჯილდო. გულდამწუხრებული ვარ, როცა საზღაურის გარეშე დარჩენილ ადამიანებს ვხედავ მხოლოდ იმის გამო, რომ ღვთის მსახურებს პატივს არ მიაგებენ, რადგან მათთვის მიუღებელი არიან. მსახურებაში ამის მომსწრე ბევრჯერ ვყოფილვარ. ყველაზე ძნელად მისაწვდომი ის ადამიანები არიან, რომლებიც ღვთის მსახურებს არ აფასებენ. ასეთებს ხშირად ვპოულობ შეერთებული შტატების ეკლესიებსა და ქრისტიანულ სკოლებში. ისინი უკვე სიზარმაცემდე გაძღნენ მათ შინაშე ჩავლილი მსახურების მუდმივად გაწყობილი სუფრით და მე მათთვის მხოლოდ მორიგი შემომატებული კერძი ვარ.

სრულიად შესაძლებელია, რომ სამხედრო პირებთან ქადაგება ყველაზე ადვილი იყოს, რადგან მათ კარგად ესმით ძალაუფლების საკითხი. ამის შემდეგ მოდიან პატიმრები ან განვითარებადი ქვეყნების ხალხები, სადაც სასონარკვეთილება და შიმშილი სუფევს. ღმერთი ანალოგიური ტერმინებით დაელაპარაკა ეზეკიელს:

> „გაუგებარ და მძიმე ენაზე მოლაპარაკე ხალხთან კი არა, ისრაელის სახლთან გაგზავნი, არა გაუგებარ და მძიმე ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან, რომელთა ლაპარაკსაც ვერ გაიგებდი. მათთან რომ გამეგზავნე, ისინიც კი მოგისმენდნენ, ხოლო ისრაელის სახლი არ ისურვებს შენს მოსმენას, რადგან ჩემი მოსმენა არ სურთ; ჭეშმარიტად, მთელი ისრაელის სახლი ჯიუტი და თვითნებაა“. (ეზეკ. 3:5-7)

ისრაელისთვის ეზეკიელი მორიგი წინასწარმეტყველი იყო, თუმცა იმათზე უფრო მკაცრი, ვინც ხალხისთვის სასურველს წინასწარმეტყველებდნენ, ამიტომ ის არ მიიღეს.

ერთხელ ღმერთმა გამაოგნა ასეთი განცხადებით:

– *ისეთ ადგილებში გაგაგზავნი, სადაც არ მიგიღებენ.*

მე კითხვა დავუსვი:

– ერთი წუთით! *ისეთ ადგილებში მაგზავნი, რომლებზეც წინასწარ იცი, რომ ჩემს სიტყვას არ მიიღებენ. რატომ?*

უფალმა მიპასუხა:

– მათ სათქმელი არ ექნებათ, რომ შანსი არ მიმიცია.

წავედი იმ ადგილებში და თან იქ ყოფნისას ვფიქრობდი: *„საერთოდ, რატომ მომიწვიეს? ისე იქცევიან, თითქოს იქ არ ვიყო.* სხვა დროს ვყოფილვარ ისეთ ადგილებში, სადაც აეროპორტში ჩამოსვლიდან გაცილებამდე მატარებდნენ და აღფრთოვანებით მხვდებოდნენ, სიკეთით და პატივისცემით მექცეოდნენ მსახურებამდე თუ მის შემდეგ. სასტუმროს ნომერში ყოველთვის მხვდებოდა ხილით და სასუსნავებით სავსე მშვენიერი კალათი და თან გამუდმებით მეკითხებოდნენ: „რამე ხომ არ გჭირდებათ?“ თითქოს გაფუჭებული ჩანაწერი ვიყავი, რომელიც ერთი და იმავეს იმეორებდა: „გმადლობთ, კარგად ვარ. გმადლობთ, კარგად ვარ“. უკან რომ ვიყურები, ადამიანთა ცხოვრების უდიდეს დამოწმებებს და შეცვლილ ეკლესიებს ვხედავ, რომლებიც ასეთი ადგილებიდან მოვიდნენ. თავდაპირველად, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი, როცა ასე კარგად მექცეოდნენ ან წარდგენისას აპლოდისმენტებით მხვდებოდნენ. ასე ვფიქრობდი: *მე ხომ ისეთივე ვარ, როგორც ნებისმიერი თქვენგანი? ნუ იზამთ ამას!* თუმცა მალევე მივხვდი, რომ არაფერ შუაში ვიყავი.

ღმერთმა ნაბიჯ-ნაბიჯ მაჩვენა: მიეცი მათ პატივისცემის საშუალება შენთვის კი არა მათი გულისთვის. საქმე უფრო გამიადვილდა, როცა მივხვდი, რომ ისინი მე კი არა, ჩემში არსებულ ღვთის ნიჭს სცემდნენ პატივს. დადებითმა გამოხმაურებამ მათ გულების გახსნის საშუალება მისცა, რომ იესოსგან მიეღოთ ის, რაც მათთვის ჰქონდა გამზადებული ჩემი, როგორც ჭურჭლის მხრიდან. სიამაყის ნაცვლად თავმდაბლობისა და დამოკიდებულების გრძნობა დამეუფლა, რომელიც ჩემში განუხრელად იზრდებოდა. ვიცოდი, რომ ეს ღვთის არჩევანი იყო და არა ჩემი უნარი. ხალხისგან მიღებულ პატივისცემას ღვთისკენ მივმართავდი და მეყსეულად ვაღიარებდი მასზე ჩემს დამოკიდებულებას. პატივის გამღებნი ადვილად იღებდნენ; ვინც თავს იკავებდა, მიღება უჭირდა.

ორმაგი პატივი

პავლემ მიგვითითა: „ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, განსაკუთრებით კი

ისინი, ქადაგებითა და დამოძღვრით რომ შრომობენ“ (1 ტიმ. 5:17). პავლემ ახსენა „ორმაგი პატივი“. სხვა სიტყვებით, იმაზე ორჯერ მეტი პატივისცემა გმართებთ, ვიდრე სამოქალაქო ხელისუფლებას მიაგებთ.

თუ ამ მონაკვეთს წერილის კონტექსტში წავიკითხავთ, ხუცესთა ფინანსური კურთხევაც იგულისხმება. პავლე განაგრძობს: „მშრომელი ღირსია თავისი საზღაურისა“ (მ. 18). ბიბლიის გაფართოებულ თარგამნში არაორაზროვნად წერია: „უხუცესები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას კარგად ასრულებენ, ორმაგი პატივისცემის [და შესაფერისი ფინანსური მხარდაჭერის] ღირსნი არიან, განსკუთრებით ისინი, ვინც ერთგულად შრომობენ ქადაგებით და სწავლებით“ (1 ტიმ. 5:17-18). NLT აცხადებს: „თავისი საქმის ერთგული უხუცესები პატივისცემისა და კარგი ანაზღაურების ღირსნი არიან“.

ეს პრინციპი ყოველთვის წარმატებით მოქმედებს. თუ ეკლესია თავის კარგად მომსახურე პასტორებსა და წინამძღოლებზე ზრუნავს, ოჯახები, ბიზნესში დასაქმებული ხალხი და ეკლესიის სხვა წევრები კურთხეულნი არიან. ისინი ხარობენ ზეცის ეკონომიით. თუ ეკლესიის წევრები ძუნწობენ, მათგან ხშირად მესმის წუწუნი ქურდობასა და ნაკლებობაზე ან ამჟამინდელი ეკონომიკის ცუდ პირობებზე.

გავიაზრე, რომ ეს ჭეშმარიტება აბუჩად აგდებულია, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნების მსახურთა მიერ. ვნაღვლიანდები, როცა მსახურები გამუდმებით ფულსა და მატერიალურ საგნებზე ლაპარაკობენ. მათ აქვთ ჭეშმარიტება, მაგრამ დაკარგეს მსახურების გულისცემა და დაქირავებული მუშაკის გზას დაადგნენ. სწორედ ასე ცხოვრობდნენ ფარისევლები. მათ ბევრს ადამიანს გადაახვევინეს ბიბლიური პატივისცემის პრინციპებისგან, რადგან დაინახეს აბუჩად აგდება. ამან, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედა მათ მზრუნველობას მინდობილ ადამიანებზე, რომელთაც სჭირდებოდათ ჭეშმარიტების ჯანსაღი გზით გადაცემა.

ამგვარი ზიანი მოგზაური მქადაგებლის მსახურების დაწყების პირველივე წელს დავინახე – უკან, 1990 წელს. ერთ პატარა ეკლესიაში ვმსახურობდი, სადაც წევრების რაოდენობა 100 კაცს ძლივს აღემატებოდა. შეკრებებმა კარგად ჩაიარა და ხალხიც მშვენიერი იყო. დასაძინებლად პასტორისა და მისი

მეუღლის სახლში დავრჩით და მივხვდით, რომ საქმე კარგად ვერ მიდიოდა. ცოლი სრული დროით ბორტგამცილებლად მუშაობდა და სურვილის მიუხედავად, ხალხის მომსახურების საშუალება არ ჰქონდა. მას არ სურდა სამუშაოს შეწყვეტა და ხელფასის ეკლესიიდან მიღება, რადგან ეს მორწმუნეებისთვის დიდი ტვირთი იქნებოდა. გავიგე, საიდან მოვიდნენ ისინი. მე და მასპინძელი პასტორი ადრე იმ ეკლესიიაში ვმსახურობდით, რომელიც ზემოთ ვახსენე. ჩვენი მაშინდელი პასტორი უზომოდ ბევრს ლაპარაკობდა ფინანსებსა და შესაწირზე. ორივენი ვფრთხილობდით, რომ იგივე არ გაგვემეორებინა და ვერც კი გავაცნობიერეთ, როგორ გადავეშვით მეორე უკიდურესობაში. თუმცა ღმერთმა მასწავლა, რომ არც ერთი უკიდურესობა არ არის მისაღები. მას დაბალანსებული სწავლება სურს.

შეკრებები კვირა დილით დაიწყო და ოთხშაბათ საღამომდე გაგრძელდა. პირველი სამი კარგად წარიმართა, მაგრამ ჩანდა, რომ ეკლესიას რაღაც აკავებდა. მთელი სამშაბათის განმავლობაში უფალი ჩემს გულს ელაპარაკებოდა ამ ადამიანთან და ფინანსების მართვის აქაურ წესთან დაკავშირებით. საქმე ადგილიდან არ იძვროდა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, თუ რის გაკეთება შემეძლო.

მსახურების დაწყებამდე პასტორი ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ამ საღამოს ჩვენთვის განკუთვნილი შესაწირის მსახურება ჩამეტარებინა. მან ზუსტად ასეთი სიტყვებით გადმომცა მსახურების უფლება: „თავისუფლებას გაძლევ შესაწირში.“

ძალიან მესიამოვნა. მივხვდი, რომ ღმერთმა კარი გამიხსნა და იმ საქმის მოგვარებას შევძლებდი, რაზეც მელაპარაკა. იმ საღამოს ხალხს დაახლოებით იმ სწავლებით მოვემსახურე, რაზეც ამ წიგნში ვწერ. წავიკითხეთ ტიმოთესთვის გაგზავნილი პირველი წერილი და აუდიტორიას განვუცხადე, რომ პასტორი და მისი მეუღლე არ იყვნენ სათანადოდ მომსახურებული ფინანსური თვალსაზრისით. ნათლად განვუმარტე ეკლესიას, რომ დადგა დრო, როცა არასწორი იყო იმ ქალბატონის მუშაობა ოჯახის უზრუნველსაყოფად კვირაში სამი თუ ოთხი დღის განმავლობაში. მათ ვუთხარი, რომ პასტორმა თავისუფლება მომცა შესაწირის შეგროვებაში, მაგრამ მას ჩვენი მსახურებისთვის არ გამოვიყენებდი. ხალხი მართლაც დაინტერესდა პასტორის კურთხევის შესაძლებლობით და დადებითად გამოგვეხმაურა.

იმ საღამოს შესაწირი სამჯერ აღემატებოდა იმ ეკლესიაში ოდესმე შეგროვებულ უდიდეს თანხას! პასტორის ცოლი ცრემლებად იღვრებოდა, ხოლო თავად პასტორი გაშეშებული იდგა.

გაოცდებით, ყველა იმ გარღვევაზე რომ გიამბოთ, რაც მომდევნო ოცდაოთხი საათის მანძილზე მოხდა. ერთმა წყვილმა მეორე დღეს ათიათასდოლარიანი ჩეკი მიიღო. მეორემ სახლის კარებში ათასხუთასდოლარიანი ჩეკი იპოვა კონვერტით. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მომდევნო კვირა დილისთვის იმდენი დიდი და ურიცხვი დამოწმება დაგროვდა, რომ პასტორმა ქადაგებაც ვერ შეძლო. მთელი მსახურება დამოწმებებმა შეადგინა, თუ რა გააკეთა ღმერთმა მთელი იმ კვირის განმავლობაში მათ ბიზნესსა თუ პირად ცხოვრებაში ფინანსური თვალსაზრისით. მოგვიანებით პასტორმა იმ დაუგეგმავი მსახურების ჩანაწერი გამომიგზავნა.

შემდეგი ორი წლის მანძილზე ეკლესია საოცრად გაიზარდა. მათ ახალი შენობა, სკოლის მთლიანი კამპუსი იყიდეს, გაარემონტეს და რიცხობრივად დიდად გაიზრდნენ, თუმცა წლების მანძილზე იყვნენ გაშეშებული ასკაციან მაჩვენებელზე. ეს და მრავალი სხვა მაგალითი მაჩვენებს, რომ ღმერთს სურს იმ ადამიანების კურთხევა, რომლებიც ჩვენ შორის შრომობენ და გვემსახურებიან.

ჩემი, როგორც მოგზაური მქადაგებლის თითქმის ოცდაათწლიანი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ ამ ბიბლიური ჭეშმარიტებიდან გამონაკლისი არ მინახავს. უამრავ ეკლესიაში მიქადაგია, რომელიც პასტორს მოკრძალებულ ხელფასს უხდის. მათი აზროვნება ასეთია: *უფრო მეტს გავაკეთებთ მისიებისა და მახარებლობისთვის, თუ პასტორს უფრო ნაკლებს გადავუხდით.* ეს ეკლესიები მისიებისთვის ყოველწლიურად ასობით ათას დოლარს გასცემენ.

მიწვეული ვყოფილვარ ბევრ ეკლესიაში, სადაც პასტორს ძალიან კარგად უხდიან. ეს ეკლესიები ყოველწლიურად მილიონებს გასცემენ მახარებლობისა და მისიებისთვის. ისმის რიტორიკული კითხვა: ვინ უფრო მეტს გასცემს მახარებლობისა და მისიებისთვის? პასუხი მარტივია: ის ეკლესიები, რომლებიც პასტორს კარგად უხდიან. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ისინი ღვთის სიტყვის მითითებებს ემორჩილებიან, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ მათი გონიერება ღვთის სიბრძნეს აღემატება!

ორმაგი პატივი

განვითარებად ერებში ვყოფილვარ და ლამის ვქვითინებდი იმის დანახვაზე, თუ როგორ მეპყრობოდნენ ეკლესიები. ფულადი ეკვივალენტით, შესაძლოა ამერიკის სტანდარტებზე ნაკლები იყო, მაგრამ იქ ზოგიერთმა ეკლესიამ გაცილებით დიდი თანხით მაკურთხა, ვიდრე ამერიკის გულგრილი ეკლესიებიდან მიმიღია. ყველაზე მეტად ჩემს გულს ძღვენის მიღმა არსებული ამ დიდებული ხალხის სიყვარული შეეხო. ეს არაფრით განსხვავდება ქვრივის შესაწირისგან, რომელმაც ყველა დანარჩენზე მეტი გაიღო, თუმცა რაოდენობრივად მცირე და უკანასკნელი იყო. მან პატივი მიაგო ღმერთს თავისი ძღვენით. ეს ძვირფასი წმიდანები მათთან გაგზავნილ ღვთის მსახურებს პატივით და სიხარულით იღებენ. დაე, ეს კარგად გაგიჯდეთ გულში! პატივი მიაგეთ იმ მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც თქვენს შორის ღვთის სიტყვით იღწვიან!

წინამძღოლების მიერ დაყენებულები

მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ იესოს სიტყვებს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს“ (იოან. 13:20). მათეს სახარებაში იესო, რეალურად, იერარქიულ წესრიგს აღწერს: მამამ იესო გამოგზავნა, ხოლო იესომ ხუთმაგი მსახურების წარმომადგენლები გაგზავნა. თუ მის მიერ დაყენებული წინამძღოლებს ვიღებთ, მას ვიღებთ, ხოლო მისი მიღებით ზეციერ მამას ვიღებთ.

თანმიმდევრობის ჯაჭვი ხუთ ძირითად მსახურზე არ ჩერდება. ის იმ ადამიანებით გრძელდება, რომელთაც ხუთი მსახური აყენებს. არასოდეს დამავიწყდება ერთ კვირა დილის მსახურებაზე ჩემი პირიდან გამოსული სიტყვები. ეკლესიას კარგი პასტორი ჰყავდა. ის თავის ძალაუფლებას ხალხის დასაცავად იყენებდა და ისინიც პატივს მიაგებდნენ, თუმცა პატივისცემა ეკლესიის დარჩენილ თანამშრომლებსა და სხვა მუშაკებზე არ ვრცელდებოდა. ვაკვირდებოდი მათ, ვინც მწყემსის მიერ დანიშნულ ხალხს, ვთქვათ აშერებს, საპარკინგო ადგილის მომწესრიგებლებს, მიმსალმებლებს, დამხმარეებსა და უმცროს პასტორებს არად დაგიდევდნენ.

იმ ეკლესიას წინასწარმეტყველურ რეჟიმში ვემსახურებოდი. როცა ვქადაგებდი ბევრჯერ ჩემგან გამოსული სიტყვები მე თვითონ პირველად მესმოდა. ერთ ეკლესიის მუშაკს თითი მივუშვირე და ვთქვი: „როგორ პატივსაც ამ ადამიანს მიაგებთ, ისეთ პატივს მიაგებთ მწყემსს. როგორ პატივსაც მიაგებთ მას, ისეთივე პასუხს სცემთ იესოს“.

უნდა გენახათ ეკლესიის ზოგიერთი წევრის თვალები. გამოცხადების სინათლე მივიდა და მათი დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ეს ჯანსაღი ეკლესია იყო და ადამიანებმა სიხარულით მიიღეს შესწორება. მეც მომემსახურა ის სიტყვები. როცა რომელიმე ეკლესიაში მსახურებას ვეწევი ან ჩემს მშობლიურ ეკლესიაში ვარ, პატივს მივაგებ მსახურებს. ისინი მწყემსმა დააყენა, რომელიც თავად იესომ დაადგინა, ხოლო იესო ზეციერმა მამამ დააყენა. ყველაფერი დადის ღვთის ძალაუფლების დანახვაზე იმ ადამიანებში, რომელთაც ვხვდებით.

საუცხოო ბიბლიური მაგალითი გახლავთ ნაყამანის ამბავი, რომელიც სირიის არმიის მხედართმთავარი იყო. მას კეთრი სჭირდა, მაგრამ განკურნების გზა არსად ჩანდა. ებრაელმა მოახლე გოგონამ უთხრა, რომ ისრაელის წინასწარმეტყველს ისრაელის უფალი ღვთის ძალით შეეძლო მისი განკურნება.

სირიის მეფემ ნაყამანს წასვლის უფლება მისცა და ისრაელის მეფესთან გაგზავნა, რომელმაც ის ელისესთან გაუშვა: „მივიდა ნაყამანი თავისი ცხენებითა და ეტლით და ელისეს სახლის შესასვლელთან დადგა. მოციქული გაუგზავნა ელისემ და უთხრა: „წადი, შვიდგზის განიბანე იორდანეში, გაგიახლდება ხორცი და გასუფთავდები“ (2 მეფ. 5:9-10).

როცა ნაყამანმა მისი დანაბარები მოისმინა, განრისხდა და თქვა: „აჰა, ვიფიქრე, უსათუოდ გამოვა, დადგება და უფლის, თავისი ღვთის სახელს ახსენებს, კეთრიან ადგილზე დამადებს ხელს და განმკურნავს-მეთქი“ (მ. 11).

არასწორმა მოლოდინმა კინაღამ უარი ათქმევინა იმაზე, რაც ღმერთს მისთვის გამზადებული ჰქონდა. ის სიხარულით მიიღებდა ელისეს, გარეთ რომ გამოსულიყო, მაგრამ უბრალო მსახურის ან თანამშრომლის გამოგზავნა მეტისმეტი გახლდათ. ბოლოს და ბოლო, ნაყამანი ხომ მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა! მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ელისესთან პირდაპირი კონტაქტის გარეშე. თუმცა მას, როგორც მხედართ-

მთავარს, კარგად უნდა სცოდნოდა გადაცემული ძალაუფლების საკითხი. კარგი ამბავი ის არის, რომ მსახურმა ელისეს ნათქვამის შესრულებაში დაარწმუნა. ამიტომაც იგი იორდანეში ჩავიდა, შვიდგზის განიბანა და სრულად განიკურნა. ეს ზუსტად ისე მოხდა, როგორც მსახურმა-თანამშრომელმა თქვა. ის ხომ ღვთის ძალაუფლების მქონე ადამიანის ხელქვეით იდგა!

ვნაღვლიანდები, როცა მესმის ეკლესიებზე, სადაც პასტორის წასვლის შემდეგ დასწრება კლებულობს. ასეთი ადამიანები მოწმობენ, რომ ნამდვილ ძალაუფლებაზე წარმოდგენა არ აქვთ. თუ გულის მდგომარეობა სწორია, ადამიანები შედეგიანად მიიღებენ უმცროსი პასტორის ან მოგზაური მსახურისგან, რადგან ისინი მწყემსმა დააყენა. უფროსი პასტორი იესოს ნაცვლად დგას. თუ ცათა სამეფოს ძალაუფლებაზე წარმოდგენა გვაქვს, ვაცნობიერებთ, რომ ეს არ გახლავთ პიროვნებათა შეჯიბრება, არამედ ადამიანისთვის მინიჭებული ძალაუფლება, რომელიც საბოლოოდ, იესომდე მიდის.

მორწმუნეებმა პატივი უნდა მივაგოთ სამოქალაქო ხელისუფლებას, დამქირავებლებს, მასწავლებლებს და სხვა დაყენებულ პირებს. უნდა ვაღიაროთ მშობლების ძალაუფლება და თუ ასე ვიქცევით, საზღაურს მივიღებთ. და ბოლოს, ორმაგი პატივი მივაგოთ მათ, ვინც მსახურებაში დგას, განსაკუთრებით ღვთის სიტყვის მასწავლებლებსა და მქადაგებლებს.

თავი 11

მორჩილება და დაქვემდებარება

შესაძლებელია ვემორჩილებოდეთ,
მაგრამ არ ვექვემდებარებოდეთ.

დაქვემდებარება საკმაო გაუგებრობას იწვევს მორწმუნეთა შორის. მომდევნო სამ თავში ამ რთულ საკითხებს განვიხილავთ. ბოლო ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, როცა საფარქვეშ ყოფნის თემაზე ვასწავლი, გამუდმებით ვისმენ შემდეგ კითხვებს:

- მორჩილება პირობითია?
- რა იქნება, თუ ჩემი წინამძღოლის გადაწყვეტილებებს არ ვეთანხმები?
- რა იქნება, თუ ძალაუფლებაში მყოფნი არასწორ გადაწ-ყვეტილებებს იღებენ?
- რა უნდა ვქნა, როცა ხელისუფალი რაიმე არასწორის ჩასადენად მიბიძგებს?
- სად უნდა გავავლო ზღვარი?

ამ შესანიშნავ კითხვებს პასუხს გავცემთ, თუ ძალაუფლებას სრული გაბედულებით ვექვემდებარებით. დასაწყისისთვის ებრაელთა წერილს მივმართოთ:

„მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და დაემორჩილეთ მათ, ვინაიდან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, რო-

> გორც პასუხისმგებელნი, რათა ამას სიხარულით აკეთებდ-
> ნენ და არა კვნესით; რადგან ეს სასარგებლო აღარ იქნება
> თქვენთვის“. (ებრ. 13:17)

ავტორი გამორჩეულად გვარიგებს ორ რამეში: 1) დავემორჩილოთ ზემდგომებს; და 2) დავექვემდებაროთ მათ მმართველობას. ეს ორი განსხვავებული მიმართულებაა და სწორედ აქ იბნევა ბევრი მორწმუნე. შესაძლებელია, ვემორჩილებოდეთ ზემდგომებს, მაგრამ სულაც არ ვექვემდებარებოდეთ. ამის ასახსნელად პირად მაგალითს გაგიზიარებთ.

გამოუკვეცავად დარჩენა

როგორც ერთ-ერთ წინა თავში ვახსენე, 20 წელზე ცოტა მეტის ვიყავი, როცა საინჟინრო ასპარეზზე ხანმოკლე კარიერის შემდეგ შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილის ერთ დიდ ეკლესიაში მსახურებას შევუდექი. იქ ოთხნახევარი წელი ვიმუშავე პასტორის პირად ასისტენტად. ეს პოზიცია ითვალისწინებდა პასტორისა და მისი მეუღლის პირადი საკითხების მოგვარებას და მათი ბავშვების მიხედვას.

შესანიშნავი სასწავლო გარემო იყო და პირველ წელს მეტისმეტად მადლიერი ვიყავი ღვთისა, რომ მის სამეფოში ამ ადგილას მუშაობის უფლება მომცა. მახსოვს, როგორ ვფიქრობდი: *უნდა გადავუხადო, რომ ამის გაკეთების უფლება მომცა.* გარკვევით მახსოვს, როგორ ვიჯექი ერთხელ სუპერმარკეტის საპარკინგო მოედანზე მთელი მისი ოჯახისთვის საჭირო სურსათის შეძენის შემდეგ და ვტიროდი. ჩვენს ეკლესიაში რვა ათას ადამიანზე მეტი დადიოდა. რატომ მერგო მაინც და მაინც მე ასეთი პრივილეგია? ეს თაფლობის თვის პერიოდი დაახლოებით ერთ წელს გაგრძელდა და შემდეგ ჩაქრობა დაიწყო – თავდაპირველად შეფარვით, შემდეგ კი სწრაფი დაღმასვლით.

რაც უფრო ახლოს ვიცნობდი მათ, მით მეტ ნაკლს ვამჩნევდი. სიახლისა და აღტაცების გრძნობა შესანიღბად აღარ ვარგოდა. ადვილი არ იყო იმაზე ფიქრების თავიდან მოშორება, რის მოწმეც ვხდებოდი. დიდი ხანი არ გასულა, რაც ეს სახეები ძალიან მომიმრავლდა. სხვადასხვა საქმეების მოგვარების, პრიბლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების გზებთან დაკავშირებით მეტი უთანხმოება მქონდა, ვიდრე თანხმობა.

ისეთი მწვავე კომენტარები კეთდებოდა, რომ კორპორაციულ ამერიკაში გაგონილს არაფრით ჩამოუვარდებოდა. თუ საქმე თანამშრომლებზე მიდგებოდა, ვიცოდი, რომ ბევრი დრო არ დასჭირდებოდა მათ გათავისუფლებას ან იძულებას, რომ თავისით წასულიყვნენ. ხშირად მათ ნაცვლად ისეთები მოდიოდნენ, რომელთაც ტკბილმოუბარ მატყუარებად ვთვლიდი. ბევრი ახალმოსული მენეჯმენტის ან სხვა საკვანძო პოზიციაზე ინიშნებოდა. ჩანდა, რომ ჩემს პასტორს ასეთების საზოგადოებაში ყოფნა უფრო მოსწონდა, ვიდრე ღვთისნიერი ადამიანების შემოკრება. ის იცინოდა და ხითხითებდა მათ უმარილო შენიშვნებზე, მაგრამ გულწრფელი მორწმუნეებით არათუ არ ინტერესდებოდა, გაურბოდა კიდეც. მაფიქრებდა მისი საქციელი და მალე გაკრიტიკებაც დავიწყე.

სხვა შეუსაბამობებიც არსებობდა და არც ერთი მათგანი არ გამომრჩენია. ეს ხომ საერთაშორისო მასშტაბის მსახურება იყო, რომელიც მეტისმეტად ჩანდა შეერთებულ შტატებში. ყველა სახის პროგრამა დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს მოითხოვდა, რომ მექანიზმს გამართულად ემუშავა. თანამშრომელთა რიცხვი 250-ს აჭარბებდა და ყველაფერი სრულიად თანამედროვე იყო. არსებული პროგრამებისა და სამომავლო იდეების განხორციელებისთვის საჭირო ფულის მოზიდვაში დასახმარებლად კონსულტანტები მოჰყავდათ. მე ვიყავი მათ განთავსებაზე პასუხისმგებელი. უბრალოდ, მათთან ყოფნაც საკმარისი იყო, რომ ჩვენს პასტორთან გამართული საუბრების შესახებ გამეგო. ჩემს თავს კითხვას ვუსვამდი: *ეს მომგებიანი ბიზნესია თუ მსახურება?* რაც უფრო მეტი მესმოდა, მით მეტად ვიყავი დარწმუნებული: *აქ ცდუნებას აქვს ადგილი. ამ ადამიანებს მართლა ედარდებათ ხალხი თუ ფულის საკეთებლად არიან მოსულები? რატომ მოსწონს ჩემს პასტორს მათ საზოგადოებაში ყოფნა?*

მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემ გვერდით იყვნენ ასევე კრიტიკულად განწყობილი მეგობრები. გამორჩევით მახსენდება ერთი წყვილის სახლში გამართული სადილი. კაცებმა პირდაპირ განვაცხადეთ ჩვენი მოსაზრებები პასტორსა და მის მეუღლეზე. ვმსჯელობდით, როგორ ვერაფერს ვიღებდით მსახურებიდან. მახსოვს, როგორ ვთქვი: „ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არაფერი მიმიღია კათედრაზე წარმოთქმული სწავლებიდან“. ყველა ერთ აზრში ვიყავით ჩემი ცოლის გარდა. ის ჩუმად იჯდა.

ხშირად მეორდებოდა ერთი განცხადება: „უკვე ველარ *ვიკვებებით“.* ყველანი შევთანხმდით, რომ ამ ეკლესიაში მსახურება დასასრულს უახლოვდებოდა. ძალზე სულიერი განწყობა გვქონდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ ღმერთი თავად დაგვაყენებდა სხვა მსახურებაზე. ამგვარი თავდაჯერებულობის გრძნობა საერთო იყო. ყველანი ვფიქრობდით, თუ რა მალე დასრულდებოდა ჩვენი საქმიანობა აქ და დაწინაურება არ დააყოვნებდა.

პრობლემა ჩემში იყო

რამდენიმე დღის შემდეგ ვლოცულობდი და ღმერთმა თავისი მოწყალებით გამახსენა საკითხი, რომელზეც მეგობრის სახლში ვიმსჯელეთ. ფრაზა „გამოუკვებავად დარჩენა“ იმ საღამოს არ იყო გამოკვეთილი, თუმცა ზუსტად ამ სიტყვებს ხშირად ვიმეორებდი ცოლთან საუბარში, როცა ბოლო ექვსი თვის მანძილზე ყოველ მსახურებისას ჩვენი პასტორის სწავლებას ვუსმენდით. როცა ჩემს სულიერ შიმშილზე ვფიქრობდი იმის გამო, რომ ვერ ვიკვებებოდი, სულიწმიდამ მტკიცედ მამცნო: *პრობლემა პასტორში არ არის. პრობლემა შენშია!*

ელდა მეცა და ლამის, ურწმუნოებით ვთქვი: ნუთუ ღმერთი ამას მეტყოდა? წარსულშიც მქონდა შესწორების შემთხვევები და ხშირად შევჩერდებოდი ხოლმე, რომ გაგონილის სიზუსტეზე დავფიქრებულიყავი. გონება კითხვას სვამდა: *დარწმუნებული ხარ, რომ ეს მე მეხება?* (სულიერი მოწიფულობისას ამგვარი კითხვები ნაკლებად ისმება, ვინაიდან ვხვდებით, რა ცოტა ვიცით რეალურად და რამდენად გვჭირდება გაზრდა.)

კითხვა ხმამაღლა წარმოვთქვი:

– რატომ არის პრობლემა ჩემში?

უფალმა მიპასუხა:

– იმეორებ, რომ არ ხარ გამოკვებილი. ესაიას წიგნი ამბობს: *„თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ, მაგრამ თუ იუარებთ და ამიჯანყდებით, მახვილი შეგჭამთ!“ (1:19-20).*

წმიდა წერილი საკმაოდ კარგად ვიცი და გავაპროტესტე:

– მე ძალზე მორჩილი ვარ.

სულიწმიდა შემეწინააღმდეგა:

– შენ ემორჩილები ყველაფერში, რასაც მსახურებაზე გავა-

ლებენ, მაგრამ მე არ მითქვამს: *„თუ დამემორჩილებით, მიწის დოვლათს შეჭამთ“. მე ასე ვთქვი: „თუ მოინდომებთ და შეისმენთ ...“ მონდომებას კავშირი აქვს შენს დამოკიდებულებასთან, რომელიც ყარს!*

შემდეგ მან გამახსენა, რომ ზეციდან შობამდე სკოლის დამამთავრებელ კლასებში ერთი საყვარელი ტელეგადაცემა მქონდა, რომელიც ოთხშაბათ საღამოს გადიოდა და ბარეტა ერქვა. ეს იყო დეტექტიური შოუ ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკზე. ნაგვის გადაყრის დღედ ხუთშაბათი დაწესდა და მანქანა დილით ადრე მოდიოდა. ეს საქმე მე მევალებოდა, რადგან ოჯახში ერთადერთი ბიჭი ვიყავი. ყოველი კვირის ოთხშაბათ საღამოს, როცა გადაცემის კულმინაცია დგებოდა და ბარეტა მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებდა საქმის გასახსნელად, დედას მაშინ მოუნდებოდა ჩემთვის კითხვის დასმა:

– შვილო, ნაგავი გარეთ გაიტანე?

როგორც წესი, ჩემი პასუხი იყო:

– ჯერ არა.

დედა მეუბნებოდა:

– მინდა, რომ ადგე და ახლავე გაიტანო ნაგავი!

მეც ვპასუხობდი:

–კარგი, დედა. შემდეგ ვდგებოდი და გამქონდა.

ვინმე ჩემს საქციელს რომ დაკვირვებოდა, მორჩილებას დაინახავდა და მართალიც იქნებოდა. ის ასევე იფიქრებდა, რომ მე მინდოდა ამის გაკეთება. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ვდუდღუნებდი: „არ მჯერა, რომ ყოველთვის მაშინ მთხოვს ნაგვის გატანას, როცა ჩემს საყვარელ გადაცემას ვუყურებ. არ შეუძლია ათი წუთის მოთმენა, სანამ დამთავრდება?“

სულიწმიდამ მითხრა:

– მორჩილი იყავი და ისე ჩანდა, თითქოს გულით აკეთებდი, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო – შინაგანი დამოკიდებულებით სულაც არ მოგწონდა. მიზეზი, რის გამოც არ ხარ გამოკვებილი (არ ჭამ ჩემი სამეფოს დოვლათს), არის მორჩილება, რომელსაც არ ახლავს შენი სურვილი!

დავინახე, როგორ მიმიყვანა სულიერი შიმშილობის საშიშ ადგილამდე ჩემი პასტორის მიმართ დამოკიდებულებამ. ებრ. 13:17 ასეთი სიტყვებით სრულდება: „რადგან ეს სასარგებლო როდია თქვენთვის“.

თვალები ამეხილა. მყისვე მოვინანიე. მომდევნო კვირა დღეს იგივე ეკლესიაში ვიყავი, იგივე სკამზე ვიჯექი და იგივე პასტორს ვუსმენდი, რომელიც ქადაგების იგივე სერიას მიყვებოდა, მაგრამ იმ დილით ყველაფერი განსხვავებული იყო. ზეცა გაიხსნა და გაოცებული დავრჩი იმ გამოცხადებით, რომელიც ღმერთმა ჩემი პასტორის სწავლების მეშვეობით მომცა. ლამის ავტირდი. მიკვირდა, რამდენი დავკარგე გასული ექვსი თვის განმავლობაში იმ ძალაუფლებისადმი ცუდი დამოკიდებულების გამო, რომლის ქვეშაც ღმერთმა დამაყენა. ჩემთვის კარგად არ ჩაიარა გასულმა ექვსმა თვემ, რადგან პასტორისა და ეკლესიაში საქმეების წარმართვის გზებისადმი კრიტიკულად ვიყავი განწყობილი და მონდომებაც მაკლდა.

როცა ჩვენი ზემდგომი, ღვთისგან გადაცემული ძალაუფლების დაქვემდებარებას უხალისოდ ვეკიდებით, უზენაეს ძალაუფლებას ვეწინააღმდეგებით, რადგან ისინი უფალმა დააყენა! ღმერთს სურს, რომ თავისუფლად გავიხაროთ და სარგებელი მივიღოთ საბანკეტო სუფრიდან, რომელსაც მის მიერ დაყენებული ხალხის მეშვეობით გვიმზადებს.

მორჩილება ძალაუფლების მიმართ ჩვენს გამოხმაურებას უკავშირდება მოქმედების მეშვეობით, ხოლო დაქვემდებარება ანუ მონდომება მის მიმართ შინაგანში არსებულ *დამოკიდებულებას* გულისხმობს. ზუსტად აქ ცდება უმეტესი ჩვენგანი. ღმერთი ხედავს როგორც გარეგნულ მორჩილებას, ასევე გულში დაფარულ დამოკიდებულებას. დავითმა ამ სიტყვებით მიმართა თავის ძეს, სოლომონს, როცა ტახტი გადაულოცა: „შენც სოლომონ, ჩემო ძეო, შეიცანი მამაშენის ღმერთი და მთელი გულითა და *გონებით* ემსახურე მას, რამეთუ მთლიანად იკვლევს გულს უფალი და *ფიქრთა ყოველი ზრახვა უწყის*“ (1 ნეშტთ. 28:9).

სწორედ ამ მიზეზის გამო შეგვაგონებს ებრაელთა წერილის ავტორი, რომ დავემორჩილოთ და გულით დავექვემდებაროთ. როცა პავლემ თქვა: „ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებას“, მორჩილება შინაგანი თანხმობის დამოკიდებულებასთან იყო შერწყმული.

შინაგანი დაქვემდებარება, მაგრამ არა მორჩილება

მოდით, გამოვიკვლიოთ ებრაელთა წერილის ავტორის სიტყვები, ოღონდ სხვა თარგმანის გამოყენებით: „დაემორჩილეთ

თქვენს წინამძღოლებს და დაექვემდებარეთ მათ ძალაუფლებას“ (13:17). თვალსაჩინო მაგალითი გაჩვენეთ, როგორია მორჩილება, როცა შინაგანი დამოკიდებულებით არ ექვემდებარები. ახლა უნდა ვთქვა, რომ საპირისპიროც ჭეშმარიტია. შესაძლოა, მორჩილება გვინდოდეს, მაგრამ რეალურად არ ვემორჩილებოდეთ. კარგი მაგალითი იქნება იესოს იგავი ორი ძის შესახებ, რომელიც მე-3 თავში განვიხილეთ. ერთ ძეს შინაგანი სურვილი ჰქონდა: „დიახ, ბატონო, წავალ და ვიმუშავებ ვენახში!“ თუმცა აღარ წავიდა. იესომ ნათლად გამოხატა, რომ მან მამის ნება არ შეასრულა, თუმცა ამის დიდი სურვილი ჰქონდა და გონებრივად დაეთანხმა თხოვნას.

ასე ხშირად ხდება თანამედროვე ეკლესიებში. დიადი ზრახვები, თანხმობა და ღიმილი გვაქვს ძალაუფლებაში მყოფთა მიმართ: „ამას გავაკეთებ!“ შემდეგ მივდივართ და არაფერს ვაკეთებთ, რადგან ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის. ამას დახვეწილ ამბოხებას ვუწოდებ. ნუ მოტყუვდებით: დახვეწილი ამბოხება ისეთივე მომაკვდინებელია, როგორც აშკარა ამბოხება შესაბამისი დამოკიდებულებით! არც ერთი არ გახლავთ პატივდებული ღვთის სამეფოში.

იესოს საინტერესო სიტყვები გამოცხადების ეკლესიების მიმართ ამას ადასტურებს. ის თოთოეულ ეკლესიას ესალმება: „ვიცი შენი საქმეები“ (გამოცხ. 2-3). ეკლესიებს კარგი განზრახვა ჰქონდათ და ერთ-ერთი თავის თავს ცოცხალსაც კი უწოდებდა, მაგრამ იესომ თქვა, რომ მკვდარი იყო დაუმორჩილებლობის გამო. გაიხსენეთ, რომ იგი „ყოველს თავისი საქმეების მიხედვით მიუზღავს“ (რომ. 2:6). კეთილი ზრახვები ღვთის სამსჯავროს წინაშე მხედველობაში არ იქნება მიღებული. მხოლოდ ნამდვილი რწმენა გაძლებს, რომელიც მორჩილების საქმეებითა გამყარებული.

სად უნდა გავავლოთ ზღვარი?

ღვთის მცნებაში ისევ ვკითხულობთ: „დაემორჩილე შენს მმართველებს და დაექვემდებარე მათ!“ როგორც თავდაპირველად განვაცხადე, ადამიანები სრული გულწრფელობით მეკითხებიან: „სად უნდა გავავლოთ ზღვარი? ღმერთი ჩვენგან მმართველების სრულ მორჩილებას ელოდება, მიუხედავად მათი მოთხოვნის

რაობისა? რა უნდა ვქნა, თუ ისეთი რამის გაკეთება მომთხოვეს, რასაც ცოდვა ჰქვია?“ ბიბლია ძალაუფლების უპირობო მორჩილებაზე ასწავლის. გახსოვდეთ, დაქვემდებარებას საქმე აქვს გულის დამოკიდებულებასთან, ხოლო მორჩილება არის ნათქვამისამებრ მოქცევა.

ერთადერთი შემთხვევა – და მინდა აღვნიშნო, რომ ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა ძალაუფლებას არ ვემორჩილებით – გახლავთ ისეთი მოთხოვნა ზემდგომებისგან, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ღვთის სიტყვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მორჩილებისგან მხოლოდ მაშინ ვთავისუფლდებით, როცა წინამძღოლები ცოდვისკენ გვიბიძგებენ. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი გვმართებს თავმდაბლობისა და დავქმედებარების დამოკიდებულების შენარჩუნება.

ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი სასტიკი ადამიანი იყო და ისრაელის მრავალი შვილი და მათი სამშობლო გაანადგურა. ამის მიუხედავად, ღმერთი მას „ჩემს მსახურს“ (იერ. 25:9; 27:5-7) უწოდებს. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ღმერთია ერთადერთი, ვინც ადამიანს ძალაუფლებას აძლევს. მეფემ ღვთის ერის ნატამალი ბაბილონში დაატყვევა. მათ შორის იყვნენ: დანიელი, შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო.

ამ მეფემ ბრძანა, რომ ყველა ერი უნდა დამხობილიყო ოქროს კერპის წინაშე და თაყვანი ეცა მისთვის, როცა მუსიკალური ინსტრუმენტის ხმას გაიგონებდნენ. მოწინააღმდეგეებისთვის ბრძანება გარკვეულ შედეგებს ითვალისწინებდა: მათ გახურებულ ღუმელში ჩაყრიდნენ. ებრაელ კაცებს ღვთის უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღუმლის, ამიტომ ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ის პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ღვთის მეორე მცნებას, რომელიც მოსეს მეშვეობით თორაში ჩაიწერა. მათ უარი თქვეს ადამიანის დადგენილებაზე, რომ ღვთის სიტყვა დაეცვათ.

მხოლოდ დროის საკითხი იყო, სანამ მათი დაუმორჩილებლობის ამბავი მეფე ნაბუქოდონოსორის ყურამდე მივიდოდა. ის განრისხდა შადრაქზე, მეშაქსა და ყაბედ-ნეგოზე და დასაკითხად გამოიძახა. მოუსმინეთ მათ პასუხს: „მიუგეს შადრაქმა, მეშაქმა და ყაბედ-ნეგომ და უთხრეს მეფე ნაბუქოდონოსორს: „არ გვჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შეუძლია, ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გვიხსნას და შენი ხელიდანაც გადაგვარჩინოს, მეფევ, მაგ-

რამ ასეც რომ არ მოხდეს, დაე, ცნობილი იყოს შენთვის, მეფევ, რომ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს და არც შენს მიერ აღმართულ ოქროს კერპს ვცემთ თაყვანს!“ (დან. 3:16-18).

ისინი მტკიცედ იდგნენ ღვთის მცნების მორჩილებაში, თუმცა მეფეს პატივისცემით ელაპარაკნენ. მას „მეფე“ უწოდეს და არ უთქვამთ: „ეი, შე არამზადა! არასოდეს მოვიქცევით ისე, როგორც ამბობ!“ ასეთი უპატივცემულობა ამბოხების ტოლფასი იქნებოდა. ძალაუფლებას მაინც უნდა დავექვემდებაროთ, თუნდაც მის ბრძანებას არ ვემორჩილებოდეთ.

ამას ცოლების მიმართ პეტრეს მითითებაში ვხედავთ: „ასევე თქვენ, ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, უსიტყვოდ იქნენ შეძენილნი ცოლების ქცევით, იხილავენ რა თქვენს სუფთა და მოშიშ ქცევას“ (1 პეტრ. 3:1-2). ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს (ტიტ. 2:5) და ამავდროულად, პატივი სცეს დაქვემდებარებულების დამოკიდებულებით. პეტრემ ისევ გაავლო პარალელი ქცევასა და დამოკიდებულებას შორის. შემდეგ ეს ორი წმიდა და მოკრძალებული ცხოვრების წესთან არის შეწყვილებული. ცოლს არიგებენ, რომ შეინარჩუნოს მოკრძალების დამოკიდებულება ქმრის ძალაუფლების პოზიციის მიმართ, თუნდაც ის მორწმუნე არ იყოს. ქალს არ მოეთხოვება უპირობო მორჩილება, როცა მას ცოდვის ჩადენას სთხოვენ, მაგრამ მოწოდებულია ქმრის ძალაუფლების უპირობო დაქვემდებარებისა და პატივისცემისკენ.

შესაძლო მაგალითია მორწმუნე ცოლი, რომელიც სატელეფონო ზარს პასუხობს, მაგრამ მის ქმარს არ სურს იმ ადამიანთან საუბარი და ქალს ეუბნება: „უთხარი მას, რომ აქ არ ვარ!“

შესაფერისი პასუხი იქნებოდა: „ძვირფასო, მე ტყუილის თქმას არ ვაპირებ. ხომ არ სჯობს, ვუთხრა, რომ არ გცალია და თავად გადაურეკავ ან ახლა სატელეფონო ზარს ვერ უპასუხებ?!“ ასე ქალი ძალაუფლების პოზიციისადმი მოკრძალებას შეინარჩუნებს, მაგრამ არ დაემორჩილება ტყუილის თქმის თხოვნას.

პეტრე განაგრძობს:

> „ზედაპირული ნუ იქნება თქვენი მშვენება: თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებსა ან ჩაცმულობაში, არამედ შინაგან, დაფარულ კაცში, უხრწნელ სილამაზეში, ფაქიზ და მშვიდ სულში, რაც ესოდენ ძვირფასია ღვთის წინაშე.

ასე იმკობდნენ თავს წარსულში ღვთის მოიმედე წმიდა ცოლები, ემორჩილებოდნენ რა თავიანთ ქმრებს. როგორც სარა დაემორჩილა და ბატონი უწოდა აბრაჰამს, ვისი შვილებიც ხართ, როცა კეთილ საქმეს აკეთებთ და არაფრის შიში არ გაკრთობთ“. (1 პეტრ. 3:3-6)

სარას მოკრძალება ცხადი გახდა აბრაჰამის, როგორც მისი ბატონის პატივისცემით და მორჩილებით. ბატონი მის დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებდა, ხოლო მორჩილებამ აჩვენა, რომ მას შიში არ ჰქონდა. შიში საშინელი ზედამხედველია. შიში ასე ამბობს: „ღმერთს ვერ ვენდობი ჩემი ქმრის ან ნებისმიერი ძალაუფლების დაქვემდებარებაში. ჩემი თავი უნდა დავიცვა!“ გავიხსენოთ, რომ ვიღაც ძალაუფლებას მოწყურებულმა ტირანმა კი არ მიგითითათ მორჩილებაზე, არამედ ღმერთმა. როცა მას ვემორჩილებით, მისი მფარველობა ჩვენზეა.

ბრძანების გაუკულმართება

ვნაღვლიანდები, როცა ვისმენ ისტორიებს ქალებზე, რომლებმაც უპირობო დაქვემდებარების მცნება აიღეს და მასში უპირობო მორჩილებაც მოიაზრეს. მსმენია ამბები, როცა მორწმუნე ქმრები თავიანთი ცოლებისგან უხამსი ვიდოების ყურებას მოითხოვდნენ სექსუალური გართობის მიზნით და ცოლები ემორჩილებოდნენ, რადგან არ იცოდნენ შესაბამისი ბიბლიური რესურსის არსებობის შესახებ. ვიცნობ ქმრებს, რომლებიც ცოლებს უპატიოსნო საქციელისკენ უბიძგებდნენ, რომ სარგებელი ენახათ და ისინიც ემორჩილებოდნენ. გამიგია ქმრებზე, რომლებიც ცოლებს საეკლესიო მსახურებებზე დასწრებას უკრძალავდნენ და ცოლებიც წყვეტდნენ სიარულს. ასეთი მითითებების დამორჩილება არ ეგების, რადგან წმიდა წერილს ეწინააღმდეგება.

მოდით, კიდევ უფრო შორს წავიდეთ! ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როცა ქმრები თავიანთ ცოლ-შვილს სცემდნენ და ცოლები ამ ძალადობას მალავდნენ. სხვა შემთხვევებში ბავშვებთან სექსუალურ უხამსობას ჩადიოდნენ და ცოლები არაფერს აკეთებდნენ. ეს გახლავთ ყოველი პუნქტის უგულებელყოფა, რომლებზეც ღმერთმა ძალაუფლება დააფუძნა. ასეთ მდგო-

მარეობაში მყოფმა ქალებმა უნდა გაიაზრონ, რომ ღმერთი მათგან არასოდეს ითხოვდა უკან დახევას და უმოქმედოდ ყოფნას. თუ ქმარი სიცოცხლისთვის საშიშ ქმედებაშია შემ-ჩნეული, ცოლი და შვილები მისგან უნდა გამოცალკევდნენ და არ დაუბრუნდნენ, სანამ მის სრულ მონანიებაში არ დარწმუნდე-ბიან. დავითიც კი, მეომარი და ძლიერი ადამიანი, არ დარჩენილა საულის გარემოცვაში, რომლის შუბსაც ერთი-ორჯერ გადაურჩა. იგი წავიდა და უდაბნოში ცხოვრობდა, თუმცა არასოდეს დაუკარგავს საულის ძალაუფლების მიმართ მოკრძალებული დამოკიდებულება. მის მიმართ დავითის დაქვემდებარება არ შეწყვეტილა, თუმცა საულის სიახლოვეს ყოფნას გაერიდა და ელოდებოდა, როდის დადგებოდა მონანიების ან ღვთის სამართლიანი სასჯელის დრო.

ღმერთი აკურთხებს მათ, ვინც შეცოდების ბრძანებას არ ემორჩილება

არსებობს სხვა შემთხვევებიც, როცა ადამიანები ძალაუფლე-ბას არ ემორჩილებოდნენ. ფარაონმა ებრაელ ბებიაქალებს ახალდაბადებული ვაჟების მოკვლა დაავალა, როცა ისინი ებ-რაელ ქალებს ამშობიარებდნენ. თუმცა ბიბლია ამბობს: „ღვთის მოშიშნი იყვნენ ბებიაქალები და არ ასრულებდნენ ეგვიპტის მეფის ბრძანებას - ცოცხლად ტოვებდნენ ახალშობილ ვაჟებს“ (გამ. 1:17). ღმერთს ისე ეამა მათი ღვთისმოშიშება, რომ წერი-ლის თანახმად, „ააშენა მათი სახლეული“ (მ. 21). უფალმა ისინი მეფის ცოდვილიანი ბრძანების ურჩობისთვის დააჯილდოვა.

სინედრიონმა მოწაფეებს უბრძანა, რომ „ამიერიდან აღარ ელაპარაკათ და აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით. მაგრამ მიუგეს პეტრემ და იოანემ და უთხრეს მათ: „თვითონ განსაჯეთ, განა მართებული იქნება ღვთის წინაშე, თქვენ უფრო მოგისმინოთ, ვიდრე ღმერთს? ვინაიდან არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ის, რაც გვიხილავს და მოგვისმენია“ (საქმ. 4:18-20). როგორ უნდა დამორჩილებოდნენ იმ წინამძღოლებს, როცა იესომ ასე უთხრა მათ: „წადით მთელ ქვეყნიერებაზე და ყველა ქმნილებას უქადაგეთ სახარება“ (მათ. 16:15)? მათ არ შეეძლოთ! სინედრიონმა მოწაფეებს ისეთი რამის გაკეთება უბრძანა, რაც იესოს მცნებას ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ მათ პატივისცემით

თქვენს უარი. მოუსმინეთ, რას ამბობს წერილი მათი გადაწყვეტილებიდან მომდინარე შედეგზე: „მოციქულები დიდი ძალით მოწმობდნენ უფალ იესოს აღდგომას, და დიდი მადლი იყო ყველა მათგანზე“ (საქმ. 4:33). მათმა ღვთისმოშიშებამ დიდი კურთხევა და ძალა მოიტანა.

მოწაფეთა მხრიდან პატივისცემის დამოკიდებულებას ვხედავთ პავლეს პასუხში იგივე სინედრიონის წინაშე დგომისას. მისი პირველი თავდასაცავი სიტყვები გახლდათ: „ყოველივეში კეთილი სინდისით ვმოქალაქეობდი ღვთის წინაშე დღემდე“ (საქმ. 23:1). ამის გაგონებაზე მღვდელმთავარმა ანანიამ პავლესთან ახლოს მდგომებს მისთვის სახეში გარტყმა უბრძანა. მაშინ მოციქულმა თქვა: „ღმერთი გცემს შენ, თეთრად შეფეთქილო კედელო! მანდ იმიტომ ზიხარ, რომ რჯულით განმიკითხო და ურჯულოდ კი ბრძანებ ჩემს ცემას“. შემდეგ ვკითხულობთ: „უთხრეს იქ მდგომებმა: „ღვთის მღვდელმთავარს შეურაცხყოფ?“ უთხრა მათ პავლემ: „არ ვიცოდი, ძმებო, ეგ თუ მღვდელმთავარი იყო, ვინაიდან დაწერილია, შენი ხალხის მთავარზე აუგს ნუ იტყვი“ (საქმ. 23:4-5).

როცა გაიგო, რომ ანანია ძალაუფლებაში მყოფი კაცი იყო, პავლემ თავისი დამოკიდებულება და სიტყვები მოინანია. მოწაფეები არ ემორჩილებოდნენ წერილის საწინააღმდეგო ბრძანებებს, მაგრამ დაქვემდებარებულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ „არ არსებობს ძალაუფლება თუ არა ღვთისგან“.

დანიელის გადაწყვეტილება, რომ დამორჩილებოდა უზენაეს კანონს

დანიელის დროს გამოიცა კანონი, რომ ლომების კერძი გახდებოდა ნებისმიერი ადამიანი, თუ მეფის გარდა რომელიმე ღვთის ან კაცის წინაშე სათხოვრით წარსდგებოდა. შურიანმა მმართველებმა ეს კანონი დანიელის დასაღუპად მოიგონეს. ცოდვილმა წინამძღოლებმა მეფე დარიოსს ხელი მოაწერინეს კანონზე, ხოლო დანიელს არც კი უფიქრია მას დამორჩილებოდა. მან ღვთის მორჩილება არჩია და მეფსალმუნის გეგმას მიჰყვა: „საღამოთი, დილით და შუადღით შევევედრები, შევტირებ და მოისმენს ჩემს ხმას“ (ფს. 55:17).

მორჩილება და დაქვემდებარება

დააკვირდით, რა გააკეთა დანიელმა: „როცა შეიტყო დანიელმა რომ ასეთი წერილი დაიბეჭდა, ავიდა თავის სახლში, რომელსაც ღია სარკმლები ჰქონდა იერუსალიმისკენ, ზედა ოთახში, სადაც დღეში სამჯერ იყრიდა მუხლს, ლოცულობდა და მადლობას სწირავდა თავის ღმერთს, როგორც ამას ადრეც აკეთებდა“ (დან. 6:10).

დანიელის დაუმორჩილებლობის ამბავი მეფეს აცნობეს და აიძულეს, რომ ეს ერთგული მსახური ლომების ხაროში ჩაეგდო. თუცა ამ უსამართლობის ფონზე დარიოსის მიმართ მისი პატივისცემა არც შერყეულა. ღმერთმა იხსნა იგი და მშიერ ლომებს პირი დაუკეტა, რომ დანიელს მშვიდად დაეძინა. როცა მეფემ მომხდარი იხილა, დანიელის წინააღმდეგ შეთქმულები ხარბ ლომებს მიუგდო, რომლებმაც ისინი შთანთქეს.

შედეგი ყოველთვის სასურველი როდია

ღმერთმა იხსნა ეს წმიდანები, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდებოდა. ებრაელთა წერილში ვკითხულობთ:

> „სხვები კი ეწამებოდნენ და გამოხსნაზე უარს ამბობდნენ, რათა უკეთესი აღდგომისთვის მიეღწიათ. ზოგმა გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილეები დაითმინა. მათ ქოლავდნენ, ხერხავდნენ, აწამებდნენ; მახვილით იხოცებოდნენ, დაეხეტებოდნენ ცხვრისა და თხის ტყავებით, განიცდიდნენ ნაკლოვანებას, შევიწროებას, ტანჯვას. ისინი, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი ქვეყნიერება“. (ებრ. 11:35-38)

ამ მამაკაცებმა და ქალებმა სასტიკი და უსამართლო მოპყრობა მიიღეს თავიანთ წინამძღოლთაგან.

ტერტულიანემ, რომელიც ადრეული ეკლესიის მოძღვარი გახლდათ და ჩვ. წ.-ით 140-დან 230 წლამდე ცხოვრობდა, რომაელ წინამძღოლებსა და მოქალაქეებს შეახსენა, რომ ქრისტიანობა მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერდა მათი დევნის შედეგად. მან დაწერა: „რაც უფრო მეტად გვხოცავთ, მით უფრო ვმრავლდებით. ქრისტიანის სისხლი დათესილი მარცვალია“ (*აპოლოგია*, თავი 50).

ნება მომეცით, კვლავ გავიმეორო ამ უცნობი რომაელის ნათქვამი, რომელმაც დევნილი მორწმუნეები აღწერა:

> ისინი თავიანთ ქვეყნებში მკვიდრობენ როგორც მდგმურები. ხორცში არიან, მაგრამ ხორციელად არ ცხოვრობენ. ისინი სიცოცხლის დღეებს დედამიწაზე ატარებენ, მაგრამ ზეცის მოქალაქეებს წარმოადგენენ. დადგენილ კანონებს ემორჩილებიან, მაგრამ ცხოვრებით ამ კანონებს აღემატებიან. მათ მოძულეებს ერთი მიზეზიც კი არ აქვთ ამ სიძულვილის გასამართლებლად. (წერილი დიოგნეტუსს, თავი 5).

ისინი ემორჩილებოდნენ და ექვემდებარებოდნენ, თუმცა მოკრძალებული და თავმდაბალი ქცევით უბრალო მორჩილებაზე მეტს აკეთებდნენ. გარდა ამისა, როგორც პეტრეს შეგონებაში ვხედავთ, უსამართლო წინამძღოლები შეაფიქრიანა მორწმუნეთა ასეთმა გამოხმაურებამ და ზოგიერთი მათგანი უფალშიც იქნა შეძენილი.

„ნაცრისფერი ზონა“ არ არსებობს

ხელისუფლება სამოქალაქოა, ოჯახური, ეკლესიური თუ საზოგადოებრივი, ღმერთი მოგვიწოდებს, რომ ჩვენი დამოკიდებულება იყოს დაქვემდებარებული, ხოლო ქმედებებით ვემორჩილებოდეთ მანამ, სანამ არ მოგვთხოვენ ცოდვად მიჩნეულის ჩადენას, რაც წმიდა წერილში ნათლად ჩანს. ნება მომეცით, ყურადღება გავამახვილო სიტყვაზე ნათლად! ზემოთ განხილულ შემთხვევებში მორწმუნეები არ დამორჩილდნენ ქრისტეს უარყოფის, მკვლელობის, სხვა ღმერთების თაყვანისცემის ან იესოს მცნების უშუალო დარღვევის ბრძანებებს. აქ არ იყო გაურკვევლობა ან პირადი გადაწყვეტილება.

ახლა მოვიყვანოთ ე. წ. „ნაცრისფერი ზონის“ მაგალითი, რომელიც მსახურების შტატში მყოფი ადამიანებისგან მოვისმინე: „ჩემმა პასტორმა მითხრა, რომ საოფისე საათებში მორწმუნეებს რჩევა არ უნდა მივცე და არც ვილოცო, მაგრამ ეს არ არის ღვთის სიყვარული, ხოლო ვინც სიყვარულში არ დადის, სცოდავს. ამრიგად, მე მაინც ჩემებურად გავაკეთებ“. ეს გახლავთ ძალაუფლების ქვეშ მყოფი ადამიანების პირადი გადაწყვეტილება. მათ ასე ესმით საკითხი. პასტორი მათ არ სთხოვს ღვთის სიტყვის უარყოფას. უფრო მეტიც, მათ უხდიან იმისთვის, რომ

ბეჭდონ, აკინძონ, მონაცემები გადაამუშავონ ან სხვა ფორმის საქმეები შეასრულონ და ლოცვას არ ავალებენ.

არსებითად, ასეთი ადამიანები სუბორდინაციის დარღვევის გამო ქურდობით ამთავრებენ. მათ რომ მართლა ჰქონოდათ სხვებისთვის ლოცვის გაზრახვა, პასტორს მათთან დარეკვის ნებართვას სთხოვდნენ მსურველთათვის მოსახერხებელ დროს ან სამსახურის შემდეგ. თუ პასტორს მაინც არ მოსწონს ეს იდეა, შესაძლოა თვლიდეს, რომ მის თანამშრომლებს სათანადო წვრთნა არ გაუვლიათ ადამიანთა კონსულტაციისთვის, რომლებმაც ამ მსახურებას დასახმარებლად მიმართეს. თუ პასტორი არასწორ გადაწყვეტილებას იღებს ხსენებულ საკითხში, ამისთვის ღვთის წინაშე პასუხს აგებს, მაგრამ ეს მის თანამშრომელთა არჩევანს არ ემყარება. ეს გახლავთ ასობით შემთხვევიდან ერთი მაგალითი, თუმცა დედააზრი იგივეა: ძალაუფლებას მხოლოდ მაშინ არ ვემორჩილებით, როცა არსებობს ღვთის სიტყვაში დაწერილის აშკარა დარღვევა.

მაინც რჩება კითხვა: „რა გავაკეთო, როცა ზემდგომი ისეთი რამის გაკეთებას მთხოვს, რასაც არ ვეთანხმები? ან ისეთ რამეს მავალებს, რაც სრული უგუნურებაა? რა ვქნა, თუ ზემდგომი იმის საწინააღმდეგოს გაკეთებას მთხოვს, რაც ლოცვაში მივიღე?“ ამ კითხვებზე ბიბლიურად დასაბუთებულ პასუხებს მომდევნო თავში განვიხილავთ.

თავი 12

რა უნდა ვქნა, თუ ძალაუფლება მეუბნება ...?

უნდა მივიღოთ ძალაუფლების გამოცხადება,
რომელიც არის თავად ღვთის გამოცხადება, ვინაიდან
ის და მისი ძალაუფლება განუყოფელია.

ყველას გვინახავს ხელმძღვანელობით უკმაყოფილო ადამიანები. ისინი წუწუნებენ უშედეგო მეთოდებზე ან უგუნურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე, თუმცა კვლავაც ელოდებიან, რომ წინამძღოლთა დანაპირები შესრულდება. ფაქტობრივად, საქმეები უკან-უკან მიდის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათმა პასტორმა შეცდომა დაუშვა და ახლა ფიქრობენ, რომ მისი ძალაუფლება ღვთის ძალაუფლებისგან იზოლირებულია. ამგვარი აზროვნება წუწუნის კარებს აღებს და საბოლოოდ, დაუმორჩილებელი ქცევით ვლინდება. მხოლოდ დროის ამბავია, როდის გაეთამაშებიან ცდუნებას და მისგან მოტყუებულები დაშორდებიან ზრდისა და დაცვისთვის დადგენილ ძალაუფლებას, რომელიც ღმერთმა მათთვის დააყენა.

შენს გარეშე უკეთესად ვიყავით!

ისრაელის ძეებიც იგივე ნიმუშს მიყვებოდნენ. იყო დრო, როცა მოსეს წინამძღოლობა უშედეგოდ და მათთვის დამაზიანებლადაც კი მიიჩნიეს. თუმცა თავიდან ასე როდი გახლდათ. როცა მოსე უდაბნოს მოგზაურობიდან დაბრუნდა, ფარაონის

კარზე გამოჩენამდე ისრაელის უხუცესებს შეხვდა. მან წინამძღოლებს უფლის მიერ გამოგზავნის მიზეზი აუწყა და შეპირდა, რომ წაიყვანდა „მაგ ქვეყნიდან კარგ და ვრცელ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი“ (გამ. 3:8). როცა ეს შესანიშნავი ამბავი გაიგეს, მოსეს ერწმუნენ და ღმერთს თაყვანის სცეს. მათი გულები სიხარულს ვერ იტევდა, როცა ღვთისგან შეპირებულ წინამძღოლს ხედავდნენ, რომელიც ბორკილებიდან მათ გამოხსნას უხელმძღვანელებდა.

მოსემ შეკრება დატოვა, ფარაონს ეახლა და ზუსტად ის სიტყვები გადასცა, რაც მთაზე ღვთისგან მიიღო: „ასე ამბობსო უფალი, ისრაელის ღმერთი: „გაუშვი ჩემი ხალხი“ (გამ. 5:1).

ფარაონმა უპასუხა: „ვინ არის უფალი, რომ მისი ხმა ვისმინო და ისრაელი გავუშვა? არც უფალი ვიცი და არც ისრაელის გაშვებას ვაპირებ. რატომ მიცდენთ ხალხს სამუშაოსგან?“ იმავე დღეს დაუმძიმა ფარაონმა ხალხს საქმე. განრისხებულმა უბრძანა საქმეთა მწარმოებლებს: „მეტად დატვირთეთ და დიდი ოფლისღვრით აშრომეთ!“ (მმ. 2-9-ის ადაპტაცია).

ნამჯა აღარ ეძლეოდათ ყოველდღიურად დასამზადებელ ისედაც უზომო რაოდენობის აგურებთან ერთად. ღამით უნდა ეგროვებინათ და დღისით ემუშავათ. აგურების თავდაპირველი რაოდენობა არ შემცირებულა იმის მიუხედავად, რომ ნამჯით არავინ ამარაგებდათ.

ისრაელიანები მთელ მიწაზე მიმოიფანტნენ ნამჯის ძებნაში. მონათა მმართველები სასტიკად ექცეოდნენ მათ. ზურგი მათრახებით აუჭრელეს და მკაცრად უბრძანეს: „არ მოაკლოთ ყოველდღიურად დასამზადებელ რაოდენობას, როგორც ადრე აკეთებდით!“

ისინი სამუშაო ჯგუფების ისრაელიან ზედამხედველებს სცემდნენ: „რატომ არ დაამზადეთ საჭირო რაოდენობა გუშინ ან დღეს?“ მმართველები მომთხოვნები იყვნენ.

ისრაელიანი ზედამხედველები ფარაონთან მივიდნენ და შეევედრნენ. „გთხოვთ, ასე ნუ მოგვექცევით!“, – იხვეწებოდნენ ისინი – „ნამჯა აღარ გვეძლევა, მაგრამ აგურები წინანდელი ოდენობით უნდა დავამზადოთ. ისეთი რამისთვის გვსჯიან, რაც ჩვენი ბრალი არ არის! ეს მონათა მმართველების ბრალია, რომელთაც უზომო მოთხოვნები წამოგვიყენეს.“

ფარაონმა წარბიც არ შეიხარა: „ზარმაცები ხართ, ზარმაცები, ამიტომ ამბობთ: გაგვიშვი, მსხვერპლი შევწიროთო უფალს.

ახლა გასწით და იმუშავეთ, ბზე არ მოგეცემათ, ხოლო აგურების დადგენილ რაოდენობას ძველებურად მოგვცემთ!“

ფარაონმა მოთხოვნა არ შეამცირა და ისრაელიანი ზედამხედველები მიხვდნენ, რომ შავ დღეში ჩავარდნენ. სასახლიდან წამოვიდნენ და მოსესა და აჰარონს შეხვდნენ, რომლებიც გარეთ ელოდებოდნენ. *„გადმოგხედოთ უფალმა და განგსაჯოთ,* რადგან მოძულებული გაგვხადეთ ფარაონისა და მისი მსახურების თვალში; ჩვენ ამოსახოცად მახვილი მიეცით ხელში!“ (გამ. 5:13-21)

ეს მოსეს ბრალი იყო. მათთვის თავი რომ დაენებებინა, ფარაონი ასე მკაცრად აღარ მოექცეოდათ. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ მოვლენების ამგვარად განვითარების ორგანიზატორი ვინმე დაბნეული ან უგუნური წინამძღოლი კი არ იყო, არამედ თავად ღმერთი. არაფერი ხდებოდა მისი გენერალური გეგმის ან წინასწარჭვრეტის გარეშე. უფალმა უბრძანა მოსეს ფარაონთან ლაპარაკი. ღმერთმა და არა ეშმაკმა ან თუნდაც მოსემ გააქვავა მისი გული! ეს ნათლად ჩანს მომდევნო პასაჟიდან: „გაუქვავა უფალმა გული ფარაონს და არ გაუშვა ისრაელის შვილები თავისი ქვეყნიდან“ (გამ. 11:10; ასევე იხილეთ გამ. 9:12; 10:1,20,27). რაც მეტად უქვავდებოდა გული ფარაონს, მით უფრო სავალალო ხდებოდა აბრაჰამის შთამომავალთა ცხოვრება.

ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ ისრაელიანებმა ეგვიპტეს თავი დააღწიეს, მაგრამ ახლა უკიდეგანო უდაბნოში ხეტიალი მოუხდათ. წყლისა და საკვები მარაგის გარეშე დარჩენილებმა ისევ ფიქრი დაიწყეს: განა მოსე თავისუფლებას და სიუხვეს არ შეგვპირდა? „კარგ და ვრცელ ქვეყანას, სადაც მოედინება რძე და თაფლი“? მათი იმჟამინდელი ადგილსამყოფელი ვრცელი ნამდვილად იყო, მაგრამ კარგისგან იმდენად დაშორებული გახლდათ, რამდენის წარმოდგენაც შეგიძლიათ და თვალსაწიერზე არც რძე და თაფლი მოჩანდა! ნუთუ ეს იყო მისი წარმოდგენა თავისუფლებასა და უზრუნველყოფაზე? ნეტა მართლა ღმერთმა გამოგზავნა?

სამდღიანი ნაკლოვანების შემდეგ მოსემ ისინი იმ ადგილას მიიყვანა, რომელსაც „მარა“ ეწოდებოდა და სადაც წყალი იპოვეს. ისინი ფიქრობდნენ: *„კარგი, შეიძლება ახლა იწყება კარგი ამბები“.* ისრაელიანებმა მალევე აღმოაჩინეს, რომ წყალი დასალევად არ ვარგოდა. ამის დაჯერება შეუძლებელი იყო და

მიმდევრებში ურწმუნოებამ იფეთქა. მათი კრიტიკული განწყობა უფრო ღვივდებოდა ერთმანეთთან და მოსესთან წუწუნის კვალობაზე. უკმაყოფილება ფართოდ გავრცელდა კიბოს მსგავსად, რომელმაც მთელი კრებული მოწამლა. შესაძლოა, მოსემ იმდენი კი იცოდა, როგორ გამოეყვანა ხალხი, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა შეეყვანა.

ისარელიანები მოსესა და აჰარონს შესჩიოდნენ: „ნეტავ, მომკვდარიყავით უფლის ხელით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორცით სავსე ქვაბებს ვუსხედით და პურს ძღომამდე ვჭამდით! თქვენ გამოგვიყვანეთ ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტოთ მთელი კრებული“ (გამ. 16:3).

მეტი აღარ შეეძლოთ. მოსეს წინამძღოლობის უნარი ამაო გამოდგა მრავალი მიმართულებით. განა მათი ცხოვრება უკეთესი არ იყო, სანამ ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდებოდნენ? ერთადერთი, უზომო სტრესი და გაჭირვება მიიღეს მის მიერ ეგვიპტეში მოტანილი ამბებისა და წინამძღოლობის შემდეგ. ეს ოდესმე დაასრულდება? ერთ განსაცდელს გაექცნენ, რომ მეორის ხელში ჩავარდნილიყვნენ. წინამძღოლმა რძითა და თაფლით მდინარი ქვეყანა შეპირდა, მაგრამ მხოლოდ გადაბუგული მიწა, გველები და უდაბნოს მორიელები შერჩათ. მოსემ სადღაც გადაუხვია, სავარაუდოდ, ბოროტის მხარეს. ფარაონის ხელში საკვები მაინც ჰქონდათ. როგორც ჩანს, მოსემ მათი წვალება და შიმშილით დახოცვა განიზრახა. ეგვიპტეში ცხოვრება უკეთესი იყო! მათი წუწუნი იმ დონეზე მივიდა, რომ ერთმანეთს უთხრეს: „ამოვირჩიოთ მეთაური და დავბრუნდეთ ეგვიპტეში“ (რიცხვ. 14:4).

ახლა მოუსმინეთ სიტყვებს, რომლებიც მოსემ გადასცა ღვთისგან დაყენებული წინამძღოლით დაღლილ ისრაელიანებს: „ისმინა უფალმა თქვენი დრტვინვა, რომლითაც დრტვინავდით მის წინააღმდეგ; ჩვენ კი ვინა ვართ? ჩვენი კი არა, უფლის წინააღმდეგაა თქვენი დრტვინვა“ (გამ. 16:8).

ეს მამაკაცები და ქალები ფიქრობდნენ, რომ მათი ურჩობა მოსეს წინააღმდეგ იყო მიმართული და ღმერთს არანაირად არ უკავშირდებოდა. მათი აზრით, წარმატებით განაცალკევეს ეს ორი პიროვნება. ისინი გონებრივი მსჯელობით მივიდნენ ამ დასკვნამდე და არა მორჩილების პრინციპის გააზრებით. ვინც ნანახისადაგაგონილისშეზღუდულიდასკვნითხელმძღვანელობს,

უგუნურების გზაზე აღმოჩნდება. ისინი თავიანთ დანიშნულებას ვერ შეასრულებენ, ხოლო ძალაუფლების მაღიარებელი და მორჩილი ადამიანები აღთქმებს დაიმკვიდრებენ იეშუა ნავეს ძისა და ქალების მსგავსად.

თუ გარჩევა შემიძლია ...?

შესაძლოა, თავი ისრაელიანებზე ბრძენად მიგაჩნიათ, რომლებიც ხილულით და მათი წინამძღოლის გადაწყვეტილებების მეყსეული შედეგების მიხედვით განსჯიდნენ. თავი უფრო სულიერი გგონიათ იეშუას მსგავსად. არჩევთ, რომ მოსე მართალია და არასოდეს უპასუხებდით ისრაელიანთა მსგავსად. საერთოდაც, იქ რომ ყოფილიყავით, იეშუას გვერდით იქნებოდით.

იქნებ ასეც არის, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს, სანამ მსგავს დასკვნებს გავაკეთებთ. ფარისევლებიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ: „ჩვენი მამების დღეებში რომ გვეცხოვრა, არ ვიქნებოდითო მათი თანამოზიარენი წინასწარმეტყველთა სისხლში“ (მათ. 23:30). და მაინც, იესომ თქვა, რომ მათაც წინაპრების მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ. ადვილია ავის და კარგის გარჩევა მაშინ, როცა მოვლენები ჩავლილია და წიგნები დაწერილია. იეშუას თანატომელებისგან გარჩევის უნარი კი არა, ნამდვილი ძალაუფლების ამოცნობისა და დამორჩილების უნარი განასხვავებდა. სწორედ აქედან მოდის ნამდვილი გარჩევის ძალა.

მესმის მათი უკმაყოფილო შეძახილები, რომლებიც ფიქრობენ, რომ განჭვრეტის ნიჭი აქვთ, თუმცა მათ გულებში ჯერ კიდევ ჭარბობს ურჩობა. ახლაც კი, ამ წიგნის წერისას ბოლო ოცდაოთხი საათის განმავლობაში წერილი მივიღე, სადაც „ვემორჩილები, სანამ ვეთანხმები“ დამოკიდებულებასთან ჭიდილი მომიხდა, რომელიც შერწყმული იყო „გარჩევის უნართან“. ვინც ასე ფიქრობს, შეცდომით არის დარწმუნებული, რომ ნამდვილი დაქვემდებარებისგან თავის დაღწევის გზა იპოვა.

ვინ დააყენა ისინი ამ პოზიციაზე?

შესაძლოა, კითხვა დასვათ: „რა ხდება მაშინ, თუ ვარჩევ, რომ ჩემი წინამძღოლი კარგ არჩევანს არ აკეთებს? მაინც უნდა დავემორჩილო, თუკი მარცხისკენ მიექანება?“ ჩემი მსახურების წლებს

რომ გადავხედავ, ბევრი მსგავსი იმედგაცრუება მახსენდება: „ისინი არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ! ისინი ღვთიურ გზას ცდებიან! მათზე უარყოფითი ზეგავლენაა. უბრალოდ, არ შემიძლია დამორჩილება!“ აქედან უმეტეს შემთხვევაში ჩემი მოუტეხელი გული თავისი დამოუკიდებლობის გამოვლინებას ახდენდა.

ჩემს პასტორს ადმინისტრაციული დამხმარის პოზიციაზე ერთი წელი ვემსახურე და ბევრი გადაწყვეტილება დავაყენე კითხვის ნიშნის ქვეშ. ვხედავდი მის მითითებებს, რომელთაც ჯერ ჩემი მაგიდა უნდა გამოევლოთ, სანამ შესაბამისი დეპარტამენტის ხელში მოხვდებოდა. არაერთხელ ჩამითვლია მისი გადაწყვეტილებები უგუნურად და გულში მის წინააღმდეგ დამიჩივლია. ერთ დღესაც სულიწმიდა დამელაპარაკა:

– *შენთან კითხვა მაქვს.*

გამოცდილებამ მასწავლა, რომ კითხვის დასმისას ღმერთს ჩემი მცდარი სიბრძნის გამოაშკარავება სურს.

მე ვუპასუხე:

– დიახ, უფალო!

– *შენ დაგაყენე პასტორის პოზიციაზე თუ ის დავაყენე პასტორის პოზიციაზე?*

მე ვუთხარი:

– შენ დააყენე ამ პოზიციაზე.

უფალმა სწრაფად მითხრა:

– *მართალია. ამიტომ მას ისეთ რამეებს ვაჩვენებ, რომლის შენთვის დანახვება არ მჭირდება და ხშირად მისი გადაწყვეტილებების სიბრძნეს შენგან გამიზნულად ვმალავ, რომ დავინახო, მას ისე გაყვები თუ არა, როგორც მე გამომყვებოდი.*

როგორც წესი, პასტორის გადაწყვეტილებების სიბრძნე ერთი თვის შემდეგ ამოტივტივდებოდა ზედაპირზე. ამას ვხედავდი, სინათლე მოდიოდა და ერთხელ კიდევ ვაცნობიერებდი, თუ როგორ ვცდებოდი მსჯელობაში და ჩემს ნაზრევს მორჩილების პრინციპზე მაღლა ვაყენებდი. სწორედ ეს გახლავთ ეკლესიების, სახლების და ბიზნესების გაყოფის მიზეზი. ღმერთს ძალაუფლებისადმი ჩვენი მორჩილება იმ შემთხვევებით არ შეუზღუდია, როცა ზემდგომების სიბრძნეს ვხედავთ, ვეთანხმებით და ვიწონებთ. მან მარტივად თქვა: „დაემორჩილეთ!“

მოგვიანებით, უფალი ჩემს გულს დაელაპარაკა: *ჯონ, პასტორისთვის გამიზნული ინფორმაციების, სიბრძნისა და*

მიმართულების ყველა მორწმუნისთვის გადაცემა რომ მდომოდა მხოლოდ ლოცვისა და ჩემთან მოზიარეობის საშუალებით, მაშინ საეკლესიო ძალაუფლებას არ დავაფუძნებდი. საეკლესიო მმართველობა იმიტომ დავაყენე, რომ ჩემმა შვილებმა საჭიროებებზე პასუხი მხოლოდ ლოცვითი ცხოვრებით არ მიიღონ. მათ უნდა ისწავლონ ჩემი ხმის ამოცნობა და მოსმენა წინამძღოლების მეშვეობით.

ჩვენი პასუხისმგებლობა სულაც არ არის წინამძღოლთა გადაწყვეტილებების ან მომხდარი ფაქტის შემდეგ შედეგების განსჯა. ამას ის გააკეთებს, ვინც ადამიანი ხელმძღვანელად დააყენა. ისრაელიანებს მოსეს ყოველი გადაწყვეტილების განსჯის უფლება რომ ჰქონოდათ, ის ცუდ დღეში ჩავარდებოდა და ხალხი ეგვიპტეში მიბრუნდებოდა.

წინამძღოლებიც განისჯებიან და ჩვენც განვისჯებით. ისინი მათი გადაწყვეტილებების გამო განისჯებიან და მათი სასჯელი ჩვენსაზე გაცილებით მკაცრი იქნება. ამ მიზეზის გამო იესო გვაფრთხილებს: „ყველას, ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ; ვისაც მეტს მიანდობენ, მეტსაც მოჰკითხავენ“ (ლუკ. 12:48). იაკობიც გვაფრთხილებს: „ჩემო ძმებო, ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები, რადგან იცოდეთ, რომ ასეთები უფრო მეტად განვისჯებით“ (3:1).

მეორე მხრივ, ჩვენი სამსჯავრო ღვთისგან მოსული ძალაუფლების მორჩილების შესაბამისად განხორციელდება. ჩვენს თავზე არ უნდა ავიღოთ წინამძღოლის მითითების ავკარგიანობის გარჩევა, სანამ მას დავემორჩილებოდეთ. არც მომხდარი ფაქტი უნდა გავარჩიოთ. ეს ჩვენი საზიდი არ გახლავთ და ამას ღმერთი მიხედავს. მხოლოდ მან უწყის ადამიანთა გულისნადები და მათი შეცვლა თავისი სურვილისამებრ შეუძლია.

წინამძღოლთა გულები ღვთის ხელშია

დავუბრუნდეთ პირველ დამოწმებას, რომელიც მეორე თავში გადმოგეცით. მაშინ ჩემმა პასტორმა ეკლესიაში სახლის ჯუფების გაუქმების შესახებ გამოაცხადა. ფიქრობდი, რომ ამით შეცდომას უშვებდა. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვიყავი, რომ მასზე ზეგავლენა მოახდინეს, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ მიეღო გადაწყვეტილება. ჩვენი ეკლესიური ხელმძღვანელობის სტრუქ-

ტურაში კიდევ ერთი ძალა არსებობდა, რომელიც აქამდე არ მიხსენებია. ეს გახლდათ ოფისის მენეჯერი. მას არ მოვწონდი და ცდილობდა, საქმე ისე წაეყვანა, რომ სამუშაოდან დავეთხოვე.

ამის მისაღწევად გამყოფი კედელი აღმართა ჩემსა და უფრო პასტორს შორის და ერთმანეთზე უარყოფით ინფორმაციებს გვაწვდიდა. უმეტესი მათგანი სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამებოდა. მან რაღაც სამახსოვრო კამპანიის მსგავსი წამოიწყო, რომლის სამიზნეც მე გახლდით. თანამშრომლებს ჩემი ცოლისთვის, რომელიც ასევე შტატში შედიოდა, უნდა ეთქვათ: „რატომ უბრალოდ არ დაასახელებს შენი ქმრის სახელს?“ ვიცოდი, რასაც აკეთებდა, მაგრამ ხელები შეკრული მქონდა.

როცა უფროსმა პასტორმა საოჯახო ჯგუფები გააუქმა, ეს ჩემზე განხორციელებულ მორიგ შემოტევად აღვიქვი მენეჯერის მიერ დათესილი ტყუილებისა და ეჭვების გამო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტად შემეძლო „გარჩევა“. თავი კიდევ უფრო მართლად მიმაჩნდა და არ მინდოდა უფროს პასტორთან დათმობაზე წავსულიყავი. „ის შეცდომაში იქნა შეყვანილი და არასწორი გადაწყვეტილება მიიღო,– ვფიქრობდი მე. როგორ შეძლებდა ღმერთი რვათვიანი შრომის წყალში ჩაყრას უამრავი ადამიანის გადარჩენის პოტენციალთან ერთად?“ სწორედ ეს მიზეზები მამოძრავებდა, როცა იმ შეკრებაზე პასტორს მთელი ოცი წუთის განმავლობაში ვეწინააღმდეგებოდი. თავი მართალი მეგონა, სანამ სახლში სულიწმიდის საყვედური არ მივიღე. შემდეგ ჩემამდე ღრმა გაცნობიერება მოვიდა: საქმე მქონდა არა ადამიანის, არამედ ღვთის ძალაუფლებასთან.

მოკლე ხანში ღმერთმა ჩემს გულში წერილის ერთი მუხლი აღბეჭდა. ამან სინათლე მოფინა ანალოგიურ ვითარებებს და მიმართულება დამანახა მსგავსი სიძნელეების ჟამს:

„მეფის გული წყლის ნაკადია უფლის ხელში,
საითაც მოისურვებს, იქით მიუშვებს“. (იგ. 21:1)

მეფე წარმოადგენს თქვენს ზემოთ არსებულ ძალაუფლებას. მნიშვნელობა არ აქვს, ღვთისმოსავია თუ სასტიკი, მისი გული მაინც ღვთის ხელშია. მუხლი არ ამბობს: „კეთილი მეფის გული უფლის ხელშია“. არც ის არის არსებითი, რა გავლენას ახდენენ მასზე. მისი გული მაინც უფლის ხელში რჩება. წერილი არ

გვეუბნება: „ვინაიდან მეფეზე არასწორი ზეგავლენა მოახდინეს, მისი გულის შეცვლა შესაძლებელია უფლის მიერ“.

რა ხდება მაშინ, როცა ვიცით, რომ გადაწყვეტილება არასწორია?

რა ხდება მაშინ, როცა გარჩევას არ ვაპირებთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ცუდი გადაწყვეტილება იქნა მიღებული? რა მოხდება, თუ კონკრეტული მტკიცებულება გვაქვს, რომ წინამძღოლზე ავმა ენამ ცუდი ზეგავლენა მოახდინა? არ არსებობს რაიმე რესურსი? არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია ჩვენი წინამძღოლის დასახმარებლად? პასუხია „დიახ“.

ესთერი ამ ვითარებისთვის გამოსადეგი მაგალითია. აბრაჰამის შთამომავლობა ტყვეობაში ცხოვრობდა სპარსეთის სამეფოს ქვეშ. ბოროტმა ჰამანმა მზაკვრული გეგმა შეადგინა, ზეგავლენა იქონია მეფე ქსერქსეზე და ებრაელების მოკვლის ბრძანებაზე ხელი მოაწერინა. მეფემ თავად დანიშნა დღე.

დედოფალი ესთერი აბრაჰამის შთამომავალი იყო, მაგრამ გამზრდელი ბიძაშვილის, მორდექაის მითითებით ეს ფაქტი არ გაუმხელია. თუმცა ის მივიდა ესთერთან და სთხოვა, რომ მეფეს შევედრებოდა ხალხის გულისთვის. მორდექაი ხვდებოდა, რომ ამის გაკეთებით დედოფალი სიკვდილს ეთამაშებოდა. ის ყველაფერს დაკარგავდა და ვერაფერს მიიღებდა. ესთერი დედოფალი გახლდათ და მისი საიდუმლო დაცული იყო.

და მაინც, ქალმა მიიღო მეფის წინაშე წარდგომის გადაწყვეტილება. სამდღიანი მარხვის შემდეგ ის მეფე ქსერქსეს შიდა პალატებში შევიდა. ღმერთმა მეფის გული განაწყო, რომ მისთვის კეთილგანწყობით შეეხედა. მან დედოფლის სათხოვარი იკითხა და ესთერმაც იგი მისთვის გამართულ სუფრაზე დაპატიჟა ჰამანთან ერთად. მეფე დათანხმდა, რომ ის და ჰამანი დედოფალს ეწვეოდნენ.

გვიან ღამით მეფეს ძილი გაუკრთა. მან მსახურებს მატიანეთა წიგნის მოტანა უბრძანა. წაკითხულიდან გაახსენდა, რომ ებრაელმა მორდექაიმ მისი სიცოცხლე გადაარჩინა, მაგრამ ჯილდო არ მიუღია. მეფე დაფიქრდა, რა პატივი უნდა ეცა მისთვის და რჩევისთვის ჰამანს უხმო. ამ უკანასკნელმა შეცდომით წარმოიდგინა, რომ მას გულისხმობდნენ და ამ

უცნობი ადამიანის პატივისცემისთვის სრულყოფილი და საგულდაგულოდ გათვლილი გეგმა შესთავაზა. შემდეგ მეფემ გაუმხილა, რომ მორდექაის პატივისცემა სურდა და ჰამანის სამწუხაროდ, თავად მას დაავალა ამ ყველაფრის შესრულება. ღმერთი უკვე შრომობდა მეფის გულის მოსამზადებლად იმ სიტყვებისთვის, რასაც ის ნადიმზე ესთერისგან შეიტყობდა.

როცა მეფე და ჰამანი მეორედ ეწვივნენ ესთერს სანადიმოდ, ქსერქსემ სათხოვრის გაგება მოისურვა.

> „მიუგო დედოფალმა ესთერმა და უთხრა: „მეფევ, თუ მიპოვია მადლი შენს თვალში და თუ ინებებს მეფე, მებოძოს ჩემი სიცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ხალხის სიცოცხლე ჩემს სავედრებელში! რადგან გაყიდულნი ვართ ჩვენ, მე და ჩემი ხალხი გასანადგურებლად, დასახოცად და მოსასპობად. მონებად და მხევლებად რომ გავეყიდეთ, დავდუმდებოდი, მაგრამ მტერი ვერ აანაზღაურებს მეფის ზარალს“. (ესთ. 7:3-4)

აქ აღსანიშნავია რამდენიმე პუნქტი. პირველი, მეფემ ნამდვილად საშინელი და საქმეში ჩაუხედავი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ესთერი მას მაინც პატივისცემით ელაპარაკა და დაქვემდებარებული მდგომარეობა შეინარჩუნა. მეორე, სათხოვარი დიდი თავმდაბლობით მოახსენა და არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მეფისთვის სასიკეთო მხარეც გაითვალისწინა. ესთერმა ითხოვა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება მას დაუტოვა. ქალს არ უთქვამს: „უგუნურო ქმარო, მკვლელს რომ უსმენ, ვერ ხვდები, რომ ბრძანებაზე ხელის მოწერით თავად მიეცი ყველაფერის დაკარგვის უფლება?!“ ის ერთ რამეზე დებდა იმედს: ღმერთი მეფის გულს შემოაბრუნებდა. უფალმა შეცვალა მისი გადაწყვეტილება და მეფემ ბოროტი ჰამანი ჩამოკიდა. ებრაელი ხალხი დახოცვას გადაურჩა.

ესთერს კონკრეტული მტკიცებულება ჰქონდა ხელთ და არა უბრალოდ, გარჩევა, რომ მისმა ზემდგომმა ნამდვილი ფაქტები არ იცოდა. ის მასთან მოდრეკილი გულით მივიდა და სათხოვარი ისეთი ფორმით წარუდგინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებისთვის სივრცე დაუტოვა. მას არ დაუმცირებია, ძალა არ გამოუყენებია და არც მანიპულაცია უცდია. ის, უბრალოდ, მიენდო სულიწმიდის ძალას, რომ მისი ბატონის გულს შეცვლიდა.

რა უნდა ვქნა, თუ ძალაუფლება მეუბნება ... ?

როცა ყველა ფაქტი არ იციან

წმიდა წერილში ვხედავთ, რომ ზოგჯერ წინამძღოლზე ცუდ ზეგავლენას ახდენენ, მაგრამ სხვა შემთხვევებში ის არასწორ გადაწყვეტილებას იღებს ფაქტების გამოუძიებლად ან მანამ, სანამ საქმის არსს სრულად ჩაწვდებოდეს. ამის ნიმუშს დავითისა და საულის შემთხვევაში ვხედავთ. ფილისტიმელი გოლიათი ორმოცი დღის განმავლობაში აფრთხობდა ღვთის არმიას. მან ისრაელი გამოიწვია, რომ მის წინააღმდეგ ფალავანი გამოეყვანათ და ამ ორ არმიას შორის გამარჯვება ერთი ბრძოლით გადაწყვეტილიყო. დავითმა დაინახა დამფრთხალი ჯარისკაცები, რომელთაც პასუხი ვერ გაეცათ გოლიათის მუქარისთვის. ღმერთმა გულში ჩაუდო ბრძოლის სურვილი. თუმცა მეფე საულმა დავითს რომ შეხედა, ასე თქვა: „შეუძლებელია! ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ და თუ წააგებ, ყველანი ამ არმიას უნდა მოვემსახუროთ!“ (ავტორის პარაფრაზი).

როცა დავითმა მეფის სიტყვები მოისმინა, მის დაყოლიებას შეეცადა.

> „მიუგო დავითმა: „მწყემსავდა შენი მსახური თავის მამის ცხვარს და როცა ლომი ან დათვი დაგვეცემოდა და ფარიდან კრავს გაიტაცებდა, უკან მივდევდი, ვკლავდი და პირიდან ვგლეჯდი კრავს. ხოლო თუ ჩემზე გამოიწევდა, ფაფარში ჩავავლებდი ხელს და იქვე ვკლავდი. ორივე მოუკლავს შენს მსახურს, ლომიც და დათვიც; ამ წინადაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივეს ვუზამ, რადგან ცოცხალი ღვთის მხედრობა გალანძღა ... უფალი, რომელმაც ლომისა და დათვისგან მიხსნა, ამ ფილისტიმელისგანაც მიხსნის!“ მიუგო საულმა დავითს: „წადი და უფალი იყოს შენთან“. (1 სამ. 17:34-37)

მის ქცევაში პატივისცემა იგრძნობოდა, როცა ძალაუფლებას ინფორმაცია მიაწოდა. მან მეფეს უთხრა ის, რაც აკლდა თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღებისას. ამის შემდეგ დავითი ღვთიურ უნარს მიენდო, რომ წინამძღოლის გულს შეცვლიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მის გულში ჩადებული მეფის გადაწყვეტილებით დადასტურდებოდა. დავითი ისევ

თავმდაბალი და დაქვემდებარებული რჩებოდა და შესაბამისად, ღმერთი აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში. უფალმა შემოაბრუნა საულის გული და მან თქვა: „წადი და უფალი იყოს შენთან“ (1 სამ. 17:34-37).

ნამდვილი შუამდგომლობა

კიდევ ერთი ბიბლიური მაგალითი, როცა სათხოვარი ზემ-დგომის გადაწყვეტილების შემდეგ არის მიტანილი, აბიგაილის შემთხვევაში გვხვდება. მისი ქმარი სასტიკი და ბოროტი მდიდარი იყო, რომელსაც ნაბალი ერქვა. დავითს საკვები სჭირ-დებოდა, რადგან საული მის სიცოცხლეს ემუქრებოდა. დავითმა ნაბალს საჭმელის გაგზავნა სთხოვა. მანამდე დავითმა ნაბალის მსახურები დაიცვა და მათგან არასდროს არაფერი აუღია.

ნაბალმა არა მარტო უარყო დავითის სათხოვარი, არამედ შეურაცხყოფაც მიაყენა. მისმა ქცევამ დავითი განარისხა და ოთხასი კაცით გამოემართა შურის საძიებლად. მან ნაბალის და მისი სახლეულის განადგურება გადაწყვიტა.

ამ სიტყვამ აბიგაილის, ნაბალის ცოლის ყურამდე მიაღწია. მან სწრაფად მოამზადა პურის, ღვინის, ხორცის, მარცვლეულის, ქიშმიშისა და ლეღვისგან შემდგარი ძღვენი და დავითთან და მის კაცებთან შესახვედრად გაეშურა, რომ განზრახული გადაეთქმევინებინა. როცა ისინი დაინახა, ჩამოხდა და დავითს წინ დაემხო. ამის შემდეგ შეევედრა:

„ჩემზეა, ბატონო, დანაშაული; გთხოვ, ალაპარაკე შენი მხევალი და შეისმინე შენი მხევლის სიტყვები. ყურადღებას ნუ მიაქცევს ჩემი ბატონი იმ უღირს კაცს, ნაბალს, რადგან როგორი სახელიცა აქვს - ნაბალი (უღირსი), თვითონაც ისეთია; მე კი, შენს მხევალს, არ მინახავს ჩემი ბატონის გამოგზავნილი ჭაბუკნი. ახლა, ჩემო ბატონო, ცოცხალია უფალი და ცოცხალია შენი სული, შეგაკავებს უფალი სისხლისღვრისა და შურისძიებისგან. დაე, ნაბალივით იყვნენ შენი მტრები და ჩემი ბატონისთვის ბოროტის მსურველნი! აი, ეს ძღვენი, რომელიც შენმა მხევალმა მოართვა ჩემს ბატონს, რათა მიეცეს ჭაბუკებს, ჩემი ბატონის ნაკვალევს რომ მიჰყვებიან. აპატიე შენს მხევალს

> დანაშაული, რადგან უსათუოდ აუშენებს მტკიცე სახლს უფალი ჩემს ბატონს, ვინაიდან საღვთო ომშია ჩართული ჩემი ბატონი და მთელი სიცოცხლე არ გაივლებს გულში ბოროტებას. ... და როცა კეთილს მიაგებს უფალი ჩემს ბატონს, მაშინ გაიხსენე შენი მხევალი“. (1 სამ. 25:24-31)

ნება მომეცით, ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოგცეთ, რა გააკეთა ამ ქალმა თავისი ქმრის, სახლეულისა და დავითისთვის:

1. მან დავითს დიდი პატივისცემით მიმართა და განუხრელად წარმოადგენდა თავს, როგორც დავითის მსახურს.
2. მან დავითსა და მის კაცებს გულუხვი ძღვენი მიართვა, რომელიც მის მზრუნველობასა და მათი კეთილდღეობისადმი ყურადღებას გამოხატავდა.
3. მან თავისი სახლეულისთვის იშუამდგომლა, როცა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. მან, ფაქტობრივად, ამას „დანაშაული“ უწოდა.
4. მან დავითს შიშითა და თრთოლვით მიუთითა, რომ მის მიერ განზრახული სისხლისღვრა ცოდვა იქნებოდა.
5. მან დავითს შეახსენა, რომ ღმერთია შურისმაძიებელი და ის აღუსრულებს მისთვის ნათქვამ აღთქმებს.
6. მან დავითს გახსენება სთხოვა, როცა წარმატებას მიაღწევდა.

შესაძლოა, კითხვა დასვათ: „როგორ მიაგო ქალმა პატივი თავის ქმარს?“ მან მისი სიცოცხლე იხსნა. მისმა ქმარმა ამ კაცების და უფლის ცხებულის წინააღმდეგ შესცოდა. მისი საქციელის გამართლება დავითს სამაგიეროს მიზღვის სურვილს კიდევ უფრო გაუმწვავებდა. რა არის კარგი ზედაპირულ პატივისცემაში, რომელიც თქვენი ქმრის სიკვდილით დასრულდება?

აბიგაილის მხრიდან ნამდვილი უპატივცემულობის გამოხატულება იქნებოდა ასეთი სიტყვები: „იქედან წამოვედი და დაე, ჩემმა ნაძირალა ქმარმა დამსახურებული მიიღოს!“ ან დავითთან რომ მისულიყო და ეთქვა: „იცი, ამასთან საერთო არაფერი მაქვს! მოგიტანე, რაც გჭირდებოდა. როცა გავიგე ჩემი უგუნური ქმრის საქციელის შესახებ, თან მაქვს ცოტაოდენი საჭმელი

შენთვის და შენი კაცებისთვის. ახლა შეგიძლია განზრახული შეასრულო, რადგან ის არამზადა და სალახანაა. რაც არ უნდა გაუკეთო, ღირსი იქნება“. ზემოაღწერილი დამოკიდებულებები მის ქმარს უპატიოჰყოფდა.

ვინმეს გამო შუამდგომლობა არ ნიშნავს, რომ მისი დანაშაული უნდა უგულებელყოთ, პირიქით, უნდა აღიაროთ. მაშინ თქვენ იქნებით ჩამდგარი მასა და სასჯელს შორის. არსებითად, თქვენ ამბობთ: „ვიცი, რომ სასჯელს იმსახურებს, მაგრამ მოწყალებისთვის გევედრები. ამას ჩემ თავზე ვიღებ და მის ნაცვლად ვდგები“.

ზუსტად ასე მოიქცა აბიგაილი. დავითი დასასჯელად მოვიდა, მაგრამ აბიგაილმა წყალობა ითხოვა. მისი სიტყვებია: „აპატიე შენს მხევალს დანაშაული!“

მან ასე ილაპარაკა, რომ დავითისთვის საკუთარი საშუალებებით შურისძიების ცოდვა აეშორებინა. ღვთის სიტყვა მიგვითითებს: „შური არ იძიო და ბოღმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ!“ (ლევ. 19:18) ნაპრალში ჩამდგარმა ქალმა წყალობა ითხოვა და დავითის სიმართლეზეც იზრუნა.

აბიგაილს მეზობლებთან ან მეგობრებთან არ უჭორავია: „იცით, ერთ არამზადა კაცზე ვარ გათხოვილი?! ყველაზე წარუმატებელი ადამიანია, ვისაც კი ვიცნობ“. მას არც დავითთან ულაპარაკია თავის ქმარზე გულისწყრომით, სიბრაზით, ზიზღით, უპატივცემულობით ან შურისძიების მიზნით. აბიგაილი სიცოცხლეთა გადარჩენას შეეცადა. ნახეთ, როგორ დასრულდა ეს შეხვედრა:

> „მიუგო აბიგაილს დავითმა: „კურთხეულია უფალი, ისრაელის ღმერთი, რომელმაც მოგავლინა დღეს ჩემთან შესახვედრად. კურთხეულია გონიერება შენი და კურთხეული ხარ შენ, რომ გადამაფიქრებინე დღეს სისხლისღვრა და შურისძიება. ცოცხალია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც არ ჩამადენინა შენთვის ბოროტება, რადგან საჩქაროდ რომ არ წამოსულიყავ ჩემთან შესახვედრად, არ დარჩებოდა ნაბალს განთიადამდე არც ერთი კედელთან მიმშარდავი“. მიიღო დავითმა მისი ხელიდან, რაც ჰქონდა მოტანილი და უთხრა: „მშვიდობით გაბრუნდი შენს სახლში; აჰა, ვისმინე შენი ხმა და პატივი დავდე შენს სახეს“. (1 სამ. 25:32-35)

რა უნდა ვქნა, თუ ძალაუფლება მეუბნება ... ?

როცა აბიგაილი სახლში დაბრუნდა, ქმარი მთელი გულით ილხენდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ქალმა იმ საღამოს გაჩუმება არჩია. დილით ყველაფერი უამბო, თუ როგორ იხსნა მისი სიცოცხლე. კაცს გული გაუქვავდა ამის მოსმენისას. ათი დღის შემდეგ უფალმა დაჰკრა ნაბალს. ეს არ მომხდარა დავითის ან აბიგაილის მხრიდან, არამედ ღვთის ხელით. ბოროტ კაცს სასჯელი ეწია.

ძალაუფლების მქონის გულისთვის

მოსე ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ ძალაუფლების ანუ ღვთის გადაწყვეტილება მისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეს არაერთხელ მოხდა. მოდით, პირველ შემთხვევას გადავხედოთ. ისრაელმა შესცოდა ოქროს ხბოს ჩამოსხმით და შემდეგ მისი თაყვანისცემით. ღმერთი განრისხდა და მოსეს უთხრა, რომ ყველას დახოცავდა და მისგან შექმნიდა ახალ ერს. მოუსმინეთ მოსეს მხურვალე თხოვნას:

> „შეევედრა მოსე უფალს, თავის ღმერთს, და უთხრა: „რად უნდა აინთოს შენი რისხვა შენს ხალხზე, რომელიც დიადი ძალითა და მაგარი ხელით გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან? რად უნდა ილაპარაკონ ეგვიპტელებმა: ბოროტი განზრახვით გაიყვანაო ისინი, მთებში დასახოცად და მიწის პირიდან აღსაგველად? დაიცხრე მგზნებარე რისხვა და გადაიფიქრე შენი ხალხის დაღუპვა. გაიხსენე აბრაჰამი, ისაკი და ისრაელი, შენი მსახურნი, რომელთაც შენი თავი დაუფიცე და უთხარი: ცის ვარსკვლავებივით გავამრავლებო თქვენს შთამომავლობას და მთელ იმ ქვეყანას, რომელზეც ვთქვი, მივცემ თქვენს თესლს და დაიმკვიდრებენ სამარადისოდ“. (გამ. 32:11-13)

აქ გამოსაკვეთია რამდენიმე პუნქტი. პირველი, მოსემ სრული მორჩილებით, შიშითა და თრთოლვით ილაპარაკა. მეორე, ის გულმხურვალედ ევედრა ღმერთს და მითითება არ გაუბედავს. მესამე, მან ღვთის სასარგებლოდ ილაპარაკა, რაც ყველაზე მთავარია და არა ხალხის გამო. არსებითად, მოსე ამას ამბობდა: „რას უზამ შენს რეპუტაციას, რომლის შექმნასაც ოთხასი წელი

მოანდომე? ახლა შენი სახელი მთელი დედამიწისთვის გახდა ცნობილი, მაგრამ მას ჩირქს მოსცხებ, თუ დაწყებულს ბოლომდე არ მიიყვან!“ ვინაიდან მოსემ ეს, უპირატესად, უფლის გულისთვის გააკეთა, შეეძლო ღმერთს შედავებოდა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მისი მოტივი არ იყო რაიმეს მიღება, არამედ სხვების კეთილდღეობა.

საკუთარ თავს კითხვა უნდა დავუსვათ, სანამ წინამძღოლს რაიმეს ვთხოვდეთ: „პირველ რიგში, ვისთვის არის ვედრება?“ მაშინაც კი, როცა მოსემ ღმერთს აბრაჰამისადმი მიცემული აღთქმა შეახსენა, მაინც უფლის ინტერესებს ითვალისწინებდა. მან ღმერთს თავისი სიტყვის მნიშვნელობა შეახსენა. მოსეს სწორი ხედვა ჰქონდა, რადგან მისი გული სწორ მდგომარეობაში იყო. ის ღვთის მსახური გახლდათ, ამიტომ პირველ რიგში მასზე ფიქრობდა და მხოლოდ ამის შემდეგ – ისრაელის ძეებზე. აი ღვთის პასუხი: „გადაიფიქრა უფალმა და აღარ დაატეხა უბედურება, რომლის გაკეთებასაც უპირებდა თავის ხალხს“ (გამ. 32:14).

ღმერთმა აზრი შეიცვალა! გადაწყვეტილება უკან იქნა წაღებული. მინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გამოვკვეთო. მოსეს შეეძლო ღმერთთან ასე პირდაპირ ლაპარაკი, რადგან არაერთხელ დაუმტკიცა ერთგულება. ეს პრინციპი თანამედროვეობაში გადმოვიტანოთ. მესენჯერ ინტერნეშნალის გუნდის ზოგიერთმა წევრმა მე და ლიზას ერთგულება დაგვიმტკიცა წლების მანძილზე. მათ მიმართ კეთილგანწყობილი ვართ და ახალშემომატებული თანამშრომლების თხოვნებზე სწრაფად მათ სათხოვრებს ვპასუხობთ. წინამძღოლის ცხოვრებაში ლაპარაკის უფლება უნდა მოიპოვოთ. ამას ერთგულებით, სიწრფელით და თავდადებით მიაღწევთ. ყველას არ აქვს ლიდერთან ამგვარად დალაპარაკების უნარი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ის, რომ მოსე ღვთის განზრახვაზე სხვებს არ ელაპარაკება – მხოლოდ ღმერთთან არკვევს საკითხს მისი გადაწყვეტილების შესახებ. ისრაელის შვილები განუწყვეტლივ აბრაზებდნენ უფალს, რადგან გამუდმებით ბუზღუნებდნენ მის გზებზე ერთმანეთს შორის. ესეც წუწუნია და ღმერთს ეს სძულს! ასეთი საქციელი მეტისმეტად საშიშია და ნებისმიერ ფასად უნდა აირიდოთ. როცა ერთმანეთში ვბუზღუნებთ და ძალაუფლების გადაწყვე-

ტილების საწინააღმდეგოდ ვლაპარაკობთ, განხეთქილებასა და ამბოხებას ვთესავთ. ერთ-ერთ თავში ვნახავთ, რომ ამას გარკვეული სასჯელი მოჰყვება.

ჩემს თანამშრომლებთან შეთანხმება მაქვს. თუ გადაწყვეტილებას მივიღებ და ისინი ჩათვლიან, რომ ინფორმაციის ნაკლებობას აქვს ადგილი, შეუძლიათ, ერთხელ მომმართონ თხოვნით ან თუ ახალი ფაქტები გამოჩნდება, რომლებიც საქმეში დაგვეხმარება, კიდევ ერთხელ მთხოვენ. სანამ სათხოვრით მოვიდოდნენ, მნიშვნელოვანია, რომ მასზე გულდასმით იფიქრონ და ისეთი ფორმით მომაწოდონ, რომ ადვილი დასანახი იყოს, რის შემოთავაზება სურთ. ხშირად შემიცვლია გადაწყვეტილება, როცა ახალი ინფორმაცია მინახავს. და მაინც, თუ მათი თხოვნის შემდეგ თავდაპირველი გადაწყვეტილება უცვლელი დარჩება, წინსვლა თანხმობით უნდა გავაგრძელოთ. თუ ერთობაში ვმოქმედებთ და მე არასწორი აღმოვჩნდი, ღმერთი მაინც დაგვიცავს. ის დაგვიცავს მე და ჩემს ქვემდგომებს, თუ გულის სიწრფელით ვაგრძელებთ სვლას. დავითი ამბობს: „უბიწოებამ და სიწრფელემ დამიფაროს მე, ვინაიდან შენ მოგელი“ (ფს. 25:21).

რა ხდება, თუ ეს ღვთისგან ნაჩვენებს ეწინააღმდეგება?

შესაძლოა, ისევ გრჩებოდეთ კითხვა: „რა უნდა ვქნათ, თუ ძალაუფლება იმის საწინააღმდეგოზე მიმითითებს, რაც ლოცვაში მივიღე?“ ეს კარგი კითხვაა და პასუხი უნდა გაეცეს. ამისთვის მივუბრუნდეთ მაგალითს, რომელიც მეორე თავში განვიხილეთ. სანამ „საღამოების“ მთლიან პროგრამას განვიხილავდით, წრფელად ვეძებე უფალი ლოცვაში და დარწმუნებული ვიყავი, რომ მან მიმითითა სახლის ჯგუფების გზით სიარულზე. დღემდე სრულად ვარ დარწმუნებული ამაში, მაგრამ მთლიანი ეპიზოდი ჩემს გამოცდას ემსახურებოდა, დავემორჩილებოდი თუ არა ძალაუფლებას, რომელიც ჩემს ზემოთ დააყენა.

წერილი სავსეა ღვთის მიერ ადამიანთა გამოცდის მაგალითებით. როცა ღმერთმა აბრაჰამს ისაკის მსხვერპლად მოტანა სთხოვა, ბიბლია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „ღმერთმა გამოსცადა აბრაჰამი“ (დაბ. 22:1). უფალს არასოდეს სდომებია, რომ აბარაჰამს ძე მოეკლა, მაგრამ მაინც მისცა დრო მთაზე ასასვლელად და მანამ არ შეაჩერა, სანამ კაცმა

დანა არ აღმართა. ღმერთმა აბრაჰამის ურყევი ერთგულება მისი მორჩილების ქმედებიდან დაინახა. ხედავს თუ არა იგივეს დღეს ჩვენში?

პავლე მოციქულმა კორინთელთა ეკლესიას პირველ წერილში რაღაცის გაკეთების მითითება მისცა, მაგრამ მეორე წერილში გადაიფიქრა. ამ ცვლილების შემდეგ ყურადსაღები რამ განაცხადა:

„ვინაიდან ეს იმისთვისაც მოგწერეთ, რომ გამომეცადეთ, ყველაფერში მორჩილნი ხართ თუ არა“. (2 კორ. 2:9)

პავლემ ეს მითითება მხოლოდ ერთი მიზნით მისცა მათ: დაემორჩილებოდნენ თუ არა მის ძალაუფლებას. ერთი მეტად ბრძენი მეგობარი მყავს, რომელიც წლებია ეკლესიას მწყემსავს. მან მითხრა, რომ თავის თანამშრომლებში ურჩობის გამოვლენას მათთვის უაზრო დავალებების მიცემით ახერხებს. მან მითხრა: „ჯონ, მალე გავიგონებ ამბოხებულთა განაწყენებასა და წუწუნს. ამ საქმეს მოვუვლი და შემდეგ მითითებას შევცვლი, რომ ყველაფერი ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდეს“.

პავლემ მათ მითითება მისცა, რომ ენახა, ყველაფერში მისი მორჩილები იქნებოდნენ თუ არა. საკვანძო სიტყვა გახლავთ ყველაფერში. მისი მითითება რთული იყო, მაგრამ თავისში მოიცავდა გარკვეულ მიზანს. მიზანი: თუ ამ მითითებას დაემორჩილებიან, სხვა მითითებებსაც დაემორჩილებიან.

ეს სწორედ ის იყო, რაც ღმერთმა გაუკეთა აბრაჰამს. მან შესასრულებლად ყველაზე რთული დავალება გამოუძებნა: პატრიარქს ხელი უნდა გაეშვა იმისთვის, რაც მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ამ აღთქმას ოცდახუთი წელი ელოდა. ეს არ იყო აბრაჰამის ბრალი. მთავარი იყო ის, რაც ღმერთმა ლოცვაში აღუთქვა. მისთვის გაცილებით ადვილი იქნებოდა, საკუთარი თავი დაედო სამსხვერპლოზე, მაგრამ ღმერთს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანის მიღება სურდა. თუ აბრაჰამი ამ საკითხში გამოიჩენდა მორჩილებას, სხვა დანარჩენშიც მორჩილი იქნებოდა!

უფროსმა პასტორმა მითხრა, ხელი შემეშვა დასათმობად ყველაზე რთული საქმისთვის. მასზე თვეების განმავლობაში ვმუშაობდი და ეს ყველამ იცოდა. ჩემს თვალში ეს იყო დაღუ-პული სულების ცათა სამეფოში მოყვანის აღთქმაზე ჩაჭიდება.

ეს იყო საკვანძო მომენტი, იქნებოდა თუ არა შედეგიანი ჩემი, როგორც ახალგაზრდების პასტორის საქმიანობა. ჩემი რეპუტაცია სასწორზე იდო, რადგან ყველას ვუთხარი, რომ ეს ღვთის ნება იყო. ლოცვაში მოვისმინე, რომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის უნდა მემოქმედა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ღვთიურ გამოცდას გავდიოდი და ხშირად მას ვერასოდეს ამოიცნობთ, სანამ ურემი არ გადაბრუნდება. ფაქტებით თქვენი გულისნადები ვლინდება.

ჩემი საღამოების მეშვეობით მრავალი სული შეემატებოდა ღვთის სამეფოს, მაგრამ ღმერთს უფრო მეტად ის აღელვებს, რომ მისი ძალაუფლება გამოვლინდეს ჩვენს გულებში, ვიდრე მისი საქმე ჩვენი მეთოდებით ვაკეთოთ. იგი ღმერთია; მას უამრავი ახალი იდეა აქვს, როგორ მოვიპოვოთ დაღუპული სულები. რის სხვაგვარად მოხერხებაც შეუძლებელია, ეს გახლავთ დაქვემდებარების პრინციპი ადამიანთა გულებში. ურჩი გულისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი და რთული პრინციპის დანერგვა ადამიანთა გულებში. რაკი ღმერთმა ერთხელ გადასცა ადამიანს თავისი ძალაუფლება, ამას არ უგულებელყოფს. ერთადერთი გამონაკლისია შემთხვევა, როცა წინამძღოლი პირდაპირ არღვევს დაწერილ სიტყვას ანუ ღვთის კანონს. თავად ღმერთი გვერდს არ აუვლის მის მიერვე დაფუძნებულ გადაცემულ ძალაუფლებას. არ შეგვიძლია გადაცემული ძალაუფლება უგულებელვყოთ და მხოლოდ ღვთის ქვეშევრდომობა ვაღიაროთ. მოსე ამ პრინციპზე ელაპარაკა ისრაელის ტომთა მეთაურებს:

> „უთხრა მოსემ ისრაელის ტომთა მეთაურებს: „... თუ ქალი მისცემს უფალს აღთქმას და რაიმეს აღიკვეთს მამამისის სახლში ყმაწვილქალობისას, გაიგებს მამამისიც მის აღთქმულსა და საკუთარი თავისთვის აღკვეთილს და არაფერს ეტყვის, უნდა შეასრულოს ყოველი აღთქმა და აღკვეთილი, რაც აღიკვეთა; მაგრამ თუ დაუშლის მამამისი, როცა გაიგებს, მაშინ ყოველი მისი აღთქმა და აღკვეთა არ შესრულდეს და აპატიებს მას უფალი, რადგან დაუშალა მამამისმა“. (რიცხვ. 30:1-5)

მოსე კიდევ უფრო მეტად განავრცობს პრინციპს ცოლისა და მისი ქმრის მაგალითზე. ღმერთია უზენაესი და უშუალო

ძალაუფლება, მაგრამ მხარს უჭერს საკითხს, რომელზეც გადაცემულმა ძალაუფლებამ თანხმობა განაცხადა. იგი აუქმებს ამ ძალაუფლების მიერ გაუქმებულს. უფალი პატივს მიაგებს თავის გადაცემულ ძალაუფლებას. ვინაიდან ყმაწვილქალი მამის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება ან ცოლი ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარება, ღმერთი მამას ან ქმარს მოჰკითხავს, ხოლო ქალი თავისუფალია.

ეს პრინციპი გამართლებულია მთელი წმიდა წერილის ფონზე, არა მარტო ოჯახის ფარგლებში, არამედ გადაცემული ძალაუფლების სხვა სფეროებშიც. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ გამონაკლისია ღვთის მცნებების პირდაპირი წინააღმდეგობის შემთხვევა ძალაუფლების მქონეთა მხრიდან. ძალიან მანაღვლიანებს მსახურებაში მყოფი ადამიანების ნათქვამი: „ჩემმა პასტორმა მითხრა, ეს არ გამეკეთებინა, მაგრამ ის ღმერთს არ უსმენს, ამიტომ მაინც ვაპირებ ჩემებურად მოქმედებას, ოღონდ შემოვლითი გზით.“ მნიშვნელობა არ აქვს, ლოცვის რა პასუხში ხართ დარწმუნებული, თუ ღვთის ძალაუფლების წინააღმდეგ გამოდიხართ იმით, რომ თქვენს ცხოვრებაში არსებულ გადაცემულ ძალაუფლებას ეურჩებით!

უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია. აღმოვაჩინე, რომ ნაპასუხებია ბევრი კითხვა და გადაჭრილია უამრავი პრობლემა, როცა გამოცხადების ცოდნა ჩვენს გულებზე აღიბეჭდება. ეს წიგნი არ უნდა გახდეს მოსაბეზრებელი მაგალითებისა და ახსნა-განმარტებების სიმრავლის გამო. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: უნდა მივყვეთ ძალაუფლების გამოცხადებას, რომელიც თავად ღვთის გამოცხადებაა, რადგან ის და მისი ძალაუფლება განუყოფელია. შესავალში მოგიწოდეთ, რომ წინამდებარე წიგნის კითხვის კვალობაზე გულწრფელად სთხოვოთ ღმერთს ღვთიური დაქვემდებარების პრინციპის გულში აღბეჭდვა. თუ ასე არ მოხდება, კითხვები იმაზე მეტად მოგიმრავლდებათ, ვიდრე დასაწყისში გქონდათ.

მომდევნო თავში აღმოვაჩენთ, როგორ მოვიქცეთ უსამართლო მოპყრობის შემთხვევაში და როგორ ვუპასუხოთ ძალაუფლებას, რომელიც ჩვენ მიმართ სასტიკია. დავინახავთ, რომ ღმერთს დიდებული გეგმა აქვს ანალოგიური ვითარებებისთვის.

თავი 13

უსამართლო მოპყრობა

მოდრეკა დაუძლურებას როდი ნიშნავს.
ის ძალაუფლების დაქვემდებარებას უკავშირდება.

ზეციერ მამას გარკვეული მიზნის მიღწევა სურს თითოეულ ჩვენგანში. ნება მომეცით, გაგაფრთხილოთ, რომ ეს სასიამოვნოდ არ ჟღერს და არც პოპულარული ან უმტკივნეულოა, მაგრამ თქვენთვის საუკეთესო ნამდვილად არის. უფალს ჩვენი მოდრეკა სურს. წერილი ამას ნათლად ამბობს:

> „რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო და სრულადდასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღვთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო! (ფს. 51:16-17)

> ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან და სულით მორჩილებს იხსნის. (ფს. 34:18)

უფალთან მჭიდრო კავშირის წინაპირობა მოდრეკილი გულია. უსიამოვნო პროცესის მიუხედავად, მისი თანდასწრების სიახლოვე დიდად გადაწონის მოსალოდნელ სირთულეებს. დავითმა ეს სიჭაბუკისას ისწავლა. ფსალმუნებში შეგიძლიათ დააკვირდეთ მისი გულის მოდრეკას და რა მოჰყვა მას შედეგად.

გულის მოდრეკა ძალაუფლებას უკავშირდება

ნება მომეცით, თვალსაჩინოება წარმოგიდგინოთ. საბრძოლო ცხენი ვერ მოგემსახურებათ, სანამ არ მოათვინიერებთ.

შესაძლოა, ცხენი ყველაზე ძლიერი, სწრაფი და ნიჭიერი იყოს თავლის სხვა ცხენებთან შედარებით, მაგრამ მოდრეკის გარეშე მას ვერ გამოიყენებთ. ის თავლაში დარჩება მაშინ, როცა ნაკლებუნარიანი ცხენები იბრძოლებენ. მოდრეკა დაუძლურებას როდი ნიშნავს. ის ძალაუფლების დაქვემდებარებას უკავშირდება.

ცხენის შემთხვევაში მისი ბატონი მხედარია. თუ ცხენი წარმატებით მოთვინიერდა და გაიწვრთნა, მისი ნდობა ნებისმიერ და ყველა ვითარებაში შეიძლება. გახურებულ ომში, როცა ტყვიები ან ისრები აქეთ-იქით ცვივიან, ის არ შეკრთება; ხმლებისა და ნაჯახების ტრიალში უკან არ დაიხევს; თოფებისა და ზარბაზნების გრიალში არ გადაუხვევს პატრონის სურვილს. ის მყარად ექვემდებარება თავის ბატონს, ვინც არ უნდა იყოს. ასეთი ცხენი არც კი შეეცდება თავის დაცვას ან სარგებლობის მიღებას, ოღონდ კი მხედრის ბრძანებები შეასრულოს.

მოდრეკის პროცესი თითოეული ინდივიდისთვის უნიკალურია თავად უფლის ხედვის შესაბამისად. მხოლოდ მან იცის, როდის დასრულდება ეს პროცესი და როდის იქნებით მზად იმ ტიპის მსახურებისთვის, რომლის გაწევაც თქვენი მხრიდან სურს. ყოველ ახალ საფეხურს მოდრეკის ახალი წრე მოჰყვება.

კარგად მახსოვს წარსულში გავლილი პროცესები. მეტისმეტად ხშირად ვიყავი დარწმუნებული, რომ გამოსადეგი გახლდით მსახურების შემდგომი ეტაპისთვის და ეს გაცილებით ადრე ხდებოდა, ვიდრე რეალურად შევუდექი. გაბედულად ვაცხადებდი: „სრულად ვემორჩილები შენს ძალაუფლებას. ვიცი, რომ მზად ვარ მსახურებისთვის შენი მოწოდების თანახმად“. თუმცა ჩემს გარშემო მყოფმა მოწიფულმა მორწმუნეებმა იცოდნენ, რომ მოდრეკისგან შორს ვიყავი. რასაკვირველია, მოუთმენლად ველოდი შემდეგი რაუნდის დაწყებას ფეხის ქნევით, ცახცახით და ჩემი უფლებებისთვის ბრძოლით.

რას ვიტყვით სასტიკ წინამძღოლებზე?

როგორც ცხენების შემთხვევაშია, ჩვენი მოდრეკის პროცესიც ძალაუფლებას უკავშირდება. ღმერთმა თითოეულ ჩვენგანზე მორგებული პროცესი შექმნა და ამას ყოველთვის მოყვება გარკვეული სახის წინამძღოლობა. სწორედ ამიტომ წერდა პეტრე:

„დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ მმართველობას უფლის გულისთვის, ... მსახურნო, დაემორჩილეთ ბატონებს მთელი მოშიშებით, არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უკუღმართთაც“ (1 პეტრ. 2:13,18).

მოდით, ეს სიტყვები თანამედროვე დიალექტზე გადმოვიყვანოთ! მსახურები შეიძლება იყვნენ თანამშრომლები, სტუდენტები, ეკლესიის წევრები ან მოქალაქეები. ბატონები იქნებიან დამქირავებლები, მასწავლებლები, მწვრთნელები, ეკლესიის წინამძღოლები ან სამოქალაქო ხელისუფლება. ჩვენგან უმეტესს კარგი და სათნო წინამძღოლები გვყავს და ისინი გვიყვარს. მათთვის დაქვემდებარება ადვილია. თუმცა ღმერთი მიგვითითებს, რომ არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს უნდა დავემორჩილოთ, არამედ უკუღმართებსაც!

„უკუღმართის“ შესატყვისი ბერძნული სიტყვა გახლავთ სკოლიოს. Thayer’s ბერძნულ ლექსიკონში ის განმარტებულია როგორც „გამრუდებული, უზნეო, მანკიერი, უსამართლო და თავხედი“. Vine’s ლექსიკონი სიტყვას „ტირან და უსამართლო ბატონებს“ უკავშირებს. ნუთუ უფალი ამ ტიპის წინამძღოლთა დამორჩილებას გვთხოვს?

მოდით, ბიბლიის რამდენიმე სხვა თარგმანი მოვიშველიოთ! The New Century Version გვეუბნება: „არა მარტო კარგებსა და კეთილებს, არამედ უპატიოსნოებსაც“. The Contemporary English Version აცხადებს: „ასე მოიქეცი არა მარტო კეთილებისა და ყურადღებიანების მიმართ, არამედ უგულოების მიმართაც“. The New American Standard Bible ამბობს: „არა მარტო კარგებსა და სათნოებს, არამედ უგუნურებსაც“. ამ მცნებას გვერდს ვერ ავუვლით, ამიტომ მასში ღვთიური სიბრძნე მოვიძიოთ.

რეალურად, პეტრეს სიტყვები დიდ უხერხულობას გვიქმნის, სანამ გაადვილდებოდეს. ის აგრძელებს: „მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს“ (1 პეტრ. 2:19).

შევჩერდეთ და წუთით დავფიქრდეთ ახლახანს წაკითხულზე. ყველას გვინდა ღმერთს ვაამოთ; ასეთია ყოველი ნამდვილი ძისა და ასულის სურვილი. რა აამებს ჩვენს ზეციერ მამას? როცა უსამართლოდ გვექცევიან, მაგრამ ამაზე სწორი რეაქცია გვაქვს.

მახსოვს შემთხვევა, რომელიც ჩემს ცოლსა და ერთ-ერთ უფროს ვაჟს შორის მოხდა. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ მისმა ძმამ უფრო მეტი მიიღო და უსამართლოდ მოექცნენ. მან გააპროტესტა:

– დედა, ეს უსამართლობაა!

ჩემმა ცოლმა მშვიდად უპასუხა:

– შვილო, ცხოვრება უსამართლოა!

მან დედას გაკვირვებული მზერა მიაპყრო, თითქოს ეუბნებოდა: „ამის თქმა როგორ შეგიძლია? შენ ხომ დედაჩემი ხარ!“

ლიზამ კითხვა დაუსვა:

– სწორი იყო, იესო ჯვარზე რომ გააკრეს ჩვენი ცოდვებისთვის, როცა მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია?

ჩემი შვილის თვალებში სიბრძნე გაკრთა და ხმა აღარ ამოუღია.

ქრისტეს პირადი მაგალითი

პეტრე განაგრძობს: „ვინაიდან ამისათვის ხართ კიდეც მოწოდებულნი“. როცა წერილის ამ მონაკვეთს ვასწავლი, როგორც წესი, ხალხს ვთხოვ, თვალები მაღლა აღაპყრონ და ენთუზიაზმით ვამბობ: „ყველამ გაიმეოროს ეს სიტყვები: „ეს ჩემი მოწოდებაა!“ ხშირად ვლაპარაკობთ ცხოვრებისეულ მოწოდებაზე. იცით, ეს ერთ-ერთი მათგანია. მოისმინეთ, რას ამბობს პეტრე: „ვინაიდან ამისათვის ხართ კიდეც მოწოდებულნი [ეს განუყოფელია თქვენი მოწოდებისგან]: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და [პირადი] ნიმუშიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ“ (1 პეტრ. 2:21).

როგორ იტანჯა იგი? პეტრემ წინა მუხლში განმარტა: უსამართლო მოპყრობა აიტანა გადაცემული ძალაუფლების მხრიდან. ზოგჯერ ღმერთი ისეთ ვითარებას ქმნის ჩვენ გარშემო, რომ ხელისუფალთაგან უგუნურ მოპყრობას ვიღებთ. იგივე ხვედრი ერგოთ დავითს, იოსებს, დანიელს, პავლე მოციქულს და სხვებს. ჩვენი მოწოდება გახლავთ სათანადო გამოხმაურება. იესომ პირადი მაგალითი დაგვიტოვა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ.

ახლა შეიძლება გაგიკვირდეთ: „რა მიზანს ემსახურება სასტიკი წინამძღოლებისგან ტანჯვის ატანა?“ ეს იდეა ჩვენი ბუნებრივი აზროვნებისთვის მიუღებელია, რადგან ლოგიკურად აბსურდამდე მიდის. თუმცა ღვთიური სიბრძნე ამგვარი

მოპყრობის მეშვეობით მოდრეკილ გულს ქმნის სამი სხვადასხვა გზით. პირველი, იქმნება სივრცე ღვთის სამართლიანი სამსჯავროსთვის. მეორე, ჩვენში იესო ქრისტეს ბუნებას განავითარებს და მესამე, ცუდი მოპყრობის პირობებში ჩვენი დაქვემდებარება ღმერთს განადიდებს.

პავალემ მმართველების დაქვემდებარებაზე მსჯელობას წინასიტყვაობა დაურთო: „შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარლებო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, ვინაიდან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ, - ამბობს უფალი“ (რომ. 12:19). დაცვა, შესწორება, გამართლება და სხვა შესაბამისი პასუხები არა ადამიანის, არამედ ღვთის ხელიდან უნდა მოდიოდეს. პიროვნებას, რომელიც თავად ამართლებს საკუთარ თავს, ქრისტესმიერი თავმდაბლობა აკლია.

დედამიწაზე არავის ჰქონდა იესოზე მეტი ძალაუფლება, მაგრამ ხელისუფალთა წინაშე მდგომს თავი არასოდეს დაუცვია. მოდით, ზუსტად ის მონაკვეთი განვიხილოთ, რომელზეც პეტრე მიანიშნებს ანუ იესოს წარდგენა სასამართლოს წინაშე: „მრავალ ბრალს სდებდნენ მღვდელმთავარნი“ (მარკ. 15:3).

წარმოიდგინეთ სასამართლო, მაგრამ ნებისმიერი კი არა, ქვეყნის უზენაესი მმართველობა, სადაც მოწმეების ნათქვამი ყოველი სიტყვა ოფიციალურად იქნებოდა მიმართული იესოს წინააღმდეგ. მოწმეებს ღვთის ერის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეები წარმოადგენდნენ. ისინი გავლენიანი ადამიანები იყვნენ, რომელთა სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა, მაგრამ მათ ნათქვამში სიმართლის მარცვალიც არ ერია. ისინი სრულ სიცრუეს ლაპარაკობდნენ, თუმცა იესო მდუმარედ იდგა ბრალმდებელთა წინაშე და თავს არ იცავდა! „კვლავ ჰკითხა პილატემ: „არაფერს უპასუხებ? ხედავ, რამდენ რამეს გაბრალებენ?“ მაგრამ კვლავ არაფერს პასუხობდა იესო; და გაოცდა პილატე“ (მარკ. 15:4-5).

პილატემ ქვეყნის უზენაესი მოსამართლის სკამი დაიკავა განსასჯელად. სასამართლოზე წარდგენილი ურიცხვი ადამიანი უნახავს. ისინი გააფთრებით იცავდნენ თავს, ოღონ კი სასჯელი აერიდებინათ. ბრალის დადასტურების შემთხვევაში მათ აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ ან სჯიდნენ. ამაზე მაღალ ინსტანციაში გასაჩივრება შეუძლებელი იყო. მას არასოდეს უნახავს მდუმარე ბრალდებული. პილატემ იცოდა, რომ

მთავრებმა შურის გამო გადასცეს იესო სასამართლოს და მისთვის უმკაცრეს სასჯელს, ჯვარცმას მოითხოვნდნენ. მან ისიც იცოდა, რომ იესო არ იყო ის, როგორადაც წარმოაჩენდნენ. და მაინც, ეს ადამიანი უარს ამბობს თავის დაცვაზე. მისმა თავდაჭერილობამ მმართველში გაოცება გამოიწვია.

რატომ არ იცავდა იესო თავს? მიზეზი: ზეციერი მამის განსჯისა და შესაბამისად, მისი მფარველობის ქვეშ დარჩენა სურდა. პეტრემ თქვა: „რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს“ (1 პეტრ. 2:23).

როცა თავდაცვაზე უარს ვამბობთ, ღვთის მადლი და განსჯა გვიფარავს. ამაზე დაცული ადგილი არ არსებობს: „ვინ გაამტყუნებს ღვთის რჩეულებს? ღმერთი გამმართლებელია“ (რომ. 8:33).

ამის საპირისპიროდ, თავის დამცველები ბრალმდებლებისა და მათი განსჯის ქვეშ ექცევიან და ამით ღვთიურ ჩარევას კარგავენ. ერთ ამბავს გავიხსენებ, როცა თავს ვიცავდი ჩემი ზემდგომი ძალაუფლებისგან. ამის შემდეგ ღმერთმა გულში მოკლე ხედვა მაჩვენა. დავინახე, როგორ იდგა უფალი ჩემ გვერდით, მაგრამ ხელები ზურგზე ჰქონდა დაკრეფილი. იგი თავს იკავებდა ჩემთვის ეგზომ საჭირო დახმარებისგან. როცა თავის გამართლება შევწყვიტე, უფალი ჩემს სასიკეთოდ ამოქმედდა.

იესოს არასოდეს მოუშორებია მზერა უზენაესი მსაჯულისგან, მაშინაც კი, როცა გადაცემული ძალაუფლების წინაშე იდგა. გახსოვდეთ, რომ მეფის გული უფლის ხელშია. იგი მთელი პროცესის განმავლობაში ღვთიური თავდაცვის ქვეშ დარჩა, როცა თავის მართლებაზე უარი თქვა. იმ მომენტში, როცა თავის მართლებას და დაცვას იწყებთ, ბრალმდებელს თქვენს მოსამართლედ აღიარებთ. ამით დაცვის სულიერ უფლებაზე უარს ამბობთ, რადგან მის კიცხვაზე პასუხის გაცემით ეს ადამიანი სულიერ სამყაროში თქვენზე მაღლა დგება. მის გავლენას თქვენი თავდაცვა ზრდის. უდანაშაულობის მტკიცების მცდელობა ბრალმდებლის წყალობის იმედად გტოვებთ. ამ მიზეზის გამო იესო შეგვაგონებს:

> „სასწრაფოდ დაუზავდი შენს მეტოქეს, ვიდრე მასთან ერთად ადგახარ გზას, რომ მან მსაჯულს არ გადაგცეს, ხოლო მსაჯულმა მსახურს არ გადაგცეს და საპყრო-

ბილეში არ ჩაგაგდონ. ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ვერ გამოხვალ იქიდან, ვიდრე უკანასკნელ კოდრანტს არ გადაიხდი“ (მათ. 5:25-26).

ამ იგავიდან გამომდინარე, მოგიწევთ იმ საფასურის გადახდა, რომელსაც ბრალმდებელი საზღაურად მოითხოვს. რაც უფრო დიდი იქნება თქვენს მიმართ წყენა, მით ნაკლებ წყალობას გამოიჩენს ის და თქვენი ვალის ყოველ თეთრს ამოიღებს, სამართლიანი იქნება თუ არა მის თვალში.

ბავშვური რწმენა

როცა ჩვენი უფრო ვაჟი, ედისონი მესამე კლასში იყო, სადილზე მე და ლიზას ერთი პრობლემა გაგვიზიარა, რომელსაც სკოლაში წააწყდა. მისი აზრით, ერთ-ერთი ინსტრუქტორი ეჭვის თვალით უყურებდა. ედისონი გრძნობდა, რომ მასწავლებელს არ მოსწონდა და მას ადანაშაულებდა ყოველთვის, როცა კლასში საუბრობდნენ ან უწესრიგობა იყო. ასე გრძელდებოდა გარკვეული ხანი, სანამ მასწავლებელმა სახლში შენიშვნა არ გამოგვიგზავნა, რომელიც ედისონის ყოფაქცევის ჩანაწერში უარყოფითად აისახებოდა. ჩემი ვაჟი ძალზე კეთილსინდისიერი ადამიანია და მისთვის მეტისმეტად ძნელი ასატანი გახდა ამ შენიშვნაზე ფიქრი. როცა თავის სასოწარკვეთას და შიშს გვიზიარებდა, სულ ცრემლებად დაიღვარა.

ჩვენ დავარწმუნეთ, რომ მისი გვჯეროდა და დეტალების მოყოლა ვთხოვეთ. ედისონმა ამოიოხრა: „ყველაფერში მე გამოვდივარ დამნაშავე, თუნდაც საქმეში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდეს. მაინც მხოლოდ მე მბრალდება. ისეთ რამეებსაც მაბრალებენ, რომელიც საერთოდ არ ჩამიდენია. მაგალითად, დღეს ჩემს გვერდით ორი ბიჭი იცინოდა და ხითხითებდა, ხოლო მე წყნარად ვიყავი. მასწავლებელი შემობრუნდა და დამიყვირა.“ ბიჭს უსამართლობისგან ტუჩი უცახცახებდა. ცხრა წლის ბავშვისთვის ეს გადაულახავი კრიზისი იყო.

ედისონის დანარჩენი მასწავლებლების აზრით მისი ყოფაქცევა შესანიშნავი იყო და მივხვდით, რომ ცალკეულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. სანამ ლიზა ბავშვს ანუგეშებდა, მე შეკითხვა ვცადე:

– რა უპასუხე მასწავლებელს, როცა შენიშვნა მოგცა დღეს?

ამჯერად ედისონს თვალებში ცეცხლი აენთო:

– ვუთხარი, რომ მე არ ვლაპარაკობდი, არამედ ის ორი ბიჭი!

დავინტერესდი:

– ყოველთვის ასე პასუხობ ხოლმე მის შენიშვნებს?

ედისონმა მითხრა:

– დიახ, თუ არაფერი დამიშავებია.

შევხედე და ვუთხარი:

– იცი, შვილო, სწორედ ამაშია პრობლემა. თავს იმართლებ ძალაუფლების წინაშე და როცა ამას აკეთებ, ღმერთი არ გიცავს.

მას გავუზიარე ამ თავში მოყვანილი ადგილები წერილიდან. კარგად გააზრებისთვის ჩემს გამოცდილებაზეც ვუამბე ჩვენი ეკლესიის ოფისის მენეჯერთან დაკავშირებით, რაზეც წინა თავში ვილაპარაკე.

ზიანის მიმყენებელი უფროსი

ამ კაცს ვაჟი ჰყავდა, რომელიც ჩვენს ახალგაზრდულ ჯგუფში დადიოდა. ჩემი ქადაგებები შეურყეველი იყო სიწმიდის, ლოცვისა და უფლობის საკითხებში. ბევრი ახალგაზრდის ცხოვრება გარდაიქმნა. ერთხელაც, ეს ბიჭი ჩემს ცოლთან მოვიდა ცრემლიანი თვალებით და უთხრა, რომ შეუძლებელი იყო სუფთა და წმიდა ცხოვრება, როცა ოჯახში ურჯულო ქცევები იყო გაბატონებული. შემდეგ ისეთი დეტალები უამბო, რომ გასაგები გახდა მამამისის ჩემდამი დამოკიდებულების მიზეზი.

რამდენიმე თვის შემდეგ ოთხმა სხვა ახალგაზრდამ დანანებით მითხრა, რომ წუხან ჩემი შესაძლო განთავისუფლების გამო. გამოვიძიე ინფორმაციის წყარო და მენეჯერის შვილამდე მივედი, რომელსაც ეს ამბავი მამისგან მოუსმენია.

მამამისთან მივედი, რომელმაც ნათქვამი დაადასტურა, მაგრამ ყველაფერი უფროს პასტორს დააბრალა, თითქოს მას უნდოდა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა. კვირები გავიდა და ვითარება უფრო გართულდა. ჩემი ოჯახი გამუდმებულ დაძაბულობაში იყო, რადგან არ ვიცოდით, სამსახურში დამტოვებდნენ თუ გამიშვებდნენ. სახლი ვიყიდეთ, ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო. არც ფული გვქონდა და არც სადმე წასასვლელი გვეგულებოდა. არ მინდოდა ჩემი რეზიუმეების დაგზავნა. დარწმუნებული

ვიყავი, რომ აქ ღმერთმა მომიყვანა და ალტერნატიული გეგმის გარეშე ველოდებოდი მოვლენების განვითარებას. ჩემი ცოლი ანერვიულდა, ღელავდა და მთხოვდა, რომ რამე მემოქმედა: „ძვირფასო, ვიცი, რომ ისინი შენს გაშვებას აპირებენ. ყველა ამას მეუბნება“.

ის მართალი იყო. ბოლოს და ბოლოს, უფროსი პასტორი ჩემს გაშვებაზე დათანხმდა. კვირა დილით გამოაცხადა, რომ ახალგაზრდულ ჯგუფში დიდი ცვლილებები იყო მოსალოდნელი. მასთან საუბარი აქამდე არ მქონია. პასტორთან და მენეჯერთან შეხვედრა მეორე დღეს მქონდა დაგეგმილი. ღმერთმა მითხრა, რომ თავი არ დამეცვა.

როცა მეორე დღეს უფროსი პასტორის ოფისში შევედი, მარტო დამხვდა. მან მითხრა:

– ჯონ, ღმერთმა გამოგგზავნა აქ. შენს წასვლას არ დავუშვებ.

მან გადაიფიქრა. შვებით ამოვისუნთქე. ღმერთმა ბოლო მომენტში დამიცვა. პასტორმა მკითხა:

– რატომ უნდა ოფისის მენეჯერს შენი გაშვება?

ვუპასუხე, რომ ამის მიზეზი არ ვიცოდი, მაგრამ მის თხოვნას დავთანხმდი, რომ ყველაფერი გამეკეთებინა მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.

ამ შეხვედრიდან მოკლე ხანში წერილობითი მტკიცებულება მივიღე იმ მენეჯერის გადაწყვეტილების შესახებ, სადაც მისი ზრახვები იყო გამომჟღავნებული. მზად ვიყავი უფროს პასტორთან წამეღო. მასაც უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ბოლთას ვცემდი და ვლოცულობდი. მინდოდა გულში მოჭარბებული უსიამოვნო გრძნობა დამეძლია. უფლის წინაშე მტკიცებას განვაგრძობდი:

– ღმერთო, ეს კაცი უპატიოსნოდ მოიქცა. გამოვლენილი უნდა იქნას. ის ამ მსახურების დამანგრეველი ძალაა. უფროს პასტორს უნდა ვუთხრა, როგორია სინამდვილეში!

კიდევ მომყავდა არგუმენტები მისი გამოაშკარავების მოტივით:

– ყველაფერი, რის თქმასაც ვაპირებ, მომხდარი და დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია. ეს არ არის ემოციური გადაწყვეტილება. თუ არ შევაჩერებთ, მისი გამხრწნელი ქცევა მთელ ეკლესიას გამსჭვალავს.

ბოლოს, იმედგაცრუებულმა ამოვიბურტყუნე:

– ღმერთო, არ გინდა რომ ვამხილო, არა?

ეს სიტყვები წარმოვთქვი თუ არა, გულში ნაკადივით წამოვიდა ღვთიური მშვიდობა. გაოცებისგან თავი გადავაქნიე. მივხვდი, რომ ღმერთს არ უნდოდა, რაიმე გამეკეთებინა და ჩემი სამხილი გადავაგდე. მოგვიანებით, როცა ვითარება ობიექტურად განვიხილე, მივხვდი, რომ თავის დაცვა და სამაგიეროს მიგება უფრო მინდოდა, ვიდრე სხვა ადამიანების გაფრთხილება. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მოტივები უანგარო იყო. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია ზუსტი იყო, მაგრამ ზრახვები – უწმიდური.

გავიდა დრო და ერთხელაც, როცა სამუშაო საათების წინ ეკლესიის გარეთ ვლოცულობდი, ეს კაცი გამოჩნდა. ღმერთმა მითხრა, რომ მივსულიყავი და თავი დამემდაბლებინა. მეყსეულად დავიწყე თავდაცვა:

– არა, უფალო, ის უნდა მოვიდეს ჩემთან. ის არის ყველა პრობლემის გამომწვევი.

ლოცვა გავაგრძელე, მაგრამ ღმერთი დუმდა. ოცი წუთის შემდეგ უფალმა ისევ დამიჟინა, რომ სასწრაფოდ მივსულიყავი და თავი დამემდაბლებინა. ვიცოდი, რომ ამას ღმერთი მეუბნებოდა. მენეჯერს დავუძახე და მის კაბინეტში შევედით. შემდეგ რაც ვთქვი და როგორც ვთქვი, სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რის თქმასაც ვაპირებდი, უფალი რომ არ დამლაპარაკებოდა. მთელი სიწრფელით ვთხოვე პატიება. ვუთხარი, რომ ვაკრიტიკებდი და განვიკითხავდი. ის მოლბა და შემდეგ ცოტა გავიარეთ კიდეც. იმ დღიდან მოყოლებული, მისი შეტევები შეწყდა.

ექვსი თვის შემდეგ, როცა ქალაქში არ ვიმყოფებოდი, ყველა მისი ავი საქმე გამომჟღავნდა უფროსი პასტორის წინაშე. გაცილებით უარესი მდგომარეობა ყოფილა, ვიდრე მე ვიცოდი. ის დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს. სასჯელი მოვიდა, მაგრამ არა ჩემი ხელიდან. რაც ჩემთვის განიზრახა, თავად შეემთხვა, თუმცა მომხდარი არ გამხარებია. ვნაღვლობდი მასზე და მის ოჯახზე. კარგად მესმოდა მისი ტკივილი – მისი წყალობით ხომ იგივე გავიარე! ექვსი თვის წინ რომ პატიებით გავათავისუფლე, ახლა უკვე მიყვარდა და არ მინდოდა, ასეთი ვითარება შექმნილიყო მის ცხოვრებაში.

იმ ეკლესიაში კიდევ თერთმეტი წელი დავყავი და ხშირად მთხოვდნენ მსახურებას. ჩირქი, რომელიც ჩემს სახელს მოსცხო, პატივით შეიცვალა. უკან გავიხედე და დავინახე, რომ

სირთულეებმა გამზარდა და მოგვიანებით, ღმერთმა სწორედ იმ ხალხის წინაშე ამამაღლა, რომლებიც ჩემზე ცრუ ინფორმაციას ისმენდნენ. როგორც ზეციერმა მამამ აღამაღლა იესო მორჩილებისა და თავდაცვაზე უარის თქმის გამო, ისე იგი პატივს მიაგებს თავის შვილებს, რომლებიც იესოს მაგალითს მიყვებიან.

წლის საუკეთესო მოსწავლე

როცა ედისონს წმიდა წერილიდან ადგილები გავაცანი და ამ შემთხვევაზე ვუამბე, ასე ვუთხარი:

– შვილო, არჩევანი გაქვს! შეგიძლია კვლავაც გააგრძელო საკუთარი თავის დაცვა და დარჩე შენი მასწავლებლის განკითხვის ქვეშ ან გაიაზრო, რომ მის ბრალდებებს ღვთიური გზით არ პასუხობდი. შეგიძლია მასწავლებელთა მიხვიდე, თავი დაიმდაბლო და ბოდიში მოუხადო, რომ პატივისცემა არ გამოიჩინე და მის ძალაუფლებას შეეწინააღმდეგე. ამის შემდეგ ღმერთი ჩაერევა შენს საქმეში.

ედისონმა კითხვა დამისვა:

– როგორ მოვიქცე, თუ კიდევ დამაბრალებენ იმას, რაც არ გამიკეთებია?

– დაე, ღმერთმა დაგიცვას! გამოვიდა რამე, როცა თავს იცავდი?

მეორე დღეს ის მასწავლებელთან მივიდა და თავი დაიმდაბლა – პატიება სთხოვა, რომ შენიშვნისას წინააღმდეგობას უწევდა.

მასწავლებელმა აპატია და მეორე დღეს ედისონმა კვირის საუკეთესო მოსწავლის სტატუსი მიიღო კლასის მასშტაბით. მას იგივე პრობლემა აღარ შექმნია. წლის ბოლოს დაჯილდოების ცერემონიაზე მასწავლებისგან უმაღლესი შეფასება ერგო.

თუ ცხრა წლის ბავშვს შეუძლია თავის დამდაბლება და კრიზისის დროს ღვთის სიტყვის ქმედითუნარიანობის დამტკიცება, რამდენად მეტად გვმართებს ჩვენ? ვფიქრობ, ეს გახლავთ იესოს ნათქვამის კარგი თვალსაჩინოება: „ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სამეფოში“ (მათ. 18:4).

დავითის შეხვედრა უგუნურ ხელისუფალთან

ედისონმა ისწავლა ის, რაც ისწავლა დავითმა, იესეს ძემ. ღმერთი მართალი მსაჯულია და თუ ძალაუფლების უსამართლო

მოპყრობის საქმეს მას გადავცემთ, ყოველთვის სამართლიანად განსჯის. დავითის შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ, რომ ის საულად წოდებული უგუნური და ბოლოს, სასტიკი მმართველის ხელქვეით სწორედ ღმერთმა დააყენა.

ეს იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე ერთმანეთს შეხვდებოდნენ. სამუელმა, ისრაელის მთავარმა წინასწარმეტყველმა დავითი ღვთის ერის მომდევნო მეფედ სცხო. ჭაბუკი, ალბათ, აღფრთოვანებული იყო და ფიქრობდა: *„ეს ის კაცია, რომელმაც ახლანდელი მეფე სცხო და მეც მეფე გავხდები!“*

საული ღმერთს არ დაემორჩილა და ბოროტმა სულმა დაუწყო წვალება. მას მხოლოდ მაშინ ჰქონდა შვება, როცა ვინმე ქნარზე უკრავდა. მისმა ამალამ ახალგაზრდა ჭაბუკის ძებნა დაიწყო, რომელიც დაუკრავდა და მეფეს მოემსახურებოდა. ერთ-ერთმა მსახურმა დავითზე, იესეს ძეზე მოახსენა. მეფე საულმა დავითის მოსაყვანად ხალხი გაგზავნა, რომ სასახლეში მოსვლა და მისი მომსახურება ეთხოვათ. დავითი, ალბათ, ფიქრობდა: ღმერთი უკვე ასრულებს წინასწრმეტყველის დანაპირებს. მან საკუთარ თავს უთხრა: *ეს იქნება ჩემი მეფედ შედგომის საწყისი ეტაპი.*

დრო გავიდა და დავითს ძმების მომარაგება სთხოვეს, რომლებიც იმ დროს ფილისტიმელებთან ომში მონაწილეობდნენ. ფრონტის ხაზთან მიახლოებისას მან ფილისტიმელი ფალავანი, სახელად გოლიათი დაინახა, რომელიც ღვთის არმიას მასხარად იგდებდა და ისიც გაიგო, რომ ეს ამბავი ორმოცი დღე გრძელდებოდა. დავითს ისიც უთხრეს, რომ გოლიათის მძლეველს მეფე თავის ასულს ცოლად მიათხოვებდა. ჭაბუკი მეფეს ეახლა და ბრძოლის უფლება სთხოვა. მან გოლიათი მოკლა და ჯილდოდ საულის ასული მიიღო. მან მეფის კეთილგანწყობა მოიპოვა და მისი სიძე გახდა.

იონათანმა, საულის უფროსმა ვაჟმა, საუკუნო მეგობრობის აღთქმა დაუდო დავითს. ღვთის ხელი იყო დავითზე ყველაფერში რასაც საული ავალებდა და წარმატებასაც მიაღწია. მეფემ მოითხოვა, რომ ჭაბუკი მის სუფრათან მჯდარიყო მისი ვაჟების გვერდით. ყველაფერი საუცხოოდ მიდიოდა და დავითს ჟრუანტელი უვლიდა მოლოდინით. ის სასახლეში ცხოვრობდა, მეფის სუფრაზე ჭამდა, მეფის ასული ჰყავდა ცოლად, იონათანის მეგობარი იყო და ყველა ლაშქრობაში წარმატება თან სდევდა. მან ხალხის კეთილგანწყობაც კი მოიპოვა. საკუთარი თვალით

ხედავდა წინასწარმეტყველების აღსრულებას. საულმა დავითი მის ყველა მსახურზე მეტად აღამაღლა და თავის საჭურველ-მტვირთველად დანიშნა. მეფე მამად გაუხდა და ისიც დარწმუნებული იყო, რომ საული იმ დღისთვის ასწავლიდა და წვრთნიდა, როცა გვირგვინს დიდი პატივით დაადგამდა. დავითი ღვთის სიკეთით და ერთგულებით ხარობდა.

მოულოდნელი ცვლილება

ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა. საული და დავითი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდნენ და გვერდიგვერდ მოდიოდნენ, როცა ისრაელიანი ქალები ცეკვა-სიმღერით გამოეგებნენ: „საულმა მოსრა თავისი ათასები, დავითმა კი ათი ათასები.“ საული განრისხდა და იმ დღიდან ჭაბუკი შეიძულა. მეფემ არაერთხელ სტყორცნა შუბი, რადგან მისი მოკვლა განიზრახა. წმიდა წერილის თანახმად, საულმა დავითი შეიზიზღა, რადგან ხვდებოდა, ღმერთი რომ იყო მასთან. ისიც უწყოდა, რომ თავად მას უფალი გაეცალა. დავითს გაქცევა მოუხდა სიცოცხლის გადასარჩენად. წასასვლელი რომ არსად ჰქონდა, უდაბურ ადგილებში მივიდა. „რა ხდება? – იძახდა დავითი – აღთქმა ასრულებას იწყებდა და ახლა ისევ ჩაიკეტა. ჩემი მენტორი და წინამძღოლი მოკვლას მიპირებს. რა უნდა გავაკეთო? საული ღვთის ცხებული მსახურია. რა შანსი მაქვს მის წინააღმდეგ? ის მეფეა, ღვთის კაცი, რომელიც ღვთის ერს მართავს. რატომ დაუშვა ეს ღმერთმა?“

ახლა საული დავითს დევნის უდაბნოდან უდაბნოში, გამოქვა-ბულიდან გამოქვაბულამდე და თან სამი ათასი რჩეული ისრა-ელიანი მეომარი ახლავს. მას მხოლოდ ერთი მიზანი, დავითის განადგურება ამოძრავებს. ამ მომენტისთვის აღთქმა მიმქრალ აჩრდილს წააგავს, რადგან დავითი დევნილია. აღარც სასახლეში ცხოვრობს და არც მეფის ნუგბარს მიირთმევს. მისი სამკვიდრო ნესტიანი გამოქვაბულებია, ხოლო საკვები – უდაბნოს მხეცების ნარჩენები. ის მეფის მხარდამხარ აღარ იბრძვის და ყოფილი თა-ნამებრძოლი ახლა მასზე ნადირობს. დავითს არც თბილი ლოგინი ეგულება, არც თანმხლები მსახურები ჰყავს და მეფის კარზე ქე-ბაც კარგა ხანია აღარ სმენია. მისი ცოლი სხვა კაცს მიათხოვეს.

როგორ შეეძლო ასეთი რამის გაკეთება კაცს, რომლის ძალაუფლების ქვეშაც ღმერთმა დააყენა? დიდად საფიქრებელია, რომ დავითს სიბრაზე, იმედგაცრუება და გულგატეხილობა ტანჯავდა. *რატომ არაფერს აკეთებს ღმერთი ამასთან დაკავშირებით? ზრუნავს კი ჩემზე? როგორ აღსრულდება მისი დანაპირები? რატომ დააყენა ესოდენ სასტიკი ადამიანი მასთან აღთქმაში მყოფი ხალხის წინამძღოლად?*

საულს ახალგაზრდა კაცის ნებისმიერ ფასად მოკვლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. მისი სიგიჟე კიდევ უფრო გამძაფრდა. ქალაქ ნობში მღვდლები ცხოვრობდნენ, რომლებმაც დავითს თავშესაფარი, საკვები და გოლიათის მახვილი მისცეს. მათ არაფერი იცოდნენ საულისგან დავითის გაქცევის შესახებ და მეფის მორიგ დავალებაზე მიმავალი ეგონათ. ისინი უფალს დაეკითხნენ მის გამო და თავის გზაზე გაუშვეს.

როცა საულმა ეს ამბავი გაიგო, გაცოფდა. მან ოთხმოცდახუთი უდანაშაულო მღვდელი დახოცა და ქალაქი ნობი მახვილს მისცა – მამაკაცების, ქალების, ბავშვების, ჩვილებისა და ცხოველების ჩათვლით. მან უდანაშაულო ხალხს ის სასჯელი არგუნა, რომელიც ყამალეკისკენ უნდა მიემართა. თითქმის შეუძლებელია გონივრულ დასკვნამდე მისვლა, თუ რატომ აირჩია ღმერთმა ასეთი წინამძღოლი. საული მკვლელი გახლდათ. როგორ დაუშვა ღმერთმა, რომ მისი სული ასეთ ადამიანზე გადმოვიდა?

ბევრი ამბობს, რომ საული ხალხის რჩეული იყო, ხოლო დავითი – ღვთისა. ასეთ მცდარ განცხადებას ის ხალხი აკეთებს, რომლისთვისაც მიუღებელია სასტიკი წინამძღოლის ღვთისგან დაყენების იდეა. მართალია, ხალხს უნდოდა მეფე, მაგრამ საულიც და დავითიც ღმერთმა აარჩია. მან თქვა: „... გავამეფე საული“ (1 სამ. 15:11).

ერთხელაც საულმა შეიტყო, რომ დავითი ყენგედის უდაბურ ადგილებში იმალებოდა და იქითკენ გაემართა სამი ათასი მეომრით. გზაზე იმ გამოქვაბულში მოისვენეს, სადაც დავითი იმალებოდა. როცა საულმა და მისმა ხალხმა სამოსი გაიხადა დასაბანად, წერილის თანახმად, დავითი მისმა კაცებმა წააქეზეს: „აი, ის დღეც, რომელზეც გითხრა უფალმა, აჰა, ხელში ჩაგიგდებო შენს მტრებს და უყავი, რაც გენებოს!“

დავითი ჩუმად მიეპარა საულს და მოსასხამის კიდე მოაჭრა. შემდეგ დავითი ძალიან ნანობდა, რომ ასე მოიქცა: „უთხრა

თავის ხალხს: „ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს! ხელს არ აღვმართავ მასზე, რადგან უფლის მიერ არის იგი ცხებული“. ამ სიტყვებით გააჩერა თავისი ხალხი დავითმა და ნება არ მისცა, რომ საულს თავს დასხმოდნენ. გამოვიდა საული გამოქვაბულიდან და წავიდა თავის გზაზე“ (1 სამ. 24:4-7). რაც შეეხება სინდისის ქენჯნას, წერილი ამბობს, რომ „წუხდა ამის შემდეგ გულში დავითი“. მისი გული მაშინაც კეთილგანწყობილი დარჩა წინამძღოლის მიმართ, რომელმაც ამდენი სიმწარე გამოატარა ცხოვრებაში. ცხადია, ის შეეწინააღმდეგა ბრაზის, შიშისა და იმედგაცრუების აზრებს და დაიმორჩილა.

ვინაიდან უკვე ხელთ ჰქონდა საულის მოსასხამის ნაწილი, მისი გამოყენება განიზრახა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. შორიდან თაყვანი სცა მეფეს და შესძახა: „შეხედე, მამაჩემო! დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს! ... ამით მიხვდი, რომ არ ვარ ბოროტი და მეამბოხე; არც ბოროტება განმიზრახავს, არაფერი შემიცოდავს შენს წინაშე; შენ კი მოსაკლავად მდევნი“ (1 სამ. 24:11).

დავითი ფიქრობდა, რომ შესაძლოა, საული მეამბოხე და ბოროტ ადამიანად თვლიდა. ალბათ, მან თავისი გული გამოიკვლია: „რა შემეშალა? როგორ გაცივდა ჩემს მიმართ საულის გული ასე სწრაფად?“ სწორედ ამიტომ შესძახა: „ზოგიერთნი მეუბნებოდნენ, მოკალიო, ... მოსასხამის კიდის მოჭრისას რომ არ მოგკალი, ამით მიხვდი, რომ არ ვარ ბოროტი და მეამბოხე“. მას არ სჯეროდა, რომ საულმა ეს თავად მოიფიქრა. ალბათ, ვიღაცამ დავითის საწინააღმდეგოდ წააქეზა, ამიტომ მეფისთვის თავისი ერთგულების დამტკიცება სურდა. თუ ამას მოახერხებდა, საულის კეთილგანწყობას დაიბრუნებდა, კეთილად მოექცეოდნენ და წინასწარმეტყველებაც აღსრულდებოდა.

მამის ან წინამძღოლის მიერ უარყოფილ ადამიანებს ყველა დანაშაულის საკუთარ თავზე აღების მიდრეკილება აქვთ. ისინი მტანჯველი ფიქრების ტყვეობაში ვარდებიან: *რა დავაშავე? ნუთუ ჩემ გულს უწმიდურება შეეპარა?* ისინი წინამძღოლებისთვის თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცების ტვირთს ეზიდებიან და ფიქრობენ, რომ ერთგულებისა და ფასეულობის დანახვების შემთხვევაში ისევ მიღებული იქნებიან. თუმცა რაც მეტია მცდელობა, მით უფრო მეტად უჩნდებათ უარყოფილობის გრძნობა.

საულმა აღიარა დავითის სიკეთე, როცა დაინახა, რომ ამ უკანასკნელმა დაინდო, ამიტომ ის და მისი კაცები იქაურობას გაეცალნენ. ალბათ, დავითი ფიქრობდა: *მეფე აღმადგენს. ახლა კი აღსრულდება წინასწარმეტყველება. ის ნამდვილად ხედავს ჩემს გულს და უკეთესად მომეპყრობა. ის კეთილი და სათნო წინამძღოლი იქნება. ოჰ, რამდენად შორს იყო ეს აზრები რეალობისგან!*

მას გადაწყვეტილი აქვს ჩემი განადგურება

ხანმოკლე დროის შემდეგ კაცებმა საულს შეატყობინეს, რომ დავითი ხაქილას გორაკებზე იმალებოდა. მეფე ისევ გაემართა იქითკენ თავისი სამი ათასი მეომრით. ისევ განიზრახა დავითის განადგურება. დარწმუნებული ვარ, რომ საულის შეუწყვეტელმა დევნამ დავითს ქანცი გამოაცალა. ის მიხვდა, რომ არავითარ შეცდომას არ ჰქონდა ადგილი – საული წინასწარი განზრახვით და ყოველგვარი პროვოკაციის გარეშე ცდილობდა მისთვის სიცოცხლის წართმევას.

საულმა იცოდა, რომ დავითი მის წინააღმდეგ არ ამბოხებულა და არც ბოროტება ედო გულში, მაგრამ მაინც გაილაშქრა მასზე. დავითმა გაიაზრა, რომ ფუჭ იმედს ეჭიდებოდა: მას საქმე ბოროტ მმართველთან ჰქონდა. როგორ შეეძლო ღმერთს თავისი ცხებულების გადმოღვრა ასეთ ადამიანზე?

დავითი ჭაბუკ აბიშაისთან, იოაბის სისხლისღვრის მოყვარულ უმცროს ძმასთან ერთად ჩუმად შეიპარა საულის ბანაკში. ღმერთმა მეომრებს ძილქუში მოჰგვარა. ამ ორმა კაცმა მთელი არმია შეუფერხებლად გაიარა და საულს მიადგა. აბიშაი დავითს ევედრებოდა: „ღმერთმა ჩაგაგდებინა დღეს ხელში შენი მტერი. ნება მომეცი და ერთი დაკვრით დავაკლავ მიწას, მეორე დარტყმა აღარ დამჭირდება“ (1 სამ. 26:8).

აბიშაის ბევრი კარგი მიზეზი ჰქონდა, რატომაც უნდა მიეცა დავითს მისთვის საულის მოკვლის ნება. პირველი და უმთავრესი, საულმა ოთხმოცდახუთი უდანაშაულო მღვდელი, მათი ცოლები და შვილები ცივი გონებით დახოცა. დღესაც ბევრი ასე აზროვნებს, განსაკუთრებით ეკლესიის წინამძღოლებთან დაკავშირებით, თუმცა მათ საულისნაირი ბოროტება არ ჩაუდენიათ.

მეორე, ღმერთმა დავითი სცხო მომდევნო მეფედ სამუელის სიტყვით. ეს ის დრო იყო, როცა დავითს თავისი უნდა დაემკვიდრებინა! ნუთუ სიკვდილი სურდა და ხელი ჩაიქნია წინასწარმეტყველების შესრულებაზე? არაერთხელ გამიგონია მსგავსი აზრები იმედგაცრუებული ეკლესიის თანამშრომლებისგან.

მესამე, განა საული არ გამოვიდა თავისი სამი ათასი მეომრით დავითის და მისი კაცების დასახოცად? ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო და ნამდვილად თავდაცვად ჩაითვლებოდა. აბიშაიმ იცოდა, რომ რჯულის ნებისმიერი სასამართლო მათ ქმედებას მხარს დაუჭერდა. დღეს ამგვარ მსჯელობას მოწინააღმდეგე არ ეყოლებოდა და ისე დავეთანხმებოდით, ხელმეორედ თქმაც არ დაგვჭირდებოდა.

მეოთხე, თავად ღმერთმა არ მოჰგვარა ღრმა ძილი მთელ არმიას, რომ დაუბრკოლებლად მისულიყვნენ საულთან და ღვთის ნებით ისრაელი ერისთვის ეს ბოროტი წინამძღოლი მოეშორებინათ? მათ შანსი მიეცათ, რომელიც შეიძლება მეორედ აღარ გამეორებულიყო. დადგა დრო, რომ წინასწარმეტყველების აღსრულებას ჩაჭიდებოდნენ! ეკლესიის საბჭოს ან შტატის რამდენ თანამშრომელს მოსდის ამგვარი აზრები მათი წინამძღოლის დაცემისას? ისინი ფიქრობენ: *ღმერთმა ისეთ ვითარებაში ჩააგდო, რომ შეგვიძლია მისი წინამძღოლობისგან გათავისუფლება.* ამგვარი მსჯელობა მათ დაუქვემდებარებელ გულს ააშკარავებს.

ყველა ეს მიზეზი საუცხოოდ ისმინება. მათში საღი აზრია და გარდა ამისა, დავითს მეორე ერთგული ძმის მხარდაჭერაც ჰქონდა. მის გულში ამბოხების ერთი მარცვალიც რომ ყოფილიყო, თანაშემწეს საულის წინააღმდეგ ხმლის აღმართვის ბრძანებას მისცემდა და ეს სრულიად გამართლებული იქნებოდა. როგორც არ უნდა იყოს, მოვუსმინოთ დავითის მსჯელობას: „ნუ მოკლავ, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელი არ დარჩება“ (1 სამ. 26:9). თანამედროვე სიტყვებით ასე გამოითქმის: „ნუ შეეხებით მას სიტყვით ან საქმით, რადგან ვინ დარჩება უდანაშაულო თავის წინამძღოლზე შეტევის შემდეგ?“

დავითი საულს არ მოკლავდა მიუხედავად იმისა, რომ მან უდანაშაულო ხალხი დახოცა და თავად მისი მოკვლაც სურდა. ის შურს არ იძიებდა, არამედ ყველაფერს ღვთის ხელს გადასცემდა. მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ამ საქმის იქვე

მოგვარება – ადვილი დავითისა და ისრაელი ერისთვის. მან იცოდა, რომ ერი უმწყემსოდ დარჩენილ ფარას ჰგავდა და ბოროტი ადამიანი ხალხზე ძალადობდა თავისი ეგოისტური მიზნების აღსასრულებლად. ძნელია უარი თქვა თავდაცვაზე, მაგრამ კიდევ უფრო რთულია, მშობლიური ერი შეშლილი მეფისგან არ დაიხსნა!

დავითმა გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა კარგად იცოდა, რომ საულს მისი მოკვლის სურვილი ასულდგმულებდა. მან ერთხელ აჩვენა გულის სიწმიდე, როცა მეფე დაინდო. ახლაც არ აპირებდა მის ვნებას. საული მისი წინამძღოლი და ღვთის ცხებული მსახური გახლდათ, ამიტომ ის ღმერთს გადასცა განსასჯელად. დავითს საკმარისი სიბრძნე ჰქონდა, რომ ასე მოქცეულიყო, თუმცა მისი გადაწყვეტილება საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდა.

თქვენ იკითხავთ: „ვინ გამოიყენა ღმერთმა საულის, მისი მსახურის დასასჯელად?“ პასუხია: ფილისტიმელები. უფალი მრავალგზის გამოიყენებს ურწმუნო ადამიანებს ან საერო ორგანიზაციებს, რომ თავისი მსჯავრი აღასრულოს ეკლესიის წინამძღოლებზე. საული ბრძოლაში დაეცა თავის ძეებთან ერთად. თუმცა დავითს არ გახარებია, როცა ეს ამბავი მიუტანეს. ის გლოვობდა!

ფაქტობრივად, დავითმა დასაჯა ადამიანი, რომელმაც ახარა, საული მოვკალიო, თუმცა სინამდვილეში მას ეს არ ჩაუდენია. ამ კაცს იმედი ჰქონდა, რომ დავითის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა, მაგრამ საპირისპირო შედეგი მიიღო. დავითმა ასე უთხრა: „როგორ არ შეგეშინდა და ხელი როგორ აღმართე უფლის ცხებულის მოსაკლავად?“ სასჯელის აღსრულების შემდეგ დავითმა ასე უთხრა მკვდარს: „შენს თავზე იყოს შენივე სისხლი, რადგან შენმავე ბაგემ გამხილა, როცა თქვი, მე მოვკალიო უფლის ცხებული“ (2 სამ. 1:16).

შემდეგ დავითმა საგალობელი დაწერა იუდას ხალხისთვის, რომ ამით პატივი მიეგოთ საულისა და მისი ძეებისთვის. მან ისრაელიანებს დაავალა, რომ ეს ამბავი არ გაეცხადებინათ ფილისტიმელთა ქალაქებში მტრის გასახარებლად; საულის დაცემის ადგილზე წვიმის და ცვარის ჩამოსვლა აკრძალა; მთელ ისრაელს მოუწოდა, რომ საული ეგლოვათ. ეს არ ჰგავს იმ ადამიანის საქციელს, რომელსაც გულში შურისგება უდევს და

თავის წინამძღოლს მეტად აღარ მიაგებს პატივს. არა, ასეთი ადამიანი იტყოდა, რომ „მან მიიღო ის, რაც დაიმსახურა!“

უფრო მეტიც, დავითმა არ დახოცა საულის სახლის გადარჩენილი წევრები. პირიქით, მათ მიმართ სიკეთე გამოიჩინა, მიწა და საკვები უბოძა და სამეფო სუფრაზე დასხა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანს თავისი წინამძღოლის დასჯა გაუხარდა? მეამბოხე გულის მქონე ხალხი ხარობს სულიერი ლიდერის დაცემისას. ისინი ფიქრობენ: საზღაური მიიღო. ისინი, როგორც წესი, ჭორით ან შეურაცხმყოფელი შენიშვნებით ეხმარებიან, რომ სასჯელი მალე მოეწიოს. მათ არ აქვთ დავითის მსგავსი გული. მათ არ აქვთ ღვთისნიერი გული.

საკურთხეგლად დაყენებული!

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღმერთი ძალაუფლების მხრიდან უსამართლო მოპყრობას ჩვენი საბოლოო სიკეთისთვის უშვებს. იგი ამას კურთხევისთვის იყენებს. პეტრე შეგონებას აგრძელებს: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც ლანძღვას ლანძღვის წილ; პირიქით, *აკურთხეთ, რადგანამისთვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ*“ (1 პეტრ. 3:9).

კურთხევა ყოველთვის არ შედგება ბუნებრივი საგნებისგან, თუმცა ხშირად შეიძლება ასეც იყოს. ის უფრო მნიშვნელოვან სფეროებზე ვრცელდება, როგორიცაა ქრისტესმიერი ბუნება, ცათა სამეფოს წინსვლა, ძალაუფლებაში ზრდა ან საუკუნო ჯილდო. როცა ღვთიურ ძალაუფლებას ვემორჩილებით, ჩვენს სულიერ კეთილდღეობას არაფერი ემუქრება. პეტრემ ეს ნათლად გააცხადა კითხვით: „ბოროტს ვინ გაგიკეთებთ, თუ კეთილის მოშურნე იქნებით?“ (1 პეტრ. 3:13). ამ განცხადების კონტექსტი იესოს მაგალითის მიყოლას გულისხმობს.

რაც შეეხება ქრისტეს ბუნებას, პეტრე გვარიგებს: „რადგან ერთხელ ქრისტეც მოკვდა ჩვენი ცოდვების გამო, მართალი - უმართლოთა გამო, ... ვინაიდან ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა, თქვენც განიმსჭვალეთ იმავე აზრით, რადგან, ვინც ხორციელად იტანჯება, წყვეტს ცოდვის ჩადენას“ (1 პეტრ. 3:18; 4:1).

პეტრე მიგვითითებს, რომ ქრისტესმიერი ტანჯვების ასატანად აღვიჭურვოთ, რაც მისი წერილის კონტექსტის თანახმად, ძალაუფლებისგან უსამართლო მოპყრობას გულისხმობს. გი-

ნახავთ მეომრები, რომლებიც ბრძოლის ველზე უიარაღოდ მიდიან? არც თოფები, არც ტყვიები, არც დანები – არაფერი! რა შეუსაბამოა! და მაინც, ბევრი მორწმუნე არ არის აღჭურვილი უსამართლო მოპყრობის ასატანად. შეურაცხყოფილები ელდანაცემი და განცვიფრებული რჩებიან. მათი რეაქცია გონებრივ მსჯელობას ეფუძნება და არა ღვთის სიტყვაში გადმოცემული პრინციპით მოქმედებას ძალაუფლების მიმართ.

ნება მომეცით, აღჭურვილი ადამიანის მაგალითი მოვიყვანო. ავიახაზების პილოტობისთვის მზადების არსებითი ნაწილი ფრენის სიმულაცია გახლავთ. საფრენ მოდელში ვარჯიშისას პილოტებს ყველა საავარიო ვითარებასთან შეხება უწევთ. სიმულაციის უსაფრთხოების პირობებში მათი საპასუხო უნარჩვევები იხვეწება, სანამ წარმატებით თავის გართმევას ისწავლიან. ამგვარი მზადება მათ საავარიო სიტუაციებისთვის აღჭურვავს. რეალური ფრენის დროს პილოტები პანიკაში არ ვარდებიან. მათ სწორი რეაქცია აქვთ ფართომასშტაბიანი პროფესიული მომზადების წყალობით და ხელმძღვანელობით. შესაძლოა, მგზავრები აფორიაქდნენ, ელდასა და ისტერიას მიეცნენ, მაგრამ პილოტები მშვიდად არიან და მართვის სადავეები უპყრიათ. ავიაკატასტროფების შემდგომი შავი ყუთების ჩანაწერების კვლევა მათ საოცარ სიმშვიდეს ცხადყოფს. როგორც წესი, პილოტების ხმაში პანიკა არ იგრძნობა თვით დარტყმის მომენტის წინაც კი. ისინი აღჭურვილები არიან!

ეს წიგნი ფრენისთვის წვრთნის სახელმძღვანელოდ გამოდგება. მისი სათქმელის ფარგლებში ღვთის სიტყვა იმ მრუდებისთვის გამზადებთ, რომლებსაც ცხოვრება მოგიტანთ ძალაუფლებასთან დაკავშირებით. თუ სწორად უპასუხებთ, კურთხევა მოვა. პეტრე გვეუბნება, რომ ქრისტეს ტანჯვის კვალზე მოსიარულეებმა შეცოდება შეწყვიტეს. რა საოცარი განაცხადია! სხვა სიტყვებით, ვინც ძალაუფლების მხრიდან უმართლო მოპყრობას სწორად ეხმაურება, სულიერ მოწიფულობამდე მიდის.

უფრო დიდებული აღთქმაც არსებობს. პავლე ამტკიცებს:

> „სარწმუნოა სიტყვა - თუ მასთან ერთად დავიხოცეთ, მასთან ერთად ვიცოცხლებთ კიდეც! თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ კიდეც!“ (2 ტიმ. 2:11-12)

სულიერი ძალაუფლება მას ერგება, ვინც ქრისტესავით იტანჯა. რაც უფრო მეტ სიძნელეს გადიხართ, მით მეტ ძალაუფლებას განდობთ ღმერთი. კიდევ ვიმეორებ, რომ ღმერთი კურთხევისთვის გამზადებთ, როცა უგუნურ მმართველთან შეხვედრა გიწევთ. როგორ უპასუხებთ ვითარებას? სწორად – კურთხევის მისაღებად თუ განაწყენებით და სიმწარით? არჩევანი თქვენზეა. აირჩიეთ გამარჯვებულის გზა, რომელიც სიცოცხლეა!

თავი 14

საკუთარი თავისთვის მოტანილი სასჯელი

ძალაუფლების პატივისმცემელნი დიდ ძალაუფლებას ფლობენ და პატივი თან დაჰყვება მათ.

ყველა დავითივით არ პასუხობს წინამძღოლებს. უფრო ხშირად მათში ნაკლოვანებების დანახვა გვსიამოვნებს და მაშინ ჩვენი თავშეუკავებლობა გამართლებული გვეჩვენება. სხვების, განსაკუთრებით კი, წინამძღოლების ცოდვებზე ჩვენი გამოხმაურება სულიერი მოწიფულობის უდიდესი მაჩვენებელია. ამასთან ერთად, ღმერთი ძალაუფლებაში მყოფთა ნაკლსა და შეცდომებს ჩვენი გულის ნამდვილი მდგომარეობის გამოსააშკარავებლად იყენებს. ამას ნოეს ერთ-ერთი ვაჟის შემთხვევაში ვხედავთ.

სწორია, მაგრამ არასწორია

წარღვნის შემდეგ ნოე მიწის დამუშავებას შეუდგა და ვენახი გააშენა. ერთ დღესაც დალევა მეტისმეტი მოუვიდა და კარავში მოსასვენებლად შევიდა. სიმთვრალემ თავისი ქნა და სამოსელშემოძარცვული ნოე შიშველი მიეგდო დასაძინებლად.

უმცროსი ვაჟი, ქამი, კარავში შევიდა და მამა რომ დაინახა, ორ უფროს ძმას, სემსა და იაფეტს უხმო. მან მხოლოდ „ოჯახის წევრებს“ გაუმხილა ნოეს სიშიშვლე. ალბათ, ასეთი იყო მისი სიტყვები: „ბიჭებო, მამა გამომთვრალა და გაშიშვლებულა!“ ან იქნებ უარესიც მოხდა და ძმები თავიანთი სულიერი წინამძღოლის სიშიშვლის სანახავად მიიწვია.

როცა სემმა და იაფეტმა ეს ამბავი გაიგეს, სამოსელი აიღეს, მხრებზე მოიგდეს და კარავში უკუსვლით შევიდნენ, რომ მამის სიშიშვლე არ დაენახათ. როცა ნოე გამოფხიზლდა, ქამის საქციელზე შეიტყო. მოისმინეთ მისი ნათქვამი:

„თქვა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მსახურთა მსახური იყოს!“. და თქვა: „კურთხეულია უფალი, სემის ღმერთი; მის მსახურად იყოს ქანაანი. განავრცოს ღმერთმა იაფეთი და სემის კარვებში დაემკვიდროს. მის მსახურად იყოს ქანაანი“. (დაბ. 9:25-27)

წიგნის დასაწყისში ღვთის ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობის შედეგები განვიხილეთ. საკუთარი ნებით ამბოხებულები წყევლის ქვეშ ექცევიან. ქამმა ეს ჭეშმარიტება ძნელი გზით ისწავლა. მან უპატიოჰყო და ღვთის მიერ ნოესთვის გადაცემული ძალაუფლებისადმი აგდებული მოპყრობა გამოამჟღავნა. ამან ქამის შთამომავლობას წყევლა მოუტანა. საინტერესოა, რომ ქამს დანაშაულმა სასტიკი შედეგი არგუნა, ხოლო ნოეს სიმთვრალის უარყოფით შედეგებზე არაფერია ნათქვამი.

ნოეს ზნეობრივი მარცხი მისი სამი შვილის გამოცდას მოემსახურა და თითოეული მათგანის გულისნადები გამოავლინა. ერთი მეამბოხე და უგუნური იყო, ხოლო დანარჩენი ორი – პატივისმცემელი და მოწყალე. ნოემ საუკეთესო მაგალითი არ აჩვენა თავისი სიმთვრალით, მაგრამ ღმერთმა მისი საქციელი ძალაუფლების ქვეშ მყოფთა გამოსაცდელად გამოიყენა. ორმა ძემ ეს გაიაზრა და მას პატივი მიაგო. ერთმა თავის ხელში აიღო მოვლენების განვითარება და მამა შეარცხვინა მისი შეეურაცხყოფით. ამით თავად დაიტეხა წყევლა, რომელიც მისი აზრით, მამისთვის იყო განსაზღვრული.

სემმა და იაფეტმა არათუ არ შეხედეს მამის მარცხს, არამედ სხვებსაც (ცოლებსა და შვილებს) არ მისცეს მისი მდგომარეობის დანახვის საშუალება და დაფარეს ის. მათ მამის პოზიციისადმი მოკრძალება შეინარჩუნეს და ამით ისიც დაიცვეს და თავინთი გულიც. ქამმა მამა საცინლად აიგდო და შეარცხვინა. ამით მისი მმართველობის უფლებამოსილების შერყევა სცადა. ამის შემდეგ უმცროსი ვაჟი საკუთარი დაუმორჩილებლობის გამართლების უფლებას მოიპოვებდა ნებისმიერ დროს, როცა თავად

მოისურვებდა. იგივე ხდება ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, ვის გულშიც დაქვემდებარების პროტესტი არსებობს. ძალაუფლების დისკრედიტაცია ასეთებს დამორჩილების საჭიროებისგან ათავისუფლებს. მათ არ სურთ გულში ამ შემკავებელი გრძნობის არსებობა და თავიდან იშორებენ.

„ღვთიური დიდების დარბაზში“ (ებრ. 11) ღმერთი ნოეს რწმენით და მორჩილებით იკვეხნის, მაგრამ ჩამონათვალში ქამი არსად ჩანს. ქამი არასწორი იყო? ნუთუ ნოე არ დამთვრალა ან არ გაშიშვლებულა? დიახ, *ქამი 100 პროცენტით მართალი იყო დანახულში, მაგრამ ცდებოდა პრინციპის გაუთვალისწინებლობაში.* გონებრივი მსჯელობით მისი ქმედება გამართლებულია – მან ის თქვა, რაც დაინახა. მხოლოდ ქამი იყო „მართალი“. თუმცა მორჩილებისა და მოწიწების პრინციპი საპირისპიროზე მეტყველებს. სემმა და იაფეტმა მამას პატივი მიაგეს და იკურთხნენ.

ბევრი ადამიანი ქამისნაირად ზუსტად გადმოსცემს წინამძღოლის შესახებ, მაგრამ მაინც არასწორს სჩადის ღვთიური სტანდარტების თანახმად. მათ უპატიოჰყვეს სხვა და დაკარგეს კურთხევა. ისინი საკუთარი გაგების და ნაფიქრის სიბრიყვეში ცხოვრობენ. მათ აკლიათ დავითის, სემისა და იაფეტის მსგავსი გული. როცა საულის დაცემა დასრულდა, დავითი ნაღვლობდა და ასე აცხადებდა:

> „ნუ იტყვით ამ ამბავს გათში, ნუ გამოაცხადებთ აშკელონის ქუჩებში, რომ არ გაიხარონ ფილისტიმელთა ასულებმა, არ იზეიმონ წინდაუცვეთელთა ასულებმა ... საული და იონათანი! სიცოცხლეშიც საამონი და საყვარელნი, სიკვდილშიაც განუყრელნი არიან! არწივზე სწრაფნი და ლომზე ძლიერნი! *ისრაელის ასულნო! დაიტირეთ საული,* თქვენი შემმოსველი ძოწეულით და ძვირფასეულით, ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ სამოსელს“. (2 სამ. 1:20, 23-24)

დავითმა დიდი განსაცდელი გამოიარა ორმოცი წლის მანძილზე, სანამ წინამძღოლის ხელით იდევნებოდა. ბუნებრივი გაგება და ხორციელი აზროვნება სიხარულისა და გამარჯვების ზეიმისკენ უბიძგებდა. დავითმა დაამტკიცა, რომ ძალაუფლების

პრინციპებით ცხოვრობდა და მაგალითს აჩვენებდა მის დაქვემდებარებაში მყოფებს. შედეგად, იგი სამეფოს დიდი წინამძღოლი გახდა. ვინც ძალაუფლებას პატივს მიაგებს, თავად მოიპოვებს დიდი ძალაუფლებას და ასეთს პატივი თან სდევს. ასეთები ღვთის კურთხევას იზიდავენ. ვინც ძალაუფლებას ლანძღავს ან დიდად არ აფასებს, ამ უპატივცემულობის მოსავალს მოიმკის და სასჯელი თან გამოყვება.

თავზე მსჯავრის დატეხა

მოდით, კიდევ ერთხელ განვიხილოთ გადაცემული ძალაუფლების საფუძველჩამყრელი ჭეშმარიტება:

> „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას; ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ღვთის დადგენილებას ეწინააღმდეგება, *ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“.* (რომ. 13:1-2)

სასჯელი იმაზე მოდის, ვინც ძალაუფლებას ეწინააღმდეგება. შეეხე ძალაუფლებას და ამით ღმერთს შეხები. ორ საერთაშორისო მასშტაბის ეკლესიაში ვმსახურობდი, სანამ საკუთარ საქმეს წამოვიწყებდი. გამუდმებით ვხედავდი ძალაუფლების წინააღმდეგობისთვის ადამიანთა თავს დატეხილ სასჯელებს. სხვადასხვა ფორმით მოდიოდა, მაგრამ არასოდეს ცდებოდა. განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა ცხადი, როცა თანამშრომელს ათავისუფლებდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად უგუნური იყო წინამძღოლი ან რა გარემოებები დატრიალდებოდა, თუ ისინი წინამძღოლს აკრიტიკებდნენ ან შეურაცხყოფდნენ, თუ სიმწარეს სვამდნენ, ბოლოს დიდი სიძნელეები ელოდებოდათ. ზოგიერთისთვის ეს იყო ფინანსები, სხვებისთვის – სამუშაო, ჯანმრთელობის პრობლემები, შვილებთან ურთიერთობის სიძნელეები, ოჯახური პრობლემები. სია გრძელია, მაგრამ უჩვეულო განსაცდელების ძაფი ყველა იმ პიროვნების ცხოვრებას გასდევდა, ვინც სულიერ ზედამხედველებს პატივს არ მიაგებდა.

ისეთებიც მინახავს, სამსახურიდან რომ გაათავისუფლეს, მაგრამ ფაქიზი სული შეინარჩუნეს. ისინი თავიანთ ყოფილ უფროსებზე უარყოფითად არ ლაპარაკობდნენ და არც სხვების ლაპარაკს უსმენდნენ. პირიქით, აკურთხებდნენ და პატივს მიაგებდნენ, რა საკითხიც არ უნდა წამოჭრილიყო. მათ იცოდნენ, რომ ღმერთი იყო წყარო და მისგან ელოდნენ უზრუნველყოფასა და მზრუნველობას, ამიტომ წინამძღოლების წინსვლისთვის იღწვოდნენ. მინახავს, როგორ მიიღეს მათ გაცილებით უკეთესი პოზიციები, ვიდრე ჩვენთან ჰქონდათ. ზოგიერთთან ჩემი გზები წლების შემდეგ გადაიკვეთა და ვნახე, რომ ისევ კურთხეულები იყვნენ ცხოვრებაში.

როგორ უნდა შეინარჩუნოთ სულის სიფაქიზე? იესომ საიდუმლო გაგვიმხილა: „მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით“ (მათ. 5:44). ის გვეუბნება, რომ უნდა ვილოცოთ მათთვის, ვინც სულიერი თვალსაზრისით გვიყენებს ან ბოროტად გვექცევა. როცა ასე ვიქცევით, ჩვენი გულები იკურნება და კრიტიკის ან ტანჯვისგან თავისუფლდება.

ნიჭიერება ძალაუფლების წინააღმდეგ

წმიდა წერილის მეშვეობით ვისწავლე და ცხოვრებისეული გამოცდილებით ვიხილე, რომ ძალაუფლების წინააღმდეგ მოლაპარაკენი თავზე მსჯავრს იტეხენ. გაიხსენეთ მირიამი და აჰარონი: „და ელაპარაკნენ მირიამი და აჰარონი მოსეს წინააღმდეგ ქუშელი ქალის გამო, რომელიც ცოლად მოიყვანა“ (რიცხვ. 12:1).

პირველი, მოდით, განვიხილოთ, ვინ იყვნენ მირიამი და აჰარონი! მირიამი მოსეს და გახლდათ. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ის უფროსი და იყო. ღმერთი მას წინასწარმეტყველს უწოდებს (გამ. 15:20). აჰარონი, მოსეს უფროსი ძმა, მღვდელმთავარი იყო. ამრიგად, ჩვენ ვლაპარაკობთ წინამძღოლობის მნიშვნელოვანი პოზიციის მქონე ორ ცნობილ ადამიანზე. ისინი მოსეს აკრიტიკებდნენ ქუშელ ქალზე დაქორწინების გამო. ქუშელი გახლავთ ქუშის უძველესი მიწის მკვიდრი, რომელსაც მკვლევარების უმეტესობა ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყანასთან, ეთიოპიასთან აიგივებს. ის ქალი არ იყო აბრაჰამის შთამომავალი და მის აღთქმასთან კავშირი არ ჰქონდა.

მირიამი და აჰარონი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოსემ შესცოდა ან სულ მცირე, არასახარბიელო გადაწყვეტილება მიიღო აფრიკელ ასულზე ქორწინებასთან დაკავშირებით. ის ხომ წინამძღოლი იყო! სწორი იყო მათი მოსაზრება? ასე ჩანს, თუ რჯულს მივმართავთ. ღმერთმა გააცხადა თავისი სურვილი, რომ ისრაელიანები ერთმანეთზე უნდა დაქორწინებულიყვნენ. მან მისი ერი გააფრთხილა, რომ უცხოელი ცოლები მათ გულებს უცხო ღმერთებისკენ მიდრეკდნენ. ეს მცნება მეორე რჯულის წიგნშია მოცემული. უცხოელ ცოლზე დაქორწინება დაბრკოლებას წარმოადგენდა. ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ მოსეს გავლენა მეტისმეტად დიდი იყო, რომ თავისთვის ამის უფლება მიეცა. (შენიშვნა: ჩვენი ერთადერთი მითითება არის, რომ არ შევებათ უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად. საქმე ეხება არა ფიზიკურ სისხლის აღრევას, არამედ სულიერს. იხილეთ გალ. 3:28. ახალი აღთქმის თანახმად, ორი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანის დაქორწინება სავსებით შესაძლებელია).

ამრიგად, მირიამი და აჰარონი სწორად აფასებდნენ და მაინც ქამივით არასწორად მოქმედებდნენ! მოსე მათი წინამძღოლი იყო. მისი კრიტიკულად განსჯა მიუღებელი გახლდათ. როგორც უფროს და-ძმას, შეეძლო მასთან განეხილა ოჯახური საკითხები, მაგრამ ერთმანეთს შორის ჭორაობა ან მრევლის თვალწინ ამ საკითხზე საუბარი ნამდვილად ცოდვა იყო.

რამ უბიძგა მათ, რომ წინამძღოლზე ლაპარაკი დაეწყოთ? პასუხი მომდევნო მუხლშია: „თქვეს: „ნუთუ მხოლოდ მოსეს ელაპარაკებოდა უფალი? განა ჩვენც არ გველაპარაკებოდა?“ და გაიგონა ეს უფალმა“ (რიცხვ. 12:2).

ღმერთმა მათი მეშვეობით ილაპარაკა? ნამდვილად! უფალმა აჰარონი მოსეს ორატორად დააყენა. ის ფარაონს გადასცემდა სათქმელს. მირიამს ეკუთვნის ის წინასწარმეტყველური საგალობელი, რომელიც წმიდა წერილში გვაქვს. მათ მართლაც ჰქონდათ სულიერი უნარები. თუმცა მათი შეცდომა იყო სულიერი ნიჭისა და უნარის ძალაუფლებაზე გადამეტება. აჰარონმა და მირიამმა იფიქრეს, რომ მოსემ შესცოდა, მათ კი – არა. თან სამივენი ღვთისგან საფუძვლიანად იყვნენ გამოყენებული. ამიტომ ჩათვალეს, რომ მოსეს აღარ ჰქონდა მათზე ძალაუფლება. სულიერმა ნიჭებმა ამ ადამიანებს მათ ზემდგომ ძალაუფლებაზე თავის გადამეტებისკენ უბიძგეს.

რაც შეეხება, ახალაღთქმისეულ გამოყენებას, პავლემ თქვა: „სხვადასხვანაირია ნიჭი, მაგრამ სული იგივეა“ (1 კორ. 12:4). ეს და სხვა ადგილები ცხადყოფენ, რომ ნიჭების განმკარგველი სულიწმიდაა. ზოგიერთი ნიჭი გაძღოლას ითვალისწინებს, სხვები – სწავლებას, დანარჩენები – გაღებას, წინასწარმეტყველებას, განკურნებას, სულების გარჩევას და სასწაულმოქმედებას (1 კორ. 12:7-10; რომ. 12:6-8).

პავლე განაგრძობს: „სხვადასხვანაირია ნიჭი, მაგრამ სული იგივეა. მსახურებანიც სხვადასხვანაირია, უფალი კი იგივეა“ (1კორ. 12:4-5). „მსახურების“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ დიაკონია. Thayer's ბერძნული ლექსიკონის თანახმად, ის გამოიყენება „მოციქულისა და მისი მმართველობის, ასევე წინასწარმეტყველების, მახარებლების, უხუცესებისა და სხვათა პოზიციების“ აღსანიშნავად. მარტივად რომ ვთქვათ, ეს სიტყვა ეკლესიის სულიერი წინამძღოლობის ხუთ პოზიციაზე მიუთითებს. წერილიდან ვხედავთ, რომ მათი განმკარგველი უფალი იესო ქრისტეა. ამას კიდევ ერთო მონაკვეთი მოწმობს. პავლემ დაწერა, რომ იესომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ: „მოგვცა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი კი მწყემსებად და მასწავლებლებად, რათა აღჭურვონ წმიდანები მსახურების საქმისთვის, ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად“ (ეფეს. 4:11-12).

ცათა სამეფოს ძალაუფლება პოზიციების მეშვეობით მოდის და არა ნიჭების გავლით, რადგან აღდგომის შემდეგ იესოს მიეცა ყოველგვარი ძალაუფლება ზეციერი მამის მიერ (მათ. 28:18). თავის მხრივ, იესომ დააყენა ხუთი მთავარი მსახურება, როგორც ეფესელთა მიმართ წერილიდან ჩანს. ამრიგად, მისი ძალაუფლება დაყენებული პოზიციების საშუალებით მომდინარეობს. კარგად უნდა გავითვალისწინოთ ფაქტი, რომ რიგითი მორწმუნე შეიძლება მწყემსზე ნიჭიერი იყოს, მაგრამ ძალაუფლების პოზიციაზე დაყენებული მწყემსი ნიჭიერ ადამიანზე მაღლა დგას.

არაერთი მაგალითის მოყვანა შემიძლია ტრაგიკულ შედეგებზე, რომლებიც სულიერი ნიჭის მქონე ადამიანის საკუთარ თვალში ამაღლებას მოჰყვება. ერთ-ერთი მათგანი იყო ეკლესიის დამხმარე პასტორი, რომელსაც ქადაგებისა და სწავლების ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა. მის გაკვეთილებზე ხალხის

ტევა აღარ იყო, მხოლოდ ფეხზე დგომას თუ შეძლებდით. მართლაც საოცრად გამოკვეთილი იყო ღვთის ნიჭი მის ცხოვრებაში. კვირაში ერთხელ ლოცვას უძღვებოდა და აქაც ადგილი ხალხით იყო გადაჭედილი.

რაც უფრო პოპულარული ხდებოდა, მით მეტი თავშეუკავებლობით აკრიტიკებდა ეკლესიის დადგენილებებს და თავად უფროს პასტორს. მან თქვა, რომ პასტორის პოლიტიკა ხელს უშლიდა სულიწმიდის მოძრაობას და თავის მოსაზრებას ირგვლივ მყოფებს უზიარებდა. მისი კრიტიკული დამოკიდებულება მეორე დამხმარე პასტორსაც გადაედო. გარკვეული დროის შემდეგ დანიშნულ საღამოს ლოცვის მსახურების ერთობლივად გაძღოლა დაიწყეს. ერთხელაც უფროსი პასტორი ჩუმად შევიდა ლოცვაზე უკანა კარიდან და დაინახა, რომ ორი დამხმარე პასტორი სწორედ ისე წარმართავდა მსახურებას, როგორც დაარიგა, რომ არ გაეკეთებინათ. ეკლესიის, ქალაქისა და დაღუპულთათვის ლოცვის ნაცვლად ისინი ხალხს ლოცვის სხვადასხვა ფორმებს ასწავლიდნენ და საყვედურობდნენ, თუ რაიმე შეეშლებოდათ. ხალხი დაბნეული იყო.

ეს ადამიანები უნარიანი მსახურები იყვნენ, თუმცა ეკლესიურ ძალაუფლებას არ ემორჩილებოდნენ. მათი უპატივცემულობის სერიოზულობას ის ფაქტი ფარავდა, რომ უფალი მათ ქადაგებისა და ხალხის მომსახურებისთვის იყენებდა.

მორჩილების სწავლა სასჯელის მეშვეობით

„ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო მოსე დედამიწის ზურგზე. უთხრა უფალმა მოსეს, აჰაონსა და მირიამს მოულოდნელად: გამოდით სამივე საკრებულო კარავთან. და გავიდნენ სამივენი“. (რიცხვ. 12:3-4)

ამ მონაკვეთის მეშვეობით თვალს გადავავლებთ, ხასიათის რა თვისებას მოითხოვს ღმერთი მისთვის სასურველი წინამძღოლისგან. მოსე ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო დედამიწის ზურგზე. თუმცა აქ არც აჰარონის და არც მირიამის აღწერილობა არ ჩანს. მათი აზრები უფრო ამ გამოთქმას ჰგავს: *აგურის ნატეხი იძახდა: ლალთან დამდეთ, მეც წითელი ვარო.*

უფალმა სამივე საკრებულო კარავთან გამოიძახა. ეს

მოულოდნელად მოხდა. სასჯელი ხშირად გაუფრთხილებლად მოდის. როცა ისინი კარვისკენ მიემართებოდნენ, სავსებით შესაძლებელია, რომ მირიამი აჰარონს ასე ეუბნებოდა: „მზად იყავი! მოსემ მოიტანა ეს აფეთქება უცხოელ ქალზე დაქორწინებით. ახლა უფალი შენ დაგაყენებს წინამძღოლად, იმიტომ რომ ყოველთვის სწორად იქცეოდი“. ამგვარ აზროვნებას იქ შეხვდებით, სადაც ადამიანი ცდუნებას კარს უღებს ძალაუფლებასთან დაპირისპირებით.

რასაკვირველია, სინამდვილეში მოვლენები სრულიად სხვაგვარად განვითარდა. ღმერთმა მირიამი და აჰარონი წინ გამოიყვანა. უფალმა მათ შეახსენა, რომ მოსეს მთელი თავისი სახლი მიანდო და მასთან პირისპირ ლაპარაკობდა ყოველგვარი ქარაგმების გარეშე. შემდეგ ასეთი კითხვა დასვა: „როგორ არ შეგეშინდათ მოსეს – ჩემი მსახურის წინააღმდეგ რომ ლაპარაკობთ?“ (მ. 8). როცა ძალაუფლებას ვაკრიტიკებთ, უფლის შიშის ნაკლებობას ვამჟღავნებთ. მოისმინეთ, რა მოხდა: „აღინთო უფლის რისხვა მათზე და განშორდა უფალი. აშორდა ღრუბელი კარავს და აჰა, თოვლივით დაფარა კეთრმა მირიამი. შეხედა აჰარონმა მირიამს და, აჰა, კეთროვანია იგი“ (რიცხვ. 12:9-10).

ძალაუფლების წინააღმდეგ გამოსვლით სასჯელს ვიტეხთ თავზე. ეს მოიცავს ღვთის თანდასწრების დაკარგვას და კიდევ რაღაც ფორმის განსაცდელს. ზემოხსენებული ორი პასტორის ამბავს თუ დავუბრუნდებით, გეტყვით, რომ არცთუ დიდი ხნის შემდეგ ეკლესია მიატოვეს. ერთი გაუშვეს, ხოლო მეორემ თავად დაწერა წასვლის განცხადება, სანამ გაუშვებდნენ. ერთმა ახალი ეკლესიის დაფუძნება სცადა ქუჩის ბოლოს და მცირე მრევლი შეიძინა. მისი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, წევრების რაოდენობა ას ადამიანს არ აცილებია. დამხმარე პასტორის პოზიციაზე მის დაქვემდებარებაში ექვსას ადამიანზე მეტი იყო. ეკლესიიდან წასვლის შემდეგ მოკლე ხანში ოჯახური ტრაგედიაც შეემთხვა.

მეორე დამხმარე პასტორი ქალაქიდან წავიდა და მოკლე დროის მანძილზე გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია მსახურებაში. მისი ეკლესია რამდენიმე ასეულ ადამიანამდე გაიზარდა, მაგრამ თითქმის ყველასგან იზოლირებული დარჩა და ნაკლებად ენდობოდნენ. ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე ეკლესია მრავალჯერ დაიყო და მისი ხელმძღვანელობის სტილმა ბევრი

არეულობა მოიტანა იმ საზოგადოებაში. ბოლოს ის ქალაქი დატოვა. წლების წინ ეს ადამიანი ჩვენი დიდი ეკლესიის ყველაზე შთამაგონებელი და სანატრელი სიტყვის გადამცემი იყო. ბევრს სჯეროდა, რომ ის მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მთელ ერზე. ტრაგიკულია, რომ სიჯიუტემ სულ სხვა მიმართულება ააღებინა ცხოვრებაში.

როგორც კი სასჯელი მოვიდა, აჰარონმა მეყსეულად მოინანია თავისთვის და მირიამისთვის. ღმერთმა მიუტევა მათ, მაგრამ მისი ბრძანებისამებრ, მირიამს მაინც მოუხდა შვიდი დღე ბანაკის გარეთ ყოფნა. ბევრს აინტერესებს, რატომ დაემართა კეთრი მხოლოდ ქალს, ხოლო აჰარონი გადარჩა. ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მირიამი უფრო მეტად შემტევი იყო სიტყვიერ დაპირისპირებაში. როგორც არ უნდა იყოს, ეს შემთხვევა გვაჩვენებს, რაოდენ სერიოზულად ეკიდება ღმერთი განხილულ საკითხს.

სულიერი ძალაუფლების მიმართ წინააღმდეგობა, უმეტესად, სწავლისა და ზრდის შესაძლებლობად იქცევა. თუ ასეთ სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანები ინანიებენ, ხშირად ეკლესიის ყველაზე ერთგულ წევრებად იქცევიან. წინააღმდეგობა ყოველთვის ბოროტი გულიდან არ მომდინარეობს; ხშირად ამის ბრალი უმეცრებაა. როცა გაცნობიერება მოდის, მონანიებაც მყისვე მოჰყვება. ზოგჯერ ამას გარკვეული დრო სჭირდება, რადგან ზოგიერთ ადამიანს იმ ტკივილის ატანის მეტი უნარი აქვს, რაც წვეტის წინააღმდეგ ცემით ადგებათ.

ცხადია, მირიამს არასოდეს დაავიწყდებოდა თავისი დამდაბლების ამბავი. მას მსგავსი რამ არასოდეს ჩაუდენია, რადგან მისი გულიდან დაუმორჩილებლობა აღმოიფხვრა. თუმცა ყველა მირიამისა და აჰარონის მსგავსად არ ტრიალდება ღვთისკენ და საკუთარი შეცდომიდან ვერ სწავლობს. იმ თემიდან სხვებიც აღდგნენ ღვთის მიერ დადგენილი ძალაუფლების წინააღმდეგ. მათ არ მოუნანიებიათ და საუკუნო სასჯელი მიიღეს.

რატომ აღზევდით თქვენ?

„თემიდან სამმა კაცმა – ლევიანმა კორახმა და რეუბენიანებმა – დათანმა და აბირამმა – მოსესა და აჰარონის წინააღმდეგ 250 ისრაელიანი მთავარი და გამორჩეული კაცი გამოიყვანა. მათ

თქვეს: „მეტისმეტს იღებთ თქვენს თავზე! რადგან წმიდაა მთელი თემი და უფალი მკვიდრობს მასში! რატომ აღზევდით თქვენ უფლის კრებულზე?“ (რიცხვ. 16:3)

მარტივად რომ ვთქვათ, მოსესა და აჰარონის დაქვემდებარებაში მყოფმა წინამძღოლებმა თქვეს: „ჰეი, ბიჭებო, რატომ მოინდომეთ მეტისმეტი? ჩვენც ღვთის ხალხი ვართ და ისედაც დავემორჩილებით მას თქვენი მითითებების გარეშე.“ ეს სიტყვები ადრეც მოგისმენიათ! თუ ზუსტად ესენი არა, იგივე სულისკვეთებით ნათქვამი სხვა სიტყვები, რომლებიც ხშირად საქმით ან უფრო დახვეწილი აზრით გამოიხატება. ალბათ, გაგიგონიათ: „ყველანი თანასწორები ვართ“ ან „ყველანი ძმები და დები ვართ“ ან „ყველას გვაქვს სულიწმიდა; რატომ უნდა დავემორჩილოთ მათ მმართველობას?“ ეს ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ უფლისგან ისმენენ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა.

ვხვდები, რომ ეკლესიის წიაღში დამოწაფებად წოდებული მოძრაობა ხელიდან დაგვისხლტა 1970-იან წლებში და წინამძღოლებისადმი მორჩილებამ წონასწორობა დაკარგა. მაშინ ადამიანები პასტორებს ეკითხებოდნენ, წასულიყვნენ თუ არა დასასვენებლად; ეყიდათ თუ არა ესა თუ ის მანქანა ან რომელიმე დიდი ნივთი; დაქორწინებულიყვნენ თუ არა კონკრეტულ ადამიანზე. ამაში ჩართული არ ვყოფილვარ და არ ვიცოდი, რამდენად შორს იყო წასული ეს პროცესი, თუმცა ზოგიერთებმა მითხრეს, რომ საბოლოოდ, რჩევები სულაც არ ეფუძნებოდა წმიდა წერილს.

ამ და წინამძღოლობის ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებმა ადამიანები მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა. მათ სულიერი ძალაუფლება შეიძულეს. ამან რადიკალი თავისუფალი აგენტები და სულიერი მაწანწალები წარმოშვა, რომლებიც ეკლესიიდან ეკლესიაში, კონფერენციიდან კონფერენციამდე დახეტიალობდნენ და საკუთარ ლოცვის შეკრებებს უძღვებოდნენ ან საკუთარ ეკლესიებს აფუძნებდნენ, რადგან ვერ პოულობდნენ საკმარისად სრულყოფილ პასტორს, რომ დამორჩილებოდნენ. ასეთი აზროვნება ურჯულოების საიდუმლოს წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლის ჩვენს დროში ამოქმედების შესახებაც პავლემ გაგვაფრთხილა.

მოსეს წინააღმდეგ აღმდგარი კაცები ერთ დროს ფარაონის მმართველობის ბოროტად გამოყენების მსხვერპლნი იყვნენ.

შემდეგ მათ ცხოვრებაში მოსე გამოჩნდა და მისი ძალაუფლებაც რადიკალური აღმოჩნდა, მაგრამ სხვა გაგებით. ზოგჯერ მისი ხელმძღვანელობით უფრო მეტი გასაჭირის ატანა უწევდათ, ვიდრე ფარაონის მმართველობისას ჰქონდათ. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ ეგვიპტის ფარგლებს გასცდნენ, ფარაონი თვალთახედვის არედან დაიკარგა, მოსე საკუთარ მიზნებს ემსახურებოდა და ყველა ისრაელიანი თავის პატრონი იყო. ამ კაცებს ყელში ამოუვიდათ ძალაუფლება და მასთან დალაპარაკება გადაწყვიტეს. ყველა კაცი თავისთვის იყო. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ღვთის ერს წარმოადგენდნენ და ვინაიდან ძალაუფლებას სიძნელეები მოჰქონდა, რამდენიმე მათგანი გაერთიანდა და მოსეს შეუტია.

ასეთი სცენის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ ჩემი მოგზაურობების დროს. ბიზნესმენები, ლოცვითი შუამდგომლობის ჯგუფები, მრჩეველთა საბჭო ან ეკლესიის რომელიმე შიდა ჯგუფი პირს კრავდნენ პასტორის წინააღმდეგ. ყველა მათგანს ესმოდა ღვთისგან, მხოლოდ პასტორი ცდებოდა უფლის სიტყვას. ნეტა სცოდნოდათ, რა სულით იყვნენ აღძრულნი!

სულიერი ძალაუფლება დაყენებულია

როგორც უკვე ვთქვი, დასავლეთის მკვიდრებს სირთულეები აქვთ სამეფოს პრინციპებთნ დაკავშირებით. ჩვენ თავისუფალი მეწარმეობის დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელიც სამეფოსგან სრულიად განსხვავდება. სამეფოს მეფე მართავს მემკვიდრეობითი უფლებით და დაყენებული წინამძღოლების მეშვეობით. დემოკრატია მმართველებს თავად ირჩევს. თავისუფალი მეწარმეობის სისტემაში ლიდერობა შესაძლებელია ფულის, უნარების, გავლენის ან ნიჭის გამოყენებით. თუმცა ღვთის სამეფოში საქმე სულ სხვაგვარადაა, სადაც წინამძღოლებს მეფე ადგენს.

იესო მსახურების პოზიციებზე ხალხს თავად აყენებს. არავის შეუძლია ადამიანის ამ მსახურებაზე დაყენება გარდა უფლისა, რომელიც ამას სულიწმიდის მეშვეობით აკეთებს. როცა ძალაუფლების პოზიციას ღვთიური დანიშვნის გარეშე ვიკავებთ, საკუთარ თავს აღვაზევებთ. ეს მოიცავს მოწოდებულებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაყენებულნი. პავლე გვაფრთხი-

ლებდა: „ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა იფიქროთ“ (რომ. 12:3).

ებრაელთა წერილის ავტორიც ადასტურებს სულიერ წინამძღოლობაზე თავშეკავების მნიშვნელობას: „არავინ თავისით არ ღებულობს ამ პატივს“. წინა მუხლებიდან ცხადი ხდება, რომ ის დაყენებული უნდა იყოს. ავტორი აგრძელებს: „არც ქრისტეს განუდიდებია თავი, რომ მღვდელმთავარი გამხდარიყო“ (ებრ. 5:4-5). იესოც კი არ ცდილობდა, თავად დაეკავებინა წინამძღოლობის პოზიცია; იგი მამამ დააყენა.

მოუსმინეთ, როგორ აღწერს პავლე საკუთარ თავს: „პავლე, იესო ქრისტეს მონა, მოწოდებული მოციქული, გამორჩეული ღვთის სახარებისთვის“ (რომ. 1:1). მან ახსენა მოწოდებული და შემდეგ, გამორჩეული. გამორჩეული დაყენების აღმნიშვნელი ტერმინია. პავლე წუთისოფლის დასაბამიდან იყო მოწოდებული, მაგრამ ამ პოზიციაზე გადარჩენის მიღებისთანავე არ დამდგარა. ის გამოსაცდელ პერიოდში ანტიოქიის ეკლესიის წინამძღოლებს უნდა დამორჩილებოდა. გამოცდა წლები გაგრძელდა და პავლე, მოგვიანებით, საკუთარი გამოცდილებიდან წერს წინამძღოლებს: „ესენიც წინასწარ უნდა გამოიცადონ და შემდეგ, თუ უბიწონი იქნებიან, იმსახურონ“ (1 ტიმ. 3:10).

პავლეს ცხოვრებამ ბიბლიური ნიმუში დაამკვიდრა დღევანდელობისთვის. როცა მან ერთგულების გამოცდა გაიარა შემწეობის მსახურებაში, მასწავლებლად დააწინაურეს (2 ტიმ. 1:11; საქმ. 13:1). მსახურებებისა და პოზიციების განაწილების ღვთიური წესრიგი შემდეგი მუხლიდან ჩანს: „და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველნი, მერე მოძღვრები; შემდეგ ... შეწევნა“ (1 კორ. 12:28).

პავლე არა მარტო შეწევნის სფეროში გამოიცდებოდა, არამედ სწავლებაშიც. გამორჩევის ღვთიური ნიმუშს მსახურების უფრო მაღალ საფეხურზე მის გადაყვანასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ვხედავთ პავლეს შემთხვევაში, როცა ის მასწავლებლობიდან მოციქულად დაადგინეს: „ანტიოქიის ეკლესიაში იყვნენ წინასწარმეტყველები და მოძღვრები: ბარნაბა და სიმონი, ნიგერი რომ ერქვა, ლუციუს კვირინელი და მანაინი – მეოთხედმთავარ ჰეროდეს ძუძუმტე, და სავლე“ (საქმ. 13:1). სავლე, რომელსაც მოგვიანებით პავლე ეწოდა, ანტიოქიის

ეკლესიის მასწავლებლებსა და წინასწარმეტყველებს შორის არის მოხსენიებული. 1 ტიმ. 2:7-დან ვიცით, რომ ის არ იყო ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, არამედ მასწავლებელი. კითხვის გაგრძელებისას ვიგებთ: „გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმისთვის, რისთვისაც მოვუწოდე“ (საქმ. 13:2).

სულიწმიდამ დაილაპარაკა: „გამომიყავით!“ დადგა დრო. არა ერთი კვირით ადრე ან გვიან, არამედ ახლა! უფალმა განსაზღვრა როგორც დრო, ისე პიროვნებები, რომლებიც უნდა გამოეყოთ. პავლემ წლების განმავლობაში იცოდა, რომ მის ცხოვრებაში მოციქულური მოწოდება არსებობდა. ეს დამასკოს გზაზე შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ გაცხადდა (საქმ. 9:15). ახლა იესომ გამოარჩია ის, ვისაც წლების წინ მოუწოდა. პავლე ერთგულად მსახურობდა ისე, რომ თავი არასოდეს აღუზევებია.

უფალმა იმ ეკლესიის დაყენებული წინამძღოლები გამოიყენა, რომელშიც პავლე ერთგულად მსახურობდა. უხუცესებიც ანალოგიურად დაადგინეს. შემდეგ ვკითხულობთ: „მარხვისა და ლოცვის შემდეგ ხელები დაასხეს მათ და გაუშვეს. სულიწმიდის მიერ მივლინებულნი სელევკიაში ჩავიდნენ“ (საქმ. 13:3-4).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი „გაუშვეს“. დაყენებულმა წინამძღოლებმა გაგზავნეს პავლე და ბარნაბა. დააკვირდით მომდევნო მუხლს: „სულიწმიდის მიერ მივლინებულნი“. იესომ დაადგინა და გამოყო პავლე და ბარნაბა სულიწმიდის მიერ და ეს ეკლესიის წინამძღოლების მეშვეობით გააკეთა. და ბოლოს, ეს მოხდა ძალაუფლების სწორი ჯაჭვის გამოყენებით.

იესოს არ მოუხმია ანტიოქიის წინასწარმეტყველური ლოცვითი შუამდგომლობის ჯგუფი და არც პავლე და ბარნაბა გაუგზავნია სხვა ქალაქის ან იგივე ქალაქის სხვა ეკლესიის წინასწარმეტყველურ შეკრებაზე, სადაც პავლე არ იყო დაქვემდებარებული. მას არც სულიერი ნიჭებით დაჯილდოებული ცალკეული ადამიანები გამოუყენებია ზემოხსენებული კაცების დასაყენებლად.

უფალმა ის წინამძღოლები გამოიყენა, რომლებიც ანტიოქიის ეკლესიაში თავად დააყენა. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებს ღმერთი: „არავის დაასხა ხელი აჩქარებით“ (1 ტიმ. 5:22). წინამძღოლები თვალყურს ადევნებენ ეკლესიაში მომსახურეთა ერთგულებას და როცა ღმერთი მათ გულებს დაელაპარაკება რომელიმეს წამოსაწევად, იმის განცხადების გაბედულებაც აქვთ, რომ ეს უფლის დადგენილებაა. ასეთია ახალი აღთქმის

ეკლესიაში წინამძღოლთა პოზიციაზე ადამიანების დაყენების უფლისმიერი მეთოდი.

უმწიფარი მოწოდებაში

მოსემ ადრევე იცოდა თავისი მოწოდების შესახებ.

„ორმოცი წელი რომ შეუსრულდა, გულში სურვილი გაუჩნდა თავისი ძმები, ისრაელიანები მოენახულებინა. დაინახა, რომ ვიღაცას ჩაგრავდენ. გამოესარჩლა, შური იძია ჩაგრულისთვის და მოკლა ეგვიპტელი. ეგონა მიუხვდებოდნენ ძმები, რომ ღმერთი მისი ხელით იხსნიდა მათ, მაგრამ ვერ მიხვდნენ. მეორე დღეს მოევლინა მათ, როცა ჩხუბობდნენ ერთმანეთში; მოუწოდა მათ მშვიდობისკენ და უთხრა: „კაცებო, თქვენ ხომ ძმები ხართ, რატომ ჩაგრავთ ერთმანეთს? მაგრამ მოყვასის დამჩაგვრელმა ხელი ჰკრა მას და უთხრა: ვინ დაგნიშნა ჩვენს მთავრად და მსაჯულად?“ (საქმ. 7:23-27)

ხალხმა, რომლის წინამძღოლიც უნდა ყოფილიყო, ვერ გააცნობიერა მისი ძალაუფლება. ვიღაცამ ზუსტად ის სიტყვები უთხრა, რომლებიც შემდეგ კორახმა, დათანმა და აბირამმა გამოიყენეს: „ვინ დაგნიშნა ჩვენს მთავრად და მსაჯულად?“ ამ ადამიანს არაფერი მოსწევია, რადგან მოსე ჯერ დაყენებული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდება მის გულში უკვე მკვიდრობდა, ღვთიურ ძალაუფლებაში არ იყო დადგენილი.

დარწმუნებული ვარ, რომ მოსეს მიმართ უდაბნოში ინტენსიური წინააღმდეგობის მიზეზი შემდეგი გახლდათ: ისინი ხედავდნენ ღვთიური ძალაუფლებას მასზე, მაგრამ არ მოსწონდათ. ეს კარგად ხსნის ღვთის სიტყვებს, რომ ხალხი სინამდვილეში მოსეს კი არა, მას ებრძოდა. დღესაც, ხშირ შემთხვევაში, იგივე ხდება. ყველაზე მეტად უპირისპირდებიან ღვთის ძალაუფლებაში მდგარ ადამიანებს და ამით ღვთის ავტორიტეტს ეწინააღმდეგებიან.

საკუთარი თავის დაყენება მაცდური და სახიფათოა

როცა კორახი, დათანი და აბირამი მოსეს დაუპირისპირდნენ, ეს უკანასკნელი ნამდვილად ღვთის მიერ იყო დადგენილი და მისი ძალაუფლების გამოვლინება ყველასთვის ცხადი გახლდათ. იმ ამაყმა კაცებმა კი თავად დაიდგინეს თავი. მათი აზროვნება ამბოხების მაცდური და სახიფათო ფორმის გამოხატულება იყო. მაცდური გახლდათ იმ გაგებით, რომ ამბოხების მიუხედავად ღვთის წინაშე დგომასა და სწორ მსახურებაში დარწმუნებული იყვნენ. ისრაელის 250 მთავარმა თავი დააჯერა, რომ ისინი უბრალოდ, მოსეს და აჰარონს უპირისპირდებოდნენ. მათ მცირედითაც არ წარმოედგინათ, რომ ამ ბრძოლამ ღმერთიც მოიცვა, რომლის მსახურების სურვილიც ამოძრავებდათ. როგორღაც გზა აებნათ და მოსეზე ღვთის ძალაუფლების დანახვა ველარ შეძლეს. ამან კიდევ უფრო აღანთო მასთან დაპირისპირების სურვილი. ეს სახიფათო იყო, რადგან უდიდესი სასჯელი მოსდევდა. ეს ლუციფერის დაცემის მსგავსია.

იმ კაცების სიტყვების მოსმენის შემდეგ მოსე მაშინვე მიხვდა, რა სული იდგა მათ უკან და პირქვე დაემხო. მას კამათი არ დაუწყია. ღვთისგან დაყენებულ ადამიანებს ღვთიური გული აქვთ და საკუთარი პოზიციების დამტკიცებას არ ცდილობენ. მოსე ახლოს იცნობდა ღმერთს და იცოდა, რომ მხარს დაუჭერდა მის წინამძღოლობას. მოსემ თქვა:

> „ნუთუ ცოტაა თქვენთვის, რომ გამოგყოთ ისრაელის ღმერთმა ისრაელიანთაგან და დაგიახლოვათ, რათა შეასრულოთ უფლის სავანის მსახურება და იდგეთ მის მსახურებად თემის წინაშე? დაგიახლოვა შენ და შენთან ერთად შენი ძმები, ლევის ძენი, ახლა მღვდლობასაც ესწრაფით? ამიტომ შეიკრიბეთ უფლის წინააღმდეგ შენ და მთელი შენი დასი? ვინ არის აჰარონი, რომ დრტვინავთ მასზე?“ (რიცხვ. 16:9-11)

მათ იმაზე მეტის მიღება მოისურვეს, ვიდრე ღვთისგან ჰქონდათ გადმოცემული და მოულოდნელად, მასთან დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ. ისინი ღვთიური ძალაუფლების იმ

დონეს წაეპოტინენ, რომელიც ღმერთს მათთვის არ მიუცია. მოსემ კიდევ გაუმეორა: „მეტისმეტს იღებთ თქვენს თავზე, ლევის ძენო!“ (რიცხვ. 16:7).

როცა ცხადი გახდა, რომ ეს კაცები სიჯიუტეში უკან არ დაიხევდნენ, უფალმა მოსეს მითითება მისცა: „ხალხს უთხარი, რომ განერიდონ კორახის, დათანისა და აბირამის კარვებს“. მოსე სასწრაფოდ გაეშურა დათანისა და აბირამის კარვებისკენ და მორჩილი ისრაელიანი მთავრებიც მიყვნენ. „სწრაფად!“ – უთხრა ხალხს. „განშორდით ამ უღვთო ადამიანთა კარვებს და მათსას ნურაფერს მიეკარებით, რათა არ აღიგავოთ მათ ცოდვებთან ერთად!“ ხალხი გაშორდა კორახის, აბირამისა და დათანის კარვებს. შემდეგ დათანი და აბირამი წინ გამოვიდნენ და თავიანთი კარვების შესასვლელებთან დადგნენ ცოლებთან, ვაჟებთან და მცირეწლოვნებთან ერთად.

მოსემ თქვა: „ამით გაიგებთ, რომ უფალმა მომავლინა ამ საქმის გასაკეთებლად და არ მიმოქმედია ჩემი ნებით. თუ ესენი ჩვეულებრივი სიკვდილით მოკვდებიან და ყველა მოკვდავის ბედს გაიზიარებენ, არ ვყოფილვარ უფლის გამოგზავნილი. ხოლო თუ ისეთ რამეს მოიმოქმედებს უფალი, რაც აქამდე არ მომხდარა, გააღებს მიწა პირს და შთანთქავს მათ და მთელს მათ საბადებელს და ცოცხლად ჩავლენ ქვესკნელში, მაშინ გაიგეთ, რომ შეიძულეს ამ ადამიანებმა უფალი“.

და დაასრულა თუ არა ამ სიტყვების თქმა, გაიპო მიწა მათ ქვეშ; გააღო მიწამ პირი, შთანთქა ისინი და მათი სახლეული, ყოველი ადამიანი, რომელიც კორახთან იყო და მთელი მათი ქონება. ჯერ კიდევ ცოცხალნი ჩაცვივდნენ ქვესკნელში ყველაფერთან ერთად, რაც გააჩნდათ, გადაეფარათ მიწა და აღიგავნენ კრებულიდან. ყველა ისრაელიანი, ვინც მათ ირგვლივ იყო, გაიქცა მათ ყვირილზე და ამბობდნენ: ჩვენც არ გვშთანთქასო მიწამ! ცეცხლი გამოვიდა უფლისგან და შთანთქა ორას ორმოცდაათი კაცი, საკმევლის შემწირველი. (რიცხვ. 16:24-35)

ამ კაცებზე მოწეული სასტიკი სასჯელი ორ გამომაფხიზლებელ ფაქტს გვიტოვებს. პირველი, მათ ნამდვილად სჯეროდათ, რომ ღმერთს ემსახურებოდნენ მაშინ, როცა სინამდვილეში, უპირისპირდებოდნენ. მეორე, ახალ აღთქმაში იუდა გვაფრთხილებს, რომ უკანასკნელი დღეების ეკლესიაში იგივე დაემართებათ „მეოცნებეებსაც, ხორცს რომ ბილწავენ, ძალაუფლებას უარყო-

ფენ და დიდებას გმობენ“ (მ. 8). შემდეგ იუდა ამბობს: „ვაი მათ, რადგან ... სიჯიუტით იღუპებიან, როგორც კორახი“ (მ. 11).

ამბოხება გადამდებია

ამ თავში მოთხრობილია ამბოხების ორი სხვადასხვა შემთხვევა. პირველში მონაწილეობდნენ კორახი, დათანი და აბირამი 250 მთავართან ერთად. მეორე მომდევნო დღეს მოხდა, როცა მთელი ერი წინაღუდგა მოსეს და აჰარონს. ისინი ლანძღავდნენ მას და ეუბნებოდნენ, „თქვენ დახოცეთო უფლის ხალხი“ (რიცხვ. 16:41). გასაგებია, რომ ისრაელიანები გაოგნებული იყვნენ წინა დღეს მომხდარის გამო, მაგრამ შეცდომა დაუშვეს – მოსეზე განაწყენდნენ და მისი დადანაშაულება სცადეს. წინა სამი ამბოხებულის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მათი ცოცხლად ჩამარხვის მომსწრე ადამიანებმა ვერ გაიაზრეს ძალაუფლების წინააღმდეგობის მომაკვდინებელი შედეგები. ამან უნდა გამოგვაფხიზლოს. არაერთხელ მინახავს ანალოგიური ზეგავლენის მარწუხები დღევანდელობაში.

როცა მთელი თემი წინ აღუდგა მოსეს და აჰარონს, ღმერთი განრისხდა და ყველა მათგანის განადგურება განიზრახა. მოსემ და აჰარონმა მათთვის იშუამდგომლეს. შედეგად, ერი გადარჩა, თუმცა ჭირი დაერია უფლისგან და 14 700 ადამიანი მოკვდა! დახოცილთა რიცხვი დიდად აღემატებოდა წინა დღისას!

უფლის ერო, ნება მომეცით, გაგაფრთხილო: ამბოხება გადამდები და მომაკვდინებელია! ბიბლია არ ამბობს, რომ ღმერთს, უბრალოდ, არ მოსწონს ის. წერილი ნათლად გვეუბნება, რომ მას ამბოხება სძულს. ამ საკითხის ღვთიურ ხედვას მხოლოდ ცუდ დამოკიდებულებას ვერ უწოდებთ. ლუციფერს არავინ ჰკითხა ამბოხების შემდეგ, უნდოდა თუ არა ზეცის დატოვება. იგი ელვასავით სწრაფად გადმოაგდეს ციდან დედამიწაზე (ლუკ. 10:18). ამბოხებულ ადამიანთან კავშირი მომაკვდინებელი სურვილია. ამ მიზეზის გამო რომაელთა მიმართ პავლეს საბოლოო დარიგების სიტყვა ასეთი იყო:

„გემუდარებით ძმანო, მოერიდეთ მათ, ვინც განხეთქილებასა და საცდურს ქმნის წინააღმდეგ იმ მოძღვრებისა, რომელიც თქვენ ისწავლეთ, და ზურგი აქციეთ მათ;

ვინაიდან ასეთი ადამიანები ემსახურებიან არა ჩვენს უფალ იესო ქრისტეს, არამედ თავიანთ მუცელს და ლამაზი სიტყვებით და მოფერებით აცდენენ უმანკოთა გულებს“. (რომ. 16:17-18)

იგივე სიტყვები მინდა გავიმეორო ამ თავის დასკვნის სახით. ვაცნობიერებ, რომ ჩემი სათქმელი აღფრთოვანებას არ გგვრით, მაგრამ ამან შეიძლება თქვენი სიცოცხლე გადაარჩინოს. გახსოვდეთ, რომ ეს ჭეშმარიტებით ვაქცინაცია გახლავთ. სასიამოვნო არ არის, მაგრამ მისი დამცველობითი უნარი დიდად გადაწონის გამოყენების უხერხულობას. ღმერთი გაფრთხილების სიტყვებს ჩვენ დასაცავად გვეუბნება.

თავი 15

ერთნი

ძალაუფლებას ერთობა მოაქვს, რომელიც
ღვთის დიდებას უძღვის წინ.

ღვთის ძალაუფლების ქვეშ ცხოვრებას აქვს თუ არა უფრო დიდი მიზანი და სარგებელი, ვიდრე აქამდე განვიხილეთ? პასუხია დაუეჭვებელი „დიახ!“ ეს გახლავთ ღვთის სამეფოს ეფექტური წინსვლის დიდი სურათი.

იესომ მიზანი დასახა ეკლესიისთვის: *იყავით ერთნი!* ამ მიზნისკენ სვლაში დიდი სარგებელია. იგი ლოცულობდა:

> „მხოლოდ ამათთვის არ გთხოვ, არამედ იმათთვისაც, ვინც მათი სიტყვით მირწმუნებს. რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამავ, მე კი შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში და ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ შენ წარმომგზავნე. დიდება, შენ რომ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი“. (იოან. 17:20-22)

ჩვენთვის *დიდება* არის შენახული, მაგრამ ეს მჭიდროდ უკავშირდება ერთიანობას. *დიდება* არ გახლავთ ის სიტყვა, რომელსაც საუბარში ხშირად ვიყენებთ. *The Merriam-Webster-ის ლექსიკონი მას ასე განმარტავს:* „დიდი სილამაზე და ბრწყინვალება; სიდიადე“. ბერძნულ *დოქსა-ს* იგივე მნიშვნელობა აქვს. და მაინც, *Complete Word Study* ლექსიკონი ასკვნის: „ღვთის დიდება არის მისი არსება“.

დოქსა-ს ძველაღთქმისეული სინონიმი გახლავთ ებრაული ქაბოდ: ბრწყინვალება, სიმდიდრე, სიუხვე, პატივი, დიდებულება

და წონა გახლავთ მისი ერთსიტყვიანი განმარტებები. წუთით შეჩერდით და ამ სიტყვის სიდიადეზე დაფიქრდით. როცა ბიბლია ღვთის დიდებაზე ლაპარაკობს, მის საოცარ ბრწყინვალებას, მის უსაზღვრო სიმდიდრეს, მის ყოველისშემძლეობას, მისი პიროვნების სიუხვეს, მისი დიდ პატივსა და მისი არსების სიდიადეს გულისხმობს. ბოლო განმსაზღვრელი სიტყვა წონა მიუთითებს, რომ იგი ჩამოთვლილი თვისებების სიმცირეს არ განიცდის, არამედ ყველა მთელი სისავსით არის წარმოდგენილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ლაპარაკია მისი სიდიადის ინტენსიობაზე.

იესო არის ადამიანში გაცხადებული ღმერთი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მისი მნიშვნელოვანი სიტყვები: „ვინც მე მიხილა, მამა იხილა“ (იოან. 14:9). იოანე მოციქულმა გააცხადა, რომ სიტყვა თავიდანვე ღმერთი იყო. შემდეგ ის წერს: „სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენ შორის და ... ჩვენ ვიხილეთ მისი *დიდება*“ (იოან. 1:14). მისი დიდება სხვადასხვა გზებით გამოვლინდა, მაგრამ განსაკუთრებით მისი ძალა უნდა აღინიშნოს. ამის დამადასტურებელი უამრავი მონაკვეთიდან ერთ-ერთი ეს გახლავთ: „ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი *დიდება*“ (იოან. 2:11). მან დედა-მიწაზე ყოფნისას *ღვთის სიდიადის წონა დაგვანახა.*

ამაღლებამდე ასეთი დავალება მოგვცა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“ (იოან. 20:21). ამ უზარმაზარი დავალების შესასრულებლად იესო ჩვენთვის ლოცულობდა, რომ მისი სიდიადის წონა ჩვენზე დავანებულიყო. და როგორც ადრე აღვნიშნე, მისი ეს აღთქმა, როგორღაც, ჩვენს ერთიანობას, ერთობაში სიარულს უკავშირდება. ჩვენ გვეუბნებიან: „აჰა, რა კარგია და რა საამური, როდესაც ერთად ცხოვრობენ ძმები! ... *დაადგინა უფალმა კურთხევა!*“ (ფს. 133:1-3). არ არსებობს იმაზე დიდი კურთხევა, ვიდრე მის დიდებაში დამკვიდრება – მისი თანდასწრების სისავსის განცდა. ეს შეუძლებელია მოხდეს დაყოფილ ეკლესიაში. მხოლოდ ერთობა იძლევა ამის საშუალებას.

სრულყოფილი მაგალითი

პირველი ეკლესია ამ ჭეშმარიტებას მშვენივრად ასახავს. იესო ზეცად ამაღლდა და მისი ერთგული მიმდევრები დაემორ-

ჩილნენ მის მითითებას ზემო ოთახში დარჩენის შესახებ (საქმ. 1:4). აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ იესო, სულ მცირე, 500 მამაკაცსა და ქალს ეჩვენა (1 კორ. 15:6). მიუხედავად ამისა, ათი დღის შემდეგ იერუსალიმში მხოლოდ 120 მოწაფე იმყოფებოდა. სად წავიდნენ დარჩენილი ასეულები? არ ვიცით, სად იმყოფებოდნენ ისინი, მაგრამ ვიცით, რომ არ დაემორჩილნენ იესოს მითითებას მამის აღთქმულის დალოდების შესახებ.

ზემო თვალში შეკრებილი მამაკაცები და ქალები ღვთის სიტყვის, მისი უშუალო ძალაუფლების ქვეშ იყვნენ გაერთიანებულნი. როგორ გამოეხმაურებოდნენ მის გადაცემულ ძალაუფლებას?

ამაღლებამდე იესომ პეტრეს დაავალა მისი მიმდევრების ზედამხედველობა. პეტრე სხვა მოწაფეებისგან გამოირჩეოდა. ის ღვთის გზების შეცნობის დიდ წყურვილს იჩენდა და ისეთი გამოცხადებები ჰქონდა, რომლებიც სხვებს არ გააჩნდათ. ის დანარჩენ მოწაფეებზეც ახდენდა ზეგავლენას. მის ცხოვრებაში ნამდვილად არსებობდა წინამძღოლობის ნიჭი, თუმცა ხშირად იმპულსური და ღვთის ნებიდან ამოვარდნილი იყო. როცა პეტრემ თამამად განაცხადა, რომ იესო იყო ძე ცოცხალი ღვთისა, უფალმა შეაქო მისი შინაგანი წვდომა და კურთხეულ ადამიანად გამოაცხადა ღვთიური ჭეშმარიტების მიღების გამო. თუმცა სხვა შემთხვევაში იესო პეტრეს მიუბრუნდა და უთხრა: „გამშორდი, სატანავ! საცდური ხარ ჩემთვის, რადგან იმაზე კი არ ფიქრობ, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია“ (მათ. 16:23).

ერთხელაც პეტრემ წყალზე გაიარა, როცა სხვა მოწაფეები ნავში დარჩნენ და უბრალოდ, აკვირდებოდნენ. მან კიდევ ერთხელ გაკვალა გზა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, სანამ სხვები გამოყვებოდნენ და წყალზე ფეხს დაადგამდნენ, ჩაძირვა დაიწყო. იესომ დამწუხრებულმა უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნევ?“ (მათ. 14:31).

კიდევ ერთ შემთხვევაში იესომ პეტრე წაიყვანა მთაზე იოანესა და იაკობთან ერთად. როცა ადგილზე მივიდნენ, იესომ ფერი იცვალა – მისი სახე მზესავით განათდა და სამოსს ბრწყინვალე სითეთრე მიეცა. მოსე და ელია გამოჩნდნენ და იესოს ელაპარაკებოდნენ. რა პრივილეგია და პატივია სამი ადამიანისთვის ამ ფენომენალური მოვლენის ნახვა! სანამ ყველაფერი დასრულდებოდა, პეტრეს სამი კარვის დადგმის იდეა მოუვიდა – ორი ელიასა და მოსესთვის. ის ისევ წინა რიგში

იდგა, მაგრამ ამ დიდების ატმოსფეროშიც კი ღვთის ნებას დაშორებული გახლდათ.

პეტრეს უდიდესი მარცხი, იესოს უარყოფა, მის მიმდევრებს ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ. აღდგომის შემდეგ სამარხთან მყოფმა ანგელოზმა სამ დედაკაცთან საუბარში პეტრე ცალკე გამოყო: „მაშ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: აჰა, წინ მიგიძღვით გალილეისკენ, იქ ნახავთ მას“ (მარკ. 16:7). ეს სამი ქალი და სავარაუდოდ, ბევრი სხვა მოწაფეც ფიქრობდა, რომ პეტრე დანებდა.

წარმოიშვა მნიშვნელოვანი კითხვა: ამ ახალი ეკლესიის წევრები შეძლებდნენ იმ კაცის დაქვემდებარებას და დამორჩილებას, რომელსაც ასეთი არამყარი ნაბიჯები ჰქონდა? მისი იმპულსური ქცევა, ინფორმაციის გადამუშავების, ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი სულაც არ იყო უნაკლო და ხშირი შეცდომებისკენ მიდრეკილი გახლდათ. ერთი სიტყვით, პეტრე არ იყო იმ მღელვარე პერიოდში ახალგაზრდა ეკლესიის ხელმძღვანელობის საუკეთესო კანდიდატი.

ამის გათვალისწინებით, გამოვიკვლიოთ პეტრეს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ახალშემდგარი ეკლესიის წინამძღოლის რანგში მიიღო. რამდენიმე დღე გავიდა და მან ფსალმუნთა წიგნში შესაფერისი ადგილი იპოვა, რომელიც იუდას მიერ იესოს გაცემას ასახავდა. პეტრე იმ ზემო თვალში შეკრებილ პატარა თემს ამ მონაკვეთს უკითხავს: „ვინაიდან წერია ფსალმუნთა წიგნში: *„... მისი მსახურება სხვამ მიიღოს“* (საქმ. 1:20). კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პეტრე ხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ. სწორად გამოიყენა თუ არა ეს გაგება?

რასაც ახლა დავწერ, შესაძლოა ჰიპოთეტური მოგეჩვენოთ, მაგრამ იმედი მაქვს, საკმაო მხარდაჭერა ექნება წმიდა წერილის მხრიდან, რომ რეალობასთან ახლოს იყოს. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პეტრე ღვთის ნებას აცდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. მან ყველა ის კაცი შეკრიბა, რომელიც თავიდანვე იესოსთან იყვნენ, რომ „წილი ეყარათ“ და გაეგოთ, თუ ვის დააყენებდა ღმერთი იუდას ადგილას.

ახალ აღთქმაში ვერსად ნახავთ, რომ ღმერთი მოციქულებს წილისყრით *(ლატარიის მსგავსად)* ირჩევდეს! იესო ამ კაცებს სამწელიწადნახევარი ასწავლიდა ღვთის გზებს და მაგალითიც

დაუტოვა: მთელი ღამე ლოცულობდა და ღვთისგან მოისმინა, სანამ თორმეტ მოციქულს აირჩევდა (ლუკ. 6:12-13). საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ პეტრე იესოს ნიმუშს აირჩევდა. გარდა ამისა, ფაქტი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ანტიოქიის ეკლესიის წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა იესოს მაგალითი გაითვალისწინეს და მარხვა-ლოცვის შემდეგ პავლე გამოარჩიეს მოციქულის პოზიციაზე (საქმ. 13:1-4), კიდევ ერთხელ ადასტურებს ხსენებულ მოსაზრებას: პეტრემ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო.

120 მოწაფემ ორი კანდიდატი გამოარჩია: იუსტოსი და მატათია. ასევე ვხედავთ პეტრეს გადაწყვეტილების შედეგს. მატათიამ კენჭისყრა მოიგო და მოციქულებს მიეთვალა (საქმ. 1:23-26), თუმცა მის სახელს ამის შემდეგ ვერსად შეხვდებით ახალ აღთქმაში. რატომ? იმიტომ, რომ სავლე (იგივე პავლე) იყო ღვთიური კანდიდატი, რომელსაც იუდა უნდა ჩაენაცვლებინა და არა მატათია. სწორედ ამიტომ წერს პავლე:

> „შემდეგ [იესო] გამოეცხადა იაკობს და მერე - ყველა მოციქულს; ყველაზე ბოლოს მეც გამომეცხადა, როგორც უდღეურს. *ვინაიდან უმცირესი ვარ მოციქულთა შორის* და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღვთის ეკლესიას“. (1 კორ. 15:7-9)

პავლე ისე ლაპარაკობს თავის თავზე, თითქოს არასწორ დროს დაიბადა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ძალზე ახალგაზრდა იყო იმისთვის, რომ თავდაპირველ თორმეტ მოციქულს შორის ჩარიცხულიყო. პირადად გამოვიკვლიე პავლეს დაბადების თარიღი და ამაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს, რომელთა შორის სხვაობა თოთხმეტ წელს შეადგენს. მოდით, გადავხედოთ ახალი აღთქმის შესაბამის დროს, რომ მის ასაკზე წარმოდგენა შევიქმნათ. აღწერილობათა უმეტესობის მიხედვით, სტეფანეს მოწამეობრივი სიკვდილი იესოს აღდგომიდან ოთხი წლის შემდეგ მოხდა. წერილი ამბობს, რომ მისი ჩაქოლვისას სავლე (პავლე) ჯერ კიდევ „ჭაბუკი“ იყო (საქმ. 7:58). ახალი აღთქმის ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონი აცხადებს, რომ ამ ასაკის შესატყვისი ბერძნული სიტყვა მიანიშნებს პიროვნებაზე, რომელმაც სქესობრივ სიმწიფეს მიაღწია. ეს გვაფიქრებინებს, რომ პავლე

მეტისმეტად ახალგაზრდა იყო თავდაპირველი მოციქულობისთვის.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის არჩევანს პავლე წარმოადგენდა. ის ნამდვილად ფლობდა მოციქულის ნაყოფებსა და ძალაუფლებას, მატათიაზე გაცილებით მეტად. დედააზრი: მჯერა, რომ პეტრემ იმპულსური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ღვთის გეგმას სცდებოდა. დღევანდელ ეკლესიებში მსგავსი გადაწყვეტილება რომ მიიღონ, დაყოფა არ აგვცდებოდა. „წილისყრით მოციქულის არჩევის მოწინააღმდეგე ჯგუფი“ დაუპირისპირდებოდა „წილისყრის მომხრეთა ჯგუფს“ და ეკლესიიდან გავიდოდა. ახლა მოუსმინეთ წმიდა წერილის მომდევნო სიტყვებს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით:

> „ორმოცდამეათე დღის ზეიმმა რომ მოაწია, *ყველანი ერთად იყვნენ*“. (საქმ. 2:1)

სიტყვა ერთად გახლავთ ბერძნული სიტყვა ჰომოტუმადიონ. *The Complete Word Study ლექსიკონი* მას ასე განმარტავს: „ყველანი ერთი აზრით, ერთიანი თანხმობით, ერთხმად“. ამ განსაზღვრებიდან ვხედავთ, რომ ადგილი არ ჰქონდა არანაირ დაყოფას, როგორც აზრობრივად, ისე მოქმედებით. ისინი გაერთიანებული იყვნენ ერთი მიზნით, გონებით, გულით და სულით.

რა შედეგი მოიტანა ამ საფუძვლიანმა ერთობამ? ღმერთმა თავისი დიდება გამოავლინა ერთი გულით, გონებით და მოქმედებით აღძრულ 120 ადამიანზე და არა იმ სხვაგან მყოფ 380 მოწაფეზე. ქალაქი იერუსალიმი იგივე აღარასოდეს დარჩენილა ქრისტეს ამ მიმდევრებზე გადმოსული ღვთიური დიდების გამო.

ზემო თვალში მყოფ მამაკაცებსა და ქალებს პეტრეს მითითებების დამორჩილების პრობლემა ორი მიზეზის გამო არ ჰქონდათ: პირველი, მოციქულის წილისყრით არჩევა ცოდვა არ იყო, თუმცა ღვთის ნებას აცდენილი გახლდათ; და მეორე, ისინი სრულად ემორჩილებოდნენ ღვთისგან დაყენებულ წინამძღოლს.

კიდევ ერთხელ დადასტურდა ბიბლიური ჭეშმარიტება ღვთის პირდაპირ და გადაცემულ ძალაუფლებას შორის არსებულ კავშირზე. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, „მე ღმერთს ვემორჩილები“, მაგრამ მის მიერ დაყენებულ ლიდერებს ეწინააღმდეგებიან. ისინი მოტყუებული არიან. ნამდვილად რომ

ვექვემდებარებოდეთ ღმერთს, ორი რამის გამო დავემორჩილებოდით ჩვენს წინამძღოლებს: პირველი, უფლის უშუალო მმართველობა გვიბრძანებს, რომ დავემორჩილოთ დაყენებულ ხელმძღვანელებს. მეორე, ვინაიდან ვცნობთ ღვთის ძალაუფლებას ამ ხელმძღვანელებზე, ვემორჩილებით კიდეც მათ. სანამ ცოდვის ჩადენისკენ არ გვიბიძგებენ, მათი მორჩილება ღვთიური და სასარგებლოა. ასე მოქცევით ღვთის გამოვლინებული დიდებისა და მისი სამეფოს კარს ვაღებთ, რომელიც სწრაფად მიიწევს წინ.

მკაცრი რეალობა

რთული კითხვები უნდა დავსვათ.

- ხელს უშლის თუ არა ღვთის დიდების გამოვლინებას ჩვენი უუნარობა, რომ დავექვემდებაროთ ეკლესიის წინამძღოლობას?
- ეფუძნება თუ არა ჩვენი მორჩილება წინამძღოლების აზრთან თანხმობას ან უთანხმოებას?
- რაიმე წილი ხომ არ გვიდევს დაყოფაში?

დარწმუნებული ვარ, რომ ზემო თვალში ზოგიერთი მოწაფე პეტრესგან განსხვავებულად იმოქმედებდა. ეჭვგარეშეა, რომ უფრო ბრძნული რჩევა იქნებოდა იესოს მაგალითის გათვალისწინება და თავდაპირველად, ღვთის ძიება, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ იმ ოთახში მყოფთაგან ვინმეს არჩევაზე. ეს ნაბიჯი გაცილებით გონივრული იქნებოდა, ვიდრე წილისყრა და ადამიანის დაყენება მოციქულის მსახურებაზე, რომელიც ამისთვის მოწოდებული არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის გადაჭრის უკეთესი გზა არსებობდა, ოთახში მყოფმა ხალხმა უფრო აღმატებული საშუალება დაინახა – წინამძღოლის სტრატეგიის გაზიარებით ერთობაში დარჩენის უპირატესობა. თითოეული ისე მიიწევდა წინ, თითქოს ეს მისი იდეა ყოფილიყო. რაოდენ ხშირად ვუპირისპირდებით ერთმანეთს ბრიყვულ და უმნიშვნელო უთანხმოებებზე მსახურების წარმართვის მეთოდებთან დაკავშირებით? ან მრწამსის ისეთ ასპექტებზე ვდაობთ, რომლებმაც არ

უნდა დაგვყონ; მაგალითად, იესო გასაჭირის პერიოდის დასაწყისში დაბრუნდება, შუაში თუ ბოლოში? არ მოგვწონს, როცა პასტორს პიჯაკი კი არა, ჯინსები აცვია. არ მოგვწონს ეკლესიის დარბაზში კვამლისა და სინათლის განსაკუთრებული ეფექტების დაყენება თაყვანისცემის მსახურებაზე. მწყემსი მეტისმეტად ბევრს ან ძალიან ცოტას ლაპარაკობს. საკმარისად არ ვლოცულობთ ან საერთოდ არ ვლოცულობთ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე. გულახდილად რომ ვთქვათ, ასეთ სცენარებს ბოლო არ უჩანს. სამწუხაროა, როცა ხედავ, რომ ასე ადვილად შეგვიძლია დაყოფა. და მაინც, არსებობს ერთი საგანგაშო ფაქტი: ყველა დაყოფა ადვილი ამოსაცნობი როდია. ახალი აღთქმა ხშირად მიგვითითებს, რომ გაერთიანებული ვიყოთ მრავალი სხვადასხვა გზით და არა მარტო მოქმედებით. აი, რამდენიმე ნიმუში:

> „სრულქმენით ჩემი სიხარული: *ერთსა და იმავეს იზრახავდეთ,* გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყავით ერთსულოვანნი და ერთაზროვანნი“. (ფილ.2:2)

> „იხარეთ და სრულყოფას მისდიეთ, ინუგეშეთ და იყავით *ერთსულოვანნი,* იცხოვრეთ მშვიდობაში; და სიყვარულისა და მშვიდობის ღმერთი იქნება თქვენთან“. (2 კორ. 13:11)

> „ოღონდ მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად, რათა - მოვალ და განახავთ, თუ ვერ მოვალ, – მესმოდეს თქვენზე, რომ მყარად დგახართ *ერთ სულში* და ერთსულოვნად იღწვით სახარების რწმენისთვის“. (ფილ. 1:27)

დაყოფა მხოლოდ საწინააღმდეგო არგუმენტების წამოყენებით და მოქმედებებით არ შემოიფარგლება. ის სირღმეში მიდის – გონებაში, გულსა და სულში. შესაძლებელია გარეგნული ერთიანობა არსებობდეს, მაგრამ მოტივებსა და აზრებში გაყოფამ დაისადგუროს. ჩემი დედ-მამა წლების მანძილზე ცხოვრობდა ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქში, რომელსაც ვერო ბიჩი ეწოდება. ვერო ბიჩის ჩრდილოეთით, დაახლოებით 13 მილის მანძილზე არის სებასტიანის ყურედ წოდებული ადგილი. იქაურებისთვის ის ცნობილია თავისი

წყალქვეშა დინებებით. ღრმა დინება შეუიარაღებელი თვალისთვის დაფარულია. ოკეანის ზედაპირი ერთიანი ჩანს და წყალი თითქოს უნისონში მოიწევს ნაპირისკენ. თუმცა იმავე ადგილას სიღრმეში იგივე წყალი დიდი სიჩქარით მიედინება საწინააღმდეგო მიმართულებით. დინება თავის მსხვერპლებს ითრევს და ღია ზღვისკენ მიაქანებს. ზოგჯერ ამას მათი სიცოცხლეც ეწირება.

თქვენს ეკლესიაშიც ხომ არ არის ღრმა დინებები, რომლებიც ხელს გიშლით ღვთის დიდების გამოვლინებაში? მოწაფეების გაერთიანებამ მოიტანა ის, რომ მთელმა იერუსალიმმა შეიტყო იესოს აღდგომის შესახებ. მეტისმეტად დიდი იყო მისი თანდასწრება და ძალა. უბრალოდ დაფიქრდით, რომ იქ არ არსებობდა ტელევიზია, რადიომაუწყებლობა ან რაიმე სახის სოციალური მედია შეკრებების დასაანონსებლად, მაგრამ იმ სპონტანურ თავყრილობებზე ათასობით ადამიანი მოდიოდა.

აი, ყველაზე მეტად გამომაფხიზლებელი კითხვა: რამდენი ჩვენგანი იდგება იესოს სამსჯავროს წინაშე გაოგნებული და განცვიფრებული იმით, რასაც უფალი გამოააშკარავებს? ღაწვებზე ცრემლმდინარე ხომ არ გვაჩვენებს, თუ როგორ ვეწინააღმდეგებოდით სულიწმიდის გამოვლინებას ჩვენს საეკლესიო თემებში? ჩვენი შეუთანხმებლობა ის წყალქვეშა დინება გახდა, რომელიც მრავალ ადამიანს ხელს შეუშლის გადარჩენის მიღებაში. წინამძღოლებს ვეწინააღმდეგებით გულით, აზრებით ან მოქმედებებით. დიახ, შესაძლებელია მართლებიც ვიყოთ, უკეთესი მოსაზრებებიც გვქონდეს და ბიბლიურად უფრო მეტად გამაგრებულ სტრატეგიებსა და საქმის კეთების გზებს ვფლობდეთ, მაგრამ რა სჯობია – მართლები ვიყოთ თუ ღვთის დიდებაში შევიდეთ? სწორი შეხედულება გვქონდეს საკითხზე თუ უამრავი ადამიანის ცათა სამეფოში შემომატება ვიხილოთ?

სხვადასხვა მეთოდები

ეს საიდუმლო როდია. წინამძღოლები შეიძლება აცდენილი იყვნენ ღვთის გეგმებსა და სტრატეგიებს. ძრწოლა მივლის და ვგოდებ ამის წერისას, როცა ვიხსენებ, რამდენჯერ მიმიღია არასწორი გადაწყვეტილებები წინამძღოლის რანგში. და მაინც, საოცარია, როგორ შეუძლია ღმერთს თავისი მიზნების აღსრულება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაერთიანებული ვართ. ეს

არ გახლავთ დაუდევრად მოსაპყრობი საკითხი, რომ ყურწაგ-დებით ვეძებოთ მისი ნება. ეს ნუგეშისცემად უნდა მოემსა-ხუროს ჩემნაირ წინამძღოლს, რომელსაც შეცდომები დაუშვია.

ახლა, კიდევ ერთ რეალობას მინდა შევეხო, რომელიც ცოცხალ ერთიანობას ხელს უშლის. ეს გახლავთ ეკლესიაში სხვადასხვა მოქმედებათა შესახებ ცოდნის ნაკლებობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცათა სამეფოს წინსვლის მიზნისკენ მიმავალი სხვადასხვა გზები არსებობს. პავლემ კორინთელთა ეკლესიას უთხრა, რომ ეკლესიაში განსხვავებული ნიჭები და მსახურებებია და შემდეგ ასე დაწერა: *„სხვადასხვა სახის მოქმედებები* [მიზნის მისაღწევი ქმედებები] არსებობს, მაგრამ იგივე ღმერთი ასულდგმულებს და ააქტიურებს ყველას ყველაფერში“ (1 კორ. 12:6, გავრც, თარგმანი). *არის სხვადასხვა სახის მოქმედებები* ანუ ჩვენს სამეფოში მსახურებები წარმა-ტებით წარიმართება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

პავლე მოციქული სამხედრო ტერმინებს ხშირად იყენებდა ეკლესიის დასარიგებლად. ეს სულაც არ არის ხატოვანი გამოთქმები, რადგან ჩვენ ღვთის არმიის წევრებს წარმოვადგენთ დედამიწაზე. ამ განსხვავებული მოქმედებების საილუსტრაციოდ მის ხელმძღვანელობას მოვიშველიებ. ჩვენი შეერთებული შტატების თავდაცვა სხვადასხვა განშტოებებისგან შედგება. გვყავს არმია, ფლოტი, საჰაერო ძალები, საზღვაო ქვეითები და სანაპირო დაცვა. ამ განყოფილებებს სხვადასხვა პროცედურების გავლა სჭირდებათ თავიანთი მიზნებისა და პასუხისმგებლობების შესასრულებლად. ხშირად ეს მეთოდები ყველა ძალისთვის უნიკალურია, მაგრამ ისინი ერთად მოქმედებენ, როცა საქმე ერის დაცვასა და მომსახურებაზე მიდგება.

საჰაერო ძალების კადეტი განსაკუთრებულად იწვრთნება, როგორც შეერთებული შტატების საჰაერო ძალების ფუნქციონირებადი წევრი. მითითებების უმეტესი ნაწილი მიმართულია საჰაერო ტაქტიკური ოპერაციების შესწავლისკენ, რადგან ეს დანაყოფი ძირითადად, ცაში მოქმედებს. თუ ის ხელახლა დარეგისტრირდება არმიაში, ახალი ტიპის წვრთნის გავლა მოუწევს. რასაკვირველია, არსებობს სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ორივე მიმართულებისთვის საერთოა. და მაინც, არმია დიდად განსხვავდება საჰაერო ძალებისგან, ვინაიდან ის ძირითადად, ხმელეთზე მოქმედებს. ყოფილ

საჰაერო ძალების ჯარისკაცს ახალი ტაქტიკური მანევრებისა და სამხედრო სტრატეგიების შესწავლა მოუწევს.

ამ თვალსაჩინოების გათვალისწინებით გადავხედოთ პავლეს სიტყვებს კორინთელთა ეკლესიის მიმართ:

„ამიტომ გევედრებით, გახდით ჩემი მომბაძველნი“. (1 კორ. 4:16)

პავლე ეკლესიას სთხოვდა, რომ მისთვის მიებაძათ. მას არ დაუწერია: „მომბაძეთ მე, როგორც მე – ქრისტეს“. ეს მოგვიანებით გააკეთა (1 კორ. 11:1). არსებობს მიზეზი, რატომაც არ დაწერა ასე ამ ეტაპზე. ეს მისი მომდევნო სიტყვებიდან ჩანს:

„ამიტომ გევედრებით, გახდით ჩემი მომბაძველნი. ამისთვის გამოვგზავნე თქვენთან ტიმოთე, ჩემი საყვარელი და ერთგული შვილი უფალში, რომელიც გაგახსენებთ *ჩემს გზებს ქრისტე იესოში,* როგორც ვასწავლი ყველგან, ყველა ეკლესიაში“. (1 კორ. 4:16-17)

პავლემ (მის მიერ დაფუძნებულ) ეკლესიას უთხრა, რომ მისთვის მიებაძათ და შემდეგ დაამატა: „ამისთვის გამოვგზავნე თქვენთან ტიმოთე“. რატომ იყო საჭირო ტიმოთეს გაგზავნა? იმისთვის, რომ კორინთელებისთვის შეეხსენებინა *პავლეს გზები ქრისტეში.* ყურადღება მიაქციეთ, რომ მას არ მიუწერია: „ტიმოთე გაგახსენებთ იაკობის გზებს ქრისტეში.“ იყო თუ არა იაკობი მოციქული ეკლესიაში? რასაკვირველია! იყო თუ არა ის ღვთისნიერი წინამძღოლი? რასაკვირველია! იაკობი პავლეზე დიდი ხნის მანძილზე იყო თუ არა მოციქული? ისევ, დიახ! მისი გზები, მეთოდები ან მოქმედებები პავლეს გზებისგან განსხვავდებოდა? პასუხი ისევ დადებითია. ნუთუ პავლეს მითითებები იაკობის გზებს ქრისტეში უუნაროს ხდის? რასაკვირველია, არა! თუმცა იაკობის გზები არ შეესაბამებოდა კორინთელთა ეკლესიას, რომელიც პავლემ დანერგა. ანალოგიურად, *საჰაერო ძალების* გზები ფლოტში არ გამოდგება. არის ზოგი რამ საერთო, მაგრამ მათ შორის ბევრი განსხვავებაა.

მოდით, ამაზე კიდევ დავფიქრდეთ. პავლეს ტიმოთესთვის არ უთქვამს, რომ ეკლესიისთვის ესწავლებინა „პეტრე მოციქულის

გზები“ ან „იუდა მოციქულის გზები“ ან „იოანე მოციქულის გზები“ ქრისტეში. არა. პავლემ დანერგა იქ თავისი წინამძღოლობის კულტურა და შესაბამისად აგრძელებდა. მისი მეთოდები სხვებისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ჭეშმარიტი იყო ქრისტეს ფუნდამენტური მოძღვრებისთვის. პირველი ეკლესიის წინამძღოლები იგივე მრწამსსა და მოძღვრებას იზიარებდნენ. თუმცა ყოველ მათგანს განსხვავებული მეთოდი ჰქონდა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს ყველა ერიდან იმოწაფებდნენ.

იფიქრეთ რეალობაზე იმ ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელსაც ეკუთვნით. დავუშვათ, თქვენი უფროსი პასტორები გახლავან, ჯიმ და ლიზა სმითები. მათ და წინამძღოლთა გუნდმა, ღვთის მადლით, ეკლესია ათასხუთას წევრამდე გაზარდეს და ამას მათი ხელმძღვანელობისთვის გამორჩეული სტილით – კულტურისა და მეთოდების – გამოყენებით მიაღწიეს. თქვენი ეკლესიის ნაყოფიერებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მას ადგილობრივი აღიარება აქვს, მაგრამ ამაზე შორს ვეღარ მიდის.

დავუშვათ, სხვა ადგილას არსებობს გლობალური მასშტაბის სხვა, ძალზე ცნობილი ეკლესია. იქაური პასტორები არიან დაგ და ჰიზერ ჯონსები. ისინი აყალიბებენ მიმართულებებს და მსახურებას სრულიად ახალი ტაქტიკის გამოყენებით უძღვებიან. მათი ზეგავლენა გაცილებით მეტ ადამიანს მოიცავს, ვიდრე თქვენს პასტორებს აქვთ. ვის გზებს გაყვებით, ჯონსებისას თუ სმითებისას (თქვენი პასტორებისას)? ნამდვილად იქნება მსოფლიოში ცნობილი პასტორების კვალზე სიარულის ცდუნება. უფრო მეტიც, შეეცდებით თქვენმა წინამძღოლებმაც გადაიღონ მათი მეთოდები. კორინთელებისგან არაფრით განსხვავდებით და ამიტომ თქვენი ლიდერების გზებს უნდა იცნობდეთ და მიყვებოდეთ ერთიანობისა და დიდების გულისთვის. რეალობა ის გახლავთ, რომ თქვენი წინამძღოლები სმითები არიან და არა ჯონსები.

ხედვა ფრინველის თვალსაწიერიდან

ოცდაათ წელზე მეტია მსოფლიოს გარშემო ყოველ კვირას ვმოგზაურობ. მქონდა ათასზე მეტ კონფერენციასა და საეკლესიო მსახურებაზე დასწრების პატივი ორმოცდაცხრა

შტატსა და სამოცზე მეტ ქვეყანაში. დიდი პრივილეგია გახლავთ უამრავ საეკლესიო ქსელში სხვადასხვა მოქმედებებზე დაკვირვება. როცა სტუმრის სტატუსით მიწვევენ, იმ ეკლესიის კულტურის შესწავლა ჩემი უმთავრესი მიზანია.

როცა ჩემთან სტუმრად მოხვალთ, ვერ მასწავლით, როგორ უნდა ვმართო სახლი. მხოლოდ დაკვირვებას შეძლებთ, თუ როგორ მუშაობს ყველაფერი. სტუმარს არ შეუძლია სადილის დროის ან კერძების განსაზღვრა. არც კი იკითხავთ: „რომელზეა სადილი?“ როცა ეს დრო დადგება, სუფრასთან მიგიწვევენ და მადლიერებით მიიღებთ, რასაც მასპინძლები შემოგთავაზებენ.

როგორც სტუმარი, წინამძღოლს ვეკითხები: „რას იცვამთ კათედრასთან გამოსვლისას?“ შემდეგ ვცდილობ ისე ჩავიცვა, როგორც მისთვის მისაღები იქნება. მახსოვს, ერთ კონფე-რენციაზე დასასწრებად გავემგზავრე და სცენაზე ჯინსების და ჩაღილული პერანგის ჩაცმას ვაპირებდი. აეროპორტში ჩვენ გუნდს სმოკინგებში გამოწყობილი ოთხი მამაკაცი დახვდა ორი თეთრი ლიმუზინით, რომ სასტუმროში წავეყვანეთ და მოგვმსახურებოდნენ. უფროსი პასტორი რომ ვყოფილიყავი, ჩამოსულ სტუმრებს სხვაგვარად დავხვდებოდი. ჩემს ერთ-ერთი ვაჟს ან გუნდის წევრს ყოველდღიური სამოსით გავუშვებდი ერთი ან ორი კარგი და სუფთა მანქანით, რომ სტუმრები მოეყვანათ. თუმცა ეს არ იყო ჩემი ეკლესიის კონფერენცია. ადვილი დასანახი გახლდათ, რომ გარეგნული პატივისცემა ამ ეკლესიის პრიორიტეტს წარმოადგენდა. მაშინვე მივხვდი, რომ კათედრისთვის მომზადებული სამოსი მათ კულტურას და მეთოდებს შეურაცხყოფდა, ამიტომ შესაფერისი ტანსაცმლის შოვნაზე ვიზრუნე.

როგორც სტუმარი, კითხვას ვსვამ: „რამდენ ხანს გსურთ, რომ ვილაპარაკო? პატივს მივაგებ მათ ნათქვამს და ვცდილობ დროის იმ მონაკვეთის ფარგლებში ჩავჯდე. თუმცა ყოველთვის ასე არ ვიქცევი. ჩემი ერთ-ერთი გმირის, ტომი ბარნეტის ეკლესიაში ყოველწლიურად ვქადაგებ აგერ უკვე თხუთმეტ წელზე მეტია (მისი ეკლესია ცნობილია Phoenix First Assembly-ის სახელით, მაგრამ ახლა მას Phoenix Dream Center-ს უწოდებენ და პასტორი მისი ვაჟი, ლიუკი გახლავთ). პირველ კვირა დილის მსახურებაზე მან ორმოცი წუთი მომცა ქადაგებისა და მსაუხრებისთვის. ისიც დაუმატა, რომ კათედრიდან ჩანდა საათი

ჩემს დასახმარებლად, რომელიც დროს უკუღმა ითვლიდა. ისე მოხდა, რომ ათი წუთი გადავაჭარბე.

მან უცებ დატოვა მსახურება ისე, რომ ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ვიცოდი, რომ უკმაყოფილო იყო. მთელი შუადღე ვიტანჯებოდი ამის გამო. საღამოს მსახურებამდე მის კაბინეტში მარტონი აღმოვჩნდით და დავინტერესდი, დილის მსახურებაზე მომხდარმა ხომ არ გაანაწყენა.

მან მიპასუხა:

– დიახ, ასეა.

მე ვკითხე:

– იმიტომ რომ დიდხანს ვილაპარაკე?

მან მითხრა:

– დიახ.

ცოტა ხნით შეჩერდა და განაგრძო:

– მომწონხარ, ჯონ, ამიტომ გეტყვი ჩემი უკმაყოფილების მიზეზს. აქ უამრავი ადამიანი გვყავს, რომელსაც გადატვირთული გრაფიკი აქვს. ბავშვებთან დაგეგმილი პროგრამით მუშაობენ, რომელიც ჩვენი მთავარი მსახურების გრაფიკს შეესაბამება. როცა ათი წუთით მეტი ილაპარაკე, ისინი გრაფიკიდან ამოვარდნენ. ოცდაათზე მეტი ავტობუსი გვყავს, რომლებსაც დამსწრენი უკან მიჰყავთ თავიანთ ღარიბ უბნებში და ყველა მძღოლი ხალხს ელოდებოდა ჩართული ძრავებით. რა უნდა ექნათ?

სია გრძელდებოდა.

შემდეგ დასკვნის სახით ასეთი კითხვა დამისვა:

– შენ არაფრად ჩააგდე ჩვენ მიერ დადგენილი წესრიგი, რადგან კიდევ ათი წუთით ლაპარაკი მოგინდა?

კარგი წვრთნა ჩამიტარდა და შეცდომიდან ვისწავლე.

როგორც სტუმარი, წინამძღოლს ვეკითხები ხოლმე: „როცა ადამიანებს ხსნის მისაღებად იხმობთ, სცენაზე ამოსვლას სთხოვთ, ადგილებზე დარჩენას თუ ხელების აწევას?“ ყურადღებით ვუსმენ წამყვანი პასტორის პასუხს და მათთვის მისაღები კულტურის თანახმად ვმოქმედებ. მტკიცედ მწამს, რომ ადამიანი ნამდვილად მიიღებს გადარჩენას ზემომოყვანილი სცენარებიდან ნებისმიერის პირობებში.

ეს ის სანიმუშო კითხვებია, რომელთაც ვსვამ. თუ ჩემი გეგმა განსხვავებულია და ვფიქრობ, რომ ეს უფრო გამოდგება, უფროს პასტორს ვთხოვ, ხომ არ იქნება წინააღმდეგი, რომ გეგმიდან

ცოტათი გადავუხვიო. ისინი მოწონებით უყურებენ თხოვნას და თითქმის ყოველთვის სიხარულით მაძლევენ ამის უფლებას.

უამრავი სხვა თვალსაჩინოება არსებობს, რომელთა მოწოდებაც შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, უკვე დაინახეთ, რომ ჩემი მთავარი მიზანია წინამძღოლის მიერ დადეგნილი მეთოდების შესაბამისად მოქმედება, რაც არის მისი „გზები ქრისტეში“. იმ შემთხვევაში, თუ წინამძღოლი იტყვის, „ჩვენ არ გვწამს, რომ საჭიროა ხსნისთვის მოწოდება, რადგან იესო ერთ-ერთი გზაა ღვთისკენ. ჩვენ გვჯერა, რომ საუკუნო სიცოცხლემდე მრავალი გზა მიდის“, მაშინ უარს ვიტყვი მათი გზის გათვალისწინებაზე, რადგან აქ საქმე არ გვექნება მსახურების მეთოდთან, არამედ წინამძღოლის შეხედულებასთან, რომელიც ქრისტიანობის ფუნდამენტურ ჭეშმარიტებებს უპირისპირდება.

ქრისტეს სხეულს წლების მანძილზე, ასე ვთქვათ, ფრინველის თვალსაწიერიდან, მასშტაბურად ვაკვირდებოდი. ამიტომ მრავალი ტრაგედიის მომსწრე ვარ, რომელიც ამ საბაზისო ჭეშმარიტების უცოდინარობას მოჰყვა. ვიხილე, რომ წინამძღოლობის ან ბიბლიური წვრთნის სკოლებში წასულებმა მათი მშობლიური ეკლესიისგან სრულიად განსხვავებული კულტურა აითვისეს. ხშირად ეს სკოლები რომელიმე დიდ ეკლესიას უკავშირდებიან, რომელიც მათთვის საერთო გარემოს ავითარებს. ამრიგად, მოსწავლეები ეკლესიურ მეთოდების გამოყენების პროცესში ერთვებიან, როგორც სკოლებში, ისე შაბათ-კვირის თაყვანისცემის მსახურებებზე.

გამოშვების შემდეგ ისინი დიდი ენთუზიაზმით სავსენი ბრუნდებიან და მშობლიური ეკლესიის გარემოს შეცვლას იწყებენ. შესაძლოა, მათ მიერ ნასწავლი უფრო მისაღები და ეფექტურიც იყოს, მაგრამ თუ ძალიან დაიჟინებენ, ღრმა წყალქვეშა დინებად იქცევიან ეკელსიაში. თუ მათ მიერ შემოთავაზებული მეთოდები უარყვეს, საუკეთესო გზა იქნება ლოცვა და ღვთის წინაშე საკითხის მიტანა, უნდა განაგრძონ სვლა თუ მთელი გულით დაემორჩილონ თავიანთი წინამძღოლის მეთოდებს.

ახალგაზრდა პასტორი რომ ვიყავი, სხვადასხვა მოქმედებების, ტექნიკისა და მეთოდების არცოდნა ჩემს პასტორთან ძლიერი დაპირისპირებისკენ მიბიძგებდა. ლუიზიანის ეკლესიაში წავედი და ის მეთოდი შევისწავლე, რომელიც იქ საუცხოოდ მუშაობდა. ისე ვიყავი აღფრთოვანებული მათი წარმატებით,

რომ საკითხს ღრმად არ დავუფიქრდი, გამოდგებოდა თუ არა ასეთი მიდგომა ჩვენი ეკლესიის გარემოში. ცხადი იყო ჩემი წინდაუხედაობა და ახლა ვხედავ, რამდენად შეუსაბამო იყო ხსენებული მეთოდი ჩემი პასტორის „ქრისტესმიერ გზებთან“. ლუიზიანის ეკლესიის წინამძღოლი ჩემი უფროსი პასტორისგან სრულიად განსხვავებული პიროვნება გახლდათ. ორივე მათგანს გლობალური მასშტაბის მსახურება ჰქონდა, ორივე ეფექტური იყო, ორივეს მიჰყავდა უამრავი ადამიანი ცათა სამეფოში, მაგრამ ამ საქმეების კეთების გზა ორივეს განსხვავებული ჰქონდა.

ჩვენ ყველაზე მობილური საზოგადოება ვართ ისტორიაში არსებულთაგან. უმეტესი ჩვენგანი, ალბათ, ერთხელ ან რამდენჯერმე მაინც შეიცვლის ეკლესიას ცხოვრების მანძილზე. ახალ თემთან შეხვედრისას უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ შეისწავლოთ იქაური გარემო. ეს ისეთი რამაა, რაც გამიზნულად უნდა ვაკეთოთ. რაც უფრო მალე მოვერგებით ქრისტეს გზების მათებურ გაგებას, მით მეტად გავძლიერდებით როგორც პიროვნულად, ისე მთლიანი სხეულის ნაწილად ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

თავი 16

სხვადასხვა წვრილმანი

*როცა ნამდვილად ვიღებთ გადარჩენას
და ღვთის ნების ძიებას ვიწყებთ, ეკლესიის
ლეგიტიმურ ძალაუფლებასაც ვცნობთ.*

წინა თავებში ყურადღება, ძირითადად, ეკლესიასა და სამოქალაქო ძალაუფლებაზე გავამახვილეთ. როგორც ადრე აღვნიშნე, პრინციპების უმეტესობა ძალაუფლების ყველა კატეგორიას ერგება. ამ თავში ღვთის სიტყვის განსაკუთრებულ მითითებებზე ვიმსჯელებთ, რომლებიც სხვა სფეროებს, გამორჩეულად კი, ოჯახს ეხება. მათი უმეტესობა მხოლოდ მისი შესაბამისი კატეგორიისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომ ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ. ამ თავში მოყვანილ თემაზე, ალბათ, მთელი წიგნიც დაიწერებოდა. როგორც არ უნდა იყოს, თუ უკვე ნასწავლ პრინციპებს ამჟამად განსახილველ საკითხებზე განვავრცობთ, წიგნი ჩვენს გულებში დაიწერება. ასევე მოვიყვანთ რამდენიმე ზოგად მითითებას, რომელიც იმდენად ყოვლისმომცველი არ არის, რომ ცალკე წიგნად გამოიყოს. სწორედ ამ მიზეზის გამო თავს სხვადასხვა წვრილმანი ვუწოდე.

ოჯახი

სანამ ეკლესია, საერო მთავრობა ან სოციალური ძალაუფლება იქნებოდა, ოჯახი არსებობდა. მისი ფუნქციონირება ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მასზე სხვა სამი სფროს გამართულობა არის დამოკიდებული. შესაძლებელია, გადაცემული ძალაუფლების სხვა სფეროში გქონდეთ ნაკლოვანებები, მაგრამ ოჯახი დამოუკიდებლად ძლიერი რჩებოდეს. თუმცა

მოუგვარებელი ოჯახური მდგომარეობა აუცილებლად იქონიებს გავლენას სხვა სფეროებზე. ოჯახური ძალაუფლება სხვა ასპექტების არსებითი საფუძველია.

ოჯახის წიაღში ვხედავთ წმიდა წერილით წარმოდგენილ ღვთიურ წესრიგს:

„შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, ვინაიდან ასეა მოსაწონი უფალში“. (კოლ. 3:20)

„ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი ... როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს - ყველაფერშ“ი. (ეფეს. 5:23-24)

ეს მცნებები ახალი აღთქმის სხვა მონაკვეთებშიც გვხვდება, რომლებიც ოჯახისთვის ღვთის ძალაუფლების სტრუქტურას განსაზღვრავს. შვილები მშობლებს უნდა დაემორჩილონ ყველაფერში, რაც ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მცნება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ბავშვს ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოს გაკეთებას სთხოვს, როგორიცაა სექსუალური უსაქციელობის წახალისება, ტყუილი, ქურდობა ან არჩევანის გაკეთება ორ მშობელს შორის და სხვა ამგვარი.

ასეთი გამონაკლისი ჩემს ოჯახში მოხდა და ეს თქვენთვის კარგი მაგალითი იქნება. პერდიუს უნივერსიტეტში ინჟინერ-მექანიკოსის პროფესიის დაუფლებისას ჩემი ცხოვრება იესოს ქრისტეს მივუძღვენი. მოკლე ხანში მივხვდი, რომ სახარების ქადაგებისთვის ვიყავი მოწოდებული. ერთ-ერთი არდადეგების დროს სახლში ჩამოვედი და მშობლებს, რომლებიც მიძღვნილი კათოლიკეები იყვნენ, განვუცხადე, რომ საინჟინრო სკოლის დასრულების შემდეგ ბიბლიის კოლეჯში სწავლას ვგეგმავდი. ჩემმა ნათქვამმა ისინი დააღონა. ეს გადაწყვეტილება რეაქციული და იმპულსური მოეჩვენათ. ფაქტობრივად, დედაჩემმა მითხრა: „ბიბლიის სკოლაში მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ შეძლებ სწავლას!“

დედას თავმდაბლობით და პატივისცემით ვუპასუხე: „დედა, მიყვარხარ და მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთე, მაგრამ მე ღმერთს უნდა დავემორჩილო“. ამ სიტყვებმა

ის ვერ ანუგეშა და ვერც სიამოვნება მიანიჭა. მშობლებმა უფრო მეტად მოიწყინეს.

იესომ გვითხრა: „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი; ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი“ (მათ. 10:37). სახარების ამ და სხვა მსგავსი ადგილებით გამხნევებულმა ვიცოდი, რომ საყვარელ დედ-მამასა და იესოს მსახურების მოწოდებას შორის უნდა ამერჩია. ჩემს გადაწყვეტილებაში არ იყო ყოყმანის კვალი.

რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახში უხერხულობა იგრძნობოდა. მშობლები ისევ მიყვარდა და პატივს ვცემდი, ფაქტობრივად, ადრინდელზე მეტადაც კი, რადგან ახლა ღვთის მადლი მეწეოდა. დრო გავიდა და მათ დაინახეს ჩემს ცხოვრებაში იესოს მოქმედების ნაყოფი და თვრამეტი წლის შემდეგ, როცა მამა უკვე სამოცდაცხრამეტი წლის გახლდათ, ორივე მშობელთან ერთად ლოცვის პატივი მხვდა წილად, რომ იესო უფლად მიეღოთ. ამის შემდეგ ისინი ჩვენს წიგნებს კითხულობდნენ, ჩვენს ვიდეოებს უყურებდნენ და მეგობრებსაც უზიარებდნენ. საუკეთესო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, როგორიც კი ოდესმე გვქონია.

იესოც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მშობლების მორჩილებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „გაჰყვა მათ და ნაზარეთში დაბრუნდა; ყველაფერში ემორჩილებოდა მათ“ (ლუკ. 2:51). მიუხედავად ამისა, როცა მან მსახურება დაიწყო, მახვილმა გაიარა მათში და გამოააშკარავა გულის აზრები და ზრახვები, როგორც სიმონმა იწინასწარმეტყველა ჩვილი იესოს ნახვისას (ლუკ. 2:35). იესოს ძლიერი სიტყვა ბევრ ადამიანს უხერხულობას უქმნიდა და აბრაზებდა მისი ოჯახის წევრების ჩათვლით. მათი დამოკიდებულება ისე დაიძაბა, რომ დედა კიდევაც შეეწინააღმდეგა:

> „მისიანებმა გაიგეს და წამოვიდნენ მის შესაპყრობად, რადგან ამბობდნენ შეშლილიაო ... მივიდნენ მისი ძმები და დედა, გარეთ დადგნენ და გაგზავნეს მის დასაძახებლად. მის გარშემო ხალხი ისხდა, როცა უთხრეს, გარეთ დედაშენი და შენი ძმანი და დანი არიან და გეძებენო. მან კი პასუხად უთხრა: „ვინ არიან დედაჩემი და ჩემი ძმები?“ და გადახედა რა გარშემო მსხდომთ, თქვა: „აჰა, დედაჩემი და ჩემი ძმები. რადგან ის, ვინც ღვთის ნებას შეასრულებს, ისაა ჩემი ძმაც, დაც და დედაც“. (მარკ. 3:21, 31-35)

იგი ყველაფერში ემორჩილებოდა მშობლებს, სანამ მათ ზეციერი მამის ნების წინააღმდეგ წასვლა არ მოსთხოვეს. კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მისი ოჯახი ზემო თვალში აღმოჩნდა და სულიწმიდის გადმოღვრაში მოყვა. რაღაც მომენტში ისინი უფლის მიმდევრები გახდნენ.

ეს კარგი არ იქნება ჩემს შემთხვევაში

„ახლა დავუბრუნდეთ ნორმას და არა გამონაკლისს, რომ ეს პირველი მცნებაა, რომელიც შვილებს მშობლების პატივისცემას და მორჩილებას ავალდებულებს და ორმაგი აღთქმა მოყვება: *მიეცეთ სიკეთე და დღეგრძელი იყვნენ დედამიწაზე“.* (ეფეს. 6:2-3; კოლ. 3:20)

ამ მცნების ურჩობის შედეგები საკუთარ თავზე ვიწვნიე. პერდიუს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ როქუელ ინთერნეშნალში დავიწყე მუშაობა. იმ ეკლესიაში დავდიოდი, რომელზეც ადრე გიამბეთ. მეორე მსახურების შემდეგ ჩემი ასაკის ახალგაზრდებთან ერთად საჭმელად წავედი. იქ მარტოხელა ზრდასრულების ჯგუფის ლიდერს შევხვდი. ის საცხოვრებელ ადგილს ეძებდა. მეც ამ ქალაქში გადმოსვლას ვაპირებდი. მცირეოდენი საუბრის შემდეგ ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა ბინის ერთად დაქირავება. ეს ამბავი ძალიან მახარებდა, რადგან საკმაო ფულს დავზოგავდი. კოლეჯის შემდგომი შესვენება მქონდა.

მეორე დღეს მამას დავურეკე და ახალი ამბავი ვაცნობე. ვფიქრობდი, რომ ჩემს აღტაცებას გაიზიარებდა თვეების განმავლობაში რამდენიმე ასეული დოლარის დაზოგვის შესახებ, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის ნაცვლად მან მითხრა: „შვილო, არ მომწონს ეს. ასე არ მოიქცე, იმ ადამიანს საერთოდ არ იცნობ.“ მისი დარწმუნება დავიწყე და ვუთხარი, რა ენთუზიაზმით იყო ის ახალგაზრდა ჩართული მარტოხელათა მსახურებაში, მაგრამ მამამ აზრი არ შეიცვალა.

ყურმილი დავდე თუ არა, დავასკვენი, რომ მამას ეს საკითხები არ ესმოდა, რადგან მორწმუნე არ იყო. ბოლოს და ბოლოს, იმ ხელმძღვანელს ხომ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეკლესიაში! მამის რჩევა უგულებელვყავი. მეორე დღესვე წავედით ბინის სანახავად და კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ. როცა გადამზი-

დი მანქანა ვიპოვეთ, ჩემმა ახალმა თანამცხოვრებმა მითხრა, რომ ჩეკების წიგნაკის წამოღება დაავიწყდა და გადახდა მე მომიხდა. როცა ჩვენი ბინის საფასურის ნაწილის წინასწარ გადარიცხვა დავაპირეთ, იგივე მოიმიზეზა. ანალოგიური შემთხვევები კიდევ გაგრძელდა და საბოლოოდ, მე გადავიხადე ორი თვის ქირა, კომუნალურები და მისი არანორმალურად გრძელი სატელეფონო ზარების საფასური (იმ დღეებში ეს ზარები საკმაოდ ძვირი ღირდა).

იმ ადამიანს რამდენჯერმე ჩემი მანქანაც ვათხოვე, რადგან თავისი არ ჰყავდა. მანქანას მეორე დილას მიბრუნებდა ხოლმე, მაგრამ სიგარეტის ბოლით ყარდა. ბოდიშებს მიხდიდა და მეუბნებოდა, რომ გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებოდა. ერთ დილას აღმოვაჩინე, რომ მანქანას გვერდი გვარიანად შეჭეჭყილი ჰქონდა. ძალიან გავბრაზდი, მაგრამ გარეგნულად არ შევიმჩნიე. ერთ საღამოს საწოლი ოთახიდან ღამის 4 საათზე გამოვედი და მისაღებ ოთახში სრულიად უცნობი ადამიანი დავინახე, რომელსაც ხელში ლუდის ქილა და სიგარეტი ეჭირა. მან ისე შემომხედა, თითქოს ვიღაც მომხდური ვყოფილიყავი.

საკუთარ სახლში ვიტანჯებოდი, მაგრამ ახალმოქცეული მორწმუნე ვიყავი და ვფიქრობდი, *რომ სიყვარულში უნდა მევლო, არ უნდა გავღიზიანებულიყავი* და არ უნდა განმეკითხა. ამიტომ მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფრის გაკეთება არ მიცდია. ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ რამდენიმეა ამ კაცთან ჩემი ყოველდღიური ბრძოლებიდან.

რამდენიმეკვირიანი ტანჯვის შემდეგ გავიგე, რომ ჩემი თანამობინადრე ჰომოსექსუალი ყოფილა. მაშინვე ვუთხარი, რომ გუდა-ნაბადი აეკრა, მაგრამ დიდი ხალისი არ დასტყობია. სანამ ის ცოდვაში ცხოვრობდა, ყველაფრის გადახდა მე მიწევდა. ამავდროულად, მარტოხელების პასტორმა მისი ცხოვრების წესის შესახებ შეიტყო და ლიდერობიდან გაათავისუფლა. მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ეს ამბავი ყველაზე ბოლოს გაიგო. საკუთარმა ურჩობამ გარჩევის უნარი დამაკარგვინა.

მამის რჩევის უარყოფის შედეგად ასეულობით დოლარი დავკარგე, რომ არაფერი ვთქვათ, დარღვეულ სიმშვიდეზე. განადგურებული ვიყავი და ის ორი თვე ყველაზე მძიმე იყო ჩემს ცხოვრებაში. როცა ყველაფერი დასრულდა, ღმერთს შევღაღადე:

– უფალო, რატომ მოხდა ასე? ვფიქრობდი, რომ შენ მიხელმძღვანელებდი!

უფალმა მაჩვენა, რომ მისი ხელმძღვანელობა თავად უარვყავი. დავიბენი და კითხვა დავუსვი:

– როგორ მომეცი მიმართულება?

მან მიპასუხა:

– მამაშენის მეშვეობით, მაგრამ შენ არ მომისმინე.

– მამაჩემი ხომ ზეციდან შობილი არ არის, – გავაგრძელე კამათი.

შემდეგ უფალმა გამახსენა, რომ მის სიტყვაში ასე არ არის ნათქვამი: „შვილებო, დაემორჩილეთ მშობლებს, თუ ისინი ზეციდან შობილები არიან!“ მან განმიმარტა:

– ჩემი შვილი ხარ, ამიტომ ჩემს სიბრძნესა და მითითებებს შენი მშობლების გულში ვდებ მიმართულებისა და დაცვისთვის.

სწრაფად ვუპასუხე:

– მე ხომ ახლა დამოუკიდებლად ვცხოვრობ! მამაჩემი ათას მილზე მეტი მანძილითა დაშორებული ჩემგან და არც გადასახადებს მიხდის.

მან მითხრა:

– გადასახადებს რომ იხდი და მამაშენი ათასი მილის იქეთ ცხოვრობს, არ ნიშნავს, რომ ჩემს მცნებას აღარ უნდა დაემორჩილო.

მისი მცნება აღგვითქვამს, რომ სიკეთე გვექნება, თუ მას დავიცავთ და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მე სიკეთე არ მქონდა.

მან მაჩვენა, რა შემთხვევაში თავისუფლდება ადამიანი მამისა და დედის ძალაუფლებისგან. ღმერთმა თავიდანვე განაცხადა: „ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და დედას, მიეკრობა თავის დედაკაცს და გახდებიან ისინი ერთხორცად“ (დაბ. 2:24).

ბოლო მითითება, რომელსაც მშობელი თავის შვილს აძლევს, არის მისი ქორწინების პარტნიორის კურთხევა. სხვათა შორის გეტყვით, რომ ლიზა გაკვირვებული დარჩა, როცა მამამისმა მასზე დაქორწინების უფლება მომცა. მე დავინტერესდი, რატომ გაუკვირდა ეს ამბავი. მან მითხრა: „იმიტომ, რომ მას არ მოსწონდა, ქრისტიანი რომ იყავი“. ეს გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მეფის (ჩვენი ზემდგომის) გული ღვთის ხელშია.

თუ ღვთის მცნებას დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ კაცისა და ქალის ქორწინებისას ძალაუფლების სხვა წესრიგი მყარდება; კაცი დგება მართვის სათავეში.

შვილებს დაოჯახების შემდეგ აღარ ევალებათ მშობლების მორჩილება, თუმცა მათი პატივისცემის ვალდებულება რჩება. მახსოვს, ერთხელ მშობლებს ვკითხე, რატომ არ გვაძლევდნენ

რჩევას მე და ჩემს ცოლს, როცა ჩვენს პრობლემებს შეესწრებოდნენ-ხოლმე. მათ მარტივად მიპასუხეს: „ჩვენთვის რჩევა არასოდეს გიკითხავს“. რა ღვთისნიერად იქცეოდნენ! მინახავს მშობლები, რომლებიც შვილების ცხოვრებაში ერევიან და ისევე აძლევენ მითითებებს, როგორც მათ დაოჯახებამდე იქცეოდნენ. გულისტკივილი და გაუგებრობა იქიდან მოდის, რომ ისინი შვილებს ხელს არ უშვებენ, როგორც მცნება ამბობს.

განსაკუთრებული გაფრთხილება შვილებისთვის

ახალგაზრდების პასტორად რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ დავინახე სახიფათო გზები, რომლებზეც ბევრი ახალგაზრდა დგას. მინდა, რამდენიმე განსაკუთრებული მითითება მოვიყვანო ღვთის სიტყვიდან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშობლების პატივისცემა. იმედი მაქვს, რომ რომელიმე მათგანი ამ წიგნს წაიკითხავს და მოერიდება ახალგაზრდებში გავრცელებული ცოდვის საფუარს, რომელიც გადამდები და სასიკვდილოა. წერილი აცხადებს: „წყეულიმც იყოს დედ-მამის შეურაცხმყოფელი! მიუგებს მთელი ერი და იტყვის: ამინ!“ (2 რჯ. 27:16).

ჩემი მაგიდის მოპირდაპირედ მარტოხელა დედა და მისი მოზარდი ვაჟი ისხდნენ. მთელი საუბრის განმავლობაში ეს ახალგაზრდა დედას ზიზღნარევი სიტყვებით მიმართავდა, თითქოს ბრიყვი და დაბალი დონის ყოფილიყო. რამდენჯერმე შევუსწორე გამოთქმა. კონსულტაციის დასრულების შემდეგ, ჩემდა მოულოდნელად ამოვთქვი: „ახალგაზრდავ, თუ არ მოინანიებთ თქვენს დამოკიდებულებას და ქცევას, ცხოვრებას ციხეში დაასრულებთ.“ ჩემი სიტყვებით მეც ისევე გაოგნებული ვიყავი, როგორც ისინი. ბიჭი მაღიარებელი მორწმუნე და ჩვენი ახალგაზრდული ჯგუფის წევრი იყო. ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

თითქმის ექვსი წლის შემდეგ (მე უკვე აღარ ვიყავი ახალგაზრდების პასტორი, არამედ მოგზაური მქადაგებლის მსახურებას ვეწეოდი) იმ ბიჭის დედამ საკვირაო მსახურების შემდეგ დამინახა და მითხრა:

– პასტორო ჯონ! გახსოვთ, ჩემი შვილი რომ გააფრთხილეთ ციხის შესახებ, თუ არ შეიცვლებოდა? ის ახლა პატიმრობაშია უკვე რამდენიმე წელია.

ეს ამბავი თითქმის დავიწყებული მქონდა, მაგრამ გამახსენდა, როცა ქალმა ახსენა. ვიფიქრე: „როგორ შეიძლება ასე აღფთო-

ვანებული იყოს დედა ამ ამბის მოყოლით? შემდეგ გავიგე, რა იყოს ამის მიზეზი. ქალმა განაგრძო:

– მისი გული ახლა ღვთისთვის ანთია. თანაპატიმრებს უმოწმებს და ციხის მსახურებაშიც ჩართულია. თქვენს წიგნებს კითხულობს და ბევრს იღებს მათგან.

განცვიფრებული ვიყავი, ღვთის განაჩენმა იმ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში ყველაფერი შემოაბრუნა. უმჯობესი იქნებოდა, გაფრთხილება თავის დროზე მოესმინა და ამ განსაცდელში არ ჩავარდნილიყო. თუმცა მნიშვნელოვანი იყო, რომ მის გულში ახლა ღვთიური ცეცხლი ღვიოდა.

ძველ აღთქმაში ვხედავთ, რაოდენ სერიოზული შედეგი მოჰქონდა შვილების მხრიდან მშობლებზე შეტევას ფიზიკურად თუ სიტყვიერად: „ვინც თავის მამას ან დედას შემოჰკრავს, უსათუოდ უნდა მოკვდეს“ (გამ. 21:15); და „თავისი მამის და დედის მაწყევარი, უსათუოდ უნდა მოკვდეს“ (გამ. 21:17). იესო ძველი აღთქმის მცნებას ახსენებდა, როცა თქვა: „რადგან თქვა ღმერთმა: პატივი ეცი მამას და დედას, და მამის ან დედის აუგის მთქმელი სიკვდილით მოკვდეს“ (მათ. 15:4).

მოსემ მითითება მისცა ხალხს, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ამბოხებულ შვილს:

> „თუ კაცს ჯიუტი და ურჩი, დედ-მამის გაუგონარი შვილი ჰყავს, წვრთნიდნენ მას, მაგრამ მაინც არაფერი შეისმინა, მოჰკიდოს ხელი დედ-მამამ და წაიყვანონ ქალაქის კარიბჭესთან უხუცესების წინაშე. უთხრან ქალაქის უხუცესებს: ჯიუტი და ურჩია ჩვენი შვილი, ჩვენი ნათქვამის გაუგონარი, ღორმუცელაა და ლოთი. ჩაქოლოს იგი ქალაქის ყველა კაცმა და მოკვდეს; აღმოფხვერი ბოროტება შენი წიაღიდან, მოისმენს მთელი ისრაელი და შეშინდება“. (2 რჯ. 21:18-21)

დღეს ეს სიტყვები რომ გამოგვეყენებინა, ჩვენი ეკლესიების ახალგაზრდების სიკვდილით დასჯა რეგულარულად მოგვიწევდა. დღეს ამგვარი სასჯელი აღარ არსებობს, მაგრამ ვხედავთ, რომ ღვთის დამოკიდებულება ამბოხებული ქცევის მიმართ გარკვეული და მკაცრია. ეს არ შეცვლილა იმის მიუხედავად, რომ სასჯელის ფორმა შეიცვალა. გულში ამბოხებას ერთი ბეწო ადგილიც კი არ უნდა დავუთმოთ, რადგან ის მკვლელია.

სხვადასხვა წვრილმანი

ჩემი შვილები გავაფრთხილე, რომ თავი დაეცვათ ნებისმიერი სახის ამბოხებისგან. მათ შორის ყველაზე მაცდური და შემპარავი ფორმა წუწუნი გახლავთ. ძალაუფლების სიძულვილს გამოხატავს ვითომ დაუდევრად ნათქვამი: „არ მომწონს შენი ხელმძღვანელობის სტილი. შენს ადგილას რომ ვიყო, სხვაგვარად მოვიქცეოდი“. ეს ძალაუფლებას შეურაცხყოფს. ახლა ხედავთ, როგორ დატოვა დრტვინვამ ისრაელიანები აღთქმული მიწის გარეშე? წუწუნი ღვთით უკმაყოფილებას გამოხატავდა, თუმცა მოსესკენ იყო მიმართული. არსებითად, ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთი არასწორად იქცეოდა და მის ადგილას სხვაგვარად იმოქმედებდნენ.

მშობლების პატივისცემას ხანგრძლივი და კეთილი ცხოვრების მშვენიერი აღთქმა მოაქვს. ეს ჩვენს გულში მყარად უნდა დამკვიდრდეს.

ქორწინება

მოდით, ყურადღება მივაპყროთ ქორწინების ღვთიურ წესრიგს. წერილი გვეუბნება, რომ ცოლები ქმრებს „ყველაფერში“ უნდა დაემორჩილონ (ეფეს. 5:24). ეს მცნება არა მარტო სულიერ საკითხებს ეხება, არამედ ცხოვრების ფიზიკურ მხარეებსაც. პავლე ახსენებს „თავიანთ ქმრებს“. სხვა კაცს არ აქვს ცოლზე ძალაუფლება – მხოლოდ თავის ქმარს. მწყემსს ძალაუფლება აქვს სხვის ცოლზე მხოლოდ საეკლესიო და სულიერ სფეროებში, უფროსს – სახლის გარეთ სამსახურში, სამოქალაქო ხელისუფლებას – ქვეყნის საკითხებში, მაგრამ როცა ქალი სახლში ბრუნდება, ქმარია მისი ზემდგომი ძალაუფლება.

1980-იანის წლების შუაში მე და ჩემი ცოლი ცრუმოძღვრების მახეში გავებით. გვითხრეს, რომ ახალი აღთქმა შოვინისტი კაცების მიერ დაიწერა და მათი სიტყვები არ უნდა გავითვალისწინოთ, როცა საქმე ქმარსა და ცოლს შორის ძალაუფლებას ეხებაო. ისიც დაუმატეს, რომ იესოსმიერი ხსნა თანაბრად ეკუთვნოდა როგორც კაცს, ისე – ქალს. ეს ძირითადად მართალია, მაგრამ გამოსყიდვა ძალაუფლებას არ გამორიცხავს. წლების მანძილზე ჩვენს სახლში მშვიდობა არ იყო. ძალაუფლებისთვის გამუდმებით ვეჯახებოდით ერთმანეთს.

ამ ქარტეხილებში წლები გავიდა და ერთ დღესაც ცოლს ვუთხარი:

– ღმერთმა ამ სახლის თავად დამაყენა და მის მართვას ვაპირებ, შენ გამომყვები თუ არა.

ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ არა ჩემი ცოლისთვის. უფალმა მაჩვენა, რომ მე, როგორც წინამძღოლს, ძალა არ უნდა დამეტანებინა ჩემს ქვევით მდგარი ადამიანებისთვის. არც იესო მოქცეულა ასე. თუ ქვემდგომები წინამძღოლს არ გაყვებიან, თავად დაზარალდებიან.

ღვთიურ მოსვენებასა და სიმშვიდეში შევედი. თუმცა ლიზას უწევდა სახლის ყოველგვარი ზეწოლის ზიდვა. ის დარწმუნებული იყო, რომ მე უპასუხისმგებლო ლიდერი ვიყავი. ახალგაზრდობის გამო ბევრი ნაკლი მქონდა, ამიტომ მისი მოსაზრებები გამართლებული ჩანდა ჩემი წარსული შეცდომების ფონზე. ზოგჯერ მისი შიშები ისეთ უკიდურესობას აღწევდა, რომ შუაღამეზე მაღვიძებდა ჩემი მოვალეობებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახსენებლად, როცა თვითონ გაცილებით მეტი რამ ჰქონდა საკუთარ თავზე აღებული. მე უბრალოდ ვურჩევდი, რომ ყოველგვარი საზრუნავი ღვთისთვის მიენდო და ძილს ვაგრძელებდი, ის კი სრულიად გამოფხიზლებული იწვა და უარესის მოლოდინში იყო.

ლიზასთვის ტვირთი გაიზარდა. გამუდმებით ნერვიულობა ღრღნიდა. მისი გონება არასოდეს ისვენებდა და სულ იბრძოდა ყველა შესაძლო კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში, რომელიც შეიძლებოდა ჩვენს ოჯახს თავს დატყდომოდა.

მოკლე ხანში ლიზას შინაგანი დაძაბულობა აუტანელი გახდა. ის საათებს ატარებდა საშხაპეში ან აბაზანაში, რომ ზეწოლა შეემსუბუქებინა. ერთ-ერთ ასეთ საღამოს საშხაპეში ყოფნისას ღმერთი დაელაპარაკა:

– ლიზა, როგორ ფიქრობ, ჯონი კარგი წინამძღოლია?

მან სწრაფად უპასუხა:

– არა, არ მგონია, მე მას ვერ ვენდობი!

უფალმა მიუგო:

– ლიზა, ჯონის ნდობა არ გჭირდება. მე უნდა მენდო. შენ ფიქრობ, რომ ჯონი კარგად ვერ ასრულებს ოჯახის თავის მოვალეობას. ისეთი გრძნობა გაქვს, რომ შენ უკეთ შეგიძლია. შენს გულში არსებული დაძაბულობა და მოუსვენრობა ოჯახის თავისთვის განკუთვნილი ტვირთი და ზეწოლაა. შენთვის ეს უღელი იქნება, ხოლო შენი ქმრისთვის – მანტია. შეუშვი ხელი.

ლიზამ მეყსეულად დაინახა ეს. ღმერთი და არა ვინმე ძალაუფლებას მოწყურებული ადამიანი ეუბნებოდა, რომ ქმარს უნდა დამორჩილებოდა. ჩვენი სახლის წინამძღოლობა მისთვის ტვირთი იყო, რადგან ზევიდან არ ჰქონდა მიცემული. ღმერთმა ნება მისცა, რომ ეს პასუხისმგებლობა ცხებულების ანუ მისი სატარებელი მადლის გარეშე ეზიდა, რომელსაც იგი ქმარს აძლევს. ლიზა საშხაპედან ქვითინით გამოვიდა და პატიება მთხოვა. ის სიმშვიდესა და მოსვენებაში შევიდა, რომელიც მე რამდენიმე თვით ადრე მოვიპოვე. ჩვენმა ოჯახმა წლების შემდეგ პირველად განიცადა ნამდვილი ჰარმონია.

იმ საღამოს სულიწმიდა ლიზას დაეხმარა იმის გაცნობიერებაში, რომ ღმერთს არ მიუთითებია დამორჩილებაზე მაშინ, როცა ქმარს ეთანხმებოდა ან მისი არჩევანი ან გადაწყვეტილება მოსწონდა. ის მიხვდა, რომ ღვთის მცნების მორჩილებისას მასზე იყო ზეციური დაცვა. ნუთუ მას შემდეგ შეცდომები არ დამიშვია? რა თქმა უნდა! რამდენიც გინდათ. თუმცა ღმერთი ლიზას იფარავდა ჩემი შეცდომებისას და მშვიდობას აძლევდა. როცა ის მორჩილია, ღვთის დაცვა არის მასზე, რაც არ უნდა უგუნური იყოს ქმრის გადაწყვეტილება.

უგუნური ან ურწმუნო ქმრები

ქმრის მორჩილების მცნება მარტო მორწმუნე ქმრებს არ ითვალისწინებს. პეტრემ თქვა: „ასევე თქვენ, ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, უსიტყვოდ იქნენ შეძენილნი ცოლების ქცევით“ (1პეტრ. 3:1).

მოდით, თავდაპირველად გამოვიკვლიოთ ფრაზა „ასევე თქვენ, ცოლებო ...“. პეტრემ სულ ახლახანს დაასრულა მსჯელობა ძალაუფლების მხრიდან უსამართლო მოპყრობის ატანაზე (ეს საკითხი დეტალურად განვიხილეთ მე-13 თავში). მოულოდნელად, მოციქული იგივე მითითებებს გვთავაზობს ცოლებისთვის ქმრებთან დაკავშირებით. თუ ამ ორ სიტყვას შევაერთებთ, შემდეგ ტექსტს მივიღებთ:

„მსახურნო, დაემორჩილეთ ბატონებს მთელი მოშიშებით, არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უკულმ-

ართთაც. რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს ... ასევე თქვენ, ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, უსიტყვოდ იქნენ შეძენილნი“. (1 პეტრ. 2:18-19; 3:1)

სამწუხაროა, მაგრამ სიმართლეა. ისეთი „მორწმუნე“ ქმრები მინახავს, რომლებიც ურწმუნოებზე მკაცრი წინამძღოლები არიან. ზოგადად კი, მიღებულია, რომ ყველაზე რთული იმ ქმრების დამორჩილებაა, რომლებსაც გადარჩენა არ მიუღიათ. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ცოლი ვალდებული არ არის დაემორჩილოს ქმრის მითითებას, თუ ეს ღვთის სიტყვას პირდაპირ ეწინააღმდეგება, თუმცა აუცილებელია დაქვემდებარებული დამოკიდებულების შენარჩუნება.

პეტრე გვაჩვენებს, რომ ეს დაქვემდებარება ქმრისთვის ყველაზე ძლიერი მოწმობა იქნება – ნაქადაგებ სიტყვაზე უფრო ძლიერი. ერთ ქალს ვიცნობდი, რომლის ქმარი ურწმუნო იყო. ის წლების მანძილზე უქადაგებდა მას. სამუშაო მაგიდაზე ტრაქტატებს უტოვებდა, ბიბლიას მისი საწოლის გვერდით და საყვარელ მოსასვენებელ ადგილებში უდებდა, ხოლო ყავის მაგიდასთან ჟურნალები ხვდებოდა. სოციალურ თავყრილობებზე ყოველთვის ისეთ წყვილებს ეპატიჟებოდა, სადაც ქმრები სულიერად ძლიერად იდგნენ, იმ იმედით, რომ მის ქმარს დაუმოწმებდნენ.

ერთ დღესაც ღმერთი დაელაპარაკა:

– სანამდე უნდა აბრკოლებდე შენი ქმრის გადარჩენას?

გაოგნებულმა ქალმა უპასუხა:

– მე ვაბრკოლებ ჩემი ქმრის გადარჩენას ... როგორ?

უფალმა აჩვენა, რომ ქადაგებით და გარემოებების მანიპულაციით სულაც არ იქცეოდა ისე, როგორც ღმერთი მიუთითებდა. მან მიუთითა ადგილზე პეტრეს პირველი წერილიდან და განუმარტა: *მოაშორე ტრაქტატები, ჟურნალები, ბიბლიები და შეწყვიტე სტრატეგიული მნიშვნელობის წყვილების სადილად დაპატიჟება.*

იმ ქალმა მითხრა:

– ჯონ, მიყვარდა ღმერთი და დავემორჩილე. რამდენიმე თვეში ჩემმა ქმარმა სიცოცხლე იესოს მიუძღვნა.

მათ სახლში ვყოფილვარ და ვიცი, რამდენად ძლიერ უყვარს მის ქმარს უფალი.

უბრალოდ რომ ვირწმუნოთ, მივენდოთ და დავემორჩილოთ ღვთის სიტყვას, სახლებში სასწაულებს ვიხილავდით და გავიხარებდით სიმშვიდით, რომელიც ამ გაგებას მოსდევს. შეუძლებელია, ზედმეტი მოგვიდეს იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ღმერთს და არა რომელიმე მაკონტროლებელ, მანიპულაციურ და ძალაუფლებას მოწყურებულ წინამძღოლს. მითითება ჩვენი უზრუნველყოფისა და დაცვისთვის მოგვეცა, რომელთაგან ზოგიერთს მომდევნო თავში ვიხილავთ. განსაცდელში შეგვიძლია მის აღთქმას ვენდოთ: „ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“ (იერ. 29:11).

სოციალური ძალაუფლება

ახალ აღთქმაში განსაკუთრებული მითითებები გვაქვს სამსახურებსა და სკოლებთან დაკავშირებით. პავლე გვარიგებს:

> „მონები ემორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს ყველაფერში, მოსაწონნი იყვნენ და არა მოკამათენი, არაფერი მოიპარონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება, რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება“. (ტიტ. 2:9-10)

გავიხარე, როცა ურწმუნო უფროსებისა და კომპანიის მფლობელებისგან გავიგე, რომ ისინი იესოს ხედავენ თავიანთ თანამშრომლებში. იმიტომ კი არა, რომ მორწმუნენი ქადაგებენ, არამედ რთულ ვითარებებსა და სამუშაო ეთიკაში ქრისტესმიერ ბუნებას წარმოაჩენენ. ისინი მეუბნებიან: „ისინი არასოდეს მეკამათებიან ან წუწუნებენ და არც სიტყვას მიბრუნებენ“ ან „ისინი სხვა თანამშრომლებზე გულმოდგინედ შრომობენ“ ან „ისინი ყველაზე პატიოსანი და სანდო ხალხია ჩემს თანამშრომელთაგან“. ეს ადამიანები გახსნილი არიან იესოს სახარებისთვის, რადგან თანამშრომლებმა კარგი მოწმობა დატოვეს მათთან.

თუმცა საწინააღმდეგოც მინახავს. ერთხელ თვითმფრინავში ერთი კაცის გვერდით აღმოვჩნდი, რომელიც ერთ დიდ ქალაქში

სიდიდით მეორე ტაქსოპარკის მფლობელი იყო. ჩვენ შორის მშვენიერი დიალოგი შედგა, სანამ არ გაიგო, რომ ღვთისმსახური ვიყავი. მან უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და ისეთივე ხალისით აღარ მპასუხობდა. კარგი ურთოერთობა დავამყარეთ, ამიტომ თავს ნება მივეცი, რომ მეკითხა მისი ქცევის შეცვლის მიზეზი.

მან მითხრა:

– კარგი, გეტყვი. ჩვენს კომპანიაში ერთი ქალი მუშაობდა. ის ერთ-ერთი იყო „ზეციდან შობილ ქრისტიანთაგან“. ოფისში ყველას უქადაგებდა. თვითონაც ცდებოდა სამუშაოს და სხვებსაც აცდენდა. როცა კომპანიიდან წავიდა, თან ის ნივთები გაიყოლა, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა. გარდა ამისა, გერმანიაში თავის ვაჟთან საერთაშორისო სატელეფონო ზარების რვაათასდოლარიანი გადასახადი დამიტოვა.

ძალიან შევწუხდი. ოფისის ყველა თანამშრომელს გაუძნელდებოდა ღვთის სიტყვის მოსმენა იმ ქალის დაუმორჩილებლობისა და ქურდობის გამო. სწორედ ამიტომ გვითხრა პავლემ: „[გააფრთხილე ისინი] მოსაწონნი იყვნენ და არა მოკამათენი, არაფერი მოიპარონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება“. როცა ვექვემდებარებით, ბეჯითად ვშრომობთ და ჩვენი დამქირავებლებისა და სკოლების წესებსა და კანონებს ვემორჩილებით, ჩვენი უფლის, იესოს ქრისტეს მადლის მოწმეები ვხდებით.

სხვა ადგილას პავლე ამბობს:

> „მონებო, ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, არა მოჩვენებითი სამსახურით, როგორც კაცთმაამებლებმა, არამედ გულწრფელად, როგორც ღვთისმოშიშებმა. ყოველივე, რასაც აკეთებთ, მთელი გულით გააკეთეთ, როგორც ღვთისთვის და არა კაცთათვის“. (კოლ. 3:22-23)

ყურადღება მიაქციეთ ფრაზას, „ყველაფერში დაემორჩილეთ“. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად უგუნური მოგეჩვენებათ თქვენი უფროსი ან მასწავლებელი. მათდამი თქვენი მორჩილება, რეალურად, უფლისადმი მორჩილებაა.

პავლე განაგრძობს: „იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით“ (კოლ. 3:24). იმ ქალს რომ ჰქონოდა წარმოდგენა, თუ ვის პარავდა სინამდვილეში, ასე არასოდეს მოიქცეოდა. მას ცოდნა და ღვთისმოშიშება აკლდა.

მომდევნო მუხლში პავლე აგრძელებს: „ხოლო, ვინც უსამართლოდ მოიქცევა, იგი მიიღებს თავისი უსამართლობისთვის; მასში არაა პირმოთნეობა“. ძალიან მომწონს the Message ვერსიის თარგმანი: „პირქუში მუშაკი, რომელიც საქმეს უვარგისად აკეთებს, პასუხს აგებს. ქრისტიანობა ცუდად შრომის დანაშაულს ვერ დაფარავს“.

როგორც ჩანს, იმ ქალმა პასუხი არ აგო ტაქსოპარკის მფლობელის ან საერო ხელისუფლების წინაშე, მაგრამ აუცილებლად წარდგება უფლის სამსჯავრო ტახტთან და ანგარიშს მოჰკითხავენ: „ამიტომ ვცდილობთ კიდეც - აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ. ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა - კეთილს თუ ბოროტს“ (2 კორ. 5:9-10).

ზოგადი საკითხები

ბევრი ადამიანი ამბობს, რომ არ მოუსმენენ წინამძღოლებს, რომლებიც ისე არ ცხოვრობენ, როგორც ქადაგებენ. ეს მოსაზრება სათავეს მორჩილებიდან იღებს თუ ადამიანური ლოგიკის შედეგია? ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „მაშინ ელაპარაკა იესო ხალხს და თავის მოწაფეებს. უთხრა: „მოსეს ტახტზე დასხდნენ მწიგნობარნი და ფარისეველნი. ამიტომ, ყველაფერი, რასაც გეტყვიან, შეასრულეთ და დაიცავით, ოღონდ მათი საქმეებისამებრ ნუ იმოქმედებთ, ვინაიდან ისინი ამბობენ და არ ასრულებენ“ (მათ. 23:1-13).

იესომ ყველა ბოროტი წინამძღოლის დამორჩილება გვიბრძანა, რომლებიც ისე არ ცხოვრობენ, როგორც ქადაგებენ. მან უამრავ ადამიანს ზემდგომ ძალაუფლებაზე მიუთითა და არა მათ საქმეებზე. უოჩმენ ნი წერდა:

> რამხელა რისკზე წავიდა უფალი ძალაუფლების დაყენებით! რამხელა დანაკარგს განიცდის იგი, როცა მის მიერ დაყენებული წინამძღოლები არასწორად აჩვენებენ მის სახეს! და მაინც, ეჭვგარეშეა, რომ ღმერთმა დააფუძნა ძალაუფლება. ძალაუფლების უშიშრად დამორჩილება ჩვენთვის უფრო ადვილია, ვიდრე ღვთისთვის იყო მათი დაყენება.

> მაშ, შევძლებთ წინამძღოლთა მორჩილებას ისე, რომ არ გვეშინოდეს, რახან თავად ღმერთს არ შეეშინდა ადამიანებისთვის ძალაუფლების მინიჭება? როგორი გაბედულებითაც ღმერთმა დააფუძნა ძალაუფლება, იგივე გაბედულებით დავემორჩილოთ მათ. თუ საქმე ისე არ წარიმართა, როგორც საჭიროა, ჩვენი კი არა, ძალაუფლების ბრალი იქნება, რადგან ღმერთმა ასე განაცხადა: „ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ძალაუფლებას“ (რომ. 13:1).
>
> მორჩილები ყოველთვის უნდა ემორჩილებოდნენ. უფალი პასუხისმგებლობას არ დაგვაკისრებს ნებისმიერი მცდარი მორჩილებისთვის. იგი გადაცემულ ძალაუფლებას მოჰკითხავს ანგარიშს მისი არასწორი ქცევის გამო. ურჩობა ამბოხებაა და ღვთის ძალაუფლების ქვეშ მყოფმა ამაზე პასუხი უნდა აგოს. *(Spiritual Authority,* გვ. 69-71)

ეს იმ ადამიანის მიერ დაიწერა, რომელსაც ძალაუფლებაში მყოფნი ცუდად მოექცნენ. მან 1930 და 1940-იან წლებში უცხოური მისიონერული ორგანიზაციებისგან სრულიად დამოუკიდებელი ადგილობრივი ეკლესიები დააფუძნა ჩინეთში და ბევრი ადამიანი მოიყვანა ღვთის სამეფოში. მისმა საქმიანობამ განარისხა ხელისუფლება. ის 1952 წელს დააპატიმრეს და დიდი რაოდენობით ცრუ ბრალდება წაუყენეს. ის 1972 წელს გარდაიცვალა და სიკვდილამდე ციხეში იჯდა. მიუხედავად ამისა, უფლის მიმართ მისი მოკრძალება და მოშიშება იქაც მრავლისმთქმელი იყო. ბევრმა მიიღო ხსნა მისი დამოწმების შედეგად. მისი ნაშრომები მრავალი წლის შემდეგაც ელაპარაკება ადამიანებს.

ძალაუფლების აღიარება

ჩემი სათქმელის მეშვეობით ხაზი გავუსვი, თუ როგორ უნდა ვიცნოთ ძალაუფლება, მაგრამ თავის დასასრულს მიზანშეწონილი იქნება გადმოცემულის გამოკვეთა. სამოქალაქო და სოციალურ სფეროებში ძნელი არ იქნება ლეგიტიმური ძალაუფლების აღიარება. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ მმართველობას უფლის გულისთვის“ (1 პეტრ. 2:13). ვცნობთ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც ფიცს დებენ ან დაქირავებული არიან სახელმწიფო მოხელეებად. არიან კომპანიების ხელმძღვანელები ან საგანმანათლებლო ინსტიტუტების

დაქირავებული მასწავლებლები და დირექტორები. ვიცით, რომ მათი ძალაუფლება ნამდვილია.

ასევე ადვილი ამოსაცნობია ძალაუფლება ოჯახში. როცა ქალი თხოვდება, ის ქმრის ძალაუფლების, დაცვისა და უზრუნველყოფის ქვეშ ექცევა. როცა ოჯახში ბავშვი იბადება, მისი ზემდგომები მშობლები ხდებიან. თუ ბავშვი აყვანილია, პატივი უნდა სცეს თავის მშობლებს, თითქოს ისინი მისი ბიოლოგიური მშობლები იყვნენ.

კანონიერი ძალაუფლების ამოცნობა ეკლესიაში ცოტა უფრო რთულია. წერილი გვაფრთხილებს ცრუ მოციქულების, წინასწარმეტყველებისა და ლიდერების შესახებ, რომელთაც არ უნდა დავემორჩილოთ. როგორც პავლე ამბობს: „ერთი საათითაც არ დავნებებულვართ“ (გალ. 2:5). ცრუ წინამძღოლები ორი გზით ვლინდებიან. პირველი, ისინი ასწავლიან მოძღვრებას, რომელიც წმიდა წერილს არ შეესაბამება. პავლე ზემომოყვანილი ნათქვამის კონტექსტში წერს: „მაგრამ თუნდაც ჩვენ ან ანგელოზმა ზეციდან გახაროთ არა ის, რასაც ჩვენ გახარებდით, წყეულიმც იყოს იგი“ (გალ. 1:8). ამ მიზეზის გამო პავლე იმ წინამძღოლებს მორჩილებით არ მიაგებდა პატივს.

მეორე, ცრუ წინამძღოლები ეკლესიაში თვითონ წამოაყენებენ საკუთარ თავს. ღვთიური დადგენილება სულიწმიდის მიერ არის ინიცირებული და ეკლესიაში არსებული მმართველი ხუცესების მიერ დამოწმებული, რომლებიც კანდიდატის ცხოვრებას აკვირდებოდნენ. ძველ აღთქმაში ეს პროცესი ნათლად ჩანს იეშუას დაყენებისას. ღმერთმა უთხრა მოსეს:

> „უთხრა უფალმა მოსეს: „მოიყვანე იეშუა ნავეს ძე, კაცი, რომელზეც არის სული და დაასხი ხელი; და დააყენე იგი ელეაზარ მღვდლისა და მთელი თემის წინაშე და დაადგინე მათ თვალწინ. და უწილადე მას შენი ძალაუფლება, რათა უსმინოს მას ისრაელიანთა მთელმა თემმა“. (რიცხვ. 27:18-20)

ღმერთმა იეშუა აირჩია, მაგრამ მისი არჩევანი უკვე დაყენებული წინამძღოლების, მოსესა და ელეაზარის მიერ დადასტურდა. ეს ადამიანები წლების მანძილზე აკვირდებოდნენ იეშუას ცხოვრებას. იგივე ნიმუში ჩანს ახალ აღთქმაშიც (საქმ. 13:1-4).

პავლე ამტკიცებს: „ვინაიდან ის კი არ არის მოწონებული, ვინც თავს იქებს, არამედ - ვისაც უფალი აქებს“ (2 კორ. 10:18). თვითგამოცხადებული ძალაუფლების მორჩილება სახიფათო ნაბიჯია. ღმერთი ყოველთვის ამოწმებს მის მიერ დაყენებულ ხალხზე ეკლესიის წინაშე, სადაც კანდიდატები ერთგულად მსახურობდნენ. იესომ თიატირის ეკლესიის მორწმუნეებს თვითდაყენებული წინასწარმეტყველის, სახელად იეზებელის სწავლებისა და ყალბი ძალაუფლების მორჩილების გამო უსაყვედურა. თვითდადგენილი მსახურების ამოცნობის გზებზე მთელი წიგნი დავწერე სახელწოდებით – „ასე ამბობს უფალი“? ის კარგი მინიშნებაა ამ საკითხში. წიგნი განიხილავს სულიერი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ყალბი ძალაუფლების საკითხებს.

როცა ნამდვილად გადარჩენილი ვართ და ღვთის ნებას ვეძებთ, ეკლესიის კანონიერ ძალაუფლებას ვაღიარებთ. იესომ თქვა: „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს, მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრება, ღვთისგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ“ (იოან. 7:17). გასაღები შემდეგ სიტყვებშია: „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს“. როცა ღვთის გულს ვიცნობთ, იგი გარჩევის უნარსაც გვანიჭებს სულიწმიდის მეშვეობით. როგორც იოანე ამოწმებს, „თქვენ კი გაქვთ ცხებულება წმიდის მიერ და იცით ყველაფერი“ (1 იოან. 2:20).

უოჩმენ ნიმ დაწერა: „თუ ვისწავლით, როგორ დავემორჩილოთ ღმერთს, აღარ გაგვიჭირდება იმ ადამიანის ამოცნობა, ვისზეც ღვთის ძალაუფლება ძევს“ (Spiritual Authority, გვ. 62). ღვთის ცნობა ძალაუფლების ცნობასაც ნიშნავს, რადგან ღმერთი და მისი ძალაუფლება განუყოფელია.

ღმერთი მის გულმოდგინე მაძიებლებსა და მორჩილებს აჯილდოებს. მომდევნო თავში ბევრიდან რამდენიმე დიდ სარგებელს განვიხილავთ, რომელიც ძალაუფლების მორჩილებას მოსდევს.

თავი 17

დიდი რწმენა

რაც მეტია ჩვენი მორჩილების დონე,
მით დიდია ჩვენი რწმენა.

ამ ბოლო თავში „აცრის გაკეთების“ სარგებელზე უნდა გელაპარაკოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოგიდგენთ საზღაურს და კურთხევას, რომელიც ძალაუფლების საფარქვეშ დარჩენილებისთვის არის განკუთვნილი. მარტო სარგებელზე ტომები დაიწერებოდა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ, თქვენ კი წილად გხვდათ დანარჩენების აღმოჩენა ბიბლიის კვლევისა და ქრისტესმიერი გამოცდილების მეშვეობით.

უფალო, მოგვიმატე რწმენა!

რამდენიმე წლის წინ ჩემს კაბინეტში სალოცავად შევედი დილის 6:30-ზე, როგორც სხვა დროს მრავალჯერ გამიკეთებია. თუმცა ამჯერად, სანამ დავიწყებდი, სულიწმიდის მითითება გავიგონე: *„გადაშალე ლუკას სახარების მე-17 თავი და მე-5 მუხლიდან დაიწყე კითხვა!“*

აღტაცებით მოვძებნე ის ადგილი და ჩემთვის კარგად ნაცნობ მონაკვეთს წავაწყდი. ამ მუხლებზე დაყრდნობით კიდევაც მიქადაგია, მაგრამ ამით ჩემი ენთუზიაზმი არ დამცხრალა. წარსული გამოცდილებებით ვიცოდი, რომ ყოველთვის, როცა უფალი კონკრეტული მონაკვეთის წაკითხვას მთხოვდა, აუცილებლად მასწავლიდა რაღაც ისეთს, რაც ადრე გამომრჩა.

მოციქულები უფალს სთხოვენ: „მოგვიმატე რწმენა“ (ლუკ. 17:5). სანამ განვიხილავდეთ, რა მაჩვენა უფალმა იმ დილას, ნება მომეცით, გამოვკვეთო მიზეზი, რის გამოც მოწაფეები რწმენის

მომატებაზე ევედრებოდნენ. ის-ის იყო იესომ მკვდარი აღადგინა? თუ ხუთი ათასი დააპურა ხუთი პურით და ორი თევზით? იქნებ აღელვებული ზღვა დააწყნარა სიტყვით? პასუხია არა, არა და არა! იესომ ამ სათხოვრის წინ მოწაფეებს უთხრა: „გაფრთხილდით: თუ შეგცოდოს შენმა ძმამ, გაუწყერი; თუ მოინანიოს, მიუტევე. დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდოს და შვიდჯერვე მოგიბრუნდეს და გითხრას ვინანიებო, აპატიე“ (მმ. 3-4).

გასაოცარ ძალთაქმედებას როდი აღუძრავს მათში რწმენის მომატების სურვილი. იესომ უბრალო მცნება მისცა მათი წინაშე შემცოდეთა პატიების შესახებ. ეს კაცები რჯულის ქვეშ ცხოვრობდნენ და მიეჩვივნენ შეურაცხყოფაზე პასუხს „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“ პრინციპით. იესო ისეთი ცხოვრებისეული ნაბიჯებისკენ მოუწოდებდა მათ, რომლებიც სრულიად დაუსაბუთებელი ეჩვენებოდათ. ღვთიურ ბუნებაში სიარულის ბრძანებამ გაოგნა ისინი. როგორ დაემორჩილებოდნენ ასეთ წარმოუდგენელ მითითებას? პასუხი ასეთი გახლდათ: „მოგვიმატე რწმენა!“ ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ მორჩილება და რწმენა უშუალო ურთიერთკავშირში იყო, რასაც მალე სრულიად ახლებურად დავინახავდი.

რწმენის მომატებაზე მათ ღაღადს იესომ იგავით უპასუხა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ თუთის ხეს, აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, დაგემორჩილებათ“ (მ. 6). ვიგრძენი, რომ ეს საკითხი ჩემთვის გასაგები იყო. ამ მუხლებიდან ბევრჯერ მისწავლებია და კარგად ვიცნობდი იესოს სწავლებას ღვთის რწმენის ქონაზე, როცა მთებიც კი გადაადგილდებიან და ზღვაში ჩაინერგებიან. თუ გულით არ შეეჭვდებით, ჩვენი სიტყვისამებრ მივიღებთ (მარკ. 11:22-24). განსხვავება არ იყო, ამ შემთხვევაში იესო თუთის ხეს იყენებდა მთის ნაცვლად.

ამ თვალსაჩინოებიდან ნათელია, რომ რწმენა სათითაოდ ყველა მორწმუნეს ეძლევა მდოგვის მარცვლის მსგავსად. თესვა-მკა ცათა სამეფოს პრინციპია: „ღვთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში“ (მარკ. 4:26). როცა გადარჩენა მივიღეთ, რწმენაც გვერგო გარკვეული საზომით (რომ. 12:3). ის თესლის ფორმით მოდის და ჩვენი პასუხისმგებლობაა მისი მოვლა და გაზრდა. როგორ იზრდება? პასუხი ახლოსაა.

დიდი რწმენა

მსახურის ჭამის დრო

გულმოდგინედ ვკითხულობდი, რადგან მომდევნო რამდენიმე მუხლი ყოველთვის საგონებელში მაგდებდა. ის-ის იყო უნდა აღმომეჩინა, რომ იესო მოწაფეებს რწმენის მოსამატებელ ფორმულას არ სთავაზობდა. მას თანდათან მიჰყავდა მოწაფეები ცხოვრებისეულ გზაზე, რომელიც უშუალოდ ძალაუფლებისადმი მორჩილებას ეხებოდა. მოუსმინეთ მის იგავს:

„რომელიმე თქვენგანს მონა რომ ჰყავდეს – მხვნელი ანდა მწყემსი, მინდვრიდან დაბრუნებისას, ნუთუ ეტყვის, ახლავე მიდი და სუფრას მიუჯექიო? განა არ ეტყვის, ვახშამი მომიმზადე და წელშემორტყმული მემსახურე, ვიდრე ვჭამ და ვსვამ, მერე კი შენც ჭამე და სვიო? ნუთუ მადლობას ეტყვის მონას იმისთვის, რომ მისი ბრძანება შეასრულა? არა მგონია“. (ლუკ. 17:7-9)

ყოველთვის მაინტერესებდა, თუ რატომ შეცვალა უფალმა თემა ასე მოულოდნელად. თავიდან რწმენასა და ხის აღმოფხვრაზე ლაპარაკობდა და უცებ მსახურის ეტიკეტზე გადავიდა. ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე, მაგრამ იმ დილით ყველაფერი ნათელი გახდა.

მუხლები კიდევ ერთხელ, ნელ-ნელა წავიკითხე და თან გულს ვუსმენდი სულიწმიდის შთაგონების მოსასმენად. მოულოდნელად გავიგონე: *რა არის მსახურის საბოლოო მიზანი, რომელიც შენს ყანებში შრომობს? რა არის საბოლოო მიზანი ფარის მწყემსი მსახურისთვის? რა არის საბოლოო შედეგი?*

წუთით დავფიქრდი. შემდეგ გონება გამინათდა: სუფრის გაწყობა. მიხვდი, რის თქმა სურდა იესოს. თუ მსახურის შრომის საბოლოო მიზანი მისი დამქირავებლის სუფრის გაწყობაა, რატომ შეჭამს ის უფრო ადრე, ვიდრე ბატონს მოემსახურება? განა თავდაპირველად თავისი საშრომი არ უნდა დაასრულოს? რასაკვირველია! დაუსრულებელი საქმე იგივეა, თითქოს არც დაგეწყოთ. რატომ უნდა ხნა მიწა და არ ჭამო? რატომ უნდა იზრუნო ფარაზე და არ გამოიყენო მატყლი, ხორცი ან რძე?

როცა ეს დავინახე, იესოს მომდევნო განაცხადი წავიკითხე: „ასევე თქვენც, *ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები*

გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებინა“ (ლუკ. 17:10).

მან თვალსაჩინოება ჩვენსკენ მომართა. როცა წავიკითხე: ყველაფერს გააკეთებთ და ნაბრძანები გქონდათ, სიტყვები გვერდიდან ამოხტნენ. იესომ ბატონისადმი მსახურის მორჩილება ღვთის მიმართ ჩვენს მორჩილებას დაუკავშირა. ამის გაკეთებით სამი მნიშვნელოვანი პუნქტი გამოყო რწმენის ზრდის თაობაზე:

1. რწმენასა და ძალაუფლების მორჩილებას შორის პირდაპირი კავშირია;
2. რწმენა იზრდება მაშინ, როცა ჩვენთვის ნაბრძანებს დავასრულებთ;
3. უკიდურესად მნიშვნელოვანია ნამდვილი თავმდაბლობის დამოკიდებულება;

მოდით, თითოეული პუნქტი წმიდა წერილის საფუძველზე განვიხილოთ!

რწმენასა და ძალაუფლების მორჩილებას შორის კავშირი

პირველი პუნქტი, რწმენასა და ძალაუფლების მორჩილებას შორის კავშირი, სახარებებში ჩანს იესოსთან რომაელი ოფიცრის შეხვედრისას. იესო კაპერნაუმში ჩადის. რომაელი ჯარისკაცი, რომელსაც ასისთავის პოზიცია ეკავა, მას ეძებს. ასისთავის მსახური პარალიზებული და ნატანჯია, ამიტომ უფალს მის განკურნებას სთხოვს. იესო პასუხობს: „მოვალ და განვკურნავ“ (მათ. 8:7).

ასისთავი ეუბნება: „უფალო, არა ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური“ (მათ. 8:8).

იესოს უნდოდა და მზად იყო იმ კაცის სახლში მისასვლელად, მაგრამ მეომარმა თავი უღირსად ჩათვალა და სთხოვა, არ წამოსულიყო. მან საკმარისად მიიჩნია იესოს ბრძანება, რომ მსახური განკურნებულიყო. ასისთავმა ასე ახსნა თავისი შეხედულება: „ვინაიდან მეც ძალაუფლების ქვეშ მყოფი კაცი ვარ და ჩემს ხელქვეით ჯარისკაცები მყვანან. ერთს ვეუბნები წადი-მეთქი და მიდის. სხვას – მოდი-მეთქი და მოდის. ჩემს მონას – ეს გააკეთე-მეთქი და აკეთებს“ (მათ. 8:9).

მოდით, მისი პოზიცია განვიხილოთ. რომაულ ლეგიონში ექვსი ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა. ლეგიონს სამოცი ასისთავი ჰყავდა, რომელიც ლეგიონის მხედართმთავარს ემორჩილებოდა. თითოეული ასისთავის ხელქვეით ასი ჯარისკაცი იმყოფებოდა.

რომაელმა ასისთავმა იესოს აუხსნა, რომ ჯარისკაცების პატივისცემასა და დაქვემდებარებას იღებდა, ვინაიდან თავადაც ემორჩილებოდა ლეგიონის მეთაურს. ამრიგად, მას ზურგს უმაგრებდა ლეგიონის მეთაურის ძალაუფლება, ხოლო ამ უკანასკნელს რომის ძალაუფლების მხარდაჭერა ჰქონდა. მარტივად რომ გადმოგცეთ, მან ასე თქვა: „მე ძალაუფლების ქვეშ ვარ, ამიტომ ძალაუფლება მაქვს. მხოლოდ სიტყვის თქმა მჭირდება და ჩემი ხელქვეითები მყისვე შეასრულებენ ჩემს ბრძანებას“.

მან თქვა: *„ვინაიდან მეც...“*. ასისთავმა სცნო, რომ იესო ღვთის მსახური იყო მისი სამეფოს ძალაუფლების ქვეშ. ამრიგად, მეომარმა იცოდა, რომ იესოს სულიერი სამყაროს ზეციური სამეფოს ძალაუფლება ზურგს უმაგრებდა, როგორც მეომარს ჰქონდა ძალაუფლება არმიაში. ის მიხვდა, რომ საჭირო იყო მხოლოდ ბრძანება და უძლურება დაემორჩილებოდა, როგორც მისი ჯარისკაცები წამოხტებოდნენ-ხოლმე ბრძანების აღსასრულებლად.

როგორი იყო იესოს პასუხი? „ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა მათ, უკან რომ მიჰყვებოდნენ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც ვერ ვპოვე ასეთი რწმენა“ (მათ. 8:10).

უდიდესი რწმენა, რომლის მოწმეც იესო გახდა ოცდაცამეტ წელზე მეტი ხნის მიწიერი ცხოვრებისას, იოანე ნათლისმცემელს ან დედამისს, მარიამს არ გამოუვლენია. არც ისრაელის შვილებში დაუნახავს მსგავსი რამ, უამრავი განკურნებისა და სასწაულის შემდეგ. არც თორმეტ მოწაფეში ხედავდა ამას. რწმენა გამოჩნდა რომის მოქალაქეში, მეომარსა და ისრაელის ერთ-ერთ დამპყრობელში. საიდან ჰქონდა მას *ამხელა რწმენა? იქედან, რომ ძალაუფლების საკითხი ესმოდა და დაქვემდებარების დამოკიდებულებით დადიოდა.*

სწორედ ამის თქმა უნდოდა იესოს იგავში, თუ როგორ უნდა გაზრდილიყო რწმენა. *რაც უფრო დიდია ჩვენი დაქვემდებარების ხარისხი, მით მეტია რწმენა.* ახლა ეს დავაკავშიროთ იესოს ნათქვამთან, როცა მოწაფეებმა რწმენის მომატება სთხოვეს: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ

თუთის ხეს, აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, დაგემორჩილებათ“ (ლუკ. 17:6). ერთი, რაც გჭირდებათ, არის სიტყვის თქმა და ხე დაგემორჩილებათ! ვის ემორჩილება თუთის ხე? მას, ვინც „აკეთებს, რაც ნაბრძანები ჰქონდა“ (ლუკ. 17:9).

მორჩილება დასრულებამდე

მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც იესოს ნათქვამში ჩანს რწმენის გაზრდასთან დაკავშირებით, არის ნაბრძანების დასრულება. მისი ზუსტი სიტყვები ასეთია: „ასევე თქვენც, *ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ*“. მსახური ვალდებულია, რომ ბატონის დავალება ბოლომდე მიიყვანოს და მხოლოდ ნაწილის ან პატარა ნიმუშის ჩვენება საკმარისი არ არის. ხშირად ვიწყებთ საქმეს, მაგრამ ვერ ვასრულებთ, რადგან ინტერესი გვეკარგება ან საშრომი და ტანჯვა მეტისმეტად ინტენსიური ხდება. ნამდვილი და ერთგული მსახური დაწყებულ პროექტს ასრულებს სირთულეებისა და დაბრკოლებების მიუხედავად. ის ყანაში შრომობს, თავისი საქმიანობის ნაყოფები მოაქვს ბატონთან და საჭმელს ამზადებს. მისი მოქმედება ნამდვილ მორჩილებას ცხადყოფს.

აბრაჰამს რწმენის მამა ეწოდა (რომ. 4:11-12). მას შვილი არ ჰყავდა. უფალი ღმერთი გამოეცხადა სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში და ძეს შეპირდა, რომლის მეშვეობით მრავალი ერის მამა გახდებოდა. წლების ლოდინისა და მორჩილების შემდეგ აბრაჰამმა აღთქმული ძე ასი წლის ასაკში მიიღო.

ღმერთმა აბრაჰამს ისაკთან დაახლოების დრო მისცა. როცა მათი სიყვარული მეტად განმტკიცდა, აბრაჰამი გამოიცადა. მას ისაკი მორიას მხარეში უნდა წაეყვანა და მსხვერპლად შეეწირა. წმიდა წერილი ამბობს: „ადგა აბრაჰამი დილაადრიან“ (დაბ. 22:3). ყურადღება მიაქციეთ მის დაუყოვნებელ მორჩილებას. ზოგიერთი ადამიანი დღეების, კვირების, თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში ფიქრობს, დაემორჩილოს თუ არა ღვთის ნებას. ასეთებს წმიდა მოშიშება აკლიათ, რაც არის მათი რწმენის ნაკლებობის მიზეზი. როგორც კი გავიგებთ, რა სურს ღმერთს, მყისვე უნდა გამოვეხმაუროთ. თუ ლაპარაკია დიდ ცხოვრებისეულ ცვლილებებზე, გონივრული იქნება ჩვენი ზემდგომი ძალაუფლებისგან დამოწმების მიღება.

აბრაჰამს სამი დღე დასჭირდა, რომ მორიამდე მისულიყო. სამდღიანი მოგზაურობა საკმარისი უნდა ყოფილიყო გარემოების ასაწონ-დასაწონად. უკან დაბრუნება რომ სდომებოდა, ამის დრო ჰქონდა, მაგრამ არ დაბრუნებულა. მან მთელი გზა გაიარა მთის მწვერვალამდე და ერთადერთი ძე შეკრული დააწვინა სამსხვერპლოზე, რომელიც ერთად ააგეს. აბრაჰამმა დანა აღმართა ისაკის დასაკლავად, მაგრამ უფლის ანგელოზმა შეაჩერა: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ“ (დაბ. 22:12).

აბრაჰამი ბოლომდე მორჩილი იყო! ის არ შეჩერებულა მაშინაც კი, როცა მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების, ისაკისთვის – მისი მემკვიდრის, იმედისა და ღვთისგან აღთქმულისთვის – უნდა შეეშვა ხელი. ისაკის სიკვდილი საკუთარი სიცოცხლისთვის ხელის გაშვებასაც ნიშნავდა. აბრაჰამმა დაამტკიცა ღვთისადმი მორჩილების მგზნებარება, როცა მისთვის სასიკეთო აღთქმებზე წინ უზენაესის სურვილი დააყენა. *ო, უფალო, დღესაც წამოაყენე ასეთი მამაკაცები და დედაკაცები!*

ამის შემდეგ ღმერთმა უთხრა:

> „გეფიცები, ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე და არ დაზოგე შენი ერთადერთი ძე ჩემთვის, ამიტომ გაკურთხებ შენ და გავამრავლებ შენ შთამომავლობას, როგორც ცის ვარსკვლავებს და ქვიშას ზღვის ნაპირზე. და დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა თავის მტერთა კარიბჭეს. და იკურთხება შენს თესლში დედამიწის ყოველი ერი, რადგან შეისმინე ჩემი ხმა“. (დაბ. 22:16-18)

ნახეთ, რა დაპირება მიეცა აბრაჰამსა და მის შთამომავლობას, ამ სრულყოფილი მორჩილების გამო! „დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა თავის მტერთა კარიბჭეს!“ თქვენი აზრით, რატომ თქვა იესომ, „ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ დაძლევენ ეკლესიას“? აბრაჰამის მორჩილებამ იესოს კარი გაუხსნა ამის უზრუნველსაყოფად. მისი რწმენა ანუ მორჩილება დღემდე მოქმედია.

ახლა დაკვირვებით წავიკითხოთ, რა განაცხადა ებრაელთა მიმართ წერილის ავტორმა აბრაჰამის მორჩილებაზე:

> „თუმცა გვწადია, რომ ყოველი თქვენგანი ბოლომდე ასეთივე ერთგულებას იჩენდეს იმედის აღსრულებამდე. რათა

> არ გაზარმაცდეთ, *არამედ მიბაძოთ მათ, ვინც რწმენითა და სულგრძელობით იმკვიდრებს აღთქმებს* ვინაიდან, როცა ღმერთი აღთქმას დებდა აბრაჰამთან, რაკი არ შეეძლო თავისზე დიდი დაეფიცა, საკუთარი თავი დაიფიცა; უთხრა: „ჭეშმარიტად, კურთხევით გაკურთხებ შენ და გამრავლებით გაგამრავლებ შენ“. და ასე სულგრძელობით დაიმკვიდრა აღთქმა“. (ებრ. 6:11-15)

აბრაჰამმა ბოლომდე იბეჯითა. ის ყოველმხრივ მორჩილი იყო დასრულებამდე – მან ბოლომდე გამოიჩინა მოთმინება. მისი მორჩილება მეფე საულის ქცევას შეადარეთ, რაზეც ერთ-ერთ თავში ვისაუბრეთ. საული მზად იყო ომისთვის და ნაბრძანების 99 პროცენტი შეასრულა. მხოლოდ საუკეთესო ნაწილი დაინდო და ისიც უფლისთვის შესაწირად გადაინახა. დასკვნა ასეთია: მან ვერ დაასრულა ის, რაც უფალმა დაავალა. გარეგნულად ისე ჩანდა, რომ დასასრულთან ახლოს იყო, მაგრამ ურჩობა ძვირად დაუჯდა. ის თითქმის იმ დონეზე მივიდა, რომ „ბატონის სუფრა“ უნდა გაეშალა, მაგრამ მისი გულის ზრახვები გამოვლინდა იქ, სადაც შეყოყმანდა. უფლის ბრძანება მისთვის სასარგებლოდ შემოატრიალა იმის ნაცვლად, რომ ბატონისთვის პატივი მიეგო.

საულის მსგავსად, რამდენი ადამიანი იწყებს ენთუზიაზმით, შემდეგ კი კომფორტის ხელიდან გამოცლის, სიძნელეების ან შედეგების დაგვიანების გამო ურჩობაში ვარდება? ანდა სხვები სარგებლობის მიღების შესაძლებლობას ხედავენ და ძალაუფლების მითითებას ოდნავ გადაუხვევენ. ამ ყველაფერს კი რელიგიური მოსაზრებებით ამართლებენ, როგორც საულმა დაინდო უფლისთვის საუკეთესო ცხვარ-ძროხა, რომელიც ღვთის სიტყვის თანახმად უნდა განადგურებულიყო. თუ მორჩილება სრული არ არის, რწმენა არ იზრდება, არამედ იფიტება!

აბრაჰამმა აღთქმები ჭეშმარიტი რწმენისა და მოთმინების გამო მიიღო, რაც დასრულებამდე მორჩილებას ნიშნავს. მისი რწმენა და მორჩილება ერთმანეთისგან განუყოფელია, რაც იაკობმა ნათლად გამოკვეთა (ამ მონაკვეთში საქმეების ნაცვლად მორჩილების საქმეებს გამოვიყენებ).

> „შენ კი, ფუჭო ადამიანო, გსურს, გაიგო, რომ რწმენა *მორჩილების საქმის* გარეშე მკვდარია? განა მამაჩვენი, აბრაჰა-

> მი, მორჩილების საქმით არ გამართლდა, როცა თავის ძეს ისაკს სამსხვერპლოზე სწირავდა? ხედავ, რწმენა *მოქმედებდა* მის *მორჩილების* საქმეებთან ერთად! *მორჩილების საქმეებით* კი სრული შეიქმნა რწმენა; და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაჰამი უფალს, ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას და ეწოდა ღვთის მეგობარი“. ხომ ხედავთ, *მორჩილების საქმით* მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით ... რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე მკვდარია რწმენაც *მორჩილების საქმეთა* გარეშე“. (2:20-24,26)

ბოლო მუხლში რწმენა და *მორჩილების საქმეები* შედარებულია სხეულსა და ადამიანის სულთან. ამ მაგალითში ნახავთ, რომ რწმენას ფიზიკურ სხეულთან ადარებენ, ხოლო მორჩილების საქმეები ადამიანის სულს არის მიმსგავსებული. ამ ორს მეორე ორი უნდა ჰქონდეს, რომ ქვეყნიერებაზე თავის გამოვლინება შეძლოს. თუ სული სხეულს განშორდება, ეს უკანასკნელი კვდება. როცა სული მიდის, სხეულის აღდგენა შეუძლებელი ხდება, თუ სული არ დაბრუნდა, როგორც ლაზარეს შემთხვევაში მოხდა. ამრიგად, იაკობი ამ თვალსაჩინოებით გადმოგვცემს, რაოდენ დამოკიდებულია რწმენა მორჩილების საქმეებზე. სწორედ ამიტომ ამბობს ის: „მაჩვენე შენი რწმენა *მორჩილების საქმეთა* გარეშე და გაჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს მორჩილების საქმეთაგან“ (იაკ. 2:18).

რწმენა ნამდვილი არ არის მორჩილების გარეშე. ამაში შეცდომას ნუ დაუშვებთ! წერილი ნათლად ამბობს: „მორჩილების საქმეებით კი სრული ხდება რწმენა!“

მოციქულებმა შესძახეს: „უფალო, მოგვიმატე რწმენა!“ შემდეგ იესომ მორჩილების დასრულებულ საქმეებზე ილაპარაკა. ჩემო ძვირფასო თანამორწმუნევ, ახლა ხვდებით, რატომ აღვნიშნე წიგნის დასაწყისში ამ სიტყვის გადაუდებლობა და მნიშვნელობა? ეს ყველამ უნდა გავითვალისწინოთ გაზრდილი ურჯულოების პირობებში.

შესაძლოა, თქვათ: „მე მეგონა რწმენა მოსმენისა და დაჯერებისგან მოდიოდა“. დიახ, ნამდვილად ასეა, მაგრამ რწმენის არსებობის დასტური მოქმედებაა, რომელიც აღიარებას ახლავს. სწორედ ამიტომ გვეუბნება წერილი: თუ ვისმენთ სიტყვას და არ ვასრულებთ, მოტყუებული ვართ. მაშინ ჩვენი რწმენა რეალური არ არის, არამედ ყალბია.

დიდი სიმტკიცე რწმენაში

ხსენებული ჭეშმარიტება ისევ ჩნდება, როცა პავლე მოციქული ეკლესიის მსახურებს აღწერს: „ესენიც წინასწარ უნდა გამოიცადონ და შემდეგ, თუ უბიწონი იქნებიან, იმსახურონ“ (1 ტიმ. 3:10). დიაკვანი წინამძღოლი არ არის, არამედ სხვის მითითებებს ასრულებს. უ. ი, ვაინი ამბობს, ბერძნული „დიაკვანი“, უმთავრესად, „მსახურს“ აღნიშნავს. ის განმარტავს, რომ მსახურია სხვის დაქვემდებარებაში მყოფი პიროვნება. პავლემ ერთხელ გვითხრა, რომ ერთგულად მომსახურე დიაკვნების მორჩილებას მათ ცხოვრებაში რაღაც მოაქვს: „ვინაიდან კეთილად მომსახურენი თავიანთი თავებისთვის იმკვიდრებენ პატივსა და დიდ სიმტკიცეს ქრისტე იესოს რწმენაში“ (1 ტიმ. 3:13).

იესო მსახურებს ორი რამეს შეპირდა ჩვენ მიერ მოყვანილ საწყის იგავში: (1) სწორი დგომა და პატივი, რომელიც სულიერ წინსვლას გულისხმობს (ფს. 75:7); (2) დიდი რწმენა ბოლომდე მორჩილთათვის. რწმენა და მორჩილების საქმეები წმიდა წერილში განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. ამის მაგალითები ბიბლიაში უხვად გვაქვს:

- აბელის რწმენა მისი საქმით გამოვლინდა და მისი მოწმობა ათასობით წლების შემდეგაც ლაპარაკობს (ებრ. 11:4)
- ენოქის რწმენა მორჩილებაში გამოიხატა, რამაც აღძრა ღმერთთან ერთად სიარულისთვის და წაყვანილ იქნა ისე, რომ სიკვდილი არ უხილავს.
- ნოეს რწმენა ცხადი გახდა მისი მორჩილებით და მისი ოჯახი გადარჩა, როცა ცოდვით გაჟღენთილი ქვეყნიერება დაისაჯა.
- აბრაჰამის რწმენა მისი მორჩილებით დამტკიცდა და ამით მრავალი ერის მამა შეიქნა.
- იოსების რწმენა ასევე გამოიხატა მორჩილებაში და მისი ოჯახის გადარჩენა მოიტანა.
- იეშუასა და ხალების რწმენა მორჩილებით გამოვლინდა და მათ მემკვიდრეობა და აღთქმული მიწა მიიღეს. იეშუა ერთგულად ემსახურებოდა მოსეს და მისი მემკვიდრე გახდა. ის ახალგაზრდა თაობას რძითა და

თაფლით მდინარე აღთქმულ მიწაზე შეუძღვა.

- რახაბ მეძავი „განა საქმეებით არ გამართლდა, როცა შინ მიიღო წარგზავნილნი და სხვა გზით გაისტუმრა?“ (იაკ. 2:25). მისმა მორჩილებამ მთელი მისი სახლეული გადაარჩინა. ეს იყო მისი ნამდვილი რწმენის დამამდასტურებელი ნიშანი.
- მორჩილებამ და დაქვემდებარებულმა დამოკიდებულებამ მღვდლისადმი, რომელმაც ის შეურაცხყო, ხანას საშო გაუხსნა და მთელ ერში გამოღვიძება მოიტანა.
- დავითის მორჩილებამ, რაც მისი წინამძღოლის დანდობაში გამოიხატა, მისგან ღვთის გულის სათნო დიდი მეფე შექმნა, რომელიც არ ჰგავდა საულს.
- დანიელის, შადრაქის, მეშაქისა და ყაბედ-ნეგოს მორჩილებამ დიდად აამა ღმერთი და მეფე.

„კიდევ რა გითხრათ? დრო არ მეყოფა, რომ გედეონზე, ბარაკზე, სამსონზე, იფთახზე, დავითზე, სამუელსა და წინასწარმეტყველებზე ვილაპარაკო, რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს. შრეტდნენ ცეცხლის ძალას, ირიდებდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისგან, მაგრები იყვნენ ომში, დევნიდნენ უცხოთა ჯარებს, ცოლები გაცოცხლებულებს ღებულობდნენ თავიანთ მკვდრებს; სხვები კი ეწამებოდნენ და გამოხსნაზე უარს ამბობდნენ, რათა უკეთესი აღდგომისთვის მიეღწიათ. ზოგმა გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილეები დაითმინა. მათ ქოლავდნენ, ხერხავდნენ, აწამებდნენ; მახვილით იხოცებოდნენ, დაეხეტებოდნენ ცხვრისა და თხის ტყავებით, განიცდიდნენ ნაკლოვანებას, შევიწროებას, ტანჯვას. ისინი, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი ქვეყნიერება, დაეხეტებოდნენ უდაბნოებსა და მთებში, დედამიწის მღვიმეებსა და ხევებში. და ყველა მათგანმა რწმენის მეშვეობით მიიღო მოწმობა, მაგრამ ვერ მიიღო აღთქმული“. (ებრ. 11:32-39)

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორმა რწმენა და მორჩილების საქმეები ერთმანეთს შეურია. რწმენა მხოლოდ სასწაულების

მისაღებად რომ ყოფილიყო საჭირო, რატომ ჩაურთავდა იმ ადამიანებს, რომლებიც უდაბნოებსა და მთებში დაეხეტებოდნენ დევნილნი და გატანჯულნი? იმ კაცებმა და ქალებმა კარგად დაასრულეს. მათ ბოლომდე მორჩილება გამოიჩინეს. ეს ნამდვილი რწმენაა.

თუ გინდათ დიდი რწმენა, დაემორჩილეთ ღვთის ძალაუფლებას – უშუალოს თუ გადაცემულს და მორჩილება ბოლომდე მიიყვანეთ. თქვენი რწმენა მორჩილების პირდაპირპროპორციულია!

თავმდაბლობის დაცვა

ბოლო პუნქტი, რომელიც იესომ მოწაფეებს გადასცა, იყო თავმდაბლობის დამოკიდებულების შენარჩუნება. მან თქვა: „ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებინა“. როცა ასეთ დამოკიდებულებას ვინარჩუნებთ, თავს საზღაურის მიღების პოზიციაზე ვაყენებთ, რომელიც ბატონისგან მოდის. ვინც თავს აიმაღლებს, ის დამდაბლდება. მათ, ვისაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ აქვს, ბატონი აღამაღლებს. იაკობი გვარიგებდა: „დამდაბლდით უფლის წინაშე და ის აგამაღლებთ თქვენ“ (4:10).

გულის თავმდაბლობის შენარჩუნება ნიშნავს საკუთარი თავის დაყენებას მორჩილების საზღაურის მიღების ადგილზე. საკუთარი მორჩილებით სიამაყე დაცემას მოასწავებს, მიუხედავად იმისა, რომ მორჩილებას იჩენთ. ეს ყველაფერს გააფუჭებს, რასაც მიეკარებით. შეგიძლიათ მიჰყვეთ ამ წიგნში შემოთავაზებულ რჩევას ან ღვთის სიტყვას, მაგრამ სიამაყე ყველაფერს დაგაკარგვინებთ, რაც მორჩილებით მიიღეთ.

ლუციფერი ცხებული იყო. მას სრულყოფილების ბეჭედი, სიბრძნით სავსე და სილამაზით სრულქმნილი ეწოდა. ის ღმერთმა დააყენა და მის წმიდა მთაზე მკვიდრობდა. ის სრულყოფილი იყო თავის გზებში, სანამ მასში სიამაყე არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ზეციდან იქნა გადმოგდებული ელვასავით სწრაფად. პავლე მითითებას იძლევა, რომ ძალაუფლების პოზიციაზე დაყენებული „ნურც ახალმოქცეული იქნება, რათა არ გაამაყდეს და ეშმაკის სამსჯავროში არ მოხვდეს“ (1 ტიმ. 3:6).

პავლემ ბევრ რამეს მიაღწია ღვთის მოწოდებისადმი მორჩილების გამო. თუმცა რაც უფრო ემატებოდა ხანი, მით მეტად იზრდებოდა თავმდაბლობაში. ჩვ. წ.-ით 56 წელს მიწერა ეკლესიას, რომელიც კორინთოს ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ტერიტორიაზე დააფუძნა მის მიერ განხორციელებული ოთხიდან მესამე მისიონერული მოგზაურობის დროს. სიკვდილამდე სულ რაღაც ათი თუ თერთმეტი წელი ჰქონდა დარჩენილი და ქრისტეს მსახურებაში ხანდაზმული ვეტერანი გახლდათ. და მაინც, ასეთია მისი სიტყვები: „ვინაიდან უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღვთის ეკლესიას“ (1 კორ. 15:9).

გრძნობთ თავმდაბლობას ამ სიტყვებში? ის „მოციქულის“ წოდების ღირსადაც არ თვლის თავს. მინდა, ერთი რამ გამოვკვეთო: ეს არ გახლავთ ცრუ თავმდაბლობა. ყალბმა თავმდაბლობამ კარგად იცის, როგორ უნდა გამოიყენოს პოლიტიკურად მისაღები სიტყვები, რომ თავმდაბალი გამოჩნდეს, თუმცა გულსა და გონებაში მსგავსიც არაფერია. ასეთი რამ მაცდური და არასწორია. თუმცა სულიწმიდის შთაგონებით წერისას ადამიანი ვერ იცრუებს! როცა პავლემ თქვა, რომ მოციქულთა შორის უკანასკნელი იყო, სულაც არ გამოუყენებია პოლიტკორექტული ჟარგონი. მან ნამდვილი თავმდაბლობა გამოავლინა.

ახლა გადახედეთ პავლეს მომდევნო განაცხადს: „ყველა მათგანზე მეტი ვიშრომე; თუმცა არა მე, არამედ ღვთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა“ (1 კორ. 15:10). „ყველა მოციქულზე მეტი ვიშრომე!“ ერთი წუთით! ნუთუ პავლე ტრაბახობს? ეს შენიშვნა ქედმაღლური ჩანს, მაგრამ ასე არ არის. ეს წინ უძღვის კიდევ ერთ განცხადებას პავლეს დამოკიდებულების შესახებ. მას შემდეგ, რაც თავი უმცირეს მოციქულად ჩათვალა, აღიარა, რომ ყველაფერი ღვთის მადლის მეშვეობით გააკეთა. ის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მისი სულიერი მიღწევები ღვთისგან მიცემული უნარიდან მომდინარეობდა.

პავლეს თვითშეფასება, „მოციქულთა შორის უმცირესი“, არცთუ ადვილი მისაღებია. იმ ეპოქაში და ეკლესიის ისტორიის მანძილზე პავლე ერთ-ერთ უდიდეს მოციქულად არის მიჩნეული. ახლა იფიქრეთ, რა უთხრა მან ეფესელებს ჩვ. წ.-ით 62 წელს, სიკვდილამდე სამი თუ ოთხი წლით ადრე. კორინთელებისადმი პირველი წერილის მიწერის შემდეგ იმაზე ბევრი რამ გააკეთა,

რაც ცხოვრების რომელიმე სხვა პერიოდში. აი, როგორც აღწერს იგი საკუთარ თავს: „მე, ყველა წმიდას შორის უმცირესს, მომეცა ეს მადლი, რათა წარმართთათვის მეხარებინა ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრე (ეფეს. 3:8).

წლების წინ მან თავს „უმცირესი მოციქული“ უწოდა და ახლა ასე ამბობს: „ყველა წმიდას შორის უმცირესი“. რა?! თუ ვინმეს შეეძლო ქრისტიანობით და წინამძღოლობით კვეხნა, ეს სწორედ პავლე იქნებოდა. და მაინც, რაც მეტად ემსახურებოდა უფალს, მით მეტად მცირდებოდა საკუთარ თვალში. მისი თავმდაბლობა თანდათან იზრდებოდა. შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო მიზეზი, თუ რატომ იზრდებოდა ღვთის მადლი მის ცხოვრებაში ასაკის მატებასთან ერთად? იქნებ ამის გამო უცხადებდა ღმერთი თავის გზებს ასე უხვად ისე, რომ პეტრე მოციქულიც კი შეაფიქრიანა (2 პეტრ. 3:15-16)? მეფსალმუნე აცხადებს: „თავის გზას ასწავლის მორჩილთ“ (ფს. 25:9). ამის ფონზე, ეს ხომ არ იყო მიზეზი, რომ მოსე ასე კარგად იცნობდა ღვთის გზებს? კაცი, რომელზეც ღმერთმა ასე თქვა: „ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო მოსე დედამიწის ზურგზე“ (რიცხვ. 12:3)? ჩანს, ორივე მათგანმა იცოდა ღმერთში დიდი რწმენის შეძენის საიდუმლო, რის გაგებაც მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს.

სიცოცხლის დასასრულს, ჩვ. წ. 64-დან 66 წლამდე პავლე ორ წერილს წერს ტიმოთეს, სადაც ისევ აღწერს თავის თავს: „ქრისტე იესო მოვიდა ქვეყნიერებაზე ცოდვილთა გადასარჩენად, რომელთა შორის პირველი მე ვარ“ (1 ტიმ. 1:15). მან თავს „ცოდვილთაგან პირველი“ უწოდა. ყურადღება მიაქციეთ, რომ მას არ უთქვამს, „პირველი ვიყავი“.

არა, წლების დიდი მიღწევების შემდეგ, იგი ასე არ აღიარებდა: „ყველაფერი გავაკეთე და ახლა ჩემი დიდი მსახურება უნდა დაფასდეს“. ის არც იკვეხნიდა: „დიდი საქმე გავაკეთე და ნამდვილი მოციქულის შესაფერის პატივს ვიმსახურებ“. მას არასოდეს დაუწერია: „წმიდანებს შორის უმცირესი ვარ“. მან განაცხადა: „ცოდვილთა შორის პირველი მე ვარ“. თუმცა პავლე აცნობიერებდა, რომ ქრისტეში ღვთის სიმართლეს წარმოადგენდა (2 კორ. 5:21), მაგრამ თვალსაწიერიდან არასოდეს მოშორებია ღვთის მადლი და წყალობა. ფაქტობრივად, რაც ხანი ემატებოდა, ღვთის მადლზე უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა. მისი

ცხოვრება განუწყვეტლივ წარმოაჩენდა: „უსარგებლო მონა ვარ. გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა“.

ეს ხსნის პავლეს სხვა განცხადებას მისი სიცოცხლის მიწურულს: „ძმებო, არ მიმაჩნია, რომ უკვე მივაღწიე, არამედ ერთს ვაკეთებ - ვივიწყებ, რაც უკან დარჩა და იმას ველტვი, რაც ჩემს წინაა. ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში“ (ფილ. 3:13-14). ხედავთ თავმდაბლობას მის სიტყვებში? „ჯერ ბოლოში არ გავსულვარ და რასაც მივაღწიე, უკან ვიტოვებ ფიქრებში“. ის თავის მიღწევებს „არაფრად“ თვლიდა მის სწრაფვასთან შედარებით, რომ სრულად შეეცნო იესო ქრისტე. გახსოვდეთ, რომ ღმერთი თავს თავმდაბლებს უცხადებს! პავლემ თქვა: „ვილტვი მიზნისკენ“. ეს ლტოლვა გულისხმობდა მის მიერ გამოვლილ წინააღმდეგობას და დაპირისპირებას. ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე მის მოწოდებაში სიამაყე იყო.

იესოს ცხოვრების შესწავლისას აღმოვაჩენთ, რომ ის ქებას არ იღებდა, არამედ ზეციერი მამისკენ მიმართავდა-ხოლმე. ერთხელ განკურნებულებს ისიც უთხრა, რომ საჯაროდ არ გაემხილათ მომხდარი, არამედ ღვთისთვის მიეგოთ დიდება.

ახალგაზრდა მთავარმა იესოს „კეთილი მოძღვარი“ უწოდა. თუმცა მან სწარფად მიუგო, რომ ღვთის გარდა კეთილი არავინ იყო. ნუთუ ის არ გახლდათ ღვთის ძე? ის არ იყო კეთილი? რა თქმა უნდა! და მაინც, უფალი კაცთაგან ქებას არ იღებდა; მას მხოლოდ ზეციერი მამის განდიდება სურდა. თუმცა ერთი სათნოებით მაინც იკვეხნიდა, რაც იყო თავმდაბლობა. მან თქვა: „იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს“ (მათ. 11:29).

ღვთის სიყვარული ნამდვილ თავმდაბლობას ბადებს. ვკითხულობთ, რომ სიყვარული არ არის ტრაბახა და პატივმოყვარე და არ ქედმაღლობს [არ ამპარტავნობს] (1 კორ. 13:4). სიამაყე თავისას ეძებს, სიყვარული კი თავისას არ ეძებს. სიამაყეს სძულს ნებისმიერი მორჩილება, რომელიც მის გეგმებს სარგებლობას არ მოუტანს, ხოლო სიყვარული ეძებს იმის დიდებას, ვისაც ემსახურება. ვემორჩილებით იმიტომ, რომ გვიყვარს; გვინდა წარმატების მიღწევა, ვინაიდან მისთვის პატივის მიგება გვსურს. ვესწრაფვით მისი განდიდების ხილვას. იქნებ ამის გამო თქვა

პავლემ: „მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“ (1 კორ. 13:2)?

აღასრულეთ თქვენი დანიშნულება

მოწოდებული ვართ, რომ მოვიტანოთ ნაყოფები და ვიყოთ ჩვენი ღვთის მეომრები. მის საოცარ სახელს მხოლოდ მაშინ მოვუტანთ დიდებას, როცა მისი გზებით ვივლით. ვლოცულობ, რომ ეს სიტყვა მიიღოთ, როგორც თქვენ სასიკეთოდ, ისე მისი დიდებისთვის. გონებრივი მსჯელობის პროცესი ღვთის სიტყვაზე ჩაჭიდებას სიბრიყვედ მიიჩნევს, მაგრამ გავიხსენოთ პავლეს ნათქვამი: „ღვთისთვის სათნო იყო მორწმუნეთა გადარჩენა ქადაგების უგუნურებით“ (1 კორ. 1:21). მეორე მხრივ, გვეუბნებიან, რომ „ღვთის უგუნურება ადამიანებზე უბრძენესია, და ღვთის სისუსტე – ადამიანებზე უძლიერესი“ (1 კორ. 1:25). საკუთარ თავს შეახსენეთ, რომ „მისით ვამხობთ არგუმენტებს, თეორიებსა და მოსაზრებებს, ასევე ყოველგვარ სიმაღლესა და სიამაყეს, რაც კი აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს და მიზანს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“ (2 კორ. 10:5 გავრც. თარგმანი).

მოსაზრება, რომელიც მორჩილებას ეწინააღმდეგება, სიამაყეა. ის ღვთის დარიგებას უპირისპირდება. ის არ აღიარებს ღვთის სიტყვას, როგორც ბოლო ინსტანციის ავტორიტეტს. როგორც წინამდებარე წიგნში განვიხილეთ, ასე მოქცევა სახიფათოა. ღმერთს ამ დღეებში ეყოლება ადამიანები, რომლებიც დიდ რწმენაში, ძალაუფლებასა და გაბედულებაში ივლიან. პავლეს ნათქვამის თანახმად, სწორედ ასეთები „შურს იძიებენ ყოველგვარ დაუმორჩილებლობაზე, როცა [მათი] მორჩილება აღსრულდება“ (2 კორ. 10:6).

დრო აღარ დარჩა, ამიტომ შედეგიანები უნდა ვიყოთ. მორჩილება ეფექტურობაში გვეხმარება. როცა ზეციდან ვიშვი, საკმაოდ აქტიური ვიყავი, მაგრამ მორჩილება მაკლდა. შედეგები არ მქონდა, რომ არაფერი ვთქვათ ზოგიერთ ზიანზე. რაც უფრო ვიზრდებოდი, ვხვდებოდი, რომ მორჩილებაში გულმოდგინება თითქოს იმ მომენტში უმიზნო ჩანდა, მაგრამ საბოლოო ეფექტურობა დაამტკიცა.

თქვენი დანიშნულება ღმერთში თქვენ წინაშეა. როცა მორჩილებას ირჩევთ, დანიშნულების აღსრულებას ირჩევთ. არაფერს და არავის შეეძლება თქვენი შეჩერება. მორჩlლების არჩევანი წლების მანძილზე პირქუშად გამოიყურებოდა დავითის, იოსების, მოსეს, ხანას, იეშუას, ესთერის და სხვა პატრიარქების ცხოვრებაში, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თავიანთი ცხოვრებისეული დანიშნულების შემსრულებლებს დიდების გვირგვინი ადგათ და ჩამოთვლილებმა ამას მიაღწიეს. უკანასკნელ დღეებში ღმერთი ეძებს კაცებსა და ქალებს, რომ ქრისტეს სამსჯავრო ტახტთან პატივის მიმღებ პატრიარქებს მიათვალოს. ვლოცულობ, რომ ჩვენც აღმოვჩნდეთ იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც თავიანთი დავალება ბოლომდე მიიყვანეს და ჩვენს საოცარ უფალს დიდება მოუტანეს.

თავი 18

დასკვნა

ნაყოფი, რომელსაც ვჭამთ უფლის საფარქვეშ, მის ნადიმზე მიგვიყვანს. სწორედ იქ ვიგემებთ მის სიუხვეს.

ეს წიგნი პირველი ცოლ-ქმრის ტრაგიკული გადაწყვეტილებით დავიწყეთ. მათ დატოვეს ყოვლისშემძლის საფარი და ღვთის ქოლგის მიღმა მოძებნეს სწორისა და არასწორის წყარო. მათ უარყვეს უზენაესის ძალაუფლება, მაგრამ ჩვენ მათი და შემდგომი თაობების წარუმატებლობიდან უნდა ვისწავლოთ და ეს შესაძლებელია.

მოდით, დასკვნა საპირისპირო მხრიდან გავაკეთოთ – რა საზღაური ელით უზენაესის საფარქვეშ დარჩენილებს.

> „ვისურვე მისი ჩრდილი და დავჯექი, მისი ნაყოფი ეტკბო ჩემს სასას. ღვინის სახლში შემიყვანა და სიყვარულის ალამი დამადგა თავზე“. (ქებ. 2:3-4)

მის ჩრდილქვეშ სიცოცხლის ხეა. მის ნაყოფის სიტკბოება უსასრულოა. ადამისა და ევას მიერ ნაგემი ნაყოფი კარგი იყო შესახედავად გონების თვალით, მაგრამ საბოლოოდ, სიკვდილი მოიტანა. ეს ჭეშმარიტია გონებრივი მსჯელობის ხიდან ნაჭამი ყველა ნაყოფისთვის. უფლის საფარქვეშ ნაჭამი ნაყოფი მის ნადიმზე მიგვიყვანს. სწორედ იქ ვიგემებთ მის სიუხვეს.

სრულიად შესაძლებელია, რომ ამ წიგნის კითხვისას მხილების ტკივილი იგრძნოთ. ტკივილი ყოველთვის ცუდი როდია. ამ შემთხვევაში ეს ორ რამეს ნიშნავს. პირველი, თქვენი სინდისი ფაქიზი და სულიწმიდის მიმართ მგრძნობიარეა. მეორე, გამოსავალი არსებობს და მას მონანიება ჰქვია. მხილებასა და

მსჯავრდადებას შორის ფუნდამენტური სხვაობა არსებობს. ტკივილი ორივეს ახლავს, მაგრამ პირველს გამოსავალი აქვს, ხოლო მეორეს – არა. მონანიება ისეთივე მარტივია, როგორც გულის შეცვლა, რომელიც თავის მხრივ გონებისა და მოქმედებების შეცვლას იწვევს. არსებითად, თქვენ ამბობთ: „უფალო, ჩემი გზით ვიარე და მის ამაოებაში დავრწმუნდი. ახლა შენი გზების მორჩილებას ვარჩევ“. ეს გახლავთ გადაწყვეტილება, რომ კეთილისა და ბოროტის ხისგან ნაშობი გონებით მსჯელობას უკუვაგდებ და მორჩილების გზას ვუბრუნდები.

ლოცვისა და ღრმად დაფიქრების მეშვეობით გახსენით თქვენი გული და სულიწმიდას დაუმორჩილებლობის კერების ჩვენება სთხოვეთ თქვენს ცხოვრებაში. ეს სფეროები შეიძლება ეხებოდეს ღვთის უშუალო ან გადაცემულ ძალაუფლებას. ჩამოწერეთ სხვა ფურცელზე. როცა ამას გააკეთებთ, ერთად ვილოცოთ პატიებისა და აღდგენის მისაღებად.

ზეციერო მამა, იესოს სახელით მომიტევე ჩემი ურჩობა და დაუქვემდებარებლობა. ჩემი გონების ლოგიკით ვცხოვრობდი და საბოლოოდ, ამბოხებულად ვიქეცი შემდეგ სფეროებში.

მე მაქვს: [თქვენი სიიდან აღიარეთ ყოველი სფერო, რაშიც შესცოდეთ მისი ძალაუფლების წინააღმდეგ. ჩართეთ როგორც უშუალო, ისე გადაცემული ძალაუფლების წინააღმდეგ ურჩობა].

ვინანიებ ყველა ამ სფეროს ფიქრსა თუ ქცევას. გთხოვ, მაპატიო და განმწმიდო ჩემი უფლის, იესოს სისხლით!

მიზნად მაქვს, რომ დავემორჩილო შენს ძალაუფლებას და ამის კეთებისას დავემორჩილები საოჯახო, სამოქალაქო, საეკლესიო და სოციალურ ძალაუფლებას, რომლებიც შენ დამიყენე ცხოვრებაში. მომეცი მადლი, რომ არა მხოლოდ ვისურვო, არამედ ვაკეთო კიდეც შენთვის სათნო საქმეები და ვისიამოვნო დაქვემდებარებითა და მორჩილებით! ჩემს ცხოვრებას უფალ იესო ქრისტეს ვუძღვნი და უარს ვამბობ ყოველგვარ ამბოხებულ ცხოვრების წესზე. მხურვალე გულით დავემორჩილები ყველა გზას, რაც შენი მოწოდებისამებრ შენს სახელს განადიდებს.

თუ მართებული იქნება, პირადად შეხვდით ან წერილი მისწერეთ ძალაუფლების პოზიციაზე მყოფებს, რომლებიც თქვენს სიაში არიან და პატიება სთხოვეთ. ახლა იმის დრო არ არის, რომ ვინმე დაადანაშაულოთ ან იკამათოთ თქვენს საქმესთან დაკავშირებით. ეს გახლავთ შესაძლებლობა, რომ თქვენი წილი პასუხისმგებლობა აიღოთ ნებისმიერ რთულ საკითხში.

გმადლობთ, რომ ამ ქვეყნიერების საწინააღმდეგო მიმართულება აირჩიეთ. მორჩილებით ჩვენი შესანიშნავი მეფის მიზნების განხორციელებას დავაჩქარებთ. ჩვენი მორჩილების საზღაური დიდი იქნება.

> ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, ახლა და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!
>
> – იუდ. 24-25

გახსოვდეთ:
დარჩით **საფარქვეშ!**

სადისკუსიო კითხვები

თუ წინამდებარე წიგნს საფარქვეშ ვიდეოგაკვეთილებთან ერთად კითხულობთ (რაც დიდებული იდეა გახლავთ!), გირჩევთ უყუროთ ყოველი კვირის გაკვეთილს და ჯგუფურად იმსჯელოთ შესაბამის სადისკუსიო კითხვებზე. ვიდეოგაკვეთილები წიგნის მთავარი თემების პარალელურად მიმდინარეობს და ავრცობს მათ. ამრიგად, ყველა მონაწილისთვის იდეალური ვარიანტი იქნება წიგნის კითხვა გაკვეთილების ყურებასთან ერთად.

ისიამოვნეთ!

გაკვეთილი 1

გამოკვეთილი თემები 1-ლი და მე-2 თავებიდან

1. როცა სიტყვა „ძალაუფლება“ გესმით, როგორია თქვენი პირველადი რეაქცია? მას რაღაც კარგს უკავშირებთ, როგორიცაა საფარქვეშ ყოფნა ძლიერი ქარიშხლის დროს? იქნებ რაიმე უარყოფითზე ფიქრობთ, ვთქვათ სამსახურის დირექტორზე, რომელმაც ცხოვრება დაგინგრიათ?
2. წარსულის გადახედვისას დაკვირვებიხართ პერიოდებს, როცა „საფარიდან გამოსვლის“ შედეგები გიწვნევიათ?
3. დემოკრატიული აზროვნებით სამეფოს პრინციპების გაგება რთულია. რა ხერხებით განიხილეთ ძალაუფლებაზე ღვთის ჩანაფიქრი დემოკრატიული ფილტრის მეშვეობით? რა შედეგი მოიტანა ამან თქვენს წინამძღოლებთან ურთიერთობაში?
4. პატარა ჯგუფების საღამოებთან დაკავშირებით ღმერთმა მაჩვენა, რომ ჩემი პასტორის მიმართულების ქვეშ დარჩენაზე უარის თქმა ამბოხება იყო. ამ დიაგნოზმა ხომ არ გაგაკვირვათ? ამ გაკვეთილამდე გაამართლებდით თუ არა ჩემს პოზიციას?

გაკვეთილი 2

გამოკვეთილი თემები 3, 4, 5, 6 და 7 თავებიდან

1. გაკვეთილის დასაწყისში აუდიტორიას ვთხოვე, პირველი აზრი დაეფიქსირებინათ, რომელიც სიტყვა ცოდვის ხსენებაზე თავში მოუვიდოდათ. რა ფიქრები აღგეძრათ კითხვის დასმისას? როგორ შეიცვლა თქვენი აზროვნება?
2. ოდესმე ღვთის ნათქვამის დამორჩილებაზე უარი გითქვამთ რომელიმე ამ სფეროში – ქონება, სამუშაო, ურთიერთობები? რა მოხდა, როცა რომელიმე მათგანი ღვთის მორჩილებაზე მაღლა დააყენეთ?
3. ნაწილობრივი მორჩილება საერთოდ არ არის მორჩილება. ეს ამბოხებაა. მოყევით იმ დროის შესახებ, როცა ბოლომდე მორჩილი იყავით. შემდეგ გადმოეცით ის შემთხვევა, როცა ნაწილობრივ დამორჩილდით. რაში მდგომარეობდა მთავარი განსხვავება და რა შედეგი მოიტანა თითოეულმა მათგანმა?
4. ბიბლია ამბობს, რომ ამბოხება ჯადოქრობაა (1 სამ. 15:23). რა არის ჯადოქრობის საბოლოო მიზანი? რა ზეგავლენას ახდენს ან როგორ ცვლის ეს ჭეშმარიტება ამბოხებაზე თქვენს შეხედულებას?
5. სატანური ბიბლიის პირველი მცნება გახლავთ – გააკეთე, რაც მოგესურვება. ეს სრულად ეწინააღმდეგება იესოს ნიმუშს, როცა მან თქვა: „მე ჩემს ნებას კი არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას“ (იოან. 5:30). რა სფეროებში დააყენეთ თქვენი ნება ღვთის ნებაზე წინ? რა შედეგი გამოიღო მან თქვენს ცხოვრებაში? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ აქტიურად ეძებოთ და დაემორჩილოთ ზეციერი მამის ნებას თქვენს სურვილზე მეტად?

სადისკუსიო კითხვები

გაკვეთილი 3

გამოკვეთილი თემები 8, 9 და 10 თავებიდან

1. რომ. 13:1-2-ში ვხედავთ, რომ გადაცემული ძალაუფლების დაპირისპირება ღვთის განკარგულების დაპირისპირებაა. როგორ გამოეხმაურებოდით იესოს თხოვნას, რომ რაღაც გაგეკეთებინათ სამუშაოზე, სახლში ან სოციალურ შეკრებაზე? თუ იგივე თხოვნას უფროსის, მწვრთნელის, პოლიციელის ან ძალაუფლების სხვა წარმომადგენლის მხრიდან მოისმენდით, რას გააკეთებდით? ისევე უპასუხებდით მათ, როგორც იესოს უპასუხეთ?
2. ბიბლია ამბობს, (რომ. 13:1-2). ბერძნული სიტყვა დამორჩილება გამოიყენება როგორც სამხედრო, ისე საერო კონტექსტში. საერო დანიშნულებით სიტყვა ნიშნავს მოხალისეობრივ დამოკიდებულებას, როცა ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ მოქმედებაზე თანხმდებით. როგორ ცვლის ეს მცნება წმიდა წერილიდან თქვენს დამოკიდებულებას გადაცემული ძალაუფლების მიმართ?
3. 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი ჩემთვის ძალზე რთული იყო. დეპრესია დამემართა და უფალმა გამახსენა, რომ გაკვირვებული სულაც არ არის იმით, თუ ვინ დაიკავა ეს თანამდებობა. ყოფილა დრო თქვენს ცხოვრებაში, როცა პოლიტიკური პროცესების შედეგმა იმედგაცრუება მოგიტანათ? როგორ ცვლის ჩემს მიერ მოყოლილი ამბავი თქვენს დამოკიდებულებას არჩეული თანამდებობის პირების მიმართ?
4. ესაია 1:19 გვეუბნება, რომ თუ მოვინდომებთ და შევისმენთ, მიწის დოვლათს შევჭამთ. შესაძლებელია იყოთ მორჩილი, მაგრამ არ გინდოდეთ ან პირიქით, გინდოდეთ, მაგრამ არაფერი გააკეთოთ. გვიამბეთ იმ შემთხვევაზე, როცა სურვილის გარეშე დამორჩილდით. შეადარეთ ეს იმ დროს, როცა სურვილიც გქონდათ და მორჩილებაც გამოიჩინეთ.
5. ბიბლია ასწავლის უპირობო დაქვემდებარებას, მაგრამ არა უპირობო მორჩილებას. არ გვევალება ჩვენი წინამძღოლების მორჩილება, თუ ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოს გაკეთებას გვთხოვენ. ოდესმე უთხოვია თქვენს წინამძღოლს ისეთი რამის გაკეთება, რაც ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგებოდა? რა შედეგი დადგა?

საფარქვეშ

გაკვეთილი 4

გამოკვეთილი თემები 11 და 12 თავებიდან

1. ბიბლია სამოქალაქო ხელისუფლებას ღვთის მსახურებს უწოდებს. როგორი უნდა იყოს ღვთის მსახურებთან სწორი დამოკიდებულება? როგორ ექცევით თქვენს სამოქალაქო წინამძღოლებს?
2. ეშმაკი ცილისწამებით გამოირჩევა, მაგრამ იესო ერთგულად შუამდგომლობს ჩვენთვის. თქვენ რა ფუნქციას ირგებთ სამოქალაქო წინამძღოლებთან დაკავშირებით, ბრალმდებლის თუ შუამდგომლის? გამხიარულებთ სამოქალაქო ხელისუფლებაზე წარმოთქმული ხუმრობები? წუხს თუ არა თქვენი გული როცა ხელისუფალს სოციალური მედია ლანძღავს?
3. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ და დავექვემდებაროთ საზოგადოებრივ წინამძღოლებს, უფროსებს, მასწავლებლებს, მწვრთნელებს და სხვა ძალაუფლებაში მყოფ პირებს, როგორც ღვთის წარმომადგენლებს. გაიაზრეთ, როგორი იქნებოდა იესოსთვის შრომა. სამსახურში დროზე მოხვიდოდით? პროექტებზე ფულს გააკეთებდით? როგორ ცვლის ხსენებული ნიმუში საზოგადოებრივი მედიის მიმართ თქვენს დამოკიდებულებას?
4. წმიდა წერილში ნათლად ჩანს ოჯახური სტრუქტურა. თქვენი აზრით, რა გვაბრკოლებს ოჯახური ძალაუფლების შესახებ ღვთიური ჩანაფიქრის მიღებაში? რა როლს ასრულებს ღვთის ნდობა ჯანსაღი ოჯახური დამოკიდებულებების განვითარებაში?

გაკვეთილი 5

გამოკვეთილი თემები 13 და 14 თავებიდან

1. ბიბლია ამბობს, რომ იესომ თავად დააყენა ეკლესიის მმართველობა (ეფეს. 4:11-12). მონაწილეობთ თუ არა ეკლესიის იმ საქმიანობაში, რაც თქვენს პასუხისმგებლობას არ უკავშირდება? თქვენი აზრით, რა დამოკიდებულება აქვს იესოს წინამძღოლობის მიმართ, რომელიც ეკლესიაში დააყენა?
2. ხანა წლების მანძილზე ლოცულობდა ბავშვისთვის. როგორ გგონიათ, რატომ უპასუხა ღმერთმა ქალის ლოცვას მაშინ, როცა შეურაცხმყოფელ წინამძღოლს პატივი მიაგო?
3. როცა ბოროტ წინამძღოლზე აუგს ვლაპარაკობთ, ღვთის სიბრძნეს ვცდებით და საბოლოოდ, მისი მფარველობიდან გამოვდივართ. ამ ჭეშმარიტებას მირიამის, აჰარონისა და მოსეს ისტორიაში ვხედავთ, როცა მირიამმა არასწორად გააკრიტიკა მოსე ქუშელ ქალზე დაქორწინების გამო. ოდესმე სიძნელეებს შეხვედრიხართ იმის გამო, რომ ღვთიური სიბრძნისა და დაცვის საზღვრებს გადააბიჯეთ? რა შედეგი მიიღეთ?
4. ოდესმე აღმოჩენილხართ ვითარებაში, როცა თქვენმა წინამძღოლმა თითქოსდა უგუნური გადაწყვეტილება მიიღო? შესაძლოა, მას მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ ჰქონდა. როგორი იყო შედეგი? ახლა დარწმუნებული ხართ, რომ იმ სიტუაციას სხვანაირად მოაგვარებდით? რა ისწავლეთ?
5. დავითის დამოკიდებულება მეფე საულის მიმართ პატივისმცემელი და დაქვემდებარებული იყო. მიუხედავად ამისა, საული გაგიჟდა და მისი მოკვლა განიზრახა. დავითმა ღვთიური უზრუნველყოფა, მშვიდობა და დაცვა მიიღო ძნელბედობის ჟამს. როგორ განავითარებთ ანალოგიური პატივისცემისა და დაქვემდებარების დამოკიდებულებას თქვენს წინამძღოლებთან ურთიერთობაში?

საფარქვეშ

გაკვეთილი 6

გამოკვეთილი თემები 15, 16, 17 და 18 თავებიდან

1. ეკლესიისთვის დიდება არის შენახული, როცა ის ერთიანი გახდება. იესომ ღვთიური დიდება გამოავლინა, როცა დედამიწაზე ცხოვრობდა. როგორ ფიქრობთ, როდის მოისმინეთ სიტყვა დიდება? გწამთ, რომ შესაძლებელია ღვთის თანდასწრების ქონა უფრო მეტი ხარისხით?
2. როცა ორმოცდამეათე დღე დადგა, 120 მოწაფე ზემო თვალში ერთხმად იმყოფებოდა. მათ ერთი გული, გონება და სული ჰქონდათ. როგორი სახე ექნება ამგვარ ერთიანობას ჩვენს თანამედროვე ეკლესიაში?
3. შეერთებული შტატების არმიას ხუთი განყოფილება აქვს. ყველა მათგანი სამხედრო სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ განსხვავებულ მოქმედებებს ასრულებენ. ეკლესიაშიც არსებობს სხვადასხვა მოქმედებები. ჩვენ იმგვარი ფუნქციონირების საზღვრებში უნდა ვიშრომოთ, როგორშიც ღმერთმა მოგვათავსა. როგორ ცვლის ეს თქვენს შეხედულებას ეკლესიაზე, სადაც ახლა დადიხართ? რის გაკეთება შეგიძლიათ სხვაგვარად, რომ მოხვდეთ თქვენი საეკლესიო თემის ხედვის ქვეშ?
4. წარმოიდგინეთ, რა ზეგავლენა გვექნება საზოგადოებაზე, რეგიონსა და ერებზე, როცა ღვთის ერი ერთობის ხედვას გაიზიარებს. როგორ შეძლებთ მეტი ერთობის მოტანას თქვენი მეგობრების წრეში? ეკლესიაში? საზოგადოებაში?

გაამრავლე ღვთისგან ბოძებული პოტენციალი

ოდესმე გიგრძვნიათ, თითქოს მხოლოდ მაყურებელი ხართ ღვთის სამეფოში? შესაძლოა, იცით, რომ არსებობს თქვენი საკეთებელი საქმე, მაგრამ ზუსტად ვერ გაგირკვევიათ, რა არის ეს. უმეტეს ჩვენგანს საკუთარ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა სურს, მაგრამ გარკვეული კითხვები აწუხებს:

- როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ ჩემს ცხოვრებაზე ღვთის ნებას არ ავცდი?
- რა როლს ასრულებს ჩემი უნიკალური ნიჭები ღვთის სამეფოს შენების საქმეში?
- როგორ დავრწმუნდე, რომ ღვთისგან ბოძებული პოტენციალის შესაბამისად ვცხოვრობ?
- არის თუ არა ჩემი მოწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუ „კათედრის მსახურებაში“ არ ვარ?
- როგორ უნდა დავიცვა წონასწორობა ღვთის მადლში დარჩენასა და მისი სამეფოსთვის გონივრული ნაბიჯების გადადგმას შორის?
- როგორ უნდა დავძლიო შიში და წინ ნავიდე მაშინაც კი, როცა ეს გაურკვეველი და სარისკოა?

ამ ძირეული მნიშვნელობის წიგნში ბესთსელერების ავტორი, ჯონ ბევირი წმიდა წერილის გულმოდგინე კვლევას ეყრდნობა და შინაარსიან ისტორიებს იყენებს თქვენს დასახმარებლად, რომ სხვაგვარად იფიქროთ მოწოდებასა და ღვთისთვის მის მნიშვნელობაზე. როცა წიგნის ფურცლებს ჩაიკითხავთ, ღვთივბოძებული ნიჭების გამრავლებისთვის აღჭურვილი იქნებით და ნაბიჯს გადადგამთ თქვენი პოტენციალის გამოსაყენებლად.

თუ მზად ხართ, რომ უმოქმედობა დიდი მიზნებისკენ სვლით შეცვალოთ, თქვენი მოგზაურობა აქ იწყება.

ჩამოტვირთეთ: **MessengerX.com**

სატანის სატყუარა

იცხოვრეთ წყენის საშინელი ხაფანგისგან თავისუფლებმა



სატანის სატყუარა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე შეცდომაში შემყვან ხაფანგს, რომელსაც მტერი იყენებს მორწმუნეების ღმერთის ნებიდან გადასაყვანად: წყენას. ადამიანების უმრავლესობა ისე არიან გაბმულები ამ ხაფანგში, რომ ვერც კი მიმხვდარან.

ნუ მოტყუვდები! ქრისტემ თქვა: „შეუძლებელია არ მოვიდნენ ცდუნებანი“ (ლუკ. 17:1). შენ ვერ აირჩევ განაწყენდები თუ არა, მაგრამ შენ ირჩევ, თუ რა იქნება შენი პასუხი ამაზე. თუკი წყენას სწორად მიუდგები, სიმწარის ნაცვლად გაძლიერებას გამოცდი. მხოლოდ სწორ პასუხს შეუძლია მოგცეს ძალა, რომ დაუბრკოლებელი ურთიერთობა გქონდეს ღმერთთან.

ამ უწყებით, ჯონ ბევირი ძალას გაძლევს დარჩე ღვთის ნებაში და გათავისუფლდე ეჭვისა და ნგრევისაგან. შენ შეგიძლია თავი დააღწიო გონების მსხვერპლობას და იცხოვრო სიმძიმისა და მარცხის ტვირთის გარეშე. ღმერთის მორჩილების უფრო მაღალი დონის აღმოჩენასთან ერთად, შენს ცხოვრებაში უხვად შემოვა პატიება,

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

MessengerX

დამოწაფების მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან



- **უფასოდ 125 სხვადასხვა ენაზე**
- თქვენი ზრდის ზედამხედველურირესურსები
- ხელმისაწდომიაროგორც აპლიკაციით, ისე ონლაინ რესურსის სახით
- თქვენი ისტორიისა და დამოწაფების გზისთვის თვალის მიდევნება

მიიღეთ დამიწაფების რესურსები მთელი მესინჯერ-ბიბლიოთეკა ელექტრონული წიგნების, აუდიო-წიგნების, მოკლემეტრაჟიანი ფილმების, ვიდეო სწავლების, ბიბლიებისა და სხვათა სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და მოუსმინოთ ყველა ციფრულ მოწყობილობაზე.



MessengerX.com

ჩამოტვირთეთ: App Store

იხილეთ: Google Play

მიიღეთ მსოფლიოს მაშთაბით – App Store და Google Play.

ოდესმე გქონიათ შინაგანი ჭიდილი, თუ როგორ გეპასუხათ უფროსის ან წინამძღოლისთვის, რომელსაც არ ეთანხმებოდით? გაგჩენიათ კითხვა, რატომ უნდა ემორჩილებოდეთ მათ ყველაზე უწინ?

ამ წიგნის გადამუშავებულ და განახლებულ ვერსიაში ბესთსელერების ავტორი ჯონ ბევირი ახალი თაობის ყურადღებას დამცავ საზღვრებისკენ მიმართავს, რომლებიც ღმერთმა ძალაუფლების მქონე ადამიანების მეშვეობით დაადგინა. ჯონი ფარდას ხდის ეშმაკის ხრიკებს, თუ როგორ სურს, დაგვაჯეროს, რომ ჩვენი მომავალი წარმატებული იქნება ღვთიური წინამძღოლების გვერდის ავლით. ის განზრახ ცდილობს დაამახინჯოს ჩვენში თავად ღვთის კუთვნილი და მის მიერ გადაცემული ძალაუფლების აღიარების უნარი. წინამძღოლებისადმი სწორი დამოკიდებულების სწავლებით ჯონი გვაჩვენებს, რომ ძალაუფლების დაქვემდებარება წინასწარჭვრეტის, დაცვის და სამომავლო იმედის უზრუნველყოფას ემსახურება.

წიგნი საფარქვეშ ასევე დაგეხმარებათ შემდეგ საკითხებში:

- როგორ აიცილოთ სრული სიმართლის და მაინც არასწორ მდგომარეობაში აღმოჩენა.
- როგორ უპასუხოთ ბიბლიურად და გადალახოთ უსამართლო მოპყრობა.

სრულიად ახალი თავებით შევსებული, სადისკუსიო კითხვებით და ხაზგასმული თემებით სავსე წიგნი საფარქვეშ მეტად პრაქტიკული და ცხოვრების გარდამქმნელი სახელმძღვანელოა, რომელიც ააშკარავებს ღვთის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარებისა და ჩვენს ცხოვრებაში წინამძღოლებისადმი სწორი გამოხმაურების მნიშვნელობას.

ჯონ ბევირი მსოფლიო მასშტაბის მქადაგებელი და ბესტსელერების ავტორი გახლავთ, რომელიც ცნობილია ღვთის სიტყვისადმი გაბედული და უკომპრომისო მიდგომით. ჯონი და მისი მეუღლე, ლიზა – **Messenger International**-ის დამფუძნებლები არიან. ეს მსახურება ორიენტირებულია ქრისტეს მტკიცე მიმდევრების გამოზრდაზე, რომლებიც მთელ მსოფლიოს გარდაქმნიან. როცა ჯონი კოლორადოში, საკუთარ სახლში იმყოფება, ოჯახის წევრებთან ერთად კონკურენტული კარტის თამაშშია ჩაფლული ან ლიზას არწმუნებს, რომ გოლფს მიჰყოს ხელი.

MessengerX

უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვის ეწვიეთ **MessengerX.com**

Messenger INTERNATIONAL

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი?
დაასკანირე